

სასამართლო

სამართლი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო
პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის
მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოქებნა
შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-
გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2024, №2

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2024, №2

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2024, №2

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2024, №2

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
კეთევან გენერალი

ტექნიკური რედაქტორი
გარივა გაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საპირელი

1. ნასყიდობა	
მიწოდებული პროდუქციის საფასურისა გადახდის დაკისრება	4
ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადახდილი თანხის უკან დაბრუნება	15
ნაკლის მქონე ნივთის მიღება მყიდველის მიერ	74
2. ჩუქება	
ჩუქების ზეპირი ხელშეკრულება	93
3. ნარდობა	
ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება	127
ხელშეკრულებაზე უარი ნაკეთობის ნაკლის გამო	137
საზღაურის შემცირება ნაკეთობის ნაკლის გამო	153
4. დავალება	
გასამრჯელო დავალებისთვის	167
5. საკუთრების მინდობა	
მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლები	192

1. ნასყიდობა

მიწოდებული აროვების საფასურის გადახდის დაკისრება

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-19-19-2018

8 თებერვალი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

- შპს „კ. ა-ს“ (შემდგომში – „მოსარჩევე“ ან „გამყიდველი“) და ა. გ-ს (შემდგომში – „მოპასუხე“, „მყიდველი“, „აპელანტი“ ან „კასატორი“) შირის დაიღო ზეპირი ნასყიდობის ხელშეკრულება 19 875 ლარის საქონლის ნასყიდობის თაობაზე და გამყიდველმა მყიდველს მიაწოდა საქონელი.
- მოსარჩევემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა მისთვის გადაუხდელი ნასყიდობის საფასურის – 5 277,5 ლარის გადახდის დაკისრება.
- მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო. მოპასუხის განმარტებით, მას მოსარჩელის მიმართ დავალიანება არ გააჩნია, ხოლო წარდგენილი ანგარიშგება რეალიზებული საქონლის შესახებ თავად მოსარჩელის მიერ არის შედგენილი ისე, რომ აღნიშნული საქონლის მიღება-ჩაბარება არ დასტურდება წარდგენილი ზედნადებებით. არცერთი ზედნადებია წესის მიხედვით შედგენილი და არცერთია დადასტურებული მოსარჩელის მიერ.

- ახალციხის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი წაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 5 271,5 ლარის გადახდა.

- მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა საპელაციო საჩივარი, რომლითაც მისი გუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 07 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელა.

7. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოება.

8. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის საგანს წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მყიდველისათვის ნასყიდობის ფასის დარჩენილი ნაწილის გადახდის დაკისრება. შესაბამისად, უნდა დადგინდეს: დაიდო თუ არა მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულება; მიაწოდა თუ არა მოსარჩელემ მოპასუხეს აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე საქონელი და განახორციელა თუ არა მოპასუხემ შესრულება – ნასყიდობის ფასის სრულად ან ნაწილობრივ გადახდა.

9. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების არსებითი პირობებია – ხელშეკრულების საგანი და ფასი. ამასთან, განმარტა, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების მოთხოვნისას მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი ნაწილდება შემდგენი სახით: ხელშეკრულების დადებისა და ვალდებულების არსებობის ფაქტი მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს, ხოლო მოპასუხემ უნდა ამტკიცოს ვალდებულების შესრულების ფაქტი ან იმ გარემოებათა არსებობა, რომლებიც გამორიცხავს შესრულებას ან აძლევს შესრულების დაყოვნების (შესრულების გადადების) უფლებას.

10. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლით და მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია და სააპელაციო საჩივრით სადაცოდ გამხდარი არ არის, რომ მხარეთა შორის იყო საქმიანი ურთიერთობა და 2016 წლის განმავლობაში, სხვადასხვა დროს, მოსარჩელემ მოპასუხეს მიაწოდა სხვადასხვა პროდუქცია. საქმეში წარდგენილია 2015-2016 წლების პერიოდის ზედნადებები. მხარეთა შორის ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის დასტურად მოსარჩელის მიერ წარდგენილია 2016 წლის 05 მაისს შედგენილი №ელ-... სასაქონლო ზედნადები, რომელიც შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს: შედგენის დრო – 15:34:24; გამყიდველი – მოსარჩელე; მყიდველი – მოპასუხე; ოპერაციის შინაარსი – ტრანსპორტირების გარეშე; საქონლის დასახელება – სათესლე კარტოფილი „ფაბულა“; საქონლის რაოდენობა; საქონლის ღირებულება – 19 875.0000 ლარი; მიწოდებული საქონ-

ლის ჩაბარების დრო 05.05.2016წ. 15:34:24 სთ.

11. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134.4 მუხლზე (ზედნადების ამონერის მომენტში მოქმედი რედაქცია) მითითებით მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის მიზანშენონილად მიიჩნია ყურადღება გაემახვილებნა ელექტრონული სასაქონლო ზედნადების სამართლებრივ ბუნებაზე. ასევე, რამდენად შესრულდა მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულებები და რა ოდენობით.

12. სააპელაციო პალატამ მოიხმო „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ზედნადების გაფორმების დროს მოქმედი რედაქცია) დამტკიცებული ინსტრუქციის 25¹-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3, 4.ა, 4.ბ, 4.გ, 4.დ (4.დ.ა, 4.დ.ბ, 4.დ.გ), მე-6 პუნქტები და დარღვევად არ შეაფასა აპელანტის მიერ მითითებული გარემოება, რომ ზედნადებში არ არის აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება, რომლითაც მოხდა საქონლის გატანა და გადამზიდველი. ამასთან, აღნიშნა, რომ წარდგენილი ზედნადები შემოსაცლების სამსახურის ელექტრონული სისტემიდან ამობეჭდილია 20.02.2017 წელს და იგი გაუქმებული არ არის.

13. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქმეში ასევე წარდგენილია მოსარჩევლის საბუღალტრო მონაცემებიდან ამონა-წერები – ე.ნ. ანგარიშის ამონანერი, რომლებშიც №... სასაქონლო ზედნადები მოპასუხებები მითითებულია გასავლის ზედნადებად და აღნიშნულია ორი მონაცემი – 3 031,78 ლარი და 16 843,22 ლარი, რაც წარმოადგენს ნასყიდობის ფასის ჯამური თანხის 19 875 ლარის აღრიცხვას და მოიცავს საქონლის ლირებულებას 16 843,22 ლარს დამატებული დღგ (იხ. აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის/ მოსარჩევლის წარმომადგენლის განმარტები 07.11.2017წ. სხდომაზე, 13:38:00). იქვე აღნიშნულია მოპასუხის მიერ ვალდებულებების ნაწილობრივ შესრულების პერიოდულობა და ფარგლები. ის ფაქტი, რომ მოპასუხეს პქონდა საქმიანი ურთიერთობა მოსარჩელესთან, იღებდა მისგან საქონელს და მიღებული საქონლის ლირებულებასაც პერიოდულად იხდიდა, დაადასტურა მოპასუხის წარმომადგენელმა საქმის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვის დროსაც.

14. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წარდგენილი ზედნადებით, საბუღალტრო მონაცემებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებებით ერთობლივაში დასტურდება 19 875 ლარის ლირებულებასაც პერიოდულად იხდიდა, დაადასტურა მოპასუხის წარმომადგენელმა საქმის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მიღება.

15. სააპელაციო პალატამ ასევე მიიჩნია, რომ მოპასუხეს არ აქვს

შესრულებული ვალდებულება სრულად, კერძოდ, მას არ გადაუხდია მინოდებული საქონლის ღირებულების ნაწილი 5 217,5 ლარის ოდენობით.

16. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე მუხლებით, ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლით და აღნიშნა, რომ მოსარჩელე (გამყიდველი) ადასტურებს მოპასუხის მიერ პროდუქციის ღირებულების ნაწილის გადახდის ფაქტს და ითხოვს დარჩენილი 5 217,5 ლარის მოპასუხისათვის დაკისრებას, ხოლო მოპასუხებ ვერ წარადგინა იმგვარ მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მის მიერ აღნიშნული თანხის გადახდის ფაქტს, რის გამოც მიიჩნია, რომ არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

17. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხებ წარადგინა საკასაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

18. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

18.1. სასამართლომ დადგენილად მიჩნია, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დადებული იყო ზეპირი შეთანხმება. ასევე, ის გარემოება, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს მიაწოდა 19 875 ლარის საქონელი, რასაც ადგილი არ ჰქონია. აღნიშნული გარემოებები საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება;

18.2. სასამართლოს მიერ ხელშეკრულების დადების დამადასტურებელ მტკიცებულებად მიჩნეულ იქნა ელექტრონული ზედნადები, რომელიც სხვა მტკიცებულებით არ ყოფილა გამყარებული. აღნიშნული ზედნადების ნამდგომობა და მხარეთა შორის ასეთი რაოდენობის საქონლის შეძენა-მიწოდებას მოპასუხე ცალსახად უარყოფდა. ელ. ზედნადება არ იყო შევსებული წესის დაცვით, არ ახლდა საქონლის მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც უნდა დადასტურებულიყო მხარეთა შორის შეთანხმების არსებობა და მოპასუხისათვის საქონლის გადაცემა. მოსარჩელის მიერ წარდგენილი ზედნადებით გაურკვეველი და დაუსაბუთებელია ვის, სად, როდის და რა რაოდენობის საქონელი გაატანა მოსარჩელემ. ასევე, რა ვალდებულება იყო შესრულებული ან/და რა ვადაში უნდა შესრულებულიყო მოპასუხის მხრიდან ნაკისრი ვალდებულება;

18.3. სასამართლო სსკ-ის 327-ე მუხლის მიხედვით განმარტავს თუ როდის შეიძლება ჩაითვალოს ხელშეკრულება დადებულად, რის საპირისპიროსაც მსჯელობს და ასაბუთებს საკუთარ განჩინებაში;

18.4. სასამართლომ სსკ-ის 477-ე მუხლის მიხედვით განმარტა,

რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს ხელშეკრულებით შეთანხმებული საქონელი, რაც უნდა დაადასტუროს კიდეც, თუმცა ამის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარდგენილი არ ყოფილა. შესაბამისად, სასამართლოს დასაბუთება (რომელიც წინააღმდეგობაში მოდის კანონთან) აგებულია მხოლოდ და მხოლოდ ფორმადაუცველად, არასრული მონაცემებით, საქონლის მიღება-ჩაბარების ოქმის არარსებობის პირობებში, მოსარჩელის მიერ შესრულებულ და წარდგენილ ელ. ზედნადებზე, რაც ვერ მიიჩნევა შეთანხმების დამადასტურებელ მტკიცებულებად;

18.5. მხარეთა შორის სხვადასხვა დროს არსებული ურთიერთობა არ არის იმის დადასტურება, რომ 2016 წლის მაისის თვეში ნამდვილად არსებობდა ისეთი შეთანხმება, რომელსაც მოსარჩელე წარდგენს სასამართლოს. მით უფრო, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი ზედნადებების გარკვეულ ნაწილს თან ახლავს საქონლის მიღება-ჩაბარების აქტები, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ მოსარჩელე ელ. ზედნადებებთან ერთად გაცილებით იაფი ლირებულების საქონელს მიღება-ჩაბარების აქტის გარეშე არ გასცემს.

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

20. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამონება გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაემაყოფილდეს.

21. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია მოპასუხისათვის ნასყიდობის საფასურის გადაუხდელი ნაწილის დაკისრების მართლზომიერება.

22. წინამდებარე საქმეში სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის დაიდო ზეპირი ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელემ მოპასუხეს მიანოდა 19 875 ლარის ლირებულების საქონელი, რასაც მოპასუხე/კასატორი უარყოფს. მისი მტკიცებით, მხარეთა შორის ნასყიდობის ზეპირი ხელშეკრულების დადების ფაქტი არ შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ საქმეში არსებული სადავო ზედნადებით.

23. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელ ცენტრალურ ნორმას ნარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლი. აღნიშნული

მუხლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიანოდოს საქონელი. ხოლო, თავის მხრივ, მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შე-თანხმებული ფასი და მიღლოს ნაყიდი ქონება.

24. ნასყიდობა ორმხრივი, კონსენსუალური გარიგებაა, სადაც, როგორც გამყიდველს, ისე მყიდველს გააჩნია კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები. ნორმის პირველი ნაწილი ადგენს გამყიდველის სინალაგმატურ ვალდებულებას, მყიდველს გადასცეს საკუთრების უფლება ქონებაზე, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც უშუალოდ ნასყიდობის საგნის, ისე ამ საგანზე ნამდვილი უფლების გადაცემით. კანონი ნასყიდობის ნამდვილობისათვის რაიმე შეზღუდვას არცერთი ხსენებული წესის მიმართ არ ადგენს და როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში (ბუნებრივია, მხარეთა შეთანხმების პირობებში) გამყიდველის მხრიდან ვალდებულებას შესრულებულად მიიჩნევს. სწორედ ამ წესის დაცვის შემდგომ წარმოემობა გამყიდველს შემძინისაგან საპასუხო შესრულების (საქონლის მიღება, ფასის გადახდა) მოთხოვნის უფლება (იხ. სუსგ საქმე №ას-1076-996-2017, 19 აპრილი, 2019 წელი).

25. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, თუ რა მოიაზრება ხელშეკრულების არსებით პირობად (essentialia negotii). აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზე-დაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

26. ზემოთ მოხმობილი ნორმებიდან გამომდინარე, ნასყიდობის ხელშეკრულების არსებით პირობებს წარმოადგენს: გარიგების საგანი, ფასი და გამყიდველის მიერ მყიდველისათვის საკუთრების გადაცემის წება.

27. საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ მტკიცების ტვირთი იმისა, რომ მოდავე მხარეთა შორის წარმოშობილია ნასყიდობის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, გამყიდველის მხარეზეა, რაც ნიშნავს იმას, რომ სწორედ გამყიდველია ვალდებული, ამტკიცოს სასყიდლიანი გარიგების საფუძველზე მყიდველისათვის გარკვეული რაოდენობის საქონლის გადაცემის ფაქტი. ამის საწინააღმდეგოდ, ნასყიდობის საფასურის გადახდისა და გამყიდველის მიმართ ვალდებულების არარსებობის მტკიცების ტვირთი, ყოველთვის მყიდველის მხარეზეა. ამ გარემოებე-

ბის დამტკიცება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შეიძლება მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ზივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

28. წინამდებარე საქმეში მოსარჩელე მიუთითებს, რომ მხარეთა შერის არსებობდა ნასყიდობის ზეპირი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელემ მოპასუხეს გარკვეული პროდუქცია მიაწოდა. აღნიშნულის დასადასტურებლად მოსარჩელეს წარდგენილი აქვს 05.05.2016წ. შედგენილი წელ-... სასაქონლო ზედნადები, რომელსაც მოპასუხე არ მიიჩნევს ნასყიდობის ზეპირი ხელშეკრულების არსებობის დამადასტურებელ სათანადო მტკიცებულებად. ამასთან, კასატორი აღნიშნული ზედნადების ნამდვილობას სადავოდ ხდის, მისი მტკიცებით, იგი შევსებულია თავად მოსარჩელის მიერ, თვითნებურად, დადგენილი წესის დაუცველად.

29. კასატორის ზემოაღნიშნული პრეტენზიიდან გამომდინარე, სასაქონლო ზედნადების სამართლებრივი ბუნებისა და მისთვის მტკიცებულებითი ძალის მინიჭების შეფასების თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლო მოიხმობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 136-ე მუხლს (სადავო ზედნადების შედგენის დროს მოქმედი რედაქცია), რომლითაც საჯაროსამართლებრივი მოწესრიგების ფარგლებში დადგენილია შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის პრინციპები. აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სამეცნარეო საქმიანობისათვის ქვეყნის შიგნით საქონლის ტრანსპორტირებისას, ხოლო საქონლის მიწოდებისას – მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში (გარდა სპეციალური დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით განხორციელებული მიწოდებისა, რომლებიც მოიცავს სასაქონლო ზედნადებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს) სასაქონლო ზედნადები უნდა გამოიწეროს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმითა და წესით. ამასთან, საქონლის მიწოდებისას, მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, სასაქონლო ზედნადების გამოწერისას აკრძალულია საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე შენახვა. „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2010წ. №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის (სადავო ზედნადების შედგენის დროს მოქმედი რედაქცია) 25¹-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, სასაქონლო ზედნადები არის №II-01² დანართის შესაბამისად დადგენილი ფორმის დოკუმენტი, რომელიც ივსება ელექტრონულად (გარდა ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) საქონლის გამყიდველის/ გამგზავნის მიერ, საქონლის

მიწოდებისთანავე ან საქონლის ტრანსპორტირების დაწყებისთანავე. აღნიშნული ინსტრუქცია არ ითვალისწინებს სასაქონლო ზედნადების მყიდველის მიერ ელექტრონული წესით დადასტურებასა და მიღება-ჩაბარების აქტის შედგენას.

30. ამასთან, საგადასახადო კოდექსის (სადაც ზედნადების შედგენის დროს მოქმედი რედაქცია) 286-ე მუხლით დადგენილია საქონლის დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და აღურიცხველობის შედეგი. კერძოდ, დასახელებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სამენარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა, თუ სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული ან მიწოდებული/მისაწოდებელი საქონლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 10 000 ლარს, – ინვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. მითითებული საჯარო-სამართლებრივი სფეროს მომწერიგებელი ნორმების მიზანია ქვეყნის შიგნით განხორციელებული სამენარმეო საქმიანობისათვის სასაქონლო ზედნადების დანიშნულების ხაზეასმა.

31. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მხარეთა შორის არსებობდა საქმიანი ურთიერთობა, რომლის ფარგლებშიც, 2016 წლის განმავლობაში მხარეთა შორის არაერთხელ დაიღო სხვადასხვა პროდუქციის ნასყიდობის ხელშეკრულება. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქმეში არსებულ შემდეგ მტკიცებულებებს: სარჩელს ერთვის სასაქონლო ზედნადები №ელ-0235700109, რომლის თანახმად, მოსარჩელემ მოპასუხეს 2016 წლის 05 მაისს მიაწოდა 7 950 კგ სათესლე კარტოფილი „ფაბულა“ 25 კილოგრამიანი, რომლის ფასი შეადგენდა 19 875 ლარს. ამრიგად, კასატორის მითითების საწინააღმდეგოდ (იხ. წინამდებარე განჩინების 18.2 პუნქტი), დასახელებულ ზედნადებში მითითებულია ინფორმაცია, როგორც პროდუქციის გამყიდველისა და მყიდველის, ისე საქონლის რაოდენობისა და ღირებულების შესახებ; სარჩელს ასევე ერთვის მოსარჩელის საბუღალტრო მონაცემებიდან ამონანერი – ე.ნ. „ანგარიშის ამონანერი“, რომელშიც აღნიშნული სადაც ზედნადები მითითებულია „გასავლის ზედდებულად“ მოპასუხებები და მითითებულია ორი მონაცემი 3 031,78 ლარი და 16 843,22 ლარი, რაც წარმოადგენს ნასყიდობის ფასის ჯამური თანხის 19 875 ლარის აღრიცხვას და მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, მოიცავს საქონლის ღირებულებას – 16 843,22 ლარს დამატებული დღგ. მასში ასევე მითითებულია ინფორმაცია სხვადასხვა დროს მოპასუხების მიერ ვალდებულების შესრულების

თაობაზე.

32. საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს კასა-ტორის პრეტენზიას, რომ სადაცო სასაქონლო ზედნადები დადგე-ნილი წესის შესაბამისად არ ყოფილა შევსებული. კასატორის პრეტენზია აღნიშნულ ნაწილში ზოგადი და დაუსაბუთებელია. ამას-თან, საკასაციო სასამართლო იზიარებს საპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ აღნიშნული სასაქონლო ზედნადები შეიცავს „გა-დასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2010წ. №996 ბრძანებით დამტკიცებული ინ-სტრუქციით გათვალისწინებულ ყველა უცილებელ რეკვიზიტს.

33. აღნიშნული ინსტრუქციის 25¹-ე მუხლის მე-4 პუნქტის თა-ნახმად, ზედნადები ივსება შემდეგი წესით: პირველ სტრიქონში ავტომატურად იწერება ელექტრონული პროგრამის მეშვეობით მი-ნიჭებული ზედნადების სარეგისტრაციო ნომერი; მე-2 სტრიქონში იწერება ზედნადების ამოქმედების (გააქტიურების) თარიღი (რიც-ხვი, თვე, წელი); მე-3 სტრიქონში ამოქმედების (გააქტიურების) დრო (საათი, წუთი). ზედნადების ამოქმედების (გააქტიურების) თა-რიღი და დრო ემთხვევა საქონლის მიწოდების ან საქონლის ტრან-სპორტირების დაწყების თარიღს და დროს; მე-4 და მე-5 სტრიქო-ნებში იწერება გამყიდველის/გამგზავნის და მყიდველის/მიმღების დასახელება ან სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო/პირადი ნო-მერი; მე-6 სტრიქონში იწერება ოპერაციის შინაარსი (თუ როგორ ხდება საქონლის მიწოდება/ტრანსპორტირება), მაგალითად: დ.ა) შიდა გადაზიდვა (საქონლის ტრანსპორტირება, როდესაც არ ხდე-ბა საქონლის მიწოდება); დ.ბ) მიწოდება ტრანსპორტირებით (სა-ქონლის მიწოდება, რომელსაც თან ახლავს გამყიდველის/გამგზავ-ნის ან მყიდველის/მიმღების მიერ საქონლის ტრანსპორტირება); დ.გ) მიწოდება ტრანსპორტირების გარეშე (საქონლის მიწოდება, როდესაც საქონლის მდებარეობის ფაქტობრივი ადგილსამყოფე-ლი არ იცვლება)... და ა.შ. (დეტ. იხ. საქართველოს ფინანსთა მინის-ტრის 31.12.2010წ. №996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადე-ბის ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის 25¹-ე მუხლის მე-4 პუნქტი). იმავე ინსტრუქციის მე-6 პუნქტის მიხედვით, თუ ხორ-ციელდება მიწოდება ტრანსპორტირების გარეშე, ზედნადების მე-7 და მე-8 სტრიქონებში იწერება საქონლის მდებარეობის ფაქტობ-რივი ადგილსამყოფელი და ასეთ შემთხვევაში ზედნადების მე-9-მე-12 სტრიქონები (ტრანსპორტირების სახე; იმ სატრანსპორტო სა-შუალების სახელმწიფო ნომერი, რომლითაც ხდება საქონლის გა-დაზიდვა; სატრანსპორტო საშუალების მძლოლის პირადი ნომერი; გამყიდველის/გამგზავნის ან მყიდველის/მიმღების მიერ განეული ტრანსპორტირების ხარჯი) არ ივსება. აღნიშნულიდან გამომდინა-

რე, მართებულია სააპელაციო სასამართლოს შეფასება, რომ სადაც ზე ზედნადებში სატრანსპორტო სამუალებისა და გადამზიდველის მიუთითებლობა არ წარმოადგენს ზედნადების შედგენისათვის ინსტრუქციით გათვალისწინებული წესის დარღვევას.

34. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოთ დასახელებული გარემოებებისა და მტკიცებულებების დეტალური გაანალიზება არ იძლევა კასატორის პოზიციის გაზიარებისა და იმ დასკვინის გამოტანის შესაძლებლობას, რომ მოსარჩელის მიერ შექმნილი დოკუმენტი – სასაქონლო ზედნადები, მხარეთა შორის ხელშეკრულების დადების ფაქტს არ ადასტურებს. საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ დოკუმენტზე, როგორც მოსარჩელის მიერ ცალმხრივად შექმნილ და არასარწმუნო მტკიცებულებაზე მითითება, თანაც იმ პირობებში, როდესაც ფინანსთა სამინისტროს შესაბამის ინსტრუქციაზე დაყრდნობით არ არსებოს მყიდველის მხრიდან სასაქონლო ზედნადების მყიდველის მიერ დადასტურების ან/და მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის ვალდებულება, დაუსაბუთებელი მსჯელობაა და არ გამომდინარეობს წინამდებარებუნებში მითითებული მოწესრიგებიდან. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სადავო ზედნადები შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სისტემიდან არის ამობეჭდილი 20.02.2017 წელს და იგი გაუქმებული არ არის (აღნიშნული მსჯელობა სრულად შეესაბამება ზედნადების სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას, იხ. სუსგ. საქმე №ას-1230-1171-2014, 02 მარტი, 2015 წელი; №ას-794-743-2017, 31 ივლისი, 2017 წელი; №ას-599-558-2017, 13 ნოემბერი, 2017 წელი).

35. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მიერ საქმეში წარდგენილი სადავო ზედნადები სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივიაში სწორად შეაფასა მოპასუხესთან ზეპირი ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისა და მისთვის 19 875 ლარის ღირებულების საქონლის მიწოდების დამადასტურებელ მტკიცებულებად.

36. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი ადგენს ვალდებულების შესრულების მიღების წესს. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი.

37. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, კრედიტორი ყოველთვის ვალდებულია გასცეს მოვალის მიერ ვალდებულების შესრუ-

ლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ამას მოვალე მოითხოვს. კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია სწორედ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესით, რომლის თანახმად, შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა აუცილებლობას იმიტომ წარმოადგენს მოვალისათვის, რომ საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით, ფულადი ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი მას ეკისრება. შესაბამისად, სადავოობის შემთხვევაში, მოვალემ ამ დოკუმენტით შეიძლება დაადასტუროს ვალდებულების შესრულების ფაქტობრივი გარემოება, რასაც ვერ ვიტყვით კრედიტორზე, რომელსაც არანაირი საჭიროება არ აქვს, ფლობდეს ამ დოკუმენტს არც პროცესუალური და არც მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ მოვალე აღჭურვილია მთელი რიგი უფლებებით, რომ შეძლოს ვალდებულების შესრულების და კრედიტორის მიერ ამ შესრულების მიღების ფაქტის დადასტურება (იხ. მაგ., სუსგ საქმე №ას-570-541-2015, 11 ნოემბერი, 2015 წელი; №ას-970-935-2016, 18 დეკემბერი, 2017 წელი).

38. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხემ ვერ უზრუნველყო მისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება და სასამართლოს ვერ წარუდგინა მოსარჩელის მიერ მიწოდებული პროდუქციის საფასურის წანილის – 5 217,5 ლარის ანაზღაურების დამადასტურებელი მტკიცებულება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მას აღნიშნული თანხის მოსარჩელის სასარგებლოდ გადახდა მართებულად დაეკისრა.

39. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო წანილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

40. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება სწორია, რაც მისი ძალაში დატოვებისა და საკასაციო საჩივარის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

41. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი წანილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარ-

ჯების გადახდისაგან. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლი აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის საპე-ლაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

42. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს კასატორის მიერ გაღებული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების წინაპირობები. შესაბამისად, აღნიშ-ნული ხარჯი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 7 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასა-ჩივრდება.

ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადახდილი თანხის უკან დაბრუნება

**განერიება
საქართველოს სახელით**

№ას-667-2023

16 ნოემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
მ. ერებაძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღნერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. შპს „ა-ისმა“ (შემდგომ – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასა-

მართლოში შპს „ა.ჰ.ს-ოს“ (შემდგომ – მოპასუხე) მიმართ და მოითხოვა მოსარჩელის მიერ ზედმეტად გადახდილი 542 719 აშშ დოლარის გადახდა, ასევე, დაეკისროს მოპასუხეს მოსარჩელის მიერ არჩეული 5 ბინის შემდეგი აქსესუარებით მოწყობა: 1. ორკაციანი საწოლი (MDF) 200/180; 2. 2ც. საწოლის ტუბო (MDF); 3. 1ც. ტანსაცმლის კარადა (MDF) 200/60/160; 4. 1ც ტელევიზორი და ტელევიზორის მაგიდა (MDF) 50/100.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2017 წლის 4 ივლისს მხარეთა შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ნინარე ხელშეკრულება, რომლის საგანს ნარმოადგენდა 2401 კვ.მ უძრავი ქონება, რომელიც მოსარჩელეს უნდა შეეძინა მოპასუხისაგან 2 100 000 აშშ დოლარად. თანხის გადახდა უნდა მომზდარიყო ეტაპობრივად. გარემონტებული ბინების ჩარაღება უნდა მომხდარიყო 2017 წლის 3 დეკემბრამდე. ხელშეკრულებით 1 კვ.მ-ის ღირებულება განისაზღვრა 835 აშშ დოლარით. 29 ბინის საერთო ფართი შეადგენდა 2401 კვ.მ-ს, ხოლო ღირებულება შეადგენდა – 2 004 835 აშშ დოლარს. ერთი ავტოსადგომის ღირებულება შეადგენდა – 3281 აშშ დოლარს, ხოლო გადასაცემი 29 ავტოსადგომის ღირებულება ჯამში შეადგენდა – 95165 აშშ დოლარს.

3. 2017 წლის 04 ივლისის ხელშეკრულების ფარგლებში მოსარჩელემ მოპასუხეს ჯამში გადაუხდა – 811 601.24 აშშ დოლარი. მოპასუხემ კი გადასცა მხოლოდ 8 ბინა, საერთო ფართით – 377.6 კვ.მ და 11 ავტოსადგომი.

4. 2017 წლის 04 ივლისის ხელშეკრულების 7.10 მუხლით, გამყიდველის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებული იყო პირგასამტებლო მთლიანი თანხის 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. 2017 წლის 05 ივლისიდან 2019 წლის 20 ნოემბრამდე დარიცხული პირგასამტებლოს ოდენობა შეადგენს – 363 300 აშშ დოლარს.

მოპასუხის პოზიცია:

5. მოპასუხემ მოთხოვნის განხორციელების გამომრიცხველი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოპასუხეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჯეროვნად აქვს შესრულებული. მითითებული რვა ბინის გარდა, 2017 წლის 15 სექტემბერსა და 20 დეკემბერს, მოსარჩელემ ასევე მიიღო 368 903 აშშ დოლარის ღირებულების უძრავი ქონება შემდეგი ოთხი ბინის სახით: ბინა №38 (საკადასტრო კოდი: ..., ასანაზღაურებელი ფართი: 65.2 კვ.მ.); ბინა №44 (საკადასტრო კოდი: ..., ასანაზღაურებელი ფართი: 131.9 კვ.მ.); ბინა №45 (საკადასტრო კოდი: ..., ასანაზღაურებელი ფართი: 65.6

კვ.მ.); ბინა №46 (საკადასტრო კოდი: ...). აღნიშნული ბინები, მოსარჩევის მითითებით, გაფორმდა კომპანიის იმუამინდელი დირექტორის ა.ა.ს.პ-სა და მისი მეუღლის მ. რ-ოს სახელზე, რის შესაძლებლობასაც იძლეოდა ხელშეკრულების მე-8 მუხლი. საგულისხმოა, რომ ა.ა.ს.პ-ზე გაფორმდა №44 ავტოსადგომიც (საკადასტრო კოდი: ...), რომელსაც მოსარჩელე სადაც არ ხდის, შესაბამისად, მოსარჩელემ სრულად მიიღო თავისი დაგვიანებული გადახდების ექვივალენტური ქონება. რაც შეეხება წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დანარჩენ ბინებს, მოსარჩელეს არ გადაუხდია მათი საფასური და, შესაბამისად, არც გააჩნდა მათი გადაცემის მოთხოვნის უფლება. იმის გათვალისწინებით, რომ წინარე ხელშეკრულება ექვემდებარებოდა გამყიდველის მხრიდან ცალმხრივად შეწყვეტას მყიდველის მიერ ზედიზედ სამი თვის განმავლობაში გადახდის განუხორციელებლობისას (მუხლი 7), მოპასუხემ ხელშეკრულება შეწყვიტა 2018 წლის მარტში და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ბინების გასხვისება.

6. მოპასუხემ მიუთითა, რომ წინარე ხელშეკრულების 7.10 მუხლით განისაზღვრა პირგასამტებლო თითოეული მხარის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევისათვის. განსახილველ შემთხვევაში მოპასუხემ ჯეროვნად შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები – მყიდველმა სრულად მიიღო გადახდების ექვივალენტური ქონება, რის გამოც არ არსებობს პირგასამტებლოს დარიცხვის საფუძველი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მოსარჩელის მხრიდან მიღებული ქონების ხარისხის შემოწმების მიზნით, ჩართული იყვნენ მესამე პირები და არანაირი პრეტენზია ხარისხთან დაკავშირებით არ დაფიქსირებულა. ამასთან, საგულისხმოა, რომ მოთხოვნილი პირგასამტებლო თეორიულადაც არის შეუსაბამოდ მაღალი, რადგან გამოთვლილია ხელშეკრულების საერთო ლირებულებიდან, მაშინ როდესაც მოსარჩელეს ამ ლირებულების ნახევარიც კი არ აქვს გადახდილი. გარდა ამისა, პირგასამტებლოს გამოთვლისას, არ არის გათვალისწინებული იმ რეგ ბინის მიღების ფაქტიც, რომელსაც მოსარჩელე სადაც არ ხდის. უფრო მეტიც, პირგასამტებლო დათვლილია სარჩელის შეტანის დღემდე, მაშინ, როცა ხელშეკრულება ჯერ კიდევ 2018 წლის მარტშია შეწყვეტილი.

7. რაც შეეხება ხუთი ბინის მოწყობას, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეს სრულად აქვს მიღებული მისი გადახდების ექვივალენტი ქონება, ასევე, ამგვარი ვალდებულება წარმოიშობოდა მხოლოდ გათვალისწინებული საფასურის სრულად გადახდის შემთხვევაში, ხოლო წინარე ხელშეკრულება კი შეწყვეტილია მყიდველის მიერ თანხის გადაუხდელობის საფუძვლით, შესაბამისად, ასე-

თი მომსახურების გაწევის ვალდებულება მოპასუხეს არ გააჩნია.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სა- რეზოლუციო ნაწილი:

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-
ლეგიის 2022 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწი-
ლობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ
დაეკისრა 386 138.7 აშშ დოლარის და პირგასამტებლოს – 36 330
აშშ დოლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყო-
ფილდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუ- ციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის 2023 წლის პირველი მარტის განჩინებით მოპასუხის საა-
პელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გა-
დაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

10. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნ-
ქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა
დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და
დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია. აღნიშნულ
პრინციპს ითვალისწინებს, ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპ-
როცესო კოდექსის (შემდგომ – სსკ) მე-2 მუხლის პირველი ნაწი-
ლი, რომლის თანახმადაც, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფი-
ლია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასა-
მართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს
მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესე-
ბის დასაცავად. განსახილვები შემთხვევამი, მოსარჩელემ მიიჩნია
რა თავისი უფლება დარღვეულად, აღნიშნული უფლების დაცვის
მიზნით, სარჩელით მიმართა სასამართლოს. სააპელაციო პალატამ
ასევე მიუთითა სსკ მე-3 მუხლის პირველ ნაწილსა და მე-4 მუხ-
ლის პირველ ნაწილზე.

11. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 316-
ე მუხლის პირველი ნაწილისა და 317-ე მუხლის პირველი ნაწილის
თანახმად, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2017 წლის 4
ივნისს მხარეებს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის
წინარე ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს ნარმოადგენდა
2401 კვ.მ უძრავი ქონება, რომელიც მოსარჩელეს უნდა შეეძინა
მოპასუხისაგან 2 100 000 აშშ დოლარად. თანხის გადახდა უნდა
მომხდარიყო ეტაპობრივად. გარემონტებული ბინების ჩაბარება
უნდა მომხდარიყო 2017 წლის 3 დეკემბრამდე. ხელშეკრულებით 1
კვ.მ-ის ღირებულება განისაზღვრა 835 აშშ დოლარით. 29 ბინის სა-
ერთო ფართი შეადგენდა 2401 კვ.მ-ს, ხოლო ღირებულება – 2 004

835 აშშ დოლარს. ერთი ავტოსადგომის ღირებულება შეადგენდა 3281 აშშ დოლარს, ხოლო გადასაცემი 29 ავტოსადგომის ღირებულება სულ – 95165 აშშ დოლარს.

12. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება და პირგასამტებლოს დაკისრება. მოსარჩელე მხარე მიუთითებს, რომ მოპასუხეს მისათვის მის მიერ გადახდილი თანხის ეკვივალენტური უძრავი ქონება არ გადაუცია, რაც მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული.

13. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ 2017 წლის 4 ივლისის უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების ფარგლებში მოსარჩელეს მოპასუხისათვის გადახდილი აქვს სულ 811 601.24 აშშ დოლარი. აპელანტი არ ეთანხმება მოსარჩელის პოზიციას და აცხადებს, რომ 14 500 აშშ დოლარი მოპასუხეს არ მიუღია.

14. სამოქალაქო საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ერთადერთი გზა მტკიცებაა, რომლითაც დგინდება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები. მტკიცების პროცესში იგულისხმება პროცესის მონაწილე სუბიექტების საქმიანობა, მიმართული საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების არსებობის ან არარსებობის დასადგენად. პროცესის მონაწილე მხარეთა და სასამართლოს მტკიცებითი საქმიანობა, მოიცავს შემდევ სტადიებს: მტკიცების საგნის განსაზღვრა; მტკიცებულებათა შეგროვება (მტკიცებულებათა გამოვლენა, მათი შეკრება და სასამართლოში წარდგენა); მტკიცებულებათა სასამართლოში გამოვლევა; მტკიცებულებათა შეფასება. დამტკიცებას საჭიროებს ის გარემოებები, რომლებიც ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნასა და სარჩელის ფაქტობრივ გარემოებებს, მოწინააღმდეგე მხარის მიერ სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებითა და სასარჩელო მოთხოვნის უარყოფას, ასევე, საქმის არსებითი გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

15. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ, სადაცო გარემოების დადასტურების მიზნით, საქმეში წარმოდგენილია საგადახდო დავალებები, ასევე, მოპასუხის დირექტორის 2017 წლის 16 ოქტომბრის წერილი. აპელანტი მიუთითებს, რომ ხელშეკრულება თანხის გადახდას ითვალისწინებდა მხოლოდ უნაღმო ანგარიშსწორებით. 2017 წლის 4 ივლისის უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების 7.1. პუნქტის მიხედვით, თანხის ნაღდი ანგარიშსწორება დაშვებული არ არის, თუმცა ამავე ხელშეკრულების 7.9. პუნქტის მიხედვით, გადახდა დასტურდება მხარეთა მიერ ხელმოწერილი დადასტურებული ხელწერილით. საქმეში წარმოდგენილია მო-

პასუხე შპს-ს დირექტორის წერილი, რომელიც სადავო თანხის მიღებას ადასტურებს. ამდენად, პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია სადავო 14 500 აშშ დოლარის ნაწილში და მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ხელშეკრულების ფარგლებში განახორციელა სულ 811 601,24 აშშ დოლარის ოდენობით გადახდები.

16. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხეს მოსარჩელისათვის 2017 წლის 4 ივლისის უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების ფარგლებში გადაცემული აქვს 8 ბინა. მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებების თანახმად, ზემოაღნიშნული 8 ბინის ასანაზღაურებელი ფართია 408.20 კვ.მ. შესაბამისად, გადაცემული ბინების ღირებულება შეადგენს სულ – 340 847 აშშ დოლარს. სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მოპასუხეს მოსარჩელისათვის 2017 წლის 4 ივლისის უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების ფარგლებში გადაცემული აქვს 11 ავტოსადგომი. მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, ზემოაღნიშნული 11 ავტოსადგომის ღირებულება შეადგენს 84615.3 (ერთი ავტოსადგომი – 7 692.3 აშშ დოლარი) აშშ დოლარს.

17. აპელანტის განმარტებით, მოპასუხემ მოსარჩელეს ასევე გადასცა 368 503 აშშ დოლარის ღირებულების 4 უძრავი ქონება: ს/კ ..., ს/კ ..., ს/კ ... და ს/კ....

18. საქმეში ნარმოდგენილი 2017 წლის 14 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, უძრავი ქონება ს/კ ..., ს/კ... და ს/კ... გადაცემული აქვს ა.ა.ს.პ-ს (მოსარჩელე შპს-ს ყოფილი დირექტორის), ხოლო 2017 წლის 20 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, უძრავი ქონება – ს/კ ... გადაცემული აქვს – მ.რ-ოზეს (მოსარჩელე შპს-ს ყოფილი დირექტორის მეუღლე).

19. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა, რომ მოსარჩელე შპს-ს დირექტორისათვის გადაცემული 3 უძრავი ქონება და დირექტორის მეუღლისათვის გადაცემული ერთი უძრავი ქონება უნდა ჩაითვალოს მოსარჩელის მიმართ ვალდებულების შესრულებად. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სსკის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულება დადებულია მოსარჩელესთან, თანხა გადახდილია იურიდიული პირის მიერ. შესაბამისად, შესრულების კრედიტორს ნარმოადგენს მოსარჩელე. დირექტორისა და მისი მეუღლისათვის უძრავი ქონების გადაცემა ვერ ჩაითვლება მოსარჩელის მიმართ ვალდებულების შესრულებად, ვინაიდან უძრავ ქონებაზე ამ უკანასკნელის საკუთრების უფლება საჯარო რეესტრის ამონანერით არ დასტურდება.

20. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა მხარეთა შორის 2017 წლის 4 ივნისის „უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების“ მე-8 მუხლის მეორე აბზაცზე, რომელიც შენიშვნის სახით მიუთითებს, რომ „მყიდველს უფლება აქვს, უძრავი ქონების მის სახელზე გაფორმებისას ბინები გააფორმოს მესამე პირებზე, რომელთაც იგი წერილობით წარუდგენს გამყიდველს“. პალატამ მიიჩნია, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბინების თუნდაც მოსარჩელე შპს-ს დირექტორის და მისი მეუღლის სახელზე გაფორმების შემთხვევაში უნდა ყოფილიყო მინიმუმ წერილობითი მოთხოვნა (მიმართვა) მოპასუხის მიმართ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონკრეტული ბინები საკუთრების უფლებით გაფორმებულიყო კონკრეტულ კერძო პირებზე, რაც საქმის მასალებში არა წარმოდგენილი.

21. გარდა ამისა, საქმეზე მოწმის სახით დაკითხული მოპასუხე შპს-ს ყოფილი დირექტორის განმარტებით, მის სახელზე გაფორმებული უძრავი ქონების ს/კ ..., ს/კ... და ს/კ... და მისი მეუღლის სახელზე გაფორმებული უძრავი ქონების – ს/კ ... დირებულება გადახდილია მის და არა მოსარჩელის მიერ. მოცემულ შემთხვევაში უდავოა, რომ აღნიშნული ქონება მოსარჩელის საკუთრებას არ წარმოადგენს. კრედიტორს სარგებელი არ მიუღია. რაც შეეხება მოსარჩელის მაშინდელი დირექტორისა და მისი მეუღლის მიერ, სადაც ბინების სანაცვლოდ, თანხის გადახდას, აღნიშნული ფაქტი განსახილველი დავის ფარგლებს სცდება.

22. შესაბამისად, დადგენილია, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს ბინებისა და ავტოსადგომების შესაძენად სულ გადაუხადა 811 601.24 აშშ დოლარი. მოპასუხემ კი გადასცა მხოლოდ 425 462.20 აშშ დოლარის ღირებულების ქონება. შესაბამისად, ნასყიდობის საფასური – 386 138.7 აშშ დოლარის ოდენობით ექვემდებარება უკან დაბრუნებას.

23. სსკ-ის 417-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსი აღიარებს და ეფუძნება „*pacta sunt servanda*-ს“ (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს) პრინციპს, რომლის თანახმად ხელშეკრულების მხარემ, რომელმაც იკისრა ვალდებულება, უნდა შეასრულოს ხელშეკრულებით მისივე ნებით შეთანხმებული უფლება-მოვალეობები. სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა. სამოქალაქო კანონმდებლობა ვალდებულების დარღვევის პრევენციისათვის ითვალისწინებს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით სამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც ვალდე-

ბულების შესრულებას ემსახურებიან და რომელთა შერჩევა მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული. ასეთ საშუალებათა რიგს განეკუთვნება ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება პირგასამტებლო (შდრ. სუსგ №ას-1079-2019, 30 სექტემბერი, 2019).

24. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ პირგასამტებლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმომობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტებლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტებლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: а) პირგასამტებლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტებლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტებლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა (შდრ. სუსგ №ას-1451-1371-2017, 13 ნოემბერი, 2018; №ას-848-814-2016, 28 დეკემბერი, 2016).

25. პირგასამტებლო დამატებითი (აქცესორული) ვალდებულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმომობა და ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული. ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტებლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს ანუ, პირგასამტებლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტებლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება. პირგასამტებლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტებლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად (შდრ. სუსგ №ას-428-428-2018, 13 ივლისი, 2018; №ას-1158-1104-2014, 06.05.2015; №ას-1265-1187-2015, 10.02.2016). პირგასამტებლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მი-

მართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან.

26. საკასაციო პალატამ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ: „პირგასამტებლოს მიზანია ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების დარღვევის თავიდან აცილება, ხოლო ვალდებულების დარღვევის პირობებში ე.წ. „პრეზუმირებული მინიმალური ზიანის“ ანაზღაურების უზრუნველყოფა, რაც, რაღა თქმა უნდა, არ წარმოადგენს ფაქტობრივი ზიანის ეკვივალენტ ფულად თანხას და არც ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას ემსახურება“ (ძრი: სუსგ №ას-1597-2019, 13 დეკემბერი, 2019 წელი).

27. პირგასამტებლოს მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარღვევის საკითხი წინასწარად განსაზღვრული, კერძოდ ვალდებულების დარღვევის როგორც იდენტიფიცირება, ისე მისი დადგენა უნდა იყოს შესაძლებელი, ხოლო ასეთი მოთხოვნის დაყინება კი არ უნდა მოდიოდეს შეუსაბამობაში საკანონმდებლო დანაწესებთან. პირგასამტებლოს მოთხოვნის თვალსაზრისით ყურადსალებია მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის საკითხი. ვალდებულების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს როგორც ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებაში, ასევე ვალდებულების შეუსრულებლობაში. პირგასამტებლოს დაკისრებისათვის ვალდებულების დარღვევა (შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება) აუცილებლად მოვალის ბრალეულობით უნდა იქნეს გამოწვეული. თუ არ დადგინდება მოვალის ბრალი, მაშინ მის მიმართ პირგასამტებლოს დაკისრების მოთხოვნა-საც არ ექნება სამართლებრივი საფუძველი (იხ. სერგი ჯორბენაძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 417, ველი 23-26).

28. მოცემულ შემთხვევაში, როგორც სასამართლომ დაადგინა, არსებობს ვალდებულების დარღვევა, ვინაიდან მოსარჩელისთვის გადაცემული არ არის გადახდილი თანხის ეკვივალენტური უძრავი ქონება. 2017 წლის 4 ივლისის ხელშეკრულების 7.10 მუხლით, გამყიდველის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებული იყო პირგასამტებლო მთლიანი თანხის 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. 2017 წლის 5 ივლისიდან 2019 წლის 20 ნოემბრამდე დარიცხული პირგასამტებლოს ოდენობა შეადგენს 363 300 აშშ დოლარს. სსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტებლო.

29. როგორც ვალდებულების დარღვევის მნიშვნელობა, სახელ-

შეკრულებო ინტერესისა შინაარსისა და ფარგლების განმარტება და დადგენილ პირგასამტებლოს ოდენობასთან მისი ადეკვატურობა (კრუდიტორის მტკიცების ტვირთი), ისე ვალდებულების დარღვევის ხარისხის შეუსაბამობა პირგასამტებლოს ოდენობასთან (მოვალის მტკიცების ტვირთი), არის უმნიშვნელოვანესი შეფასებითი კატეგორიები, რომელზეც თავად მხარეებმა უნდა შეუქმნან მოსამართლეს დასაბუთებული წარმოდგენა და მიანიჭონ მას მხარეთა ნების განმარტების შესაძლებლობა (იხ: ნათია ჩიტაშვილი. პირგასამტებლოსა და ზიანის მოთხოვნათა სახელშეკრულებო ინტერესის უზრუნველყოფი ფუნქცია. შედარებითი სამართლის უზრუნველი 2/2020, გვ. 17; ასევე იხ.: სუსგ №ას-827-2021, 03.12.2021წ.). პირგასამტებლოს შემცირების საფუძველია, ერთი მხრივ, ის რომ კრედიტორი პირგასამტებლოს მიღებით არ გამდიდრდეს და მოვალეს არ დააწვეს მძიმე ტვირთად პირგასამტებლოს გადახდა (შესაბამისად, პირგასამტებლო არ იქცეს ერთგვარ სადამსჯელო ღონისძიებად), ხოლო მეორე მხრივ კი – პირგასამტებლო იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, საპირნონე და გონივრული. აღნიშნულში მოიაზრება სახელშეკრულებო თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით პირგასამტებლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება (შდრ: სუსგ №ას-186-2021, 25.03.2021წ.; სუსგ №ას-535-2021, 29.10.2021წ). საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პირგასამტებლო, უპირველესად, კრედიტორის ინტერესების უზრუნველყოფი საკანონმდებლო მექანიზმია, რომელიც კრედიტორის სახელშეკრულებო რისკებს ამცირებს, თუმცა იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული კრედიტორის მხრიდან ამ ინსტიტუტის ფარგლებში უფლების ბოროტად გამოყენება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაფასებელი და ამავდროულად დასაცავი ღირებულებაა სახელშეკრულებო წონასწორობა/ბალანსი, ერთი მხრივ, პირგასამტებლოს, როგორც სახელშეკრულებო თავისუფლების გამოხატულებას და, მეორე მხრივ, მოვალის დაცვას, როგორც ამ თავისუფლების ლეგიტიმურ შეზღუდვას შორის. ამდენად, პირგასამტებლოს იურიდიული ძალა მხოლოდ მაშინ აქვს, თუ ის ამავდროულად უზრუნველყოფს მოვალის გონივრული ფარგლებით დაცვას (შდრ: სუსგ №ას-1336-2019, 30 მარტი, 2022; №ას-1928-2018, 31 ოქტომბერი, 2019წ.). პირგასამტებლოს მიზანია კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა და არა გამდიდრება. შესაბამისად, პირგასამტებლო უნდა იყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად,

30. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული

არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. პირგასამტებლო უნდა იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, საპირნოები და გონივრული. აღნიშნული მოიაზრება სახელშეკრულებო თანასწორობისა და სასამართლიანობის პრინციპის დაცვით პირგა-სამტებლოს გონივრულ ოდენობით განსაზღვრა.

31. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ათჯერ შემცირებული პირგასამტებლოს – 36 330 აშშ დოლარის გადახდა. პალატამ მიიჩნია, რომ დაკისრებული თანხა სრულად უზრუნველყოფს კრედიტორის უფლებების დაცვას და ამასთან, პირგასამტებლოს ოდენობა არის გონივრული.

32. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ შეიცავს იმ გარემოებებზე მითითებას, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი გახდება. პალატამ მიიჩნია, რომ უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

33. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკამაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

34. კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა და გამოიკვლია საქმის გარემოებანი, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და არსებობს სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ და „ე!“ ქვეპუნქტიებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობა.

35. მხარის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი. მოცემული ნორმა არეგულირებს უსაფუძლო გამდიდრების საკითხებს, რაც წინამდებარე დავასთან კაეშირში არ არის. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხის შესაბამისი ოდენობის უძრავი ქონება კასატორს გადაცემული აქვს, ამიტომ, შეფასების თვალსაზრისით, რთული წარმოსადგენია, კასატორი უსაფუძლოდ როდის გამდიდრდა. სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მოსარჩელის მიერ 4 უძრავი ნივთის მიღება არ დასტურდება და აღნიშნულით მხარე უსაფუძლოდ გამდიდრდა.

36. კასატორმა მიუთითა საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკაზე (სუსგ-ები: საქმე №ას-794-794-2018,

11.09.2018, პ. 16.3, №ას-774-723-2017. 11.10.2017წ.,) და მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა ნარდობის მარეგულირებელი ნორმებით, რაც გამორიცხავს სარჩელის დაკავილებას

37. მხარის განმარტებით, სააპელაციო პალატამ ასევე არასწორად გამოიყენა სსკ-ის 417-ე მუხლი და არასაკმარისად დაასაბუთა განჩინება. უსაფუძღლო გამდიდრებისა და სახელშეკრულებო საფუძღლებით მოთხოვნების თანაარსებობის ურთიერთგამომრიცხავი ხასიათის პირობებში გაურკვეველია, როგორ მოხდა თანხის დაკისრებაც და პირგასამტებლოს ანაზღაურებაც. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ მოპასუხემ ხელშეკრულების საგრის გადაცემის ვადა დაარღვია და არამართლზომიერად დააკისრა პირგასამტებლო – 36 330 აშშ დოლარი. განჩინებიდან არ დგინდება, რა ვადებზეა საუბარი, რადგან მოსარჩელემ თავად დაგვიანებით და არასრულად განახორციელა გადახდები.

38. აღნიშნულის მიუხედავად, მოპასუხეს წინარე ხელშეკრულება არ დაურღვევია, ვინაიდან მოსარჩელემ სრულად მიიღო გადახდილი თანხის ეკვივალენტი ქონება. შესაბამისად, პირგასამტებლოს გადახდის წინაპირობაც არ არსებობდა. მეტიც, გადახდების ვადაგადაცილებიდან გამომდინარე, მოსარჩელეს ერიცხებოდა მოპასუხის მიმართ პირგასამტებლო – 34 077 აშშ დოლარი. ასეც რომ არ იყოს, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატის მიერ შემცირებული პირგასამტებლოს ოდენობა მაინც შეუსაბამოდ მაღლალია. გასათვალისწინებელია, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი პირგასამტებლო გამოთვლილ იქნა ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან – 2 100 000 აშშ დოლარიდან მაშინ, როდესაც მოსარჩელეს აღნიშნული თანხის ხახვარიც არ ჰქონდა გადახდილი. მხედველობაში არ იქნა მიღებული არც იმ ათი ბინის მიღების ფაქტი, რომლებსაც მოსარჩელე თავად არ ხდიდა სადავოდ. ამასთან, პირგასამტებლო დათვლილი იყო სარჩელის შეტანის დღემდე, ხელშეკრულება კი 2018 წლის მარტში შეწყდა.

39. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ, წინარე ხელშეკრულების ფარგლებში, მოსარჩელემ მიიღო მხოლოდ 8 ბინა და 11 ავტოსაფგომი. გაურკვევილია, როგორ მივიდა სააპელაციო სასამართლო ამ დასკვნამდე, რადგან, 2017 წლის 14 ნოემბრის მდგომარეობით, მოსარჩელეს მიღებული ჰქონდა 10 ბინა, რაც დასტურდება მოსარჩელე შპს-ს იმუამინდელი დირექტორის ხელმოწერით. დოკუმენტი ინგლისურენოვანია და წარმოდგენილია თარგმანი. აღნიშნული წერილი ადასტურებს, რომ მოსარჩელემ იმაზე მეტი ქონება მიიღო, ვიდრე ამას

თავად მოწინააღმდეგები განმარტავდნენ, რაზეც სააპელაციო პალატას არ უმსჯელია.

40. გარდა ზემოაღნიშნულისა, მოსარჩელემ ასევე მიიღო 368 903 აშშ დოლარის ლირებულების უძრავი ქონება შემდეგი ოთხი ბინის სახით: ბინა №38 (საკადასტრო კოდი: ..., ასანაზღაურებელი ფართი: 65.2 კვ.მ.); ბინა №44 (საკადასტრო კოდი: ..., ასანაზღაურებელი ფართი: 131.9 კვ.მ.); ბინა №45 (საკადასტრო კოდი: ..., ასანაზღაურებელი ფართი: 65.6 კვ.მ.); ბინა №46 (საკადასტრო კოდი: ...). აღნიშნული ბინები, მოსარჩელის მითითებით, გაფორმდა კომპანიის იმუამინდელი დირექტორისა და მისი მეუღლის სახელზე, რის შესაძლებლობასაც იძლეოდა ხელშეკრულების მე-8 მუხლი. რაც შეეხება მყიდველის მოთხოვნას, რომ მის სახელზე გაფორმებულიყო 4 ბინა, ნარმოდგენილია დაზუსტებული შესაგებლის 81-83 გვერდებზე. საგულისხმოა, რომ დირექტორის სახელზე გაფორმდა №44 ავტოსადგომიც, რომლის მიღება მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია. დირექტორმა კი სასამართლო სხდომაზე დაადასტურა, რომ №44 ავტოსადგომი 2022 წლის 18 აპრილს ბინასთან ერთად შეიძინა. რაც შეეხება მოსარჩელის იმუამინდელი დირექტორის მიერ ნაღდი ანგარიშსნორებით მოპასუხე შპს-ს იმდროინდელი დირექტორისათვის თანხის გადახდის თაობაზე 2022 წლის 18 აპრილის სხდომაზე მიცემულ ამ ჩვენებას, იგი არასანდოა და არარელევანტურია. თანხის გადაცემის ფაქტი დადგენის ამგვარი მეთოდი, ეს სასამართლო პრაქტიკითაც მიუღებელია, მით უფრო იმ ოდენობის თანხას, როგორის 400 000 აშშ დოლარია, ქუჩაში გადაცემის გზით. აღნიშნულთან დაკავშირებით, კასატორმა მიუთითა საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკაზე (სუსგ-ები: №ას-1288-2019, 4.03.2021წ. 3.99; №ას-1147-2018, 30.09.2019წ., №ას-334-2021, 5.11.2021წ.).

41. კასატორმა აღნიშნა, რომ ფართის მოსარჩელე შპს-ს იმუამინდელი დირექტორისა და მისი მეუღლისათვის საკუთრებაში გადაცემით, მოპასუხე შეასრულა მოსარჩელის წინაშე არსებული გალდებულება. ამასთან, არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც აღნიშნული პირების მიერ მოპასუხისათვის რაიმე თანხის ცალკე გადახდას დაადასტურებდა.

42. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2023 წლის 5 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა ნარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშეებობის შესამოწმებლად.

43. საკასაციო სასამართლოს 2023 წლის 24 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე

მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, კერძოდ, საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. იმავე განჩინებით გადაწყდა, რომ სსსკ-ის 408-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, საქმე განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც მხარეებს ეცნობათ კანონით დადგენილი წესით. მხარეებისაგან რაიმე შუამდგომლობა საკასაციო სასამართლოში არ შემოსულა.

სამოტივაციო ნაწილი:

44. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილებულად დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

45. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგნა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

46. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია:

47. 2017 წლის 4 ივლისს მხარეებს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა 2401 კვ.მ უძრავი ქონება, რომელიც მოსარჩელეს უნდა შეეძინა მოპასუხისაგან 2 100 000 აშშ დოლარად. თანხის გადახდა უნდა მომხდარიყო ეტაპობრივად. გარემონტებული ბინების ჩაბარება უნდა მომხდარიყო 2017 წლის 3 დეკემბრამდე. ხელშეკრულებით 1 კვ.მ-ის ღირებულება განისაზღვრა 835 აშშ დოლარით. 29 ბინის საერთო ფართი შეადგენდა 2401 კვ.მ-ს, ხოლო ღირებულება – 2 004 835 აშშ დოლარს. ერთი ავტოსადგომის ღირებულება შეადგენდა 3281 აშშ დოლარს, ხოლო გადასაცემი 29 ავტოსადგომის ღი-

რებულება სულ – 95165 აშშ დოლარს.

48. 2017 წლის 4 ივლისის უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების ფარგლებში მოსარჩელეს მოპასუხისათვის გა-დახდილი აქვს სულ 811 601.24 აშშ დოლარი.

49. მოპასუხეს მოსარჩელისათვის 2017 წლის 4 ივლისის უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების ფარგლებში გადა-ცემული აქვს 8 ბინა. მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელ-შეკრულების თანახმად, ზემოაღნიშნული 8 ბინის ასანაზღაუ-რებული ფართია 408.20 კვ.მ. შესაბამისად, გადაცემული ბინების ღირებულება შეადგენს სულ – 340 847 აშშ დოლარს. სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მოპასუხეს მოსარჩელისათ-ვის 2017 წლის 4 ივლისის უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელ-შეკრულების ფარგლებში გადაცემული აქვს 11 ავტოსადგომი. მხა-რეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, ზემოაღნიშნული 11 ავტოსადგომის ღირებულება შეადგენს 84615.3 (ერთი ავტოსადგომი – 7 692.3 აშშ დოლარი) აშშ დოლარს.

50. დადგენილია, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს ბინებისა და ავ-ტოსადგომების შესაძნად სულ გადაუხადა 811 601.24 აშშ დოლა-რი. მოპასუხემ კი გადასცა მხოლოდ 425 462.20 აშშ დოლარის ღი-რებულების ქონება. შესაბამისად, ნასყიდობის საფასური – 386 138.7 აშშ დოლარის ოდენობით ექვემდებარება უკან დაბრუნებას.

51. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვე-ვაში დავის საგანს წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულების სა-ფუძველზე გადახდილი თანხის ნანილის უკან დაბრუნება და პირ-გასამტებლოს დაკისრება.

52. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გა-მომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონტებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში). საკასაციო სასამართლოს არ შე-უძლია თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითე-ბული ფაქტებისა), საკასაციო პალატის შეფასების საგანი იქნება კასატორის შედავებების საფუძვლიანობა.

53. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შე-იძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანო-ნის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეუ-ლად ითვლება, თუ სასამართლომ: არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებონა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამო-ეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვე-

ტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქ-
მეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

54. საკასაციო სასამართლო კასატორის მიერ საკასაციო საჩი-
ვარში მითითებული პრეტენზიების გაცნობის შედეგად, მივიდა
დასკვნამდე, რომ კასატორი სადავოდ ხდის სააპელაციო სასამარ-
თლოს მიერ, როგორც საპროცესო სამართლებრივი (სააპელაციო
სასამართლოს მიერ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობ-
ლიობაში შეფასებლობის საპროცესო სამართლებრივი საფუძ-
ვლით [სსსკ-ის 105-ე, 407.1, 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 396-ე
მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი], ასევე მატერიალურ-სამართლებრივი ნორ-
მების არასწორ გამოყენებას.

55. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სასამართლოს
უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩევე
მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გა-
რემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის
მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოქებნოს ის სა-
მართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწი-
ნებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამარ-
თლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ
აღნერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმე-
ბაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორცი-
ელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამარ-
თლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღ-
ნერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ (ცხოვრებისეულ
სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები). ის მხარე, რო-
მელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა
უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამარ-
თლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, და-
ვასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელი-
მე ფაქტობრივი ნანამდლვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარ-
სებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შე-
დეგის დადგომას (შედრ: №ას-1172-2021, 10 ივნისი, 2022, პ.14).

56. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სა-
სამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქ-
ტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გა-
მოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გა-
რემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერ-
თობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგული-
რებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს
ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთი-
ერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა

საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

57. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართლში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძვლებთან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.) კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და სასურველია მათი აღრევა თავიდან იქნეს აცილებული. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაცაა (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.).

58. შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ, აღძრან თუ არა დავა სასამართლოში, როგორ წარმართონ ან როგორ დაასრულონ იგი. მათ ასევე შეუძლიათ, თავად გადაწყვეტონ საქმის რომელი ფაქტობრივი გარემოებები მოახსენონ და რომელი მტკიცებულებები წარუდგინონ სასამართლოს. მხარეთა მიერ წარდგენილი მოთხოვნებისა და მოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება კი მხოლოდ მოსამართლის პრეროგატივაა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების შესრულებასთან ერთად მხარეებმა მოსამართლეს უნდა მოახსენონ საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზეც მხარე თავის მოთხოვნას ამყარებს და მოთხოვნის შინაარსი. მიზანშენონილია, მაგრამ არაა აუცილებელი, თუ მხარეები მოთხოვნის იმ სამართლებრივ საფუძველზეც – ნორმაზე მიუთითობენ, რომელსაც მათი მოთხოვნა ან შესაგებელი ემყარება, თუმცა ეს არც აუცილებელია და არც შემზღვდავი სასამართლოსათვის. მოსამართლისათვის სავალდებულო არ არის მხარეთა მოსაზ-

რებები, თუ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად რა სამართლებრივი საფუძველი უნდა იქნეს გამოყენებული და არც კანონის იმპერატიული დათქმაა, გამოტანილი გადაწყვეტილება დაეფუძნოს მხარეთა მიერ მითითებულ მოთხოვნის საფუძველს. მაშინაც კი, თუ მხარეები განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებით არასწორ ან არამყარ სამართლებრივ პოზიციას იჩინევენ, თუ საქმის მასალებზე დაყრდნობით და სხვაგვარი დასაბუთებით, კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია, მოსამართლეს სხვა გზის არჩევის უფლება აქვს. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს სამოსამართლო საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს კერძო სამართლის სუბიექტთა დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვას (სუსგ. საქმე №ას-833-885-2011, 2011 წლის 18 ოქტომბერი).

59. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მინშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

60. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომ-

ლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალ-დებულებაა.

61. მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ სარჩელის მოთხოვნის შინაარს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

62. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ სადაც კონკრეტული შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედაგებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამონწმებენ გადაწყვეტილებას მატერიალურსამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემოწმების შედეგად სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თავისი განჩინებით ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ან ამ გადაწყვეტილების შეცვლით მიიღოს ახალი გადაწყვეტილება (სსსკ-ის 386-ე მუხლი). ასეთივე შესაძლებლობითაა აღჭურვილი საკასაციო სასამართლოც, კერძოდ, მას შუძლია, არ გააუქმოს გადაწყვეტილება და ძალაში დატოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადაწყვეტილებით დაადგინოს სხვა სამართლებრივი შედეგი (სსსკ-ის 411-ე მუხლი).

63. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის

სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებიდან, ზიანის მიყენებიდან (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრებიდან თუ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან.

64. საკასაციო პალატა კასატორის პრეტენზიის ფარგლებში, პირველ რიგში იმსჯელებს სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსარჩელის მოთხოვნის დამტუზნებელი ნორმის სახით უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის გამოყენებასთან მიმართებით. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი. მოცემული ნორმა არეგულირებს უსაფუძლო გამდიდრების საკითხებს, რაც წინამდებარე დავასთან კავშირში არ არის. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხის შესაბამისი ოდენობის უძრავი ქონება კასატორს გადაცემული აქვს, ამიტომ, შეფასების თვალსაზრისით, რთული წარმოსადგენია, კასატორი უსაფუძვლოდ როდის გამდიდრდა. სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მოსარჩელის მიერ 4 უძრავი ნივთის მიღება არ დასტურდება და აღნიშნულით მხარე უსაფუძვლოდ გამდიდრდა. მხარის განმარტებით, სააპელაციო პალატამ ასევე არასწორად გამოიყენა სსკ-ის 417-ე მუხლი და არასაკმარისად დაასაბუთა განჩინება. უსაფუძვლო გამდიდრებისა და სახელშეკრულებო საფუძვლებით მოთხოვნების თანაარსებობის ურთიერთგამომრიცხავი ხასიათის პირობებში გაურკვეველია, როგორ მოხდა თანხის დაკისრებაც და პირგასამტებლოს ანაზღაურებაც (იხ. საკასაციო საჩივარი; წინამდებარე განჩინების პ.35-36).

65. საკასაციო პალატა კასატორის აღნიშნული პრეტენზიის ფარგლებში განმარტავს, რომ მოთხოვნის საფუძვლის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივა და მხარის მიერ სარჩელის დამტუზნებელ ნორმად კანონის ამა თუ იმ დანაწესის მითითება არ არის გადაწყვეტილების მიღების პროცესში სასამართლოსათვის ხელისშემწლელი. სამართალში დამკვიდრებული პრინციპი – „jura novit curia“ (სასამართლომ იცის კანონი) საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია ასახული (შდრ: სუსგ №ას-1076-996-2017, 19 აპრილი, 2019).

66. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურდა, კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების გამო გადახდილი თანხის დაბრუნება სსკ-ის 477-ე (ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწიდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიღოს ნაყიდი ქონება), სსკ-ის 488-ე (ნივთობრივ ნაკლს უთანაბ-

რდება, თუ გამყიდველი გადასცემს მცირე რაოდენობით,) სსკ-ის 394 I (მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება), სსკ-ის 408 I (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ზიანის ანაზღაურებელი მავალდებულებლი გარემოება), სსკ-ის 409-ე (თუ ზიანის აანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი აანაზღაურება) და სსკ-ის 417-ე (პირგასამტებლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის), მუხლებიდან გამომდინარეობს.

67. ამ ტიპის სარჩელის ნარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემოწმდეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებითან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯვრებით გამოარკვიოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოები (მტკიცების საგანი) და გაანაწილოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი).

68. სსკ-ის 477-ე მუხლის შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიანიდოს საქონელი. მყიდველი კი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. სსკ-ის 323-ე და 327-ე მუხლების ერთობლივი ანალიზით უძრავი ქონების თაობაზე დადებული გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელია: მხარეთა ნამდვილი ნება, არსებით პირობებზე შეთანხმება და გარიგების ნერილობითი ფორმით შედგენა.

69. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო სამართლით განმტკიცებული მხარეთა ავტონომიურობის პრინციპი ყველაზე ნათლად ხელშეკრულების თავისუფლებაში გამოიხატება. ხელშეკრულების თავისუფლება ეფუძნება მხარეთა სურვილს, დაამყარონ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა. ხელშეკრულების თავისუფლება ორი ნაწილისაგან შედგება: а) ხელშეკრულე-

ბის დადების თავისუფლება; ბ) ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება.

70. ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლები განსაზღვრა გულისხმობს იმასაც, რომ სსკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 ნინადადების მიხედვით, „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას“ (შდრ: ირმა გელაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III მუხლი 319, ველი 8, თბილისი, 2019); ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული ხელშეკრულების სახეები არ არის ამომწურავი. ხელშეკრულების მხარეებს, როგორც წესი უფლება აქვთ დამოუკიდებლად აირჩიონ ხელშეკრულების ტიპიც და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულების შინაარსი (იხ: სერგი ჯორბეგაძე, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, გვ. 103).

71. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმების შედეგია. შეთანხმება გულისხმობს მხარეთა თანმხვედრი ნების გამოვლენას, რომელიც მიმართულია ერთი და იმავე სამართლებრივი მიზნის მიღწევისა კენ. სახელშეკრულებო სამართალში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების დადების მომენტის განსაზღვრას, რადგან სწორედ ამ მომენტიდან წარმოეშვებათ მხარეებს სახელშეკრულებო უფლებები და იძოჭებიან ნაკისრი ვალდებულებებით. (შდრ: ეკატერინე ბალიშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III მუხლი 327, ველი 3, თბილისი, 2019).

72. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 327.I მუხლის მიხედვით, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები ყველა მის არსებით პირობებზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, თუ რას მოიზრებს ხელშეკრულების არსებითი პირობა (essentialia negotii). სსკ-ის 327.II მუხლის მიხედვით, „არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ“. ხელშეკრულების არსებითი პირობების ჩამონათვალს კანონი იშვიათი გამონაკლისის გარდა, (რადგან თითოეული ტიპის ხელშეკრულებას აქვს კანონით განერილი „მინიმალური შინაარსი“, რომლესაც ქმნიან ის პირობები, რომლებზეც შეთანხმების გარეშე ხელშეკრულება არ დაიდება), არ განსაზღვრავს. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში ხელშეკ-

რულების არსებითი პირობებია: მხარეები, საგანი და ფასი, რომ-ლებზე შეთანხმების გარეშე ხელშეკრულება არ დაიდება (შდრ: ეკა-ტერინე ბალიშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენ-ტარი, წიგნი III, მუხლი 327, ველი 8, თბილისი, 2019). არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების მხოლოდ ის პირობები, რომელზეც მხარეთა შეთანხმების მიღწევის გარეშე, ხელშეკრულება დადე-ბულად არ ჩაითვლება. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების არსებით პირობებად მიიჩნევა ნასყიდობის საგანი და ფასი (შდრ: ლადო ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტა-რი, წიგნი III, მუხლი 327, გვ. 90, თბილისი, 2001).

73. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის დანახესზეც, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულების დასადებად საკმარისი არ არის მხოლოდ მხარე-თა შეთანხმება ხელშეკრულების ყელა არსებით პირობებზე, არა-მედ საჭიროა ასევე, რომ ეს შეთანხმება მოხდეს საამისოდ გათვა-ლისწინებული ფორმით.

74. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 328-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ კანონით ხელშეკრულების ნამ-დვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან მხარე-ებმა ხელშეკრულებით გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელ-შეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვ-ნის შესრულების შემდეგ. სსკ-ის 69-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობითი ფორმით. გარიგების ფორმასთან დაკავშირებით, საქართველოს სამოქალა-ქო კოდექსის ზოგადი ნაწილით დადგენილი წესები ხელშეკრულე-ბის ფორმაზეც ვრცელდება.

75. როგორც წესი, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, ხელ-შეკრულების ნამდვილობისათვის რაიმე განსაკუთრებული ფორ-მის დაცვა საჭირო არ არის. ხელშეკრულება ძალაში მას შემდეგ შედის, როდესაც მხარეები შესაბამის პირობებზე თუნდაც ზეპირი მოლაპარაკებების გზით შეთანხმდებიან. ხელშეკრულების დასა-დებად, ცალკეულ შემთხვევაში, ზეპირი მოლაპარაკებებით შესა-ბამისი პირობების განსაზღვრაც არ არის აუცილებელი. შესაძლოა, მხარეთა კონკლუდენტური ქმედებებიდანაც ირკვეოდეს, რომ მათ შორის ხელშეკრულება დაიდო.

76. ამდენად, ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებითაც მოქმედებს სახელშეკრულებო ფორმის თავისუფლების პრინციპი. თუმცა, ეს პრინციპი შეუზღუდავი არ არის. ცალკეულ შემთხვე-ვებმი კანონი ადგენს ფორმას, რომლის დაცვაც კონკრეტული ტი-პის ხელშეკრულებების ნამდვილობისათვის აუცილებელია. მხარე-ებსაც შეუძლიათ გაითვალისწინონ ხელშეკრულების რაიმე ფორ-

მა, როგორც მისი ძალაში შესვლის აუცილებელი წინაპირობა. კანონმდებელი გარკვეულ წესებს ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით ისეთ შემთხვევებში განსაზღვრავს, როდესაც თავად სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად არას ამის საჭიროება და ფორმის დაწესებას შესაბამისი მიზანი გააჩნია.

77. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს ხელშეკრულების ტიპებს, რომელთა ნამდვილობისათვის საჭიროა, რომ ისინი დაიდოს წერილობითი ფორმით. თავის მხრივ, წერილობითი ფორმა იყოფა რთულ (სანოტარო) წერილობით და მარტივ წერილობით ფორმებად. სსკ-ის 323-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, უძრავ ნივთზე საკუთრება გადასცეს სხვას ან შეიძინოს იგი, მოითხოვს წერილობით ფორმას. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის აუცილებელი ყველა არსებითი პირობის წერილობითი ფორმით ასახვა და ხელმოწერით დადასტურება მხარეებს წარმოუშობს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებსა და მოვალეობებს, კერძოდ, მყიდველს თანხის გადახდის, ხოლო გამყიდველს კი თანხის მიღებისა და ქონების გადაცემის ვალდებულებას.

78. სსკ-ის 477-ე მუხლის ანალიზის საფუძველზე, ნასყიდობის ხელშეკრულება კონსესუალურია და იგი დადებულად ითვლება მის ყველა არსებით პირობაზე საამისოდ დადგენილი ფორმით მხარეთა შეთანხმების მომენტიდან. შესაბამისად, ხელშეკრულების ძალაში შესვლა ნივთის გადაცემაზე დამოკიდებული არ არის. ამასთან, ხელშეკრულების მიზანი და ინტერესი, რასაკვირველია, საკუთრების უფლების გადაცემისა და იგი, მისი შინარსიდან გამომდინარე, სწორედ უფლების გადაცემას ემსახურება. ამდენად, ნასყიდობის ხელშეკრულება მოიცავს როგორც ვალდებულებით (მხარეები თანხმდებიან ხელშეკრულების პირობებზე), ისე სანივთო (გარიგებით საკუთრების უფლების განკარგვა და გადაცემა ხდება) გარიგების ელემენტებს და იგი, როგორც ერთიანი ხელშეკრულება, ერთობლივად უნდა იქნეს განხილული. უძრავ ნივთზე დადებული ვალდებულებითი გარიგების ფორმასაგალდებულობა ნათლად წარმოაჩენს კანონმდებლის მიზანს – უძრავი ნივთების სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმში მოქცევით ხელი შეუწყოს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას (იხ., სუსგ №ას-898-848-2015, 09 მარტი, 2016 წელი).

79. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 327-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება (წინარე ხელ-

შეკრულება). ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზედაც. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ წინარე ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი ბუნებით განსხვავდება ძირითადი გარიგებისაგან. წინარე ხელშეკრულების შინაარსი, როგორც წესი, გამომდინარებს ძირითადი ხელშეკრულების საგნიდან, მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი უნდა შეიცავდეს ძირითადი ხელშეკრულების დადების დავალდებულებას, ამასთანავე, წინარე ხელშეკრულება უნდა განსაზღვრავდეს იმ წინაპირობებს, რომლებიც აუცილებელია ძირითადი ხელშეკრულების დასადებად, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ბათილად (არარად) ჩაითვლება. წინარე ხელშეკრულება კონტრაპირების იძულების სამართლებრივ ბერკეტს ნარმოადგენს და მხარეებს ნარმოუშობს მოთხოვნის უფლებას მომავალში ხელშეკრულების დადების თაობაზე. მითითებული სპეციფიკის გარდა, წინარე ხელშეკრულება ჩვეულებრივ გარიგებას ნარმოადგენს და მის მიმართ სრულად ვრცელდება სახელშეკრულებო სამართლის ნორმები (შდრ: სუსგ №ას-1038-2022, 20 ივლისი, 2023 წ, პ.55)

80. წინარე ხელშეკრულება არის ვალდებულებით სამართლებრივი გარიგება, რომლითაც მხარეები კისრულობენ სხვა ხელშეკრულების დადების ვალდებულებას, ანუ მხარეები სამართლებრივად იბოჭავენ თავს მომავალში ე.წ. ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულებით. წინარე ხელშეკრულების გაფორმება, ხელს უწყობს სახელშეკრულებო ურთიერთობის გამყარებას, იმყოფება განსაზღვრულ მიმართებაში ე.წ. ძირითად ხელშეკრულებასთან, რომელიც, როგორც წესი, მიმართულია კონკრეტული ეკონომიკური შედეგის მიღწევისკენ მაშინ, როდესაც წინარე ხელშეკრულებით, რომელიც წინ უსწრებს ძირითად ხელშეკრულებას მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ მომავალში დადებენ გარიგებას წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით (შდრ: სუსგ №ას-707-2023, 24 ივლისი, 2023 წ).

81. წინარე ხელშეკრულებაში მხარეებმა ნათლად უნდა განსაზღვრონ, თუ რა არსებითი პირობებით აპირებენ ისინი მომავალში ძირითადი ხელშეკრულების დადებას. ამავდროულად, წინარე ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს პირობას საგნისა და ვადის თაობაზე, რომელშიც მხარეები კისრულობენ ძირითადი ხელშეკრულების დადებას. წინარე ხელშეკრულების საგანი სხვა უნდა იყოს და ძირითადი – სხვა. წინარე ხელშეკრულების საგანი არის მხარის ვალდებულება, დადოს ხელშეკრულება ანუ იკისროს მომავალში რაიმე ვალდებულება, მაშინ როცა ძირითადი ხელშეკრულებით ეს ვალდებულება უშუალოდ წარმოიშობა. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ რადგან ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება (სსკ-ის

327-ე მუხლის მე-3 ნაწილი: „ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალში ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზედაც) ითვალისწინებს მომავალში ხელშეკრულების დადების ვალდებულებას და არა გარიგების დადების ფაქტს. წინარე ხელშეკრულება ვალდებულებითსამართლებრივი გარიგებაა, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა სახის არსებით პირობებზე თანხმდებიან მხარეები, რომელიც მომავალში დასადები ხელშეკრულების შინაარსს უკავშირება (მდრ: სუსგ №ას-930-2020, 27 ნოემბერი, 2020 წ; პ.27.; №ას-875-817-2017, 21 მარტი, 2018 წ.).

82. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სასარჩევლო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე – განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩევლე მოპასუხისგან მოითხოვს გადახდილი ნასყიდობის საფასურის წანილის დაბრუნებას, რაც საკასაციო პალატის მოსაზრებით, სამართლებრივ მოწესრიგებას საჭიროებს სსკ-ის 394 I მუხლის საფუძველზე.

83. საკასაციო სასამართლოს მიერ არაერთ გადაწყვეტილება-შია დადგენილი, რომ სასარჩევლო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისას სასამართლო იკვლევს, რამდენად ვლინდება სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების ის ერთობლიობა, რომლებიც სასარჩევლო მოთხოვნის, ან მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლის წარმატებას განაპირობებს. სასამართლო ვალდებულია, განსაზღვროს მოთხოვნის ფარგლები (ისე რომ არ გასცდეს მას), მოძებნოს დავის მომწესრიგებელი შესატყვისა სამართლის ნორმა (სპეციალური ან ზოგადი წესი) და დაადგინოს იმ გარემოებათა არსებობა/არარსებობა (ფაქტობრივი გარემოებები), რომლებიც ამ ნორმის გამოყენებისთვის აუცილებელ წინაპირობებს წარმოადგენენ.

84. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სახელშეკრულებო ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობა უკვე ვალდებულების დარღვევაა. ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოხატულებას ჰპოვებს მოვალეზე კანონით დადგენილი ქონებრივი ზემოქმედების ზომებში. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაცილე, რომელიც არღვევს ვალდებულებას, პასუხს აგებს დაზარალებულის წინაშე. ვალდებულების შესრულების ლეგიტიმური სახელშეკრულებო ინტერესი სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებული სიკეთეა ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში. სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პასუხის-

მგებლობის ყველაზე გავრცელებული სახეა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ანუ პასუხისმგებლობა გამოიხატება დამრღვევი მხარის ვალდებულებაში, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი ნატურით ან ფულადი სახით.

85. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზიანის ანაზღაურება იწვევს ქონებრივი ან არაქონებრივი ხასიათის უარყოფითი შედეგების დადგომას (მდრ. პ. ბოლინგი, პ. ლუტრინგპაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნების სისტემური ანალიზი, თბილისი, 2009, გვ. 33). ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სახის ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის არსებობისას.

86. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმათაგან ზიანის ანაზღაურებას აქვს უნივერსალური მნიშვნელობა და გამოიყენება სამოქალაქო უფლებათა დარღვევის ყველა შემთხვევაში, მაშინ როცა სხვა ფორმების გამოყენებაზე პირდაპირ უთითებს კანონი ან ხელშეკრულება კონკრეტული სამართალდარღვევისას. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობა ერთი კონტრაპენტისა მეორეს წინაშე, სამართალდამრღვევისა – დაზარალებულის წინაშე, დაკავშირებულია არა პიროვნული თავისუფლების ბოჭვასთან, როგორც ისტორიულ წარსულში, არამედ მოვალის მხოლოდ ქონების შემცირებასთან.

87. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის, ზიანის ანაზღაურების დაკისრების ცენტრალურ და უზიოგადეს ნორმას წარმოადგენს სსკ-ის 394 I მუხლი, რომელიც კრედიტორს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. სსკ-ის 394-ე მუხლი ვალდებულების დარღვევის სისტემის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნის საფუძველია, რომელსაც სამოქალაქო კოდექსის სისტემაში შემოაქვს განსხვავება შესრულების გვერდით და შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტებს შორის. ორივე მოთხოვნისათვის ეს ნორმა განსაზღვრავს საერთო და სპეციალურ წინაპირობებს და ადგენს შესაბამის სამართლებრივ სანქციებს. ერთეული სპეციალური მოთხოვნის საფუძვლებს თუ არ ჩავთვლით, ეს ნორმა მოიცავს სახელშეკრულებო ვალდებულებათა სრულ სპექტრს. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი სსკ-ის 394 II და III მუხლის დანაწესია იმ შემთხვევაში, როცა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას წინ არ უსწრებს ხელშეკრულებიდან გასვლა (მდრ. გიორგი ვაშაკიძე, საქართველოს სამოქალაქო

კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 394-ე, ველი 1-2, თბილისი, 2019 წელი).

88. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოთხოვნის საფუძვლები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორია კრედიტორის მოთხოვნა. ამ თვალსაზრისით კრედიტორი შეიძლება ითხოვდეს ზიანის ანაზღაურებას შესრულებასთან ერთად ან ზიანის ანაზღაურებას შესრულების ნაცვლად. პირველ შემთხვევაში, კრედიტორი ინარჩუნებს შესრულების მოთხოვნის უფლებას; მეორე შემთხვევაში კი, შესრულებას ზიანის ანაზღაურება ანაცვლებს. იმის გამიჯვნას, თუ რომელი ზიანის ანაზღაურებას ითხოვს კრედიტორი, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან შესრულების გვერდით ზიანი (სსკ-ის 394 I მუხლის საფუძველზე), ხოლო შესრულების სანაცვლოდ ზიანი მხოლოდ დამატებითი წინაპირობების დაცვით ანაზღაურდება. გამიჯვნა უნდა მოხდეს ზიანის გამოსწორებადობის კრიტერიუმის მიხედვით. თუ სახეზეა ზიანი, რომელიც საბოლოოა და დამატებითი ვადის ან დამატებითი შესრულების შემთხვევაშიც არ გამოსწორდება, ასეთი ზიანი პირდაპირ უნდა ანაზღაურდეს. სსკ-ის მე-400, 404-ე და 391-ე მუხლებით გათვალისწინებული ზიანის გარდა, ყველა სხვა ზიანი, რომლის ანაზღაურებაც შესრულების გვერდით ხდება (გულისხმიერების ვალდებულების დარღვევისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანი), 394 I მუხლის საფუძველზე დამატებითი წინაპირობების გარეშე ანაზღაურდება. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას, კრედიტორი უარს ამბობს მიუღებელ შესრულებაზე და მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას.

89. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 394 I მუხლი დამოუკიდებელი და თვითკმარი მოთხოვნის საფუძველია შესრულების გვერდით ზიანის ანაზღაურებისას (გარდა ვადის გადაცილებისა). აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული დანაწესის გამოყენების წინაპირობებია: 1) ზიანი; 2) ქმედების მართლწინააღმდეგობა; 3) მიზეზობრივი კავშირი 4) ბრალი.

90. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალში ზიანში მოიაზრება ქონებაზე ან სამართლებრივად დაცულ სხვა სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი. ზიანი წარმოადგენს სამართლდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს. თუ არა ზიანი, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს. ზიანი სწორედ რომ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგია. იგი წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგს. კონტინენტური ეკროპის კერძო სამართლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა განიხილება ვალდებულების ნატურით შესრულების მოთხოვნასთან

მიმართებით, როგორც დამატებითი ხასიათის და გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუკი ვალდებულების ნატურით შესრულება შეუძლებელია ანდა კრედიტორმა დაკარგა ინტერესი ასეთი შესრულების მიმართ. საერთო სამართალი კი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას განიხილავს, როგორც კრედიტორის უფლებების დაცვის ძირითად საშუალებას და მას ყოველთვის შეუძლია მოთხოვოს ფულადი კომპენსაცია ვალდებულების შეუსრულებლობის (დარღვევის) შემთხვევაში.

91. ზიანის ანაზღაურების საკითხთან მიმართებით, როგორც კონტინენტური ევროპის, ისე საერთო სამართლის სისტემის ქვეყნები ადგენენ საერთო ზოგად პრინციპებს: ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ფულადი ანაზღაურების მიზანია დაზარალებული მხარის ქონებრივი დანაკარგების კომპენსაცია. კრედიტორი არ უნდა დაზარალდეს მატერიალურად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. მოვალის მხრიდან ზიანის ანაზღაურებამ უნდა გამოიწვიოს კრედიტორის აღდგენა იმ მდგომარეობაში, რომელშიც იგი იქნებოდა, თუკი მოვალე ვალდებულებას ჯეროვნად შეასრულებდა. დოქტრინაში ასეთ მიდგომას უწოდებენ დადებით სახელშეკრულები ინტერესების დაცვას, განსხვავებით უარყოფითი სახელშეკრულები ინტერესების დაცვისაგან, რომლის მიზანსაც წარმოადგენს კრედიტორის იმ მატერიალური მდგომარეობის უზრუნველყოფა, რომელშიც იგი იქნებოდა, თუკი ხელშეკრულება საერთოდ არ დაიდებოდა და რომლის დაცვაც, როგორც წესი, ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება ბათილად იქნება აღიარებული.

92. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზიანი წარმოადგენს პირის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების მისი ნების გარეშე ხელყოფას (იხ. დამატებით: გიორგი რუსიაშვილი წიგნში: რუსიაშვილი/დარჯანია/მაისურაძე, ზოგადი ვალდებულებითი სამართალი, კაზუსების კრებული, თბილისი, 2020 წ. გვ. 147), რისი ანაზღაურებაც აღიარებულია ბრუნვის წეს-ჩვეულებებით და შეზღუდული არ არის კანონმდებლობით. როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ასევე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა, ერთმანეთისაგან განასხვავებს ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს. ქონებრივი ზიანი ქონებრივი სიკეთის ხელყოფით შემოიფარგლება. ქონებრივ ზიანში იგულისხმება არა მხოლოდ დაზარალებულის ქონებრივი აქტივების შემცირება, არამედ პასივების გაზრდაც (შდრ. გიორგი რუსიაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 408-ე, ველი 9, თბილისი, 2019).

93. სსკ-ის 408-ე მუხლის თანახმად, „პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა,

რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალ-დებულებელი გარემოება“ ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავა-ლი, რომელიც პირს არ მიუღია და რომელსაც იგი მიიღებდა სამო-ქალაქი ბრუნეის ნორმალურად განვითარების შემთხვევაში ანუ ვალდებულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო (შდრ. გიორგი რუ-სიაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგ-ნი III, მუხლი 408-ე, ველი 10, თბილისი, 2019).

94. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზიანის ოდენობის გან-საზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მი-მართ (შდრ. გიორგი რუსიაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კო-დექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 408-ე, ველი 14, თბილისი, 2019). ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ვალდებულე-ბის შესრულების დრო და ადგილი. ვალდებულების დარღვევის ხა-სიათის მიხედვით, დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში გა-ნასხვავებენ საკომპენსაციო და მორატორულ ზიანს. საკომპენსა-ციო ზიანი შედეგად მოსდევს ვალდებულების საერთოდ შეუსრუ-ლებლობას. ის ცვლის შესრულებას. ამიტომაც, კრედიტორს ასეთ შემთხვევაში არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს როგორც ვალდებულების შესრულება, ისე საკომპენსაციო ზიანის ანაზღა-ურება (სსკ-ის 409-ე მუხლი). მორატორული ზიანი მოვალის მხრი-დან შესრულების ვადის გადაცილების შედეგია. მოვალის მიერ ვა-დის გადაცილება ვალდებულების დროულ შეუსრულებლობას უკავშირდება. შესრულების დროულობა კი ხელშეკრულებიდან ან კანონიდან შეიძლება გამომდინარეობდეს. მნიშვნელოვანია, რომ კრედიტორმა ვადამოსულობის შემდეგ იმგვარი მოქმედება განა-ხორციელოს, რომელიც მოვალეს შესრულების ვალდებულებას შე-ახსენებს. კანონით გათვალისწინებულ ასეთ მოქმედებას მოვალის გაფრთხილება წარმოადგენს (სსკ-ის მე-400 მუხლი) (შდრ. გიორგი ვაშაკიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგ-ნი III, მუხლი 394-ე, ველი 9, თბილისი, 2019). მოვალის მიერ ვალდე-ბულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, კრედი-ტორს წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. განსხვავება საკომპენსაციო და მორატორულ ზიანს შორის იმაში მდგომარე-ობს, რომ საკომპენსაციო ზიანისას გამორიცხულია იმავდროულად ვალდებულების წატურით შესრულება, ხოლო მორატორული ზია-ნის დროს ვალდებულება სრულდება, მაგრამ ვადის გადაცილებით (შდრ. სუსგ №ას-464-2021, 14.07.2021წ.).

95. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ როგორც ზი-

ანის მიყენების ფაქტი, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულ მხარეს ანუ კრედიტორს, რომელიც სასამართლო პროცესში წარმოადგენს მოსარჩელეს. ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეალურად განცდილი დანაკარგების ჯამს. ის არ უნდა ატარებდეს მოვალის მიმართ სადამსჯელო ხასიათს და არ უნდა წარმოადგენდეს საჯარიმო სანქციას, რამეთუ ვალდებულების დარღვევისათვის სამძალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი მდგომარეობს კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში და არა მოვალის დასჯაში. ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი მიმართულია ვალდებულების დარღვევის პრევენციისა და მხარეთა ინტერესთა წონასწორობის აღდგენაზე. საჯარიმო სანქციები ქართული სამართლისათვის უცხოა. ზიანის ანაზღაურება გულისხმობს შემდეგი პრინციპების დაცვას: ზიანის სრულად ანაზღაურება; უსაფუძვლო გამდიდრების არდაშვება; ადექვატურობა; სავარაუდოობა.

96. საკასაციო პალატა განმარტავს, ზიანის ანაზღაურების ოდენობა ისე უნდა განისაზღვროს, რომ ამას არ მოჰყევს რომელიმე მხრის უსაფუძვლო გამდიდრება. ზიანის ანაზღაურების უმნიშვნელოვანეს დათქმას უსაფუძვლო გამდიდრების აკრძალვა წარმოადგენს. ამ პრინციპის მიხედვით, მოვალემ უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელშიც კრედიტორი იქნებოდა, ვალდებულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. მოვალე არ არის ვალდებული კრედიტორი იმაზე უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენოს, ვიდრე იგი ზიანის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა.

97. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით უნდა იყოს მიყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურების საკითხი არ დაგება. მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. მართლწინააღმდეგობა ობიექტური ნიშანია სამართლდარღვევისა და მისი არსებობა არაა დამოკიდებული მოვალის ცნობიერების ხასიათზე ანუ აცნობიერებდა თუ არა მოვალე თავისი ქმედებს სამართლებრივ ხასიათს. მთავარია, რომ მოვალის ქმედება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. მართლსაწინააღმდეგო ქმედებით სახელშეკრულებო ურთიერთობებში მოვალე ძირითადად კრედიტორის შეფარდებით (რელატიურ) უფლებებს არღვევს. მართლსაწინააღმდეგო ქმედება გულისხმობს როგორც აქტიურ მოქმედებას, ისე უმოქმედობასაც. როცა ხელშეკრულების მხარე არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრი გალდებულებას, იგი მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს. მისი არსი ისაა, რომ ქმედება არღვევს სამართლის ნორმით გამოხატული მოქმედების ან უმოქმედობის ვალ-

დებულებას. კანონის ან ხელშეკრულების ძალით პირი ვალდებული იყო (სამართლებრივი კრიტერიუმი, რომელიც გულისხმობს განსაზღვრული მოქმედების განხორციელების სამართლებრივ ვალდებულებას) და შეეძლო ემოქმედა (მოქმედების განხორციელების ფაქტობრივი შესაძლებლობა), თუმცა არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა განსაზღვრული მოქმედება. სამოქალაქო სამართალში მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა სხვა პირთა დაცული ინტერესის ხელყოფა. მართლწინააღმდეგობა მოიცავს როგორც კანონით დადგენილი წესების, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევას.

98. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიზეზობრივი კავშირი სამართალდარღვევის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია. ანაზღაურდება მხოლოდ ისეთი ზიანი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებით იყო გამოწვეული. იმისათვის, რომ მოვალეს დაეკისროს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, წარმოადგენს თუ არა ზიანი მოვალის მოქმედების უშუალო შედეგს. სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, „ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო საგარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.“ პირი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს ზიანისათვის, როცა მისი ქმედება ადეკვატურ კავშირშია დამდგარ შედეგთან/ზიანთან (causa principalis sine qua non) ანუ დამდგარი ზიანი დარღვეული ვალდებულების რეალური და მოსალოდნელი შედეგია და მისი მიზეზობრივი კავშირი ქმედებასთან ობიექტური გადმოსახედიდან დასტურდება. სავარაუდობა სახეზეა, თუ შედეგის დაშვება შეგნებული მოვალის პერსპექტივიდან ობიექტურად შესაძლებელი იყო (შდრ. ჰ. ბიოლინგი, ჰ. ლუტრინგპაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბილისი, 2009, გვ. 48). პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მხოლოდ მაშინაა ზიანის მიზეზი, როცა ის უშუალოდაა დაკავშირებული დამდგარ ზიანთან. ამგვარად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილებელი, პირდაპირი შედეგია.

99. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ბრალი სამართალდარღვევის შემადგენლობის უმნიშვნელოვანესი სუბიექტური ელემენტია. ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, საყოველთაოდაა აღიარებული სახელშეკრულებო სამართალში (შდრ. გიორგი ვაშაკიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 395-ე, ველი 1, თბილისი, 2019). ბრალის სამართლებრივი კატეგორია განასკუთრებული იურიდიული მნიშვნელობის მქონეა,

როგორც კონტინენტური, ისე საერთო სამართლის სისტემაში. კონტინენტურ სამართალში ვალდებულების შეუსრულებლობა, მოვალის ბრალეულობის მიუხედავად, აფუძნებს ვალდებულების დარღვევის ობიექტურ კატეგორიას, რაც განაპირობებს მეორადი მოთხოვნის უფლებისადმი კრედიტორის ხელმისაწვდომობას, ხოლო ბრალი, როგორც სახელშეკრულები პასუხისმგებლობის უზოგადესი წინაპირობა, მნიშვნელობას იძენს გამოსაყენებელი მეორადი მოთხოვნის უფლების განსაზღვრისათვის მას შემდეგ, რაც სახეზეა ვალდებულების დარღვევის დასრულებულ შემადგენლობა. კრედიტორის ბრალი გავლენას ახდენს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების წარმოშობაზე, ანაზღაურებას დაქვემდებარებული ზიანის ოდენობის განსაზღვრაზე და სანაცვლო შესრულების მოთხოვნის უფლების არსებობაზე აისახება (შდრ. 6. ჩიტაშვილი, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, თსუ იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 143).

100. სსკ-ის 395-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მოვალეს პასუხისმგებლობა დაკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს“ (შდრ. გიორგი ვაშაკიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 395-ე, ველი 20, თბილისი, 2019).

101. ზიანის ოდენობის განსაზღვრა იმ განცდილი ზიანის კომპენსირებაში მდგომარეობს, რომელიც მოსარჩელეს მიადგა მოპასუხის ქმედებით. განცდილი ზიანის ოდენობა კი, განეკუთვნება არა სამართლის, არამედ ფაქტის საკითხს; ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება და რელევანტური მტკიცებულებების წარდგენა კი, მოსარჩელის საპროცესო ვალდებულებაა.

102. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შერჩის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. ამავე კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით კი, დადგენილია ქცევის იმგვარი წესი, რომლის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (შიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ნორმის მიზნიდან გამომდინარეობს დასკვნა იმის თაობაზე, რომ კონდიქციური ვალდებულების წარმოშობისათვის სახეზე უნდა იყოს ერთი პირის გამდიდრება მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება მოკლებული უნდა იყოს სამართლებრივ საფუძველს, რომელიც ან თავიდანვე არ არსებობდა, ან შემდგომში მოიშალა. ამსათან, მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას თუ, რის შედეგად დადგა უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდრებულის მოქმედების, თუ მესამე პირთა მოქმედების შედეგად ან განხორციელდა იგი მათი ნების საწინააღმდეგოდ. ასევე, არ აქვს მნიშვნელობა ამ სამართალურთიერთობაში მონაბილე სუბიექტთა ბრალებულობას, კეთილსინდისიერებასა და მათ მიერ განხორციელებული მოქმედების მართლზომიერებას, თუ მართლწინააღმდეგობას. კონდიქციური ვალდებულების არსებობის სამართლებრივი საფუძვლით, სარჩელის დასაკამაყოფილებლად მნიშვნელოვანია დადგინდეს მხოლოდ ობიექტური შედეგი, რაც გულისხმობს ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რამე სამართლებრივი სიკეთის შექნას (დაზოგვას) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე. ასევე, აუცილებელია, რომ გამდიდრება მოხდეს სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც ერთი პირის ქონების გაზრდა ხდება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე (იხ. სუსგ №ას-360-342-2015, 3 ივნისი, 2015 წელი; სუსგ №ას-251-2021, 11 ივნისი, 2021).

103. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი არის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შექნილი ქონების (რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ უფლების ან გარკვეული შედავათის, უპირატესობის) ამოღება, რითაც უნდა უზრუნველყოფილ იქნეს სამართლიანობის აღდგენა, ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დაზარალებულის ხარჯზე გარკვეული შედავათის, უფლების, უპირატესობის მიღებამდე. შესაბამისად, შეცილების განხორციელების მომენტიდან, მოსარჩელის მიერ ნების გამოვლენა ითვლება ბათილად, რაც გულისხმობს იმ სამართლებრივი შედეგის გაუქმებას, რაც ამ გარიგებას მოჰყვა. (შდრ: სუსგ №ას-334-2021, 05 ნოემბერი, 2021).

104. საკასაციო პალატამ არერთ საქმეზე განმარტა, რომ უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი სუბსიდიური ხასიათისაა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ამ ინსტიტუტის გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ურთიერთობის სპეციალური მომწესრიგებელი ნორმა, როდესაც იკვეთება უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის გამოყენების უპირატესობა. კონდიქციუ-

რი დანაწესების (სსკ-ის 976-ე-991-ე მუხლები) გამოყენების უმ-თავრესი წინაპირობა მის სუბსიდიურობაში ვლინდება, რაც იმას ნიშნავს, რომ უსაფუძღლო გამდიდრების წესები მოთხოვნის დამ-ფუძნებელ ნორმებად გვევლინება მხოლოდ მაშინ, როდესაც სასა-მართლო მოვლენათა დინამიკის გათვალისწინებით დაასკვნის, რომ გამორიცხულია სხვა უფრო სპეციალური ნორმის გამოყენება (მაგ: პოსესორული ან ვინდიკაციური სარჩელები (სანიგთო სამართალი), სარჩელი ვალდებულების შესრულების შესახებ (როგორც პირვე-ლადი, ისე – მეორადი მოთხოვნები და სხვა) (შდრ: სუსტ №ას-774-723-2017, 11 ოქტომბერი, 2017, პ.3.6; №ას-796-2019, 04 ივლისი, 2019 წ. პ.17).

105. შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრე-ტენზიას, რომ მოსარჩელის პირველ მოთხოვნასთან მიმართებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილი „ა“ ქვეპუნქტი. მოცემული ნორმა არე-გულირებს უსაფუძღლო გამდიდრების საკითხებს, რაც წინამდება-რე დავასთან კავშირში არ არის. ასევე საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას უსაფუძღლო გამდიდრებისა და პირგასასამტებლოს ერთდროულად დარიცხვის შესაძლებლობის და-უშვებლობის შესახებ.

106. კასატორის ერთ-ერთი პრეტენზია უკავშირდება იმას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია მოპასუხის მიერ ხელშეკრულების საგნის გადაცემის ვადა დარღვეულად და არა-მართლზომიერად დააკისრა პირგასასამტებლო – 36 330 აშშ დოლა-რის ოდენობით. კასატორი მიუთითებს, რომ გასაჩივრებული გან-ჩინებიდან არ დგინდება, რა ვადებზეა საუბარი, რადგან მოსარჩე-ლებ თავად დაგვიანებით და არასრულად განახორციელა გადახ-დები. აღნიშნულის მიუხედავად, მოპასუხეს წინარე ხელშეკრუ-ლება არ დაურღვევია, ვინაიდან მოსარჩელებ სრულად მიიღო გა-დახდილი თანხის ეკვივალენტი ქონება. შესაბამისად, პირგასასამტებლოს გადახდის წინაპირობაც არ არსებობდა. მეტიც, გადახდე-ბის ვადაგადაცილებიდან გამომდინარე, მოსარჩელეს ერიცხებო-და მოპასუხის მიმართ პირგასასამტებლო – 34 077 აშშ დოლარი. ასეც რომ არ იყოს, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატის მი-ერ შემცირებული პირგასასამტებლოს ოდენობა მაინც შეუსაბამოდ მაღალია. გასათვალისწინებელია, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვ-ნილი პირგასასამტებლო გამოთვლილ იქნა ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან – 2 100 000 აშშ დოლარიდან მაშინ, როდესაც მო-სარჩელეს აღნიშნული თანხის ნახევარიც არც იმ ათი ბინის მიღების ფაქ-ტი, რომლებსაც მოსარჩელე თავად არ ხდიდა სადაცოდ. ამასთან,

პირგასამტებლო დათვლილი იყო სარჩელის შეტანის დღემდე, ხელ-შეკრულება კი 2018 წლის მარტი შეწყდა (იხ. საკასაციო საჩივარი, წინამდებარე განჩინების პ.38).

107. კასატორის აღნიშნულ პრეტენზიასთან მიმართებით, სა-კასაციო პალატა მიუთითობს, რომ პირგასამტებლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერე-სის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებუ-ლების წარმოშობა და კავშირებულია ვალდებულების დარღვევას-თან. პირგასამტებლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნ-და ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტებლოს ოდენობის გან-საზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შო-რის: ა) პირგასამტებლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინ-სტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდე-ბულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხა-რისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხა-რისხს; დ) პირგასამტებლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზია-ნის ანაზღაურება. პირგასამტებლოს ოდენობაზე მსჯელობისას გა-სათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებ-ლობის ხანგრძლივობა (შდრ. სუსგ №ას-1451-1371-2017, 13 ნოემ-ბერი, 2018; №ას-848-814-2016, 28 დეკემბერი, 2016).

108. პირგასამტებლო დამატებითი (აქცესორული) ვალდებულე-ბაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და ნამდვილობა ძირი-თადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული. ქართულ კა-ნონმდებლობაში პირგასამტებლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერ-თი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველ-საყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს ანუ, პირგასამტებლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირ-გასამტებლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმა-ში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალ-დებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება. პირგასამ-ტებლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრა-ფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარ-მოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტებლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარ-ღვევის შედეგად (შდრ. სუსგ №ას-428-428-2018, 13 ივლისი, 2018; №ას-1158-1104-2014, 06.05.2015; №ას-1265-1187-2015, 10.02.2016).

109. საკასაციო პალატამ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარ-

ტა, რომ: „პირგასამტეხლოს მიზანია ვალდებულების შეუსრულებ-ლობის ან ვალდებულების დარღვევის თავიდან აცილება, ხოლო ვალდებულების დარღვევის პირობებში ე.წ „პრეზუმირებული მი-ნიმალური ზიანის“ ანაზღაურების უზრუნველყოფა, რაც, რაღა თქმა უნდა, არ წარმოადგენს ფაქტობრივი ზიანის ეკვივალენტ ფუ-ლად თანხას და არც ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურე-ბას ემსახურება“ (შდრ: სუსგ №ას-1597-2019, 13 დეკემბერი, 2019 წელი).

110. როგორც ვალდებულების დარღვევის მნიშვნელობა, სახელ-შეკრულები ინტერესის შინაარსისა და ფარგლების განმარტება და დადგენილ პირგასამტეხლოს ოდენობასთან მისი ადეკვატურობა (კრედიტორის მტკიცების ტვირთი), ისე ვალდებულების დარღვე-ვის ხარისხის შეუსაბამობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან (მო-ვალის მტკიცების ტვირთი), არის უმნიშვნელოვანესი შეფასებითი კატეგორიები, რომელზეც თავად მხარეებმა უნდა შეუქმნან მო-სამართლეს დასაბუთებული წარმოდგენა და მიანიჭონ მას მხარე-თა ნების განმარტების შესაძლებლობა (იხ.: ნათია ჩიტაშვილი. პირ-გასამტეხლოსა და ზიანის მოთხოვნათა სახელშეკრულებო ინტე-რესის უზრუნველყოფი ფუნქცია. შედარებითი სამართლის უურ-ნალი 2/2020, გვ.17; ასევე იხ.: სუსგ №ას-827-2021, 03.12.2021წ.).

111. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პირგასამტეხლო, უპირველესად, კრედიტორის ინტერესების უზრუნველყოფი სა-კანონმდებლო მექანიზმია, რომელიც კრედიტორის სახელშეკრუ-ლებო რისკებს ამცირებს, თუმცა იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული კრედიტორის მხრიდან ამ ინსტიტუტის ფარგლებში უფლების ბოროტად გამოყენება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევა-ში შესაფასებელი და ამავდროულად დასაცავი ღირებულებაა სა-ხელშეკრულები წონასწორობა/ბალანსი, ერთი მხრივ, პირგასამ-ტეხლოს, როგორც სახელშეკრულებო თავისუფლების გამოხატუ-ლებას და, მეორე მხრივ, მოვალის დაცვას, როგორც ამ თავისუფ-ლების ლეგიტიმურ შეზღუდვას შორის. ამდენად, პირგასამტეხლოს იურიდიული ძალა მხოლოდ მაშინ აქვს, თუ ის ამავდროულად უზ-რუნველყოფს მოვალის გონივრული ფარგლებით დაცვას (შდრ: სუსგ №ას-1336-2019, 30 მარტი, 2022; №ას-1928-2018, 31 ოქტომ-ბერი, 2019წ.).

112. საკასაციო პალატა კასატირის პრეტენზიებთან დაკავში-რებით განმარტავს, რომ საკანონმდებლო მოწესრიგებას საფუძ-ვლად უდევს კონკრეტული სოციალური პროცესების მართვის სა-მართლებრივ-პოლიტიკური მოდელი ანუ, როდესაც კანონმდებე-ლი განსაზღვრულ ქცევას საგადაბულოდ ადგენს, ამით მას სურს განსაზღვრული მიზნების მიღწევა. ასეთ შემთხვევაში, კანონმდე-

ბელს მინიჭებული აქვს უფლებამოსილებები ერთი მხრივ, დასახული მიზნის მიღწევასთან, ხოლო მეორე მხრივ, ამ მიზნის მისაღწევად გამოსაყენებელი სამართლებრივი საშუალებების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. კანონის ინტერპრეტაცია უნდა ემსახურებოდეს ამ კანონის მიზანს. კანონის ცალკეული დებულებები გააზრებული უნდა იქნეს სხვადასხვა დებულებათა ურთიერთდამოკიდებულებაში. კანონის ინტერპრეტაცია მთლიანობაში წარმოადგენს არგუმენტების შერჩევისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, რომელიც ხშირად სხვადასხვა, ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ მიზნებზე არის ორიენტირებული. სამართლებრივი გადაწყვეტილებები დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციებზე, რადგან განსხვავებულ, თუნდაც ტიპიურ სიტუაციებში, მიზნები და მათთან დაკავშირებული ინტერესები სხვადასხვა მოცულობითა და კონსტილაციაში გარკვეულ როლს თამაშობენ.

113. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლიანობის მიღწევის გარდა, სამართლის ამოცანაა, უზრუნველყოს სამართლებრივი უსაფრთხოება და ინტერესთა ოპტიმალური და მიზანშეწონილი დაკამაყოფილება. ყოველივე ეს მიზანი გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონის ინტერპრეტაციისა და განვირცობის პროცესში. კანონის ინტერპრეტაცია სამართლიან მოწესრიგებასა და ოპტიმალურ დაკამაყოფილებას უნდა იწვევდეს.

114. საკასაციო პალატა დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტავს, რომ პირგასამტებლოზე უფლება აქცესორული უფლებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს პირგასამტებლო ძირითადი უფლების გარეშე. პირგასამტებლო ძირითადი უფლების სამსახურშია. ამიტომაც დაუშვებელია პირგასამტებლოს მოთხოვნის განხორციელება ძირითადი უფლების გარეშე (იხ. ქეთევან მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, ტომი I, თბილისი, 2020, გვერდი 89). პირგასამტებლოს აქცესორული ბუნება განაპირობებს იმ ფაქტსაც, რომ მისი დაკისრების წინაპირობას წარმოადგენს მოვალის მიერ ვალდებულების ბრალეულად დარღვევა. პირგასამტებლო უსაგნო იქნება, როცა მოვალის ბრალის გარეშე ვალდებულება ვერ შესრულდება ან ხელშეკრულება გაუქმდება. პირგასამტებლოთი ვალდებულების უზრუნველყოფა სულაც არ ცვლის პასუხისმგებლობის საერთო საფუძველს. ამიტომაცაა, რომ თუკი ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა, მაშინ მას არც პირგასამტებლოს გადახდა და დაეკისრება (იხ. ლადო ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, მუხლი 417, თბილისი, 2001,

გვ. 489-490; ქეთევან მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, ტომი I, თბილისი, 2020, გვერდი 89, სუსგ 31 მაისი, 2022 წ. საქმე №ას-1006-2021, პ.17).

115. პირგასამტებლო ნარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების ნარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტებლოს მოთხოვნის თვალსაზრისით ურადსალებია მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის საკითხი. ვალდებულების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს როგორც ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებაში, ასევე ვალდებულების შეუსრულებლობაში. პირგასამტებლოს დაკისრებისათვის ვალდებულების დარღვევა (შესურულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება) აუცილებლად მოვალის ბრალეულობით უნდა იქნეს გამოწვეული. თუ არ დადგინდება მოვალის ბრალი, მაშინ მის მიმართ პირგასამტებლოს დაკისრების მოთხოვნა-საც არ ექნება სამართლებრივი საფუძველი (იხ. სერგი ჯორბენაძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 417, ველი 23-26). პირგასამტებლოს დაკისრება ხდება ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. შესაბამისად, პირგასამტებლოს დაკისრება მოაზრებულია მხოლოდ ძირითადი ან/და დამატებითი ვალდებულების დარღვევისას (იხ. გიორგი ვაშაკიძეს, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010 წ. გვ. 232). მტკიცების ტვირთის განანილების მხრივ კრედიტორმა უნდა ამტკიცოს ვალდებულების დარღვევა და პირგასამტებლოს თაობაზე წერილობითი შეთანხმების არსებობა, ხოლო მოვალის მტკიცების ტვირთის ნარმოადგენს ვალდებულების ჯეროვანი შესრულება ან მისი ბრალეულობის გამორიცხვა (იხ. ქეთევან მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, ტომი I, თბილისი, 2020, გვერდი 93) (შდრ: სუსგ №ას-213-2023, 11 აპრილი, 2023 წ.).

116. კასატორის ერთ-ერთი პრეტენზიას ნარმოადგენს, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ, წინარე ხელშეკრულების ფარგლებში, მოსარჩელემ მიიღო მხოლოდ 8 ბინა და 11 ავტოსადგომი. გაურკვეველია, როგორ მივიდა სააპელაციო სასამართლო ამ დასკვნამდე, რადგან, 2017 წლის 14 ნოემბრის მდგომარეობით, მოსარჩელეს მიღებული პქონდა 10 ბინა, რაც დასტურდება მოსარჩელე შპს-ს იმუამინდელი დირექტორის ხელმოწერით. დოკუმენტი ინგლისურენოვანია და ნარმოდგენილია თარგმანი. აღნიშნული წერილი ადასტურებს, რომ მოსარჩელემ იმაზე მეტი ქონება მიიღო, ვიდრე ამას თავად მოწინააღმდეგები განმარტავ-დნენ, რაზეც სააპელაციო პალატას არ უმსჯელია. გარდა ზემოაღ-

ნიშნულისა, მოსარჩელემ ასევე მიიღო 368 903 აშშ დოლარის ღირებულების უძრავი ქონება შემდეგი ოთხი ბინის სახით: ბინა №38 (საკადასტრო კოდი: ..., ასანაზღაურებელი ფართი: 65.2 კვ.მ.); ბინა №44 (საკადასტრო კოდი: ..., ასანაზღაურებელი ფართი: 131.9 კვ.მ.); ბინა №45 (საკადასტრო კოდი: ..., ასანაზღაურებელი ფართი: 65.6 კვ.მ.); ბინა №46 (საკადასტრო კოდი: ...). აღნიშნული ბინები, მოსარჩელის მითითებით, გაფორმდა მოსარჩელე კომპანიის იმუსამინდელი დირექტორისა და მისი მეუღლის სახელზე, რის შესაძლებლობასაც იძლეოდა ხელშეკრულების მე-8 მუხლი. რაც შეეხება მყიდველის მოთხოვნას, რომ მის სახელზე გაფორმებულიყო 4 ბინა, წარმოდგენილია დაზუსტებული შესაგებლის 81-83 გვერდებზე. საგულისხმოა, რომ დირექტორის სახელზე გაფორმდა №44 აკტოსადგომიც, რომლის მიღება მოსარჩელეს სადაცოდ არ გაუხდია. დირექტორმა კი სასამართლო სხდომაზე დაადასტურა, რომ №44 ავტოსადგომი 2022 წლის 18 აპრილს ბინასთან ერთად შეიძინა (იხ. საკასაციო საჩივარი, წინამდებარე განჩინების პ.39-40).

117. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს მხარისათვის განჭვრეტადი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, წმ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინამე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადაწყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტზე პასუხის გაცემა, რომელიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე Seryavin and Others v. Ukraine წმ 55-62). სასამართლოს აქვს

ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. Kraska v. Switzerland, § 30; Van de Hurk v. the Netherlands, § 59; Perez v. France, § 80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. Milatova and others v. The Czech republic §59; Niderost-huber v. Switzerland, § 24; K.S. v. finland §21). „კანონმდებელს აკისრია ვალდებულება, რომ მოსამართლე უზრუნველყოს სახელმძღვანელო მიმართულებებით, რომლებიც განჭვრეტადს ხდიან მის მიერ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას, გარდაუვალობას, იმავდროულად, მოქალაქეს უქმნიან წარმოდგენას, თუ რა ზომები იქნება მის მიმართ გატარებული“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/384).

118. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

119. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს

წარმოადგენს ფაქტების მითითების ტვირთისა და ფაქტების დამტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

120. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კონცენტრირებულად შეჯიბრებითობის პრიციპი გამოხატულია სსსკ-ის 102-ე მუხლში, რომლის თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოცხადდება მხარე, რომელმაც უკეთ შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივ დასაბუთებულობაში, ანუ მხარე, რომელმაც მიუთითა ფაქტებზე, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას (შესაგებელს) და წარმოუდგინა სასამართლოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტებს.

121. ფაქტების დამტკიცების პროცესი საკმაოდ დეტალურად რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, განსაზღვრულია მტკიცების საშუალებათა (მტკიცებულებათა) წრე, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, ამ მტკიცებულებათა დასაშვებობა და განკუთვნადობა, მტკიცების ტვირთის (მოვალეობის) განაწილება მხარეთა შორის, ანუ რომელმა მხარემ რა გარემოება უნდა დაამტკიცოს, მტკიცებულებათა გამოკვლევის წესი, მტკიცებულებათა შეფასების ზოგადი წესები და ა.შ.

122. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კრიტერიუმი, რომითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის მინარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურსამართლებრივი ნორმა (შდრ: სუსგ №ას-1152-2021, 31 იანვარი, 2022). შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც მოთხოვნის შეჩერების ან გაქარწყლების საფუძველია (იხ. დამატებით: ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, „სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა“, თბილისი, 2003, გვ. 67).

123. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნეს სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მიხედვით ისეთი ფაქტები, როგორიცაა: 1) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივი შედეგი (სარჩელის მიღება წარმოებაში, ან ასეთ მიღებაზე

უარის თქმა); 2) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი, ანუ მთავარი საძიებელი ფაქტები (სარჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა); 3) მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მთავარი, ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება – დადასტურება (იხ. დამატებით: ზ. ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბილისი, 2007 წ., გვ. 13). შესაბამისად, სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანია მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნების (შესაგებლის) დასაბუთება-გამართლების მიზნით (იხ. დამატებით: თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2005 წ., გვ.215.).

124. მოსარჩელისათვის სასურველი შედეგის დადგომა, მისი სა-სარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც კანონი უკავშირებს მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ზუსტად იგივე უნდა განსაზღვროს იმ ფაქტების წრე, რომლებსაც უკავშირდება მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი დასაბუთებულობა. მიუთითონ ფაქტებზე, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს, არის თვითონ მხარეთა მოვალეობა. საკასაციო სასამართლოს მიერ არაერთ გადაწყვეტილებაშია მითითებული, რომ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემონმებისას სასამართლო იკვლევს, რამდენად ვლინდება სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების ის ერთობლიობა, რომლებიც სასარჩელო მოთხოვნის, ან მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლის წარმატებას განაპირობებს. სასამართლო ვალდებულია, განსაზღვროს მოთხოვნის ფარგლები (ისე რომ არ გასცდეს მას), მოძებნოს დავის მომნესრიგებელი შესატყვისი სამართლის ნორმა (სპეციალური ან ზოგადი წესი) და დაადგინოს იმ გარემოებათა არსებობა/არარსებობა (ფაქტობრივი გარემოებები), რომლებიც ამ ნორმის გამოყენებისთვის აუცილებელ წინაპირობებს წარმოადგენენ.

125. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარეთა შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების გათვალისწინებით წარმოდგენილ არცერთ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასებაზე დაყრდნობით.

126. სასსკ-ის მე-4 (1) მუხლი ადგენს სამართალნარმოების ისეთ ფუნდამენტურ პრინციპს, როგორიცაა შეჯიბრებითობა და განსაზ-

ლვრავს, რომ სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობები თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამ წესისაგან გამონაკლისი (ნორმის მე-2 ნაწილი) გამართლებულია, თუ ეს შესაბამისი საპროცესო მოქმედების შარეგულირებელი ნორმითაა გათვალისწინებული, ასევე, მხარეთა თანასწორობის საყოველთაო უფლების დაცვის მიზანს ემსახურება. შეჯიბრებითობა, როგორც სამართლიანი სასამართლოს ქვაკუთხედი, არაერთ საპროცესო ნორმაშია გადმოცემული და იგი, ბუნებრივია, მათ შორის მტკიცების ტვირთზე ახდენს გავლენას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიარებულია რა ფაქტზე მიმთითებელი მხარის ვალდებულება, წარადგინოს ამ ფაქტის დამადასტურებელი განკუთვნადი მტკიცებულებები, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ჩაერთოს ამ პროცესში, რამეთუ აქსიომატურია, რომ მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები (იხ. სსსკ-ის 83-ე, ასევე, 102-ე მუხლები).

127. „სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს ორი ამოცანა აქვს დასაძლევი: პირველ რიგში, მან უნდა გამოაკვიოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მეორე რიგში კი, მოსამართლემ სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. მოსარჩელემ სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ სარჩელი უკვე ამ საფუძველზევე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს არა აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოიძიოს სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი გარემოებები და შეაგროვოს მტკიცებულებები. თუ მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულია ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ადასტურებენ მოთხოვნის არსებობას, მაშინ უკვე მოპასუხეზეა დამოკიდებული, ამ გარემოებების არსებობის უარყოფა“ (იხ. თომას ჰერმანი, მტკიცებულებითი სამართალი, GIZ, თბილისი, 2016 წ., გვ.3-4).

128. „მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუ-

ხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩევე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემობა, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემობა, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკავყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს“ (იხ. ჰაინ. ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბილისი, 2004 წ., გვ.64).

129. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა ნამდვილი შეჯიბრება რეალურად შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ იყვნენ ამ შეჯიბრებაში მონაწილე მხარეები თანასწორნი. სასამართლო, ვერ გამოიტანს გადაწყვეტილებას, თუ მან არ მოუსმინა ორივე დაპირისპირებულ მხარეს ან არ მისცა მათ შესაძლებლობა გამოიყენონ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწიებული ყველა უფლება და მექანიზმით თავიანთი პოზიციის გასამართლებლად, თავიანთი უფლებების დასაცავად.

130. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ ეფექტურ საშუალებას, როგორიცაა შესაგებელი. შესაგებელი, როგორც მოპასუხის საპროცესო თავდაცვის საშუალება მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართლწარმოებაში, მასში ვლინდება წერილობითი შეჯიბრებითობის პრინციპი. იგი ასევე, ერთგვარი გამოხატულებაა დისპოზიციურობის (სსსკ-ის მე-3 მუხლი) პრინციპისა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარვების შესაძლებლობას. საპროცესო ავტონომიის ფარგლებში მოპასუხის გადასაწყვეტია ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრულებს თუ არა საქმეს მორიგებით, ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც გარკვეული ილად დავაში შესვლას და სარჩელში მითითებულ გარემოებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე სარჩელისაგან.

131. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ შესაგებლის ზოგადი კლასიფიკაცია შემდეგია: მატერიალური და საპროცესო შესაგებე-

ლი; აბსტრაქტული (ზოგადი) და კონკრეტული შესაგებელი; მარტივი და კვალიფიციური (არსებითი) შესაგებელი. რა ტიპის შესაგებელს წარადგენს მოპასუხე, სრულად თავსდება ამ უკანაკინელის ნების ავტონომის ფარგლებში. კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება გამომდინარეობს სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 წანილის შინაარსიდან (ივარაუდება, რომ შედავებული უნდა იყოს დაგის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ფაქტები და არა სამართლებრივი მოსაზრებები, ე.ი. ისეთი ფაქტები, რომელთა არსებობა წარმოშობენ მოთხოვნას), წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები, დამტკიცებულად ითვლება. მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პირველ რიგში საპროცესო შესაგებელს, ხოლო ამის შემდეგ მატერიალურ შესაგებელს. მატერიალური შედავება მიმართულია სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის მიღწევის წინააღმდეგ, რაც გულისხმობს მოპასუხის მხრიდან ისეთ ფაქტებზე (წინაპირობებზე) მითითებას, რომლებიც გამორიცხავენ, წყვეტის ან აფერხებენ (განუხორციელებელს ხდიან) სარჩელით მოთხოვნილი შედეგის დაგომას.

132. საკავაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ სსსკ-ის 201-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილების თანახმად, „პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შესარულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულება-თა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები). სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანი, რომელიც წარმოადგენს სადავო მატერიალურ-სამართლებრივ ფაქტებს, რომელზეც მიუთითებენ მოსარჩელე და მოპასუხე, მოთხოვნის თუ შესაგებლის დასაბუთების ან გაქარწყლებისათვის, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მტკიცებითი საქმიანობის გარეშე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მოპასუხე ვალდებულია, საქმის მომზადების მიზნით აქტიურად იმოქმედოს, რაც, უპირველესად, სასამართლოსათვის სარჩელზე მისი წერილობითი მოსაზრებების

წარდგენაში გამოიხატება. მოპასუხის მიერ ამ უფლების განუხორციელებლობა, სსსკ-ის 206-ე მუხლის შესაბამისად, ართმევს მას უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს (ანუ, სასამართლოს სხდომაზე მხარისაგან მტკიცებულების მიღება აღარ ხდება). ამ შემთხვევისათვის სხვა რაიმე სპეციალურ შედეგს კანონი არ ადგენს“ (შდრ. სუსგ დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017, პ.201).

133. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაგებლის სახეებიდან განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია კვალიფიციურ შედავებას. კვალიფიციური შედავება იურიდიულ დოქტრინაში განმარტებულია შემდეგნაირად: „მოპასუხე მოსარჩელის მოხსენების ნაცვლად წარმოადგენს მოვლენათა განვითარების მისეულ, განსხვავებულ ვერსიას, რომელიც ცალკეულ საკითხებში სადავოს ხდის მოსარჩელის მოხსენებას“ (შდრ. მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესისამოქალაქის სამართალში, შ.შმიტი, ჰ.რიპტერი, (GIZ), 2013წ., გვ.19.). კვალიფიციურ შედავებას არსებით შედავებადაც მოიხსენიებენ. ამგვარი შედავება, ერთი მხრივ, შეიძლება გამორიცხავდეს სარჩელის დაკმაყოფილებას უსაფუძვლობის გამო, ხოლო მეორე მხრივ, ცვლიდეს მოსარჩელის მიერ შემოთავაზებული სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციას, საიდანაც მოსარჩელეს დამატებითი მოხსენების (ფაქტების მითითების) გარეშე გაუჭირდება იმ შედეგის მიღწევა, რომელიც სარჩელით აქვს მოთხოვნილი. კვალიფიციური (არსებითი) შედავება მოსამართლეს ავალდებულებს მოიძიოს მოთხოვნის სხვა დამფუძნებელი ნორმა, ასევე შეამონმოს საგამონაკლისო ნორმები.

134. მას შემდეგ, რაც მოსამართლე მოიძიებს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, განსაზღვრავს ნორმის ფაქტობრივ ელემენტებს (ნინაპირობებს), ამ ნინაპირობებს მიუსადაგებს მოსარჩელის მიერ მოხსენებულ ფაქტებს და თითოეულ ნინაპირობაზე გასცემს დადებით პასუხს, იგი ამონმებს რომელ ფაქტებს ხდის მოპასუხე სადაცოდ (მოპასუხის სტადია). თუ მოპასუხეს არ აქვს წარდგენილი კვალიფიციური (არსებითი) შედავება, არამედ მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების უარყოფით შემოიფარგლება, მოსამართლე გადადის მტკიცების სტადიაზე, რაც ნიშნავს სადაცოდ გამხდარი ფაქტების დადგენის პროცესს. მოპასუხის მხრიდან არსებითი ხასიათის შედავების შემთხვევაში, მოსამართლემ ასევე უნდა მოიძიოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც გამორიცხავს, წყვეტს ან აფერხებს მოთხოვნის განხორციელებას, ხოლო ნორმის ნინაპირობების შემონმება იმავე წესით ხორციელდება. აქაც მნიშვნელოვანია რას პასუხობს მოსარჩელე მოპასუხის არ-

სებით შედავებას, არ არის გამორიცხული მოსარჩელემაც კვალი-ფიციური პასუხი გასცეს მოპასუხის ამგვარ განმარტებას. ამდე-ნად მოსამართლე ასე უწყვეტად გადადის მოსარჩელის სტადიო-დან მოპასუხის სტადიაზე და პირიქით, ვიდრე არ დასრულდება მხარეთა განმარტებების ურთიერთგაცვლის პროცესი, რომლის შე-დეგადაც უნდა გაირკვეს უდავო და სადავო (მტკიცების საგანში შემავალი) ფაქტები.

135. მტკიცებულებების შემოწმების მიზანია მტკიცებასავალ-დებულო სადავო გარემოებების დადგენა (იხ. დამატებით: შტეფან შმიტი, ჰარალდ რიპტერი, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართლში, GIZ, 2013, გვ.22,23).

136. შესაგებლის შინაარსობრივი მხარე, განსაკუთრებით ფაქ-ტობრივი ნაწილი გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთზე. სსკ-ის 102.1 მუხლის ზოგადი დათქმიდან გამომდინარე, უფლების შემ-წყვეტი, შემაფერხებელი და გამომრიცხველი შესაგებლის მტკი-ცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს. მოსამართლეს დავის გადა-საწყვეტად სჭირდება რელევანტური ფაქტები, რომელთა წარდგე-ნაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მხარებს (შდრ: სუს №ას-354-2021, 25.06.2021წ., პ.102; №ას-935-2020, 13 ივნისი, 2023 წ).

137. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოპასუხის შესაგე-ბელი უნდა გადმოსცემდეს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი გა-მართული/დასაბუთებული სასარჩელო განცხადებისა და მასში მი-თითებული ფაქტობრივი გარემოებებისაგან განსხვავებულ სუ-რათს იმისათვის, რომ მიჩნეულ იქნეს არსებითად. შესაბამისად, მოპასუხის განსხვავებული განმარტებები უნდა შეფასდეს სარ-ჩელთან და მასში მითითებულ ფაქტობრივი გარემოებებთან მიმარ-თებით. სწორედ, აქედან გამომდინარე, მოპასუხის სტადიაზე გან-სახორციელებული შემოწმება არ მოიცავს შესაგებლის (თავის თავ-ში, განვენებულად) გამართულობას და დასაბუთებულობას (მო-სარჩელის სტადიის მსგავსად), არამედ მიმართულია შესაგებლის არსებითობის გამოკვლევაზე (აღნიშნული მოიაზრებს მოპასუხის მითითებებისა და განმარტებების არსებითობას სასარჩელო გან-ცხადებაში მითითებული გარემოებების მიმართ) (იხ. დამატებით: შტეფან შმიტი, ჰარალდ რიპტერი, მოსამართლის მიერ გადაწყვე-ტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, GIZ, 2013, გვ.15,16). შესაგებელი იმდენად უნდა იყოს კონკრეტული, რამდე-ნად კონკრეტულიცაა სარჩელი, მასში მითითებული გარემოებები (შდრ. იქვე, გვ.17,18).

138. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მო-სარჩელის მიერ მითითებულ (არსებით) გარემოებებზე შედავებას საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთების გარეშე, მაშინ

ამ გარემოებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უკვე მტკიცების სტადიაზე მიიღება იმისდა მიხედვით, (მტკიცების ტვირთის განაწილების გათვალისწინებით) დამტკიცდება თუ არა ეს სადაც გარემოებები; თუ მოპასუხე ვერ ახერხებს საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთებას და ვერც მოსარჩელის მიერ მითითებული და მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების სათანადო შედავებას, სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის სასარგებლოდ დააკმაყოფილოს სარჩელი; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს სამართლებრივი შესაგებლის დასაბუთებას და თუ მოსარჩელე არ ხდის სადაც მის შესაგებელს, მაშინ სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ უარი უნდა ეთქვას სარჩელს საპირისპირო (მოთხოვნის გამომრიცხავი) ნორმის არსებობის გამო; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის არსებითი გარემოებების შედავებას და ასევე, საპირისპირო ნორმის წინაპირობების საკმარისად დასაბუთებას, მაშინ მტკიცების სტადიაზე უნდა გაირკვეს, მტკიცდება თუ არა სადაც გარემოებები (მტკიცების ტვირთის გადანაწილების შესაბამისად). შემდეგ ეტაპზე, უნდა შემონაბეჭდის, ახერხებს თუ არა მოსარჩელე თავისი მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების იმგვარ დასაბუთებას, რომელიც, ასევე, აქარნწყლებს მოპასუხის მიერ დასაბუთებულ საპირისპირო მითითებებს (ნორმებს).

139. განსახილველ საქმეზე დადგენილია, რომ მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი.

140. მოპასუხემ მოთხოვნის განხორციელების გამომრიცხველი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოპასუხეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჯეროვნად აქვს შესრულებული. მითითებული რვა ბინის გარდა, 2017 წლის 15 სექტემბერსა და 20 დეკემბერს, მოსარჩელემ ასევე მიიღო 368 903 აშშ დოლარის ლირებულების უძრავი ქონება შემდეგი ოთხი ბინის სახით: ბინა №38 (საკადასტრო კოდი: ..., ასანაზღაურებელი ფართი: 65.2 კვ.მ.); ბინა №44 (საკადასტრო კოდი: ..., ასანაზღაურებელი ფართი: 131.9 კვ.მ.); ბინა №45 (საკადასტრო კოდი: ..., ასანაზღაურებელი ფართი: 65.6 კვ.მ.); ბინა №46 (საკადასტრო კოდი: ...). აღნიშნული ბინები, მოსარჩელის მითითებით, გაფორმდა კომპანიის იმჟამინდელი დირექტორის აა.ა.ს.ბ-სა და მისი მეუღლის მ. რ-ოს სახელზე, რის შესაძლებლობასაც იძლეოდა ხელშეკრულების მე-8 მუხლი (იხ. დანართი 7). საგულისხმოა, რომ ა.ა.ს.ბ-ზე გაფორმდა №44 ავტოსადგომიც (საკადასტრო კოდი: ...), რომელსაც მოსარჩელე სადაც არ ხდის, შესაბამისად, მოსარჩელემ სრულად მიიღო თავისი დაგვიანებული გადახდების ექვივალენტური ქონება. რაც შეეხება წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დანარჩენ ბინებს, მოსარ-

ჩელეს არ გადაუხდია მათი საფასური და, შესაბამისად, არც გააჩნდა მათი გადაცემის მოთხოვნის უფლება. იმის გათვალისწინებით, რომ წინარე ხელშეკრულება ექვემდებარებოდა გამყიდველის მხრიდან ცალმხრივად შეწყვეტის მყიდველის მიერ ზედიზედ სამი თვის განმავლობაში გადახდის განუხორციელებლობისას (ზუხლი 7), მოპასუხემ ხელშეკრულება შეწყვიტა 2018 წლის მარტში და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ბინების გასხვისება (დანართი 8) (იხ. შესაგებელი, წინამდებარე განჩინების პ.5).

141. მოპასუხე შპს-ძ როგორც შესაგებელს, აგრეთვე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს 2019 წლის 26 ნოემბრის განჩინების გაუქმების მოთხოვნით შეტანილ საჩივარს, თან დაურთო მოპასუხე შპს-ის იმუამინდელ დირექტორსა და მოსარჩელე შპს-ის იმუამინდელ დირექტორს შორის 2017 წლის 03 დეკემბრის წერილობითი მიმოწერა, სადაც მოსარჩელე შპს-ს დირექტორი მოპასუხისაგან მოითხოვს, რომ დოკუმენტები და ხელშეკრულებები ოთხი ბინისათვის, უზდა იყოს მოსარჩელე შპს-ის დირექტორის ა.ა.ს.ბ-ის სახელზე რეზიდენტის ბარათის ნომერით: 15tr4... საქმეში მოსარჩელე შპს-ის მიერ წარმოდგენილია ამონანერი მენარმე-თა და არასამენარმე (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი B..., 05/04/2018, სადაც მთითოებულია, რომ შპს ა-ის-ის 100% წილის მესაკუთრე პარტნიორს და იმავდროულად დირექტორს, წარმოადგენს ა.ა.ს.ბ., ირანი(ისლამური რესპუბლიკა) საქმეში მოსარჩელე შპს-ის მიერ წარმოდგენილია ცხრილი 1 შეთანხმებული მეტრაჟი, სადაც მითითოებულია სადაცო ბინებიც.

142. მოპასუხემ როგორც შესაგებელში, ასევე სააპელაციო საჩივარში მიუთითა, რომ სადაცო ოთხი ბინის გადაცემის ვალდებულება გათვალისწინებული იყო 2017 წლის 04 ივლისის წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით. აღნიშნული ხელშეკრულების მე-8 მუხლი მყიდველს (მოსარჩელეს) უფლებას ანიჭებდა მიეთითებინა გამყიდველისათვის (მოპასუხე) იმ პირებზე, რომლებზეც უნდა გაფორმებულიყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონება. საქმეშია მყიდველის მიერ გამყიდველისათვის გაგზავნილი 2017 წლის 03 დეკემბრის ელექტრონული მიმოწერა, სადაცო ბინების გადაფორმების მომენტში, ა.ა. ს.ბ. იყო მყიდველი კომპანიის დირექტორი და 100% წილის მესაკუთრე პარტნიორი და არა მყიდველთან კავშირის არმქონე მესამე პირი. შესაბამისად, სწორედ მისი მითითებით მოხდა სადაცო ბინების მისსავე და მისი მეუღლის სახელზე გადაფორმება. სადაცო ოთხი ბინის გადაცემა განხორციელდა იმავე პერიოდში, რა პერიოდშიც დანარჩენი 8 ბინისა და 11 ავტოსადგომის – 2017 წლის სექტემბერსა და დეკემბერში. გამყიდველს არ

მიუღია სადაცო ბინების ნასყიდობის ფასი ა.ა.ს.პ-გან სხვა ანაზღაურება, გარდა მყიდველი კომპანიის მიერ გადახდილი თანხისა. სარჩელის შეტანამდე (2019 წლის 25 დეკემბერი) მყიდველ კომპანიას არ განუცხადებია რაიმე პრეტენზია ბინების გადაცემასთან დაკავშირებით, რაც არარეალური იქნებოდა ბინების არასრულად მიღების შემთხვევაში (12-ვე ბინა ავტოსადგომთან ერთად მყიდველმა კომპანიამ 2017 წელს მიიღო, ხოლო სარჩელი აღძრა ორი წლის შემდეგ). გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მყიდველმა კომპანიამ სარჩელი აღძრა მას შემდეგ, რაც ა.ა.ს.პ-მა გაასხვისა თავისი წილი ამ კომპანიაში და გათავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან.

143. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა, რომ მოსარჩელე შპს-ს დირექტორისათვის გადაცემული 3 უძრავი ქონება და დირექტორის მეუღლისითვის გადაცემული ერთი უძრავი ქონება უნდა ჩაითვალოს მოსარჩელის მიმართ ვალდებულების შესრულებად. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სსკის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულება დადებულია მოსარჩელესთან, თანხა გადახდილია იურიდიული პირის მიერ. შესაპამისად, შესრულების კრედიტორს წარმოადგენს მოსარჩელე. დირექტორისა და მისი მეუღლისითვის უძრავი ქონების გადაცემა ვერ ჩაითვლება მოსარჩელის მიმართ ვალდებულების შესრულებად, ვინაიდნან უძრავ ქონებაზე ამ უკანასკნელის საკუთრების უფლება საჯარო რეესტრის ამონანერით არ დასტურდება. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა მხარეთა შორის 2017 წლის 4 ივლისის „უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების“ მე-8 მუხლის მეორე აბზაცზე, რომელიც შენიშვნის სახით მიუთითებს, რომ „მყიდველს უფლება აქვს, უძრავი ქონების მის სახელზე გაფორმებისას ბინები გააფორმოს მესამე პირებზე, რომელთაც იგი წერილობით წარუდგენს გამყიდველს“. პალატამ მიიჩნია, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბინების თუნდაც მოსარჩელე შპს-ს დირექტორის და მისი მეუღლის სახელზე გაფორმების შემთხვევაში უნდა ყოფილიყო მინიმუმ წერილობითი მითხოვნა (მიმართვა) მოპასუხის მიმართ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონკრეტული ბინები საკუთრების უფლებით გაფორმებულიყო კონკრეტულ კერძო პირებზე, რაც საქმის მასალებში არა წარმოდგენილი (იხ. სააპელაციო სასამართლოს განჩინება, წინამდებარე განჩინების პ.20-21).

144. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს. მტკიცებულებათა შეფასება ეფუძნება შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველ-

მხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას და არა – სასამართლოს სუბიექტურ მოსაზრებებს. სასამართლო ობიექტურ საწყისებზე მტკიცებულებათა ყოველმხრივი და სრული გამოკვლევის შედე-გად ადგენს მათ იურიდიულ ძალას, კერძოდ, განსაზღვრავს თუ რა გარემოების დადგენა ან პირიებით, უარყოფაა შესაძლებელი. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მტკიცებულებათა შეფასება მათი უტყუარობის თვალსაზრისით, რისთვისაც საჭიროა ამ მტკი-ცებულებათა ყოველმხრივი შემონმება, მათი დაპირისპირება საქ-მეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან. მტკიცებულებათა შე-ფასებას კი პროცედურულად მოჰყვება საქმის ფაქტობრივი გარე-მოებების დადგენა.

145. საკასაციო პალატა კასატორის პრეტენზის ფარგლებში ყუ-რადლებას მიაქცევს მოპასუხის მიერ შესაგებელზე დართულ მყიდ-ველის მიერ გამყიდველისათვის გაგზავნილი 2017 წლის 03 დეკემ-ბრის ელექტრონული მიმოწერას, სადაც ბინების გადაფორმების მომენტში, ა.ა.ს.ბ-ი იყო მყიდველი კომპანიის დირექტორი და 100% წილის მესაკუთრე პარტნიორი და არა მყიდველთან კავშირის არ-მქონე მესამე პირი. აღნიშნული მიმოწერით, მოსარჩევე შპს-ს დი-რექტორი მოპასუხისაგან მოითხოვს, რომ დოკუმენტები და ხელ-შეკრულებები ოთხი ბინისათვის, უნდა იყოს მოსარჩევე შპს-ის დი-რექტორის ა.ა.ს.ბ-ის სახელზე რეზიდენტის ბარათის ნომერით: 15tr....

146. საკასაციო პალატა ყურადლებას მიაქცევს მხარეთა შორის 2017 წლის 04 ივლისს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის წი-ნარე ხელშეკრულების 8.1 მუხლზე, სადაც მითითებულია, რომ მყიდველს უფლება აქვს, უძრავი ქონების მის სახელზე გადაფორ-მებისას ბინები გადააფორმოს მესამე პირებზე, რომელთაც იგი წე-რილობით ნარუდგენს გამყიდველს.

147. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექ-სის 373-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალე ვალდებუ-ლია შეუსრულოს ვალდებულება კრედიტორს ან იმ პირს, რომე-ლიც კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებამოსი-ლია მიიღოს შესრულება.

148. განსახილველი ნორმა ითვალისწინებს უფლებამოსილი პი-რის მიმართ ვალდებულების შესრულებას, თუმცა, ნორმის სწორი განმარტების მიზნებისათვის პირველ რიგში, იგი, განხილული უნ-და იქნეს მხარეთა შორის არსებული ურთიერთობასთან მიმართე-ბით. ამგვარი მიდგომა განპირობებულია სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა დასაშვებობის ინსტიტუტის თავისებურებით, რომლის ამოსავალი დებულება იმაში მდგომარეობს, რომ მტკიცე-ბულებათა დაშვების ან ამორიცხვის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ

ნებართვების თუ აკრძალვების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია მატერიალური ნორმით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ კომპონენტს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ყველა მნიშვნელოვან გარემოებებზე.

149. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, ვის მიმართაც კრედიტორმა უნდა შეასრულოს ვალდებულება. ასეთად, პირველ რიგში, ითვლება უშუალოდ კრედიტორი. ამასთან, ეს უკანასკნელი არ არის ერთადერთი პირი, რომლის მიმართაც შეიძლება შესრულდეს ვალდებულება. კანონდებლობაში ზოგადი წესებიდან დაშვებულია გამონაკლისი. მოვალის მიერ ვალდებულება შეიძლება ფაქტობრივად მესამე პირის მიმართაც შესრულდეს. ეს შეიძლება იყოს კრედიტორის მიერ შესრულების მიღებაზე უფლებამოსილი პირი ე.წ. შესრულების ფაქტობრივი მიმღები პირი. თუმცა მოვალის მიერ მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულებისას, ასევე, მხედველობაშია მისაღები კრედიტორის ნება-სურვილი. ამ შემთხვევაში, მოვალე საჭიროებს კრედიტორის თანხმობას. თანხმობა შეიძლება გამოიხატოს შესრულების განხორციელებამდე ან შესრულების განხორციელების შემდეგ (შესრულების მოწონება). კრედიტორის წაცვლად შესრულების მიმღები მესამე პირის უფლებამოსილება შეიძლება, სხვადასხვავარად დადგინდეს, მაგალითად, როგორიცაა წერილობითი საბუთი, რომლითაც დგინდება მესამე პირის ვინაობა; მინდობილობა; სადამცუქნებლო დოკუმენტები (იურიდიული პირების მიმართ) ან გამომდინარეობდეს საქმის გარემოებებიდან” (მდრ. სუსგ №ას-1003-924-2017, 01 დეკემბერი, 2017 წელი).

150. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მეტად მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს ვალდებულების შესრულება არაუფლებამოსილი პირის მიმართ. თუ ეს არ ხდება, კრედიტორის თანხმობით, მოვალის მიერ ვალდებულება შესრულებულად არ ჩაითვლება. მოვალეს ვალდებულების დარღვევის გამო, დაეკისრება კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. თავის მხრივ, მოვალეს უფლება აქვს არაუფლებამოსილი პირის მიმართ განხორციელებული შესრულებისას, მოითხოვოს მისგან შესრულების უკან დაბრუნება არა რეგრესული მოთხოვნის, არამედ უსაფუძლო გამდიდრების (სსკ-ის 976-ე მუხლი) საფუძველზე.

151. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წერი-

ლობით მტკიცებულებას წარმოადგენს აქტები, საბუთები, საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ.

152. 2017 წლის 03 დეკემბრის მიმოწერა (ნამდვილობის თვალსაზრისით მოსარჩელეს დასაბუთებული შედავება არ წარმოუდგენია) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილის კონტექსტში, წერილობითი ხასიათის მტკიცებულებაა, პირადი ხასიათის წერილია, რომელიც შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ.

153. შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობაში შეუფასებლობის შესახებ [სსსკ-ის 105-ე, 407.1, 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 396-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი].

154. კასატორი აღნიშნავს, რომ რაც შეეხება მოსარჩელის იმუამინდელი დირექტორის მიერ ნაღდი ანგარიშსწორებით მოპასუხებსას იმდროინდელი დირექტორისათვის თანხის გადახდის თაობაზე 2022 წლის 18 აპრილის სხდომაზე მიცემულ ჩვენებას, იგი არასანდოა და არარელევანტურია. თანხის გადაცემის ფაქტის დადგენის ამგვარი მეთოდი, სასამართლო პრაქტიკითაც მიუღებელია, მით უფრო იმ ოდენობის თანხს, როგორის 400 000 აშშ დოლარია, ქუჩაში გადაცემის გზით. აღნიშნულთან დაკავშირებით, კასატორმა მიუთითა საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკაზე (სუსგ-ები: №ას-1288-2019, 4.03.2021წ. პ.99; №ას-1147-2018, 30.09.2019წ., №ას-334-2021, 5.11.2021წ.). კასატორი მიუთითებს, რომ არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც აღნიშნული პირის მიერ მოპასუხებისათვის რაიმე თანხის ცალკე გადახდას დაადასტურებდა (იხ. საკასაციო საჩივარი, წინამდებარე განჩინების პ.40). (საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კასატორს აღნიშნული პრეტენზია განცხადებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარშიც, კერძოდ აპელანტი აღნიშნავდა, რომ მოწმის ჩვენება არასარწმუნო და წინააღმდეგობრივია, რადგან მოწმეს არ ახსოვდა თანხის ოდენობა, რომელიც მისი თქმით, პირადად გადასცა გამყიდველი კომპანიის იმუამინდელ დირექტორს; არარეალურია ბინების ნასყიდობის ფასის (400000-მდე აშშ დოლარი) ხელზე „კონვერტით“ გადაცემა, (როგორც მოწმემ აღნიშნა), მით უფრო ყოველგვარი ხელწერილისა თუ თანხის გადაცემის რამე წერილობითი დოკუმენტის არარსებობის პირობებში. მოწმემ დადასტურა, რომ მან როგორც მყიდველი კომპანიის დირექტორმა ხელი მოაწერა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებას და რომ მისთვის ცნობილი იყო ამ ხელშეკრულების შინაარსი, მათ შორის, ის ფაქტი, რომ სადავო ბინები წარმოადგენ-

და ამ ხელშეკრულებით გადასაცემ ქონებას. მოწმემ დადასტურა, რომ სადაც ბინებთან ერთად მიიღო ავტოსადგომიც, ხოლო ეს ფაქტი მოსარჩელის მიერ არ არის სადაცოდ გამხდარი. მოწმე დაკავშირებულია მყიდველ კომპანიასთან, როგორც ამ კომპანიის ყოფილი დირექტორი, შესაბამისად ის იყო მიკერძოებული და დაინტერესებული პირი. გარდა ამისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მყარად დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, ფულადი ვალდებულების შესრულების ფაქტი, არ შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით.

155. სააპელაციო პალატამ გასაჩივრებულ განჩინებაში მიუთითა, რომ საქმეზე მოწმის სახით დაკითხებული მოპასუხე შპს-ს ყოფილი დირექტორის განმარტებით, მის სახელზე გაფორმებული უძრავი ქონების ს/კ ..., ს/კ... და ს/კ... და მისი მეუღლის სახელზე გაფორმებული უძრავი ქონების – ს/კ ... დირექტორება გადახდილია მის მიერ და არა მოსარჩელის მიერ. მოცემულ შემთხვევაში უდავოა, რომ აღნიშნული ქონება მოსარჩელის საკუთრებას არ წარმოადგენს. კრედიტორს სარგებელი არ მიუღია. რაც შეეხება მოსარჩელის მაშინდელი დირექტორისა და მისი მეუღლის მიერ, სადაც ბინების სანაცვლოდ, თანხის გადახდას, აღნიშნული ფაქტი განსახილველი დავის ფარგლებს სცდება (იხ. წინამდებარე განჩინების პ.22).

156. საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს იმსჯელოს მტკიცებულების ისეთ სახეზე, როგორიცაა მოწმის ჩვენება. სსსკ-ის 140-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოწმედ შეიძლება იყოს ყოველი პირი, რომლისთვისაც ცნობილია რაიმე გარემოება საჭმის შესახებ.

157. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 102-ე მუხლის მესამე ნაწილი, რომელიც შეეხება „მტკიცებულებათა დასაშვებობას“ ადგენს ქცევის იმგვარ წესს, რომლის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მოწესრიგების გამოყენების საჭიროება, შესაბამისად, სადაც გარემოებების დასადასტურებლად დასაშვებია მოწმის ჩვენება, თუმცა ყველა მტკიცებულება უნდა შეფასდეს მათი უტყუურობისა და აგრეთვე, იმ თვალსაზრისით, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოების დადასტურებაა ამ მტკიცებულებებით შესაძლებელი.

158. საკასაციო პალატა განმარტავს, მოწმე იმით განსხვავდება პროცესის მონაწილე სხვა სუბიექტებისაგან, რომ მას არ გააჩ-

ნია საქმის შედეგის მიმართ იურიდიული დაინტერესება. ამდენად, მოწმე არის საქმის მიმართ იურიდიული ინტერესის არმქონე პირი. სტრასბურგის სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერ შემთხვევაში, მოწმეთა კომპეტენცია, პირველ რიგში ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად წესრიგდება (იხ. Lüdi v. Switzerland, გადაწყვეტილება 15.06.1992, სერია A, №238, გვ. 20, პარაგრაფი 43 და Schuler-Zgraggen v. Switzerland, გადაწყვეტილება 24.06.1993. სერია №263, გვ.21. პარაგრაფი 66, <https://hudoc.echr.coe.int>).

159. სსკ-ის 105-ე და 140-ე მუხლების ანალიზიდან კი, გამომდინარეობს, რომ მოწმის ჩვენების მიღებისას ეროვნულმა სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ყველა იმ ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორით, რაც ამ მტკიცებულების იურიდიულ ბუნებას ახლავს, მათ შორისაა მოწმის, როგორც სუბიექტის დამოუკიდებლობა მხარეთა შორის სადაც ფაქტებისა და მოვლენების მიმართ. სწორედ ამ კრიტერიუმებით განისაზღვრება ჩვენებაში გადმოცემული ფაქტების იურიდიული სანდობობა (იხ. დამატებით: ილონა გაგუა, მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო სამართლებრივ დავებზე, თბილისი, 2020 წ., გვ. 77.).

160. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ევროპული კონვენციის 6.1 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები მოიცავს სასამართლოს ვალდებულებას, მიუთითოს გადაწყვეტილების მიღების საკმარისი საფუძვლები. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასამართლო მტკიცებულებების დასაშვებად ცნობის და არგუმენტების შერჩევის დროს სარგებლობს შეფასების ფართო ფარგლებით, ის ვალდებულია, რომ საკუთარი ქმედებები გაამართლოს, გადაწყვეტილების მიღების შესაბამისი მიზეზების მითითებით (კარმელ სალიბა მალტის წინააღმდეგ – Carmel Saliba v. Malta, №24221/13, § 73, 29 ნოემბერი 2016; § 73). როდესაც მხარის არგუმენტს არსებითი მნიშვნელობა აქვს სამართლნარმოების შედეგზე, იგი საჭიროებს ნათელ და კონკრეტულ პასუხს (ჰირო ბალანი ესპანეთის წინააღმდეგ, Hiro Balani v. Spain, 9 დეკემბერი 1994, § 28, Series A №303-B; § 28). შესაბამისად, სასამართლოებს მოეთხოვებათ გამოიკვლიონ მხარეთა ძირითადი არგუმენტები (ბუზესკუ რუმინეთის წინააღმდეგ, Buzescu v. Romania, №61302/00, § 67, 24 მაისი 2005, § 67. დონაძე საქართველოს წინააღმდეგ – Donadzé v. Georgia, №74644/01, § 35, 7 მარტი 2006);).

161. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 429-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. ვალდებულების შესრულების თაობაზე დავის წარმოშობის შემთხვევაში, მტკიცების ტვირ-

თი მოვალეს აკისრია. მან უნდა დაამტკიცოს, რომ ვალდებულება შესარულა და ამით ვალდებულება შეწყდა. მოვალეს ესაჭიროება სათანადო მტკიცებულება, რომ შეწყვეტის მიზნით ვალდებულების შესრულების ფაქტი დაამტკიცოს. კრედიტორი ასეთი დოკუმენტის გაცემით ადასტურებს, რომ მან შესრულება მიიღო, ვალდებულება შესრულდა და შეწყვეტილია. პრაქტიკაში ვალდებულების შესრულების ან/და მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის სხვადასხვა სახე არსებობს, როგორიცაა: ქვითარი, მიღება-ჩაბარების აქტი, სალარონ გასავლის ორდერი, ხელწერილი, საბანკო გადარიცხვის ამონანერი და სხვა (შდრ: სუსგ სუსგ-1288-2019, 04 მარტი, 2019წ., პ.125.). ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი, როგორც საპროცესო, ისე მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, მოვალის ვალდებულებას წარმოადგენს (სსკ-ის 102-ე მუხლი და სსკ-ის 429-ე მუხლი).

162. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი წერილობითი ფორმით უნდა იქნეს შედგენილი, რათა დავის შემთხვევაში, გამოყენებული იქნეს მოვალის მიერ, როგორც ვალდებულების შეწყვეტის დამადასტურებელი მტკიცებულება. ფორმა, ნების გამოვლენის განცხადების საშუალება. კრედიტორი და მოვალე შეიძლება შეთანხმდნენ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ელექტრონულ ფორმაზეც (ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებაც). მოვალეს შეუძლია მოითხოვოს არა მხოლოდ ვალდებულების მთლიანად შესრულების დამადასტურებელი, არამედ მისი ნაწილობრივ შესრულების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტიც. მართალია, ფულადი ვალდებულების მარეგულირებელი ნორმები არ უთითებს გადახდის სავალდებულო ფორმაზე, თუმცა, იგი განმარტებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლით მოცემულ კონტექსტში. დასახელებული მუხლი, რომელიც სისტემურად მოთავსებულია სსკ-ის მექენიკური კარში (ვალდებულების შეწყვეტა შესრულებით) არეგულირებს ფულადი ვალდებულების შესრულების წესს. შესაბამისად, მოვალემ უნდა წარადგინოს უნაღდო ან ნაღდი ანგარიშსწორების გზით თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამოქალაქო კოდექსის 429-ე, 386-ე მუხლები). სსკ-ის 429-ე მუხლი ადგენს ვალდებულების შესრულების მიღების წესს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა აუცილებლობას წარმოადგენს მოვალისათვის, რადგან საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით, ფულადი ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი სწორედ მას ეკისრება.

163. მოსარჩელის მიერ ფულადი ვალდებულების დადასტურე-

ბის შემთხვევაში და ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე მისი მითითების პირობებში, მოქმედებს პრეზუმაცია, რომ მოპასუხეს ვალდებულება შესრულებული არ აქვს. ამდენად, ფულადი ვალდებულების დადასტურების ტვირთი აკისრია მოსარჩელეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმაცია მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე. ამ პრეზუმაციის გაქარნებულების ტვირთი (ვალდებულების შესრულების ტვირთი) აკისრია მოპასუხეს. ფულადი ვალდებულებების შესრულების თაობაზე წერილობითი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი) მოწმეების ჩვენება დასაშვებია მხოლოდ სხვა მტკიცებულებებთან ერთად.

164. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა დასაშვებობის ინსტიტუტი დამოკიდებულია მატერიალურ-სამართლებრივ ნორმის შინაარსზე ანუ სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა დაშვების ან ამორიცხვის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ნებართვების თუ აკრძალვების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია მატერიალური ნორმით. კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმომადგენ ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ ელემენტებს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც თუნდაც მოწმეთა ჩვენებებთან ერთობლივად უტყუარად მიუთითებენ ყველა მნიშვნელოვან გარემოებაზე.

165. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების დადასტურებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები. მოწმეთა ჩვენებებთან ერთად აუცილებელია ისეთი მტკიცებულების არსებობა, რაც ერთობლივად მაღალი აღბათობით დაადასტურებდა სადაც ფაქტს (მაგალითად, უშუალოდ კრედიტორის წერილი, თუნდაც მესამე პირისადმი მიმართული, რომელშიც მითითებული ინფორმაცია ვალდებულების შესრულების თაობაზე, ან/და კრედიტორის მოქმედები, რომლებიც მიუთითებენ ვალდებულების მიღებაზე და სხვა). სსკ-ის 429-ე მუხლის დანაწესი ზღუდავს მხარეებს არა გარიგების ფორმის, არამედ მტკიცებითი საშუალებების არჩევანში, შესაბამისად, ფულადი ვალდებულების შესრულება ვერ დადასტურდება მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით. ფულადი ვალდებულების შესრულებისას კანონი „არ ენდობა“ მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებს (ამ შემთხვევაში, მოწმის ჩვენების, როგორც არაპირდაპირი (ინდიციური) მტკიცებულების შეფასება, ემპირიული წესების საფუძველზე ხორციელდება სხვა მტკიცებულებთან შეფასების გზით) (შდრ: სუსგ ას-334-2021, 05 ნოემბერი, 2021 წ.).

166. შესაბამისად, საკასაციონ პალატა იზიარებს კასატორის პრე-ტენიას, რომ ფულადი ვალდებულების შესრულება არ შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით.

167. საკასაციონ პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, რაც მისი გაუქმების საფუძველია, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, ხოლო სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციონ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპარალუროში ხელახლა განსახილვების დაბრუნების საფუძვლები.

168. სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციონ სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილვებისა და აბრუნების საპარალუროში სასამართლოში, თუ: а) საქმის გარემოებები საპროცესო ხორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ გვეპუნქტებისა. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას თავად მიიღოს გადაწყვეტილება დავაზე, შესაბამისად, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილვების დაუბრუნდეს იმავე საპარალურო სასამართლოს, რომელმაც საკასაციონ პალატის წინამდებარე განჩინებაში მოცემული მსჯელობების შესაბამისად, უნდა შეამოწმოს მოსარჩევის მოთხოვნის წინაპირობები და საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი კვლევის შედეგად, განსაზღვროს უფლების საკითხი.

169. ვინაიდან საკასაციონ პალატის წინამდებარე განჩინებით საქმის წარმოება არ დასრულებულა, საკასაციონ პალატა მიიჩნევს, რომ (სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილვები, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით), ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციონ პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის 412-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 53-ე მუხლის მე-4 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

- შპს „ა.ჰ.ს-ოს“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
- გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 01 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსაზღველად დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასამართლოს;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ნაკლის მქონე ნივთის მიღება მყიდველის მიერ

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-437-2022

02 მაისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ნასყიდობის საფასურის გადახდა

აღნერილობითი ნაწილი:

1. შპს „ს.ნ.ჯ-ამ“ (შემდგომში – „გამყიდველი“) 2018 წლის 09 მარტიდან 2019 წლის 15 თებერვლამდე პერიოდში შპს „T.L.G.“-ს (შემდგომში – „მოპასუხ“, „მყიდველი“, „აპელანტი“ ან „ესასატორი“) მიაწოდა ჯამში – 775 795,51 ლარის ღირებულების პროდუქცია, კერძოდ:

1) 09.03.2018წ. №ეკ... კორექტირებული, დადასტურებული საგადასახადო ანგარიშფაქტურით დგინდება 204 774,49 ლარის ღირებულების პროდუქციის მიწოდება;

2) 10.04.2018წ. მყიდველის მიერ დადასტურებული №ეა-14... საგადასახადო ანგარიშფაქტურით დგინდება 172 014,02 ლარის ღირებულების პროდუქციის მიწოდება;

რებულების პროდუქციის მიწოდება;

3) 10.04.2018ნ. მყიდველის მიერ დადასტურებული №ეა... საგა-დასახადო ანგარიშფაქტურით დგინდება 97 672,17 ლარის ღირებულების პროდუქციის მიწოდება;

4) 27.06.2018ნ. მყიდველის მიერ დადასტურებული №ეა... საგა-დასახადო ანგარიშფაქტურით დგინდება 17 819,66 ლარის ღირებულების პროდუქციის მიწოდება;

5) 25.07.2018ნ. მყიდველის მიერ დადასტურებული №ეა-14... სა-გადასახადო ანგარიშფაქტურით დგინდება 16 069,09 ლარის ღირებულების პროდუქციის მიწოდება;

6) 15.10.2018ნ. მყიდველის მიერ დადასტურებული №ეა... საგა-დასახადო ანგარიშფაქტურით დგინდება 26 602,20 ლარის ღირებულების პრუფუქციის მიწოდება;

7) 15.11.2018ნ. მყიდველის მიერ დადასტურებული №ეა... საგა-დასახადო ანგარიშფაქტურით დგინდება 32 485,88 ლარის ღირებულების პროდუქციის მიწოდება;

8) 15.11.2018ნ. მყიდველის მიერ დადასტურებული №ეა... საგა-დასახადო ანგარიშფაქტურით დგინდება 28 387,04 ლარის ღირებულების პროდუქციის მიწოდება;

9) 15.11.2018წ. №ეა-14... კორექტირებული, დადასტურებული ანგარიშფაქტურით დგინდება 131 078,90 ლარის ღირებულების პროდუქციის მიწოდება;

10) 15.02.2019ნ. მყიდველის მიერ დადასტურებული №ეა... სა-გადასახადო ანგარიშფაქტურით დგინდება 48 892,06 ლარის ღირებულების პროდუქციის მიწოდება.

2. მოპასუხეს ნასყიდობის საფასურის სახით, მოსარჩელის სა-სარგებლოდ გადახდილი აქვს ჯამში 633 166,62 ლარი, კერძოდ:

- 2017 წლის 29 სექტემბერს - 90 000 ლარი;
- 2018 წლის 23 თებერვალს - 22 942,17 ლარი;
- 2018 წლის 26 მარტს - 31 972,91 ლარი;
- 2018 წლის 04 აპრილს - 269 495,79 ლარი;
- 2018 წლის 05 ივნისს - 1 788,10 ლარი;
- 2018 წლის 07 ივნისს - 6 412,50 ლარი;
- 2018 წლის 20 ივლისს - 18 684,95 ლარი;
- 2018 წლის 30 ივლისს - 62 615,20 ლარი;
- 2018 წლის 21 აგვისტოს - 7000 ლარი;
- 2018 წლის 23 აგვისტოს - 2500 ლარი;
- 2018 წლის 30 აგვისტოს - 1000 ლარი;
- 2018 წლის 06 სექტემბერს - 50 000 ლარი;
- 2018 წლის 02 ნოემბერს - 40 755 ლარი;
- 2019 წლის 06 თებერვალს - 28 000 ლარი.

3. მხარეთა შეთანხმებით ანგარიშსწორება უნდა განხორციელებულიყო ორ ეტაპად: 20% ნინსწრებით, ხოლო დარჩენილი 80% – სულად მიწოდების შემდეგ (სააპელაციო სასამართლოს მითოთებით, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენისას საქალაქო სასამართლომ მართებულად გაიზიარა მოპასუხის მიერ წარდგენილი NSN – ... ნასყიდობის ხელშეკრულების დანართი №1, დანართი №1-ში ცვლილების შეტანის შესახებ 17.10.2018წ. დამატებითი შეთანხმება და იმავე ხელშეკრულების დანართი №2; მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელემ სადავო გახადა ასეთი შეთანხმებების არსებობა, იმ საფუძვლით, რომ ისინი წარდგენილი იყო ასლის სახით, საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, ის გარემოება, რომ მხარეთა შორის 2017 წლიდან 2019 წლამდე პერიოდში ფაქტობრივად ხორციელდებოდა დანართებში ასახული საქონლის მიწოდება (რაც დასტურდებოდა მხარეთა ახსნა-განმარტებებითა და გამყიდველის მიერ გამოწერილი საგადასახადო ანგარიშფაქტურებით, რომელიც დადასტურებული იყო მყიდველის მიერ), ასევე, მყიდველის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურების ფაქტი, ადასტურებდა წარდგენილი წერილობითი დანართების ნამდვილობას, რომლითაც განსაზღვრული იყო მისაწოდებელი საქონლის დასახელება და ღირებულებები. დანართი №1-ის შემთხვევაში – 176 187,90 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო დანართი №2-ით – 150 714,32 ლარი. ამავე დანართებით განისაზღვრა ანგარიშსწორების წესი და პირობა, რომლის მიხედვით, 20% გადასახდელი იყო წინსწრებით, ხოლო 80% დანართი №1-ის სრულად მიწოდების შემდეგ).

4. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა მისთვის 142 628,89 ლარის გადახდის დაკისრება.

5. მოსარჩელის განმარტებით, მის საქმიანობას წარმოადგენს კომპიუტერული და ინტერნეტ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული მოწყობილობების რეალიზაცია. მოსარჩელემ, თავისი საქმიანობის ფარგლებში, მოპასუხეს მიაწოდა 142 628,89 ლარის ღირებულების პროდუქცია, რაც დასტურდება 2018 წლის 24 ივლისს, 15 ოქტომბერს, 13 ნოემბერსა და 2019 წლის 28 იანვარს გამოწერილი საგადასახადო ანგარიშფაქტურებით. აღნიშნულ ანგარიშფაქტურებში მითითებული პროდუქციის მიღება მოპასუხებ დაადასტურა, თუმცა პროდუქციის ღირებულება არ აუნაზღაურებია.

6. მოპასუხებ წარადგინა მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო.

7. მოპასუხებ მოგვიანებით დამატებით წარადგინა სარჩელზე პოზიცია, სადაც განმარტა შემდეგი:

7.1. სადავო პროდუქცია მოპასუხემ შეისყიდა კონკრეტულად ერთი პროექტისთვის – სასტუმრო შერატონის ტექნიკური და ქსელური უზრუნველყოფისათვის;

7.2. აღნიშნულ შესყიდვაზე მხარეთა შორის გაფორმდა რამდენიმე შეთანხმება დანართების სახით. დანართებში განერილია იმ პროდუქციის ჩამონათვალი, რომელიც მოსარჩელეს მოპასუხისათვის უნდა მიეწოდებინა (და რომლის დიდ ნაწილზეც გამოწერილია საგადასახადო ანგარიშფაქტურები). აღნიშნული შეთანხმება ანგარიშსწორებას ითვალისწინებდა ორ ნაწილად, კერძოდ: 20% ნინასწარ, ხოლო დარჩენილი 80% დანართი №1-ით გათვალისწინებული პროდუქციის სრულად მიწოდების შემდეგ. მიწოდება უნდა განხორციელებულიყო 85-90 დღეში. აღნიშნულ დანართში 2018 წლის 17 ოქტომბერს შევიდა ცვლილება და შეიცვალა მისაწოდებელი პროდუქციის ჩამონათვალი, ხოლო გადახდის პირობა დარჩა უცვლელი. ასევე, გაფორმდა დანართი №2, სადაც მიწოდებისა და გადახდის წესი იყო იგივე;

7.3. მოსარჩელემ მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა ვალდებულება და ნაწილობრივ მიაწოდა მოპასუხეს დანართი №1-ით გათვალისწინებული საქონელი. როგორც აღინიშნა, შესყიდვა ხორციელდებოდა კონკრეტულად ერთი პროექტის – სასტუმრო შ...-ის ქსელის ტექნიკური უზრუნველყოფისათვის. შესაბამისად, მოსარჩელეს მხოლოდ ერთიანად უნდა მიეწოდებინა აღნიშნული დანართით განსაზღვრული საქონელი, ვინაიდან ეს პროდუქცია მხოლოდ ერთიანობაში ქმნის პროდუქტს და რომელიმეს გარეშე მიზანი ვერ მიიღწევა, არ იქნება ის პროდუქტი, რომელიც შემსყიდველს უნდა მიეღო პროდუქციის ერთიანად შეძენის შედეგად. სწორედ ამიტომ მხარეებმა პირდაპირ გაითვალისწინეს 20%-ის წინასწარ გადახდა, რაც მოპასუხემ განახორციელა, ხოლო დარჩენილი 80%-ის – მხოლოდ სრულად მიწოდების შემდეგ, რაც არ გადაუხდია. მოსარჩელეს დანართი №1-ით გათვალისწინებული საქონლის ნაწილი მოპასუხისათვის არ მიუწოდებია;

7.4. გარდა იმისა, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს მიაწოდა მხოლოდ პროდუქციის ნაწილი, მან მოპასუხეს ზოგიერთი პროდუქტი არასწორად მიაწოდა, კერძოდ: 15.11.2018წ. კორექტირებულ ანგარიშფაქტურაში მითითებული პროდუქცია – 48 port 1 GbE switch PoE 720 Bundle with 2x1GbE/10Gb – არ არის მიწოდებული და მის ნაცვლად სხვა პროდუქციაა მიწოდებული; ასევე, იმავე ანგარიშფაქტურის 24 port 1 GbE switch PoE 370W Bundle with 2x1GbE/10Gb 6 ცალი საქონლიდან 5 არის არასწორად მიწოდებული; ამასთან, 15.11.2018წ. ანგარიშფაქტურით განსაზღვრული საქონელი არალიცენზირებულია (არ არის ოფიციალური მწარმოებლისგან შეძენილი). მიწოდე-

ბული პროდუქციიდან 54 929,1 ლარის პროდუქცია არის არაორიგინალი და არალიცენზირებული, შესაბამისად, არ ექვემდებარება გადახდას;

7.5. მხარეთა შორის არსებობდა კარგი ბიზნეს-ურთიერთობა, მოსარჩელე პერიოდულად სთხოვდა მოპასუხეს თანხის ვადაზე ადრე გადახდას, რასაც მოპასუხე ასრულებდა, მიუხედავად იმისა, რომ ამის ვალდებულება არ ჰქონდა. მოსარჩელე არ უარყოფს, რომ მას ვალდებულება არ ჰქონდა შესრულებული და სჭირდებოდა დამატებითი ვადა ვალდებულების შესასრულებლად;

7.6. მოპასუხეს გადახდის ვალდებულება დაუდგება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსარჩელე შეასრულებს მის წილ ვალდებულებას (რომელიც გადახდაზე ადრე უნდა შესრულდეს) და მოპასუხეს მიანვდის დანართი №1-ით გათვალისწინებულ პროდუქციას სრულად. მოპასუხეს მოსარჩელისათვის გადახდილი აქვს იმაზე მეტი, ვიდრე უნდა ჰქონოდა გადახდილი.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 142 628,89 ლარის გადახდა.

9. მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ნარაღინა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. მოპასუხემ ასევე მოითხოვა მოწმის დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ იმავე სასამართლოს 2020 წლის 12 ივნისის საოქმო განჩინების გაუქმება.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 08 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საოქმო განჩინება დარჩა უცვლელად.

11. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-3 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოები.

12. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316.1, 361.1, 505-ე, 477-ე მუხლებით და სასარჩელო მოთხოვნისა და სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ნარმოშობილ ურთიერთობას.

13. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ გამყიდველს/მოპასუხეს, წერილობითი შეთანხმების პირობების შესაბამისად, არ წარმოშობია მიწოდებული საქონლის ღირების

ბულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

14. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ იმ პირობებში, როდესაც საქმის მასალებში წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით დასტურდება მხარეთა შორის შეთანხმებული ღირებულების საქონლის მიწოდების ფაქტი, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ დანართით გათვალისწინებული რომელიმე საქონებული არ არის მოსარჩელის მიერ მიწოდებული, მოპასუხეს ეკისრებოდა, თუმცა მან ამ გარემოებაზე ვერ მიუთითა. ამ მხრივ, აპელანტი მიუთითებდა მოწმის ჩვენებაზე, რომელიც სასამართლომ არ დაკითხა, ასევე, მხარეთა შიმოწერებზე, თუმცა საქმეში არსებული მხარეთა მიმოწერიდან არ დგინდება, რომ მოპასუხე ითხოვდა შეთანხმებით გათვალისწინებული საქონლის დარჩენილი ნაწილის მიწოდებას. მხარეთა წარმომადგენლებს შორის 2019 წელს განხორციელებული მიმოწერით დგინდება, რომ მხარეები თანხმდებოდნენ სხვადასხვა კომუტატორებისათვის ლიცენზიის მიწოდებაზე და მათ აქტივაციაზე. ამასთან, მიმოწერის განმავლობაში გამყიდველი ითხოვდა დავალინების გადახდევინებას. სასამართლოს მოსაზრებით, სადავო გარემოება საქმის მასალებში განთავსებული არც სხვა მტკიცებულებებით დასტურდება.

15. სააპელაციო პალატამ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მითითება – მიწოდებული საქონლის ღირებულების (142 628,89 ლარის) ანაზღაურების ვალდებულებისაგან გათავისუფლების თაობაზე, იმ საფუძვლით, რომ საქონლის ნაწილი ლიცენზიის გარეშე მიწოდებული, ხოლო მისი ნაწილი არ შეესაბამება შეთანხმებული პროდუქციის სერიულ ნომრებს. სასამართლოს მოსაზრებით, ამ გარემოებაზე მითითება უკავშირდება შესრულების ნაკლს და იმ პირობებში, როდესაც გამყიდველის მიერ გამოწერილი საგადასახადო ანგარიშფაქტურები მყიდველის მიერ დადასტურებული და პრეტენზიის გარეშე მიღებული, იმის განმარტება, რომ მოპასუხების შეთანხმებულის ნაცვლად სხვა შესრულების საგანი მიიღო, მის უსაფუძვლობაზე მიუთითებს. ამასთან, მხოლოდ მოპასუხის განმარტებით არ დგინდება, რომ სერიული ნომერი პროდუქციის სპეციფიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემი იყო, შესაბამისად, ასევე არ დგინდება, რომ მოპასუხები გამყიდველისაგან წერილობით შეთანხმებული საქონლისაგან განსხვავებული კომპიუტერული და ინტერნეტ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული მოწყობილობები მიიღო.

16. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ნაკლიანი შესრულების პირობებშიც, მოსარჩელე ვერ ადასტურებს, რომ არაორიგინალი და ლიცენზიის გარეშე მიღებული კომპიუტერული და ინტერნეტ მოწყობილობები გამოსაყენებლად უვარგისია. სასამარ-

თლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მყიდველის მიერ დადასტურებული საგადასახალო ანგარიშფაქტურებით დგინდება გამყიდველის მიერ სადაც – 54 929,1 ლარის ლირებულების საქონლის მისთვის საკუთრებაში გადაცემის ვალდებულების შესრულება. დადგენილია, რომ მოპასუხეს სადაც პროდუქცია გამყიდველისათვის არ დაუბრუნებია, რაც აპათილებს მოპასუხის მოთითებას საქონლის გამოყენების შეუძლებლობაზე.

17. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ვალდებულებითი ურთიერთობა წარმოიშვა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის შესაბამისად, გამყიდველს, მოსარჩელეს წარმოეშვა მყიდველისათვის ნასყიდობის საგნის საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება, რაც გამყიდველის მიერ შესრულდა – გამყიდველმა მყიდველს სხვადასხვა დროს მიაწოდა ჯამში 775 795,51 ლარის ლირებულების პროდუქცია, საიდანაც გადახდილია 633 166,62 ლარი. შესაბამისად, გადასახდელი თანხის ოდენობა შეადგენს 142 628,89 ლარს. აქედან გამომდინარე, გამყიდველი უფლებამოსილია მყიდველისაგან მოითხოვოს ზემოაღნიშნული დავალიანების გადახდევინება.

18. აპელანტის მითითებასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 369-ე მუხლი, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან საქმის მასალებით არ დადასტურდა საპასუხო მოქმედების შესრულების ვალდებულება, არ არსებობს აღნიშნული მუხლის გამოყენების საფუძველი.

19. რაც შეეხება გასაჩივრებულ საოქმო განჩინებას, სააპელაციო პალატის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოპასუხე მოითხოვდა მონშის სახით მოსარჩელე კომპანიის ყოფილი დირექტორის – გ. გ-ძის დაკითხვას შემდეგი გარემოებების დასადასტურებლად: მოსარჩელისათვის ცნობილი იყო, რომ პროდუქცია მოპასუხეს სჭირდებოდა მხოლოდ ერთიანი, სასტუმრო შ...-ის ქსელის უზრუნველყოფისთვის; პროდუქცია ვერ იქნა მიწოდებული მოპასუხისათვის გ. გ-ძის დირექტორობის პერიოდში; მხარეთა შორის შედგა არაერთი მოლაპარაკება პროდუქციის მიწოდების შესახებ და მიწოდების შემდეგ გაირკვა, რომ მოსარჩელემ არასწორად მიაწოდა მოპასუხეს პროდუქციის ნაწილი (რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ მხარეთა შორის გაფორმდა დანართი №1 და დანართი №2, რის დასადასტურებლად მოპასუხე ასევე მოითხოვდა მონშის დაკითხვას, აღნიშნული სასამართლოს მიერ დადგინდა, რაზეც მოსარჩელეს პრეტენზია არ წარუდგენია).

20. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3, 140.1 მუხლებზე დაყრდნობით განმარ-

ტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ პროდუქცია განკუთვნილი იყო სასტუმრო შე...-ისათვის. ამასთან, დადგენილია, რომ მოპასუხის მიზანი მიღწეულია – სასტუმროს ქსელი გამართულად მუშაობს, რაც აპელანტს ასევე არ გაუხდია სადავოდ. რაც შეეხება პროდუქციის მიწოდება/ არ მიწოდების საკითხს და მოდავე მხარეთა შორის წარმართულ მოლაპარაკებას პროდუქციის მიწოდების თაობაზე, ალნიშნული გარემოება არ შეიძლება დადასტურდეს მონმეთა ჩვენებით, ვინაიდან სადავო გარემოება უნდა დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით (მაგ. ანგარიშფაქტურებით), რაც მოსარჩელემ წარადგინა. წერილობითი მტკიცებულებით ასევე უნდა დადასტურდეს გარემოება არასწორად მიწოდებული პროდუქციის არსებობის თაობაზე, შესაბამისად, მონმის ჩვენება სააპელაციო სასამართლომ სადავო გარემოების დამადასტურებელ სათანადო მტკიცებულებად არ მიიჩნია.

21. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ წარადგინა საკასაციო საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

22. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

22.1. სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხემ ვერ დაადასტურა ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული რომელი პროდუქტი არ მიაწოდა მოსარჩელემ, თუმცა აღნიშნულის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა (აქ მტკიცებულებად ანგარიშფაქტურა ვერ გამოდგება, რადგან მოსარჩელე თავად უთითებს, რომ ანგარიშფაქტურა დასტურდებოდა პროდუქციის მიწოდებამდე, ხოლო ლიცენზია უნდა გაგზავნილიყო /იგზავნებოდა ელექტრონულო ფოსტით ფაქტურის დადასტურების შემდეგ). მოსარჩელემ თავად დადასტურა, რომ მას არ მიუწოდებია დანართით გათვალისწინებული გარკვეული პროდუქტი, კერძოდ: (ICX7250-24P-2X10G) 2 ერთეული პროდუქტი (დანართში მიწოდებული 8 პროდუქტიდან მიწოდებულია მხოლოდ 6); ლიცენზიები – ICX7450-SVL-PSDPA-5, ICX7450-PPREM-LIC;

22.2. მოპასუხემ არაერთხელ მიუთითა სასამართლოს, რომელი პროდუქტი არ იყო მიწოდებული. ეს საკითხი დეტალურად არის აღნიშნული სააპელაციო საჩივარში (კონკრეტული პროდუქტისა და ანგარიშფაქტურის იდენტიფიცირებით);

22.3. მაგალითისთვის, მოსარჩელემ წარადგინა ე.წ ცხრილი „მოპასუხის მიერ წარმოდგენილ დანართ № 1-ში გათვალისწინებული

პროდუქციის მიწოდების შესახებ“. აღნიშნულ ცხრილში ერთი და იგივე პროდუქტი (ICX7250-24P-2X10G) ორჯერ არის მითითებული და ორივეჯერ მითითება გაკეთებულია №ეა... ანგარიშფაქტურაზე. თავის მხრივ, დანართშიც ეს პროდუქტი ორჯერ არის ჩამოთვლილი და მისი ჯამური რაოდენობა არის $6+2=8$. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ მითითებულ ანგარიშფაქტურას, ასეთი 8 პროდუქტი არ გვხვდება და გვხვდება მხოლოდ 6;

22.4. ამ საკითხზე მსჯელობა გაიმართა სააპელაციო სასამართლოში მტკიცებულებათა კვლევის ეტაპზე. კერძოდ, 2021 წლის 12 ნოემბერს გამართულ სხდომაზე (30 წუთიდან 33 წუთამდე) მონინააღმდეგე მხარემ დაადასტურა, რომ მათ მიერ ნაცვლად 8 პროდუქტისა მიწოდებულია 6 პროდუქტი. შესაბამისად, გაუგებარია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხებ ვერ დადასტურა, რომელი პროდუქტი არ არის მიწოდებული;

22.5. აღნიშნულის გარდა, მოსარჩელე იმავე ცხრილში თავად უთითებს ლიცენზიებზე, რომლებიც არ არის მიწოდებული, რადგან, როგორც თავად აღნიშნავს, „ლიცენზია ორ ფაქტურაშია. ორივე წაშლილია“. ამ საკითხთან დაკავშირებით ასევე არაერთხელ გაიმართა მსჯელობა სასამართლოს სხდომაზე. მოპასუხებ განმარტა, რომ მათ ანგარიშფაქტურები არ დაადასტურეს, რადგან ლიცენზიები არ იქნა მიწოდებული. იმ გარემოებას, რომ ლიცენზიები მიწოდებული არ არის, არც მოსარჩელე უარყოფდა და აცხადებდა, რომ ლიცენზიები რომ მოენოდებინათ და მერე არ გადაეხადა მოპასუხეს, ეს მათთვის რისკი იქნებოდა. ანალოგიური პოზიცია აქვს მოსარჩელეს მის მიერ 03.08.2020წ. წარდგენილ წერილში;

22.6. ამ საკითხზე სააპელაციო სასამართლოში მტკიცებულებათა კვლევის ეტაპზე გაიმართა მსჯელობა. კერძოდ, 2021 წლის 12 ნოემბერს გამართულ სხდომაზე (33 წუთიდან 34 წუთამდე პერიოდში) მონინააღმდეგე მხარემ დაადასტურა, რომ მათ ისევ წინასწარ გამოწერეს ანგარიშფაქტურა და სთხოვდნენ მოპასუხეს მის დადასტურებას, რათა შემდეგ ლიცენზიები მოენოდებინათ. ვინაიდან მოპასუხებ ანგარიშფაქტურა წინასწარ არ დაადასტურა, მოსარჩელემ ლიცენზიები არ მოაწოდა. მოსარჩელის წარმომადგენელმა აღნიშნულ სხდომაზე (34 წუთიდან 40 წუთამდე) დაადასტურა, რომ ანგარიშფაქტურის გამოწერა და მოპასუხის მიერ დადასტურება ხდებოდა პროდუქტის მიწოდებამდე, ხოლო მიწოდება დადასტურების შემდეგ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მისავე განმარტებით, ანგარიშფაქტურის მიზანი იყო – პროდუქტის ფასის დაფიქსირება, ხოლო მიწოდება სხვა გზით უნდა დადასტურებულიყო;

22.7. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველ ეტაპზე მხარეთა შორის არსებობდა კარგი და ურთიერთონდობაზე დამყარებული ურთიერთობა. ამიტომაც ხდებოდა ანგარიშფაქტურების წინასწარ დადასტურება და შემდეგ მიწოდება (ამას ადასტურებს მოსარჩელეც); ხოლო, მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ დადასტურების შემდეგ მოსარჩელემ პროდუქცია მოპასუხეს აღარ მიაწოდა, ამ უკანასკნელმა წინასწარ აღარ დაადასტურა ანგარიშფაქტურები;

22.8. სააპელაციო სასამართლოს მოპასუხებით, რადგან ანგარიშფაქტურები დადასტურებულია, მოპასუხე ვერ განაცხადებს პრეტენზიას, რომ პროდუქციის წაწილი არალიცენზირებულია. როგორც აღინიშნა, პროდუქციის დადასტურება ხდებოდა მის მიწოდებამდე, შესაბამისად, მოპასუხე პროდუქციის მიღებამდე მის ნაკლებ პრეტენზიას ვერ განაცხადებდა. იმის მტკიცების ტვირთი, რომ მოპასუხეს ლიცენზირებული პროდუქტი მიეწოდა, ეკისრება მოსარჩელეს. პროდუქციის მიღების შემდეგ არაერთი პრეტენზია დაფიქსირდა. აღნიშნულის თაობაზე წარდგენილია მიმოწერა, სადაც მოპასუხე გამოხატავდა პრეტენზიას და ითხოვდა ლიცენზიების მიწოდებას;

22.9. გაუგებარია რას გულისხმობს სასამართლო მითითებაში, რომ „ნაწილი არ შეესაბამება შეთანხმებული პროდუქციის სერიულ ნომერს“. როგორც ჩანს, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხეს უნდობდა პროდუქცია კონკრეტული სერიული ნომრებით. როგორ შეიძლება ვინმესთვის ჰქონდეს მნიშვნელობა რა სერიული ნომერი ექნება კონკრეტულ მოწყობილობას. მოპასუხე აცხადებდა, რომ მოსარჩელის მიერ მიწოდებული პროდუქტი კონკრეტული სერიული ნომრებით იყო არალიცენზირებული. სწორედ ეს დატვირთვა ჰქონდა სერიულ ნომრებს წინამდებარე დავაში. ამის თაობაზე მოპასუხემ წარადგინა მწარმოებლის ნერილი, რომელიც ადასტურებს, რომ ამ პროდუქტისთვის ლიცენზიები შეძენილი არ ყოფილა. შესაბამისად, როცა უნიკალური სერიული ნომრით იდენტიფიცირებულ პროდუქტზე მწარმოებელი ადასტურებს, რომ არის არალიცენზირებული და მისთვის ლიცენზიები არ გაუცია, როგორ შეიძლება სადაცო იყოს ის გარემოება – ჰქონდა თუ არა ამა თუ ამ პროდუქტს ლიცენზია;

22.10. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოპასუხემ ვერ დაადასტურა, რომ არაორიგინალი და ლიცენზიის გარეშე მიღებული კომპიუტერული და ინტერნეტ მოწყობილობები გამოსაყენებლად უვარებისა. სასამართლომ აღნიშნა, რომ არ აქვს მნიშვნელობა პროდუქტი როგორინალი იქნება თუ არა ან/და პროდუქტი ლიცენზირებულია თუ არა. იმ მოცემულობაში, როდესაც მოპასუხეს უნდა მიეღო ლიცენზირებული პროდუქტი (რომელიც გაცილებით ძვი

რია), მიიღო არალიცენზირებული, რაშიც სასამართლო პრობლემას ვერ ხედავს. ისევ და ისევ სასამართლო ეყრდნობა ანგარიშ-ფაქტურების დადასტურებას, რომელიც, უდავო ფაქტია, რომ მოხდა პროდუქციის მიწოდებამდე;

22.11. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოყენებინა. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლი, რომლის საფუძველზეც, მოპასუხეს უფლება აქვს უარი თქვას გადახდაზე, სანამ სრულად არ მოხდება საქონლის მიწოდება;

22.12. გასაჩივრებულ საოქმო განჩინებასთან დაკავშირებით კასატორმა განმარტა, რომ მოწედე მოსაწვევი პირი სადავო ურთიერთობის წარმოშობის დროს წარმოადგენდა მოსარჩელე კომპანიის დირექტორსა და 100% წილის მესაკუთრეს, რომელიც საქმი-სათვის მნიშვნელოვან კითხვებს გასცემდა პასუხს, ვინაიდან სწორედ მან გააფორმა მოპასუხესთან ხელშეკრულება, გამოწერა ანგარიშფაქტურები, მიაწოდა პროდუქცია მოპასუხეს და თავიდან ბოლომდე იყო ჩართული მოლაპარაკებებში. კომპანიის ამჟამინდელი მენეჯმენტი წინამდებარე საქმეში ჩაერთო მას შემდეგ, რაც ყველა ზემოალნიშნული პროცესი მოხდა, შესაბამისად, შესაძლოა მათ არც კი ჰქონდეთ სრული ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით. როგორც პირველი, ისე მეორე ინსტანციის სასამართლო მოწმის დაკითხვაზე უარის თქმის მიზეზად ასახელებს იმ გარემოებას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, ის ფაქტები, რომელიც უნდა დაადასტუროს მოწმემ, უნდა დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებით. თუმცა, გაურკვეველია რომელი სტანდარტით ხელმძღვანელობს სასამართლო და სხვა რა სახის მტკიცებულებით უნდა დადასტურდეს ის გარემოება, რომ მოსარჩელე კომპანიის დირექტორთან განხორციელდა არაერთი კომუნიკაცია და შეხვედრა სწორი პროდუქციის მიწოდების თაობაზე ან/და ის გარემოება, რომ მოსარჩელე თანახმა იყო მიეწოდებინა სწორი ლიცენზიები და ამაზე მხარეთა შორის არსებობდა შეთანხმება;

22.13. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ ვერ დაადასტურა არასწორი და არასრული მიწოდების გამო მის მიერ პრეტენზიის გამოთქმის ფაქტი. შესაბამისად, ერთი მხრივ, სასამართლო მხარეს არ აძლევს შესაძლებლობას წარადგინოს მტკიცებულებები და დაკითხოს მოწმე, ხოლო, მეორე მხრივ, მიიჩნევს, რომ სადავო გარემოებები მოპასუხემ ვერ დაადასტურა. გ. გ-ძის მოწმის სახით დაკითხვის შემთხვევაში, ბევრ საკითხს ნათელი მოეფინებოდა;

22.14. გარდა ამისა, მოპასუხემ წარადგინა ვრცელი მიმოწერა მხარეებს შორის, სადაც ეს უკანასკნელი სწორედ ლიცენზირებუ-

ლი პროდუქციის მიწოდებას ითხოვდა, ხოლო მეორე მხარე ადასტურებდა, რომ ამ პროდუქციას მიაწოდებდა. კერძოდ, კასატორის მიუთითებს მხარეთა შორის 2019 წლის 11 მარტს, 29 მაისს, 04 ივნისა და 28 ივნისს ელექტრონული ფოსტით განხორციელებულ მიმოწერებზე.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 09 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

24. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასპუთების შემოწმების შედეგად მიწნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 08 დეკემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2020 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

25. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია მოპასუხისათვის ნასყიდობის საფასურის გადაუხდელი ნაწილის დაკისრების მართლზომიერება.

26. საკასაციო საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე, კასატორის ძირითადი პრეტენზია მტკიცების ტვირთის არასწორ განაწილებასა და საქმეში არსებული მტკიცებულებების, მათ შორის, მხარეთა ახსნა-განმარტებების არსათანადო შეფასებას ემყარება. კასატორის მტკიცებით, მხარეთა შორის არსებული კარგი ურთიერთობიდან გამომდინარე, მოპასუხე მოსარჩევის მიერ მისაწოდებელი პროდუქტის თაობაზე საგადასახადო ანგარიშფაქტურებს წინასწარ ადასტურებდა, ხოლო მათი მიწოდება შემდგომ ხდებოდა. თუმცა, მიუხედავად ანგარიშფაქტურების დადასტურებისა, მოსარჩევეს მოპასუხისათვის სრულად არ მიუწოდებია ხელშეკრულების დანართი №1-ში მითითებული პროდუქტია, ამასთან მიწოდებული პროდუქტის ნაწილი ნაკლის მქონეა.

27. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყველა სამართლებრივ სისტემაში ვალდებულების შესრულება წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. ისევე როგორც კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებში, საქართველოს შემთხვევაშიც, ვალდებულების შესრულე-

ბის მომწესრიგებელ ნორმებს ძირითადად დისპოზიციური ხასიათი აქვთ. ქართული სამოქალაქო კოდექსის როგორც ზოგადი, ისე კერძო ნაწილი შესრულების მექანიზმებზეა აგებული. მთავარია შესრულება და არა პასუხისმგებლობა (იხ. სუსგ საქმე №ას-742-2021, 02 დეკემბერი, 2021 წელი).

28. სამოქალაქო კოდექსი აღიარებს და ეფუძნება „*pacta sunt servanda*“-ს (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს) პრინციპს, რომლის თანახმად, ხელშეკრულების მხარემ, რომელმაც იკისრა ვალდებულება, უნდა შეასრულოს ხელშეკრულებით მისივე ნებით შეთანხმებული უფლება-მივალეობები. შესრულების ვალდებულება, პირველ რიგში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შედეგს გულისხმობს. სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა და ნარმოშმობს მოთხოვნის უფლებას იმ მხარისათვის, რომლის მიმართაც და ინტერესთა საზიანოდ დაირღვა შეთანხმების პირობები (იხ. სუსგ საქმე №ას-696-696-2018, 06 ივლისი, 2018 წელი).

29. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის დადებულია ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც მხარეებმა განსაზღვრეს ნასყიდობის საფასურის ორ ნაწილად გადახდის წესი.

30. ნასყიდობის ხელშეკრულების მომზესრიგებელ ცენტრალურ ნორმას ნარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. ხოლო, თავის მხრივ, მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

31. ნასყიდობა ორმხრივი, კონსენსუალური გარიგებაა, სადაც, როგორც გამყიდველს, ისე მყიდველს გააჩნია კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები. ნორმის პირველი ნაწილი ადგენს გამყიდველის სინალაგმატურ ვალდებულებას, მყიდველს გადასცეს საკუთრების უფლება ქონებაზე, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც უმუალოდ ნასყიდობის საგნის, ისე ამ საგანზე ნამდვილი უფლების გადაცემით. კანონი ნასყიდობის ნამდვილობისათვის რაიმე შეზღუდვას არცერთი ხსენებული წესის მიმართ არ ადგენს და როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში (ბუნებრივია, მხარეთა შეთანხმების პირობებში) გამყიდველის მხრიდან ვალდებულებას შესრულებულად მიიჩნევს. სწორედ ამ წესის დაცვის შემთხვევაში გამყიდველს შემძნისაგან საპასუხო შესრულების (საქონლის მიღება, ფასის გადახდა) მოთხოვნის უფლება,

რამდენადაც, სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა.

32. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლით განსაზღვრულია გამყიდველის ვალდებულება მყიდველს გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. იმავე კოდექსის 488-ე მუხლის მიხედვით, ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა, თუ ხარისხი არ არის წინასწარ შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი მყიდველს გადასცემს ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს, სულ სხვა ნივთს, მცირე რაოდენობით ან თუ ნივთის ერთი ნაწილი ნაკლის მქონეა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაკლი არსებით გავლენას ვერ მოახდენს შესრულებაზე.

33. ამდენად, საპასუხო შესრულებისგან მოვალეს სამოქალაქო კანონმდებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ათავისუფლებს, თუ ის დაამტკიცებს, რომ ნასყიდობის საგანი ვერ მიიღო ან მიიღო შეთანხმებული ხარისხისგან განსხვავებული ხარისხის ან რაოდენობის ნივთი. ამგვარ გარემოებათა არსებობა მოვალეს კრედიტორის მიმართ ნივთის ნაკლის გამოსწორების (სსკ-ის 490 მუხლი), ნაკლიანი გვაროვნული ნივთის შეცვლის (სსკ-ის 490 მუხლი), ფასის შემცირების (სსკ-ის 492 მუხლი) ან ზიანის ანაზღაურების (სსკ-ის 494 მუხლი) მოთხოვნებს წარმოუშობს. მას შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების მომლაც სსკ-ის 352-ე მუხლის მიხედვით (სსკ-ის 491-ე მუხლი). თუმცა, მტკიცების ტვირთის განაწილების ფარგლებში სწორედ მოვალის მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას წარმოადგენს საპასუხო შესრულებისგან გათავისუფლების საფუძვლიანობის დადასტურება.

34. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას სასამართლოს მიერ მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილებასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ იმ პირობებში, როდესაც საქონლის მიწოდება საგადასახადო ანგარიშფაქტურებით დასტურდება, მოცემულ შემთხვევაში სწორედ მოპასუხეს ეკისრებოდა იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მოსარჩელემ მას ნასყიდობის საგანი არასრულად, არასწორად და ლიცენზიის გარეშე მიაწოდა.

35. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოპასუხემ ვერ

მიუთითა კონკრეტულად ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული რომელი პროდუქტი არ ყოფილა მიწოდებული, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, რადგან საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხებ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მოსამზადებელ ეტაპზე წარადგენილ წერილობით ახსნა-განმარტებაში კონკრეტულად მიუთითა იმ პროდუქციიზე, რომელიც, მისი მტკიცებით, არ ყოფილა მისთვის მიწოდებული, ასევე, მიწოდებული პროდუქციის ნაკლზე. კერძოდ, მოპასუხებ განმარტა, რომ 2018 წლის 15 ნოემბრის კორექტირებულ ანგარიშფაქტურაში მითითებული პროდუქტი – 48 port 1GbE switch PoE 720 Bundle with 2xGbE/10Gb – არ არის მოწოდებული და მის ნაცვლად მოწოდებულია სხვა პროდუქტი; ხოლო, 24 port 1GbE switch PoE 370W Bundle with 2x1GbE/10Gb 6 ცალი პროდუქტიდან 5 ცალი არასწორად არის მიწოდებული; ამასთან, იმავე ანგარიშფაქტურით განსაზღვრული საქონელი არალიცენზირებულია. გარდა ამისა, მოპასუხებ პირველი ინსტანციის სასამართლოში 22.07.2020წ. გამართულ სასამართლო სხდომაზე დამატებით წარადგინა წერილობითი პოზიცია, სადაც ასევე კონკრეტულად მიუთითა იმ პროდუქციის ჩამონათვალზე, რომელიც, მისი მტკიცებით, იყო არაორიგინალი და არალიცენზირებული; პროდუქციის არასრულად, არასწორად და ლიცენზიის გარეშე მიწოდების შესახებ მოპასუხე მიუთითებდა სააპელაციო საჩივარშიც. სააპელაციო საჩივარში მითითებულია, რომ ანგარიშფაქტურებში და დანართებში მითითებული საქონელი „არ დარღება“; მოსარჩელის მიერ წარდგენილ ე.წ. ცხრილში „მოპასუხის მიერ წარდგენილ დანართ №1-ში გათვალისწინებული პროდუქციის მიწოდების შესახებ“ ICX7250-24P-2X10R პროდუქტი ორჯერ არის აღნიშნული და ორივეჯერ მითითება გაკეთებულია №ეა... ანგარიშფაქტურაზე. თავის მხრივ, დანართშიც ეს პროდუქტი ორჯერ არის ჩამოთვლილი და მისი ჯამური რაოდენობა არის $6+2=8$, ხოლო, რაც შეხება მოსარჩელის მიერ მითითებულ ანგარიშფაქტურას, ასეთი 8 პროდუქტი არ გვხვდება. მიუხედავად აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ ისე მიიჩნია მოპასუხისათვის სარჩელით მოთხოვნილი ნაშეიდობის საფასურის დაკისრება მართლზომერად, რომ ეს გარემოებები არ გამოუკვლევია. სასამართლოს ასევე არ გამოუკვლევია 15.11.2018წ. საგადასახადო ანგარიშფაქტურაში მითითებული პროდუქცია წარმოადგენდა თუ არა დანართი №1-ით გათვალისწინებულ პროდუქციას და უნდა მიეწოდებინა თუ არა მოსარჩელეს მოპასუხისათვის ისინი ლიცენზირებული სახით.

36. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მყიდველი მეწარმეა, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთი; თუკი იგი ნაკლის აღმოჩე-

ნიდან შესაბამის ვადაში ან იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო მისთვის ნაკლის არსებობა, არ ნარუდ-გენს გამყიდველს პრეტენზიას, მას ერთმევა ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება.

37. ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმა ადგენს ნაკლის გა-მოვლენის სპეციალურ წესს მენარმე მყიდველისათვის – მას ნივ-თის შემოწმების ვალდებულება დაუყოვნებლივ ნარმოებობა. მე-ნარმე სუბიექტის მიერ ნივთის დაუყოვნებლივ შემოწმებისა და ნაკლის აღმოჩენიდან გონივრულ ვადაში გამყიდველისთვის პრე-ტენზის წარუდგენლობა ართმევს მას ნივთის ნაკლის გამო მოთ-ხოვნის უფლებას. კანონმდებლის მიერ საკითხის მსგავსი მოწეს-რიგება განპირობებულია იმით, რომ მენარმე კერძოსამართლებ-რივი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელ რისკებს უკეთ აღიქ-ვაშს. ის ფაქტი, რომ სამოქალაქო ბრუნვაში მენარმის მიერ გან-ხორციელებული ქმედება გონივრული და კონსტრუქციული უნდა იყოს, ნარმოადგენს პრეზუმფციას, რომელიც თავისი ბუნებით იუ-რიდიული ფიქციაა და ამ ვარაუდს არ აუქმებს მენარმე პირის მიერ გამოჩენილი წინდაუხედაობა. სტატუსი – „სამენარმეო საზოგადო-ება“ მოპასუხეს, როგორც შემძენ მენარმეს, კანონის ძალით ნარ-მოუშობს ჩვეულებრივ მყიდველთან შედარებით მეტი წინდახედუ-ლებისა და ნასყიდობის საგნის მახასიათებლების შემოწმების ვალ-დებულებას (იხ. სუსგ საქმე №ას-560-519-2017, 16 ივნისი, 2017 წელი).

38. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე, რომელიც მენარმე სუბიექტია, ნასყიდობის საფასურის სრულად ანაზღაურებაზე უარს აცხადებს იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელის მიერ მიწოდებული ნას-ყიდობის საგანი ნივთობრივი ნაკლის მქონეა. შესაბამისად, ზემო-აღნიშნული სამართლებრივი ნორმიდან გამომდინარე, ნივთის ნაკ-ლის გამო მოთხოვნის უფლების ნარმოშობისათვის, მოპასუხეს/ მყიდველს დაუყოვნებლივ უნდა შეემოწმებინა ნასყიდობის საგა-ნი, ხოლო ნაკლის აღმოჩენიდან გონივრულ ვადაში, ანუ იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ნაკ-ლის არსებობა, მოსარჩელისათვის/გამყიდველისათვის პრეტენზია ნარედინა. კასატორი მიუთითებს, რომ პროდუქციის მიღების შემ-დგომ მისი მხრიდან არაერთი პრეტენზია დაფიქსირდა, რის თაო-ბაზეც ნარდგენილია მხარეთა შორის არსებული მიმოწერა, სადაც მოპასუხე პრეტენზიას გამოხატავდა და ლიცენზიების მიწოდებას ითხოვდა, თუმცა სააპელაციო სასამართლოს ეს გარემოება და კა-სატორის მიერ მითითებული მიმოწერა სათანადოდ არ გამოუყვალე-ვია.

39. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული გა-

რემონტის გამოუკვლევლობა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლია.

40. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად დატოვა უცვლელად მოწმის დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 12 ივნისის საოქმო განჩინება. შესაბამისად, ამ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელი.

41. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მოწმის ჩვენება მტკიცებულების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, რომელიც უნდა შეფასდეს ყველა იმ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორით, რაც ამ მტკიცებულებების იურიდიულ ბუნებას ახლავს თან. იმავე კოდექსის 140-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოწმედ შეიძლება იყოს ყოველი პირი, რომლისთვისაც ცნობილია რაიმე გარემოება საქმის შესახებ. თუმცა, შედაგების შემთხვევაში, თუკი მოწმის ჩვენება არ იქნება გამყარებული სხვა მტკიცებულებით, ის არ შეიძლება გახდეს სადაც გარემოების დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება (იხ. სუსგ საქმე №ას-1363-1381-2011, 31 იანვარი, 2012 წელი).

42. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, კასატორმა ვერ დაასაბუთა კონკრეტულად რაში მდგომარეობს ზემოაღნიშნული საოქმო განჩინების ფაქტორივ-სამართლებრივი უსწორობა. სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმეში მოწმის ჩვენება ვერ ჩაითვლება პროდუქციის მიწოდებასთან ან/და ნასყიდობის საგნის ნაკლოვანებასთან დაკავშირებული გარემოებების დამადასტურებელ ისეთ მტკიცებულებად, რომელსაც შეუძლია გააბათილოს წერილობითი მტკიცებულებით დადგენილი გარემოებები სასამართლოს მხრიდან ამ უკანასკნელთა სათანადოდ გამოკვლევის შემდეგ. გარდა ამისა, იმ გარემოებების ნაწილი, რომელთა დასადასტურებლადაც მოთხოვნილი იყო მოწმის დაკითხვა, მხარეთა შორის სადაცოს არ წარმოადგენს.

43. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევის შემდეგ. გარდა ამისა, იმ გარემოებების ნაწილი, რომელთა დასადასტურებლადაც მოთხოვნილი იყო მოწმის დაკითხვა, მხარეთა შორის სადაცოს არ წარმოადგენს.

ვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სასამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

44. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას თავად მიიღოს გადაწყვეტილება დავაზე, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, რაც საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების საფუძველია. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს მოპასუხის მიერ მითითებული, ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდის გამომრიცხველი გარემოების არსებობა/არარსებობა (წინამდებარე განჩინების 35-ე პუნქტი) და ნასყიდობის საგნის ნივთობრივი ნაკლის აღმოჩენის შემდეგ მყიდველის მიერ განხორციელებული მოქმედებები. აღნიშნული გარემოების გამოკვლევას არსებითი მნიშვნელობა აქვს სარჩელის საფუძვლიანობის შესამოწმებლად.

45. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განცეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

46. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „T.L.G“-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-

ქო საქმეთა პალატის 2021 წლის 08 დეკემბრის განჩინება იმ ნანილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 08 დეკემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 12 ივნისის საოქმო განჩინება დარჩეს უცვლელი;

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. ჩუქება

ჩუქების ზეპირი ხელშეკრულება

გადაცევის განვითარების საქართველოს სახელით

№ას-359-2023

13 ოქტომბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
მ. ერემაძე

დავის საგანი: სამკვიდრო მონიტორინგ ბათილად ცნობა, საკუთრების უფლების აღრიცხვა (ძირითადი სარჩელით), უკანონო მფლობელობიდან სატრანსპორტო საშუალების გამოთხოვა (შეგებებული სარჩელით)

აღნერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. თ. ყ-მა (შემდგომში – თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელე, აპელანტი) სარჩელი აღძრა სასამართლოში კ. მ-ის (შემდგომში – მოპასუხე, შეგებებული სარჩელით მოსარჩელე, კასატორი) მიმართ და მოითხოვა, ბათილად იქნეს ცნობილი ნოტარიუსის მიერ 2020 წლის 20 სექტემბრის №... გაცემული სამკვიდრო მონიტორინგის და ავტოსატრანსპორტო საშუალების მემკვიდრეობით მიღების ნაწილში. თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელის (მემკვიდრის) მიერ უძრავი ქონების – 9,88 კვ.მ-ისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების მემკვიდრეობით მიღების ნაწილში. თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელე აღირიცხოს საჯარო რეესტრში ზემოხსენებული 9,88 კვ.მ-ისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრედ.

სარჩელის საფუძვლები:

2. თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელის განმარტებით, 2020 წლის 27 მარტს ბ. მ-თან (შემდგომ – სარჩენი) გააფორმა სამისადლებიო რჩენის ხელშეკრულება. მოცემული გარიგების თანახმად, მარჩენალს ევალებოდა, სარჩენი პირის გარდაცვალებამდე მისი მოვლა-პატრონობა, საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო ინვენტარით უზრუნველყოფა, სამედიცინო მომსახურების ხარჯის დაფარვა, კომუნალური გადასახადების გადახდა, სარჩენი პირის გარდაცვალების შემდგომ მისი დაქრძალვის ხარჯების უზრუნველყოფა. სანაცვლოდ, მარჩენალს – მოსარჩელეს უნდა მიეღო ბ. მ-ის

საკუთრებაში არსებული, ერთიან მისამართზე მდებარე უძრავი ქონება – ბინა და სარდაფი.

3. აღსანიშნავია, რომ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება და-დებულია 2020 წლის 27 მარტს, თუმცა მხარეთა შორის ხელშეკრუ-ლებით გათვალისწინებული მოვლა-პატრონობის ურთიერთობა, ფაქტობრივად, უკანასკნელი 10 წლის მანძილზე მიმდინარეობდა, რაც დასტურდება მოწმეთა ჩენენებებით. მოსარჩევე (რომელიც სარჩენის დისტვილია) და მისი მეუღლე, ბოლო 10 წლის მანძილზე ყოველდღიურად უვლიდნენ და არჩენდნენ სარჩენს, ამარავებდნენ საკუებით, უწევდნენ სამედიცინო და მედიკამენტურ დახმარებას, დაჰყავდათ იგი დასასევენებლად, უხდიდნენ კომუნალურ გადასახადებს და სხვა. წლების მანძილზე, მხარეებს შორის ჩამოყალიბდა განსაკუთრებული ნდობა და სიყვარული, შესაბამისად, სარჩენმა თავად სოხოვა მოპასუხეს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების წერილობით გაფორმება.

4. 2020 წლის 28 მარტს სარჩენის გარდაცვალების შემდეგ მისი მექანიზმის, შეილიშვილის – მოპასუხის სახელზე, ნოტარიუსმა გასცა 2020 წლის 20 სექტემბრის №... სამკვიდრო მოწმობა (მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტისათვის უკვე გარდაცვლილი გახლდათ მამკვიდრებლის შვილი, მოპასუხის დედა). მოცემული დოკუმენტის თანახმად, მემკვიდრეობის მიიღო მამკვიდრებლის სამკვიდრო ქონება, მათ შორის, სადავო 9,88 კვ.მ. აღიშნული ჩანაწერი მოკლებულია სამართლებრივ-ფაქტობრივ საფუძველს, რადგან სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით, მამკვიდრებლის (სარჩენის) გარდაცვალების შემდეგ მოცემული ქონება მოსარჩელის საკუთრება უნდა გამხდარიყო. სამკვიდრო მასაში არ უნდა შევიდეს ის ნივთები, რაზეც საკუთრების უფლება სხვა პირს აქვს წარმობილი. სადავო ქონებაზე სამკვიდრო მოწმობაში არსებული ჩანაწერი მემკვიდრეს უფლებას აძლევს, ხსნებული ქონება საჯარო რეესტრში თავის ბალანსზე აღირიცხოს. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, უკანონოდ ილახება მოსარჩელის სამართლებრივი ინტერესი, რადგან სადავო ქონებაზე საკუთრების უფლება, სამისდღეშიო ხელშეკრულების თანახმად, მას ეკუთვნის.

5. ამავდროულად, 2018 წლის პირველ იანვარს, საახალწლოდ სარჩენმა ზეპირი ჩუქების გარიგების საფუძველზე მოსარჩელეს აჩუქა მის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება. მოსარჩელეს არ ჰქონდა მართვის მოწმობა, შესაბამისად, ამ პერიოდის მანძილზე მოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებით სარგებლობდა მისი მეუღლე. ამდენად, არ შეიძლება სამკვიდრო მასაში შევიდეს ის ქონება, რომელიც გარდაცვალების მომენტისათვის მამკვიდრებელს არ ეკუთვნოდა. ამჟამად ავტომობილი

კვლავ სარჩენის სახელზეა და იმყოფება ავტოსადგომზე.

მოპასუხისა და შეგებებული სარჩელის ავტორის პოზიცია:

6. მოპასუხებ შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ სამისდღეში ხელშეკრულება გაფორმდა უკანონოდ, სარჩენის გარდაცვალების შემდეგ, რის გამოც იგი ბათილია. თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელის მიერ მოწევული მოწმები არ ცხოვრობენ სადაც ქონების მისამართზე, შესაბამისად, მათი განმარტება სარწმუნოდ ვერ ჩაითვლება. სარჩენის გარდაცვალების შემდეგ სადაც ავტომანქანაზე ზეპირი ჩუქების ხელშეკრულების დადების ფაქტის დადგენა შეუძლებელია. ამასთან, თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელეს არც მეუღლე და არც შვილი არ ჰყავს.

7. მოპასუხებ შეგებებული სარჩელით მოითხოვა მოსარჩელის უკანონი მფლობელობიდან ავტოსატრანსპორტო საშუალების მარკა – მოდელი ტოიოტა RAV4, სანომრე ნიშანი – ..., ფერი – შავი, საიდენტიფიკაციო ნომერი ...) გამოთხოვა და მისთვის გადაცემა.

8. შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ მიუთითა, რომ მემკვიდრეობით თავისი პაპისაგან – ბ. მ-ისაგან, სხვა ქონებებთან ერთად, მიიღო აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება, რაზეც ნოტარიუსმა გასცა სამკვიდრო მოწმობა. თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელის მიერ ალძრულია სარჩელი ამ სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის მოთხოვნით, რომელშიც მითითებულია, რომ ფლობს ზემოაღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებას.

9. თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელე, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ფლობს სამკვიდროში შესულ ზემოაღნიშნულ ავტომანქანას, რადგან დადასტურებულია მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტი. შეგებებული სარჩელით მოპასუხებ, რომ უკანონი მფლობელია და არავითარი ჩუქებით არ აქვს მიღებული ეს სატრანსპორტო საშუალება, დასტურდება აგრეთვე შესაგებელში მითითებული არგუმენტებით და ფაქტებით თავდაპირველი სარჩელის წინააღმდეგ.

10. თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელემ შეგებებულ სარჩელზე წარადგინა შესაგებელი, რომლითაც არ ცნო შეგებებული სარჩელი და მიუთითა, რომ აღნიშნული ავტომანქანა მამკვიდრებელმა – ბ. მ-მა, სიცოცხლეშივე აჩუქა თ. ყ-ს 2018 წლის 01 იანვარს ზეპირი ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე. ვინაიდან დასაჩუქრებულს არ გააჩნდა მართვის მოწმობა, გადაცემული სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობდა დასაჩუქრებულის მეუღლე. შესაბამისად, სამკვიდროში არ შედის ის ქონება, რომელიც გარდაცვალების მომენტისათვის არ ეკუთვნოდა მამკვიდრებელს. სადაც ავტომანქანა კვლავ რეგისტრირებულია მამკვიდრებლის – ბ. მ-ის სახელზე და იმყოფება ავტოსადგომზე. ნოტარიუსმა უზუს-

ტობა დაუშვა, რადგან ავტომანქანა ფორმალურად შსს-ში კვლავ მამკიდრებლის სახელზე ირიცხებოდა. ძირითადი სარჩელით სა-დავოდაა გამხდარი სამკვიდრო მოწმობის ჩანაწერი ავტომანქანის საკუთრების უფლებაზე. შესაბამისად, საკუთრების უფლება ზე-პირი ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გააჩნია თ. ყ-ს, რა-საც დაადასტურებენ მოწმეები. ამიტომაც არ უნდა დაკმაყოფილ-დეს შეგებებული ვინდიკაციური სარჩელი.

11. საქმეში დამოუკიდებელი სასამართლო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაება სისი სახელმწიფო ზრუნვის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაბმარების სააგენტო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სა-რეზოლუციო ნაწილი:

12. თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კო-ლეგიის 2022 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით ძირითადი სარჩე-ლი არ დაკმაყოფილდა, შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, სა-დავო ავტომანქანა გამოთხვილ იქნა თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელის უკანონო მფლობელობიდან, რაც თავდაპირველი სარ-ჩელით მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუ-ციონ ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით თავდა-პირველი სარჩელით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნაწილობრივ გაუქმდა, ძირითადი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუსის მიერ 2020 წლის 20 სექტემბერს გაცემული №... სამკვიდრო მოწმობა მოპასუხის (მემკვიდრის) მიერ სადავო ავტოსატრანსპორტო საშუალების მემკვიდრეობით მიღების ნა-წილში, თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელე ცნობილ იქნა ავტო-სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრედ, ხოლო შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

14. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობს გასაჩივრე-ბული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების/შეცვლის საქარ-თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ) 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული ნინაპირობების არსე-ბობა. პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად შეაფასა საქ-მის ფაქტობრივი გარემოებები, რამაც იურიდიულად დაუსაბუთე-ბელი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა.

15. თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელის მოთხოვნაა სამ-კვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, სადავო ავტომობილზე ჩუქე-ბის ხელშეკრულების დადებულად ცნობა და მესაკუთრედ აღია-

რება. ამ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ-ი) 524-ე და 1328-ე მუხლები.

16. აპელანტის/მოსარჩევის ძირითადი სააპელაციო პრეტენზია მამკვიდრებელსა და დასაჩუქრებულს (აპელანტს) შორის დადგებულ ზეპირ ჩუქების ხელშეკრულებას ემყარება, რომელზე მითითებითაც აპელანტი მიიჩნევს, რომ საადავო ავტომანქანა მის საკუთრებას წარმოადგენს და იგი სამკვიდრო მასაში არ უნდა შესულიყო. სააპელაციო პალატის განმარტებით, იმისათვის, რომ მოსარჩევის მოთხოვნა სადავო ნაწილში დაკმაყოფილდეს, უნდა დადგინდეს, რომ მხარეებს შორის ჩუქების ხელშეკრულება დაიდო და ამ ხელშეკრულებით სადავო ავტომანქანა მფლობელობაში გადაეცა მოსარჩევეს.

17. სააპელაციო პალატამ მოიხმო სსკ-ის 525-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის დროსაც დაცული უნდა იქნეს ამავე კოდექსის 186-ე მუხლის მოთხოვნებიც. ამ შემთხვევაში, კანონდებელი მხოლოდ გადაცემით ჩუქების ხელშეკრულებას აღიარებს და ჩუქებას რეალური ხელშეკრულებების კატეგორიას მიაკუთვნებს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, gccc.tsu.ge, 525-ე მუხლის კომენტარი, ზ. ძლიერიშვილი).

18. ზოგადი წესის თანახმად, ჩუქება განკარგვითი ხელშეკრულების ნაირსახეობაა და სსკ-ის 525-ე მუხლის შესაბამისად, დასაჩუქრებული საჩუქარზე საკუთრების უფლებას ნივთის გადაცემის მომენტიდან მოიპოვებს (იხ. სუსგ-ები №ას-1392-2020, 30 ივნისი 2021წ.; №ას-205-2019, 24 ოქტომბერი, 2019წ). ამ ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით, დასაჩუქრებულის თანხმობის გამოხატვა ხდება ნაჩუქარი ნივთის მიღებით (იხ. ზ. ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბილისი, 2010 წ., გვ.227).

19. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 186-ე მუხლის მიხედვით, მესაკუთრემ ნივთი უნდა გადასცეს დასაჩუქრებულს. ნივთის გადაცემის სახეები მოცემულია მითითებული ნორმის მეორე ნაწილში. გადაცემა ნიშნავს, ნივთის შემძენისათვის პირდაპირი მფლობელობის მინიჭებას, თუმცა სსკ-ის 186-ე მუხლით განსაზღვრული გადაცემა უფრო მეტის მომცველია, ვიდრე მხოლოდ ნივთზე პირდაპირი მფლობელობა, 155-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით, ნივთზე პირდაპირი მფლობელობის გადაცემა ნიშნავს მესაკუთრის მიერ ნივთზე მფლობელობის სრულ და საბოლოო დაკარგვას ისე, რომ არ არსებობს რამები გარემოება ან სიმბოლური ქმედება, რომელიც საეჭვოს ხდის მფლობელობის გადაცემას. ნივთის მფლობელობაში გადაცემა მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც

ნივთის ფაქტობრივ გადაცემას თან სდევს მხარეების ფაქტობრივი კონსენსუსი – მესაკუთრის მიერ მფლობელობის გადაცემისა და შემძენის მიერ მფლობელობის მიღების ნება.

20. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სადავო ფაქტის დადგენისას არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, კერძოდ, დაუსაბუთებლად არ გაიზიარა თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელის მოწმეთა ჩვენებების შეფასებისას, სასამართლო ვალდებულია, ისევე, როგორც სხვა სახის მტკიცებულება, მოწმის ჩვენება შეაფასოს მისი შინაარსისა და იურიდიული დამაჯერებლობის კუთხით, იმ ობიექტური თუ სუბიექტური კრიტერიუმების (მხარეებთან დამოკიდებულება, ფიზიკური მდგომარეობა, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოწმის ჩვენებაზე და სხვა) გათვალისწინებით, რომელიც ამ მტკიცებულებისათვისაა დამახსინათებელი და სწორედ ამ გზით მიიღოს სადავო ფაქტობრივი გარემოების არსებობა-არასებობის შესახებ გადაწყვეტილება.

21. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა საქმეზე მოწმებად დაკითხული პირების განმარტებებზე, კერძოდ: გ. მ-ის განმარტებით: „ბ. გავიცანი 2012-2013 წელს დ-გან და თ-გან... 2020 წელს ვნახე ბოლოს, თ. და დ. უვლიდნენ ბ-ს, ზრუნავდნენ მასზე... ბ-ს ტარება აღარ შეეძლო, ბოლოს მოუვიდა შეჯახება... 2018 წლის ახალ წელს ავედი დ-თან სახლში, იქ მოვიდა ბ-ც, ხშირად მოდიოდა სტუმრად... თ. უთხრა „ხომ არ უნდა მოვკვდე ამ მანქანაში, აღარ შემიძლია ტარება, „პრავა“ აიღე და გქონდეს მანქანაო“... გასაღებიც მისცა, გყავდეს ეს მანქანა შენო... 2018 წლის შემდეგ დ. ხმარობდა ამ მანქანას... დ. და თ. ალბათ 2010 წლიდან არიან ცოლქმარი... ზ. დ-ის განარტებით: „დ. ბავშვობიდან ვიცნობთ... ბ-ს ვიცნობ 2015-2016 წლიდან, დ. მოყავდა ხოლმე სამსახურში, ამანათებს აგზავნიდა მოსკოვში დღესასწაულებზე... 2018 წელს 1 იანვარს, ჩემმა მეგობარმა დამპატიუა თ-ს ოჯახში, იქ იყო ბ-ც, სუფრაზე რომ ვიჯეებით, ბ-მ ამოიღო გასაღები, ტექსაპორტი, მიაწოდა თ-ს და უთხრა, „მე ისედაც ყველაფერი შენთვის მინდა და ეს მანქანაც შენია, აიღე მართვის მოწმობა, დ-ს არ სცალია ჩემთვის, მუშაობს და შენ მატარეო“.. დ. და თ. ცოლ-ქმარი არიან დაახლოებით 2012 წლიდან... ჩემთან სამსახურში მოდიოდნენ RAV4-ით... ბ. არ სვამდა სასმელს... მე როცა ვნახულობდი, სულ დ. იჯდა საჭესთან... მანქანა შავი ფერის იყო. ი. ჩ-ის განმარტებით: „ქობულეთში გავიცანი თ. და ბატონი ბ... მერე აქაც მქონდა ურთიერთობა ... 8-9 წელია გვაქვს ურთიერთობა ... 2018 ან 2019 წლის ზაფხული იყო, აგვისტოს თვე, ბატონ ბ-სთან ვსაუბრობდი და მითხრა შენც არ იცი ტა-

რებაო, მაგრამ რად გინდაო, მანქანა ვაჩუქე თ-ო და ტარება, რომ ისწავლოს „ვერ დავნერე ჯვარიო“ ... შავი ჯიპი იყო, მარკა არ ვიცი ... დ. და თ. ცოლ-ქმარი არიან, რაც ვიცნობ იმის მერე ვიცი, რომ დ. თ-ის მეუღლეა. 6. გ-ის განმარტებით: „თ. ჩემი ბავშვობის მეგობარია ... დ. თ-ის მეუღლეა... ბ. მ-ს ვიცნობდი ვიდეო ზარებიდან, თ., რომ ელაპარაკებოდა, ტელეფონში ვესალმებოდი ... ვიცოდი, რომ ბიძა და დისტვილი იყვნენ ერთმანეთისთვის ... მანქანაზე მაშინ გავიგე, როცა ახალი წელი მივულოცე, 2 იანვარი იყო, თ-ამ მითხვა, რომ ბიძაჩემმა მანქანა მაჩუქაო.

22. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკაზე, რომლის თანახმად, ვინაიდან ავტომობილი წარმოადგენს მოძრავ ნივთს, მისი განკარგვის ნამდვილობა სსკ-ის 186-ე მუხლის ფარგლებში უნდა შეფასდეს და სამოქალაქო უფლების წარმოშობისათვის ადგინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი უფლების შსს-ს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაცია არ არის სავალდებული (იხ. სუსგ-ებები: №ას-914-954-2011, 27 ოქტომბერი, 2011 წელი; №ას-658-625-2014, 5 დეკემბერი, 2014 წელი). მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა ახსანა-განმარტების და მონმეთა ჩვენებების ერთობლიობაში შეფასების საფუძველზე, პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მამკვიდრებელის მიერ მისთვის სადავო ავტომობილის ჩუქების ფაქტი. ამასთან, სადავო არ არის, რომ ავტომობილი მოსარჩელის მფლობელობაშია, რამდენადაც მოპასუხის მოთხოვნა სადავო ავტომობილის უკანონო მფლობელობიდან გამოთხვევაა. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული, დადგენილი ფაქტის გამაქარნებულებელ საპირნოები მტკიცებულებებზე მოპასუხემ ვერ მიუთითა.

23. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მამკვიდრებელმა სენებული ავტომობილი სიცოცხლეში აჩუქა მოსარჩელეს, რაც სსკ-ის 1328-ე მუხლის შესაბამისად, ნივთის სამკვიდრო მასისათვის კუთვნილებას გამორიცხავს. ვინაიდან სადავო ავტომობილი სამკვიდრო მოწმობით მოპასუხებ მიიღო, რომელიც ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე ეკუთვნოდა მოსარჩელეს, არსებობს ამ ნაწილში მოპასუხებზე 2020 წლის 20 სექტემბრის გაცემული სამკვიდრო მოწმობის ბათილობისა და თანმდევი სასარჩელო მოთხოვნის (მესაკუთრედ ცნობის) დაკმაყოფილების საფუძველი. შესაბამისად, სააპელაციო პალატის დასკვნით, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ხოტარიუსის მიერ გაცემული №... სამკვიდრო მოწმობა მოპასუხის (მემკვიდრის) მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების მემკვიდრეობით მიღების ნაწილში და მოსარჩელე ცნობილ უნდა იქ-

ნეს სადავო ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრედ.

24. შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით, სააპელაციო სასა-მართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყე-ნებას. ამავე კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით კი გან-საზღვრულია, რომ მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელს მოსთხო-ვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. არამფლობელი მესაკუთრის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხო-ვის მართლზომიერებისთვის უნდა არსებობდეს შემდეგი ნინაპი-რობები: ა) მოსარჩელე უნდა იყოს მესაკუთრე, ბ) მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი და გ) მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება. პალატამ განმარტა, განსახილველ შემ-თხვევაში არ არის დაცული სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწი-ლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობე-ბელი წინაპირობები, კერძოდ, მოსარჩელე არ არის სადავო ავტო-მობილის მესაკუთრე. ამასთან, ვინაიდან დაკმაყოფილდა სარჩე-ლი, სადავო ავტომობილზე სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნო-ბისა და მესაკუთრედ ცნობის ნანილში, შეგებებული სარჩელი ამ ავტომობილის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის თაობაზე წარუმატებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

25. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოპასუხებ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება, ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა, ხოლო შე-გებებული სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

26. კასატორმა მიუთითა სსკ-ის 525-ე მუხლის, 155-ე მუხლის პირველი ნანილის, 186-ე მუხლის პირველი ნანილის, 158-ე მუხლის დანაწესებზე და მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო არას-წორად დაადგინა და შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი. საქმის მასალებიდან არ ირკვევა, რომ სარჩენმა მოსარჩელეს სა-დავო ავტომანქანა აჩუქა და ფაქტობრივ მფლობელობაში გადას-ცა. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული მოწმეთა ჩვე-ნებებიდან გამომდინარეობს, რომ სარჩენს ავტომანქანის ტარება პირადად აღარ შეეძლო და მოსარჩელეს სთხოვდა მართვის მოწ-მობის აღებას, რათა სადავო სატრანსპორტო საშუალებით სარჩე-

ნი ეტარებინა. ნივთის მესაკუთრედ კი თავად რჩებოდა. მოწმეებმა სასამართლოს საკუთარი შეფასება გადასცეს, როდესაც ნივთის მოსარჩელისათვის ჩუქებაზე საუბრობდნენ (გადასცა მოსარჩელეს გასაღები, მოსთხოვა მართვის მოწმობის აღება და სარჩენის ტარება), თუმცა უშუალოდ ჩუქების ფაქტი ვერ დაადასტურეს. ჯარიმები სადაც მანქანასთან დაკავშირებით მოსდიოდა სარჩენს. მოწმეების ნაწილმა ვერ მიუთითა იმ ბინის მდებარეობა, სადაც ჩუქება განხორციელდა და ვერც ავტომობილის ფერი დასახელეს. მოწმეები მოსარჩელის ოჯახის ახლობლები იყვნენ და სუბიექტურ ინფორმაციას ანვდიდნენ სასამართლოს. არცერთი მოწმე არ წარმოადგენდა სარჩენის სამეცნიერო წრეს.

27. ამასთან მოწმეთა ჩვენებები ურთიერთსანინააღმდეგოა. ერთი მხრივ, ისინი უთითებდნენ, რომ მანქანა მოსარჩელეს გადაეცა, რადგან დ. ჭ-ძეს არ ეცალა, მეორე მხრივ კი, განმარტავდნენ, რომ ნივთით 2018 წლიდან დ. ჭ-იძე სარგებლობდა.

28. კასატორი მიუთითებს, რომ ერთ-ერთ მოწმეს – გ. მ-ს, მანქანის ფერიც კი აერია და მიუთითა, რომ მანქანა იყო ნაცრისფერი, რაზეც მოსარჩელის წარმომადგენლებმა, იმისათვის, რომ გამოესწორებინათ სიტუაცია, განმარტეს, რომ მოწმემ მიუთითა ავტომანქანის გასაღების და არა ავტომანქანის ფერზე, თუმცა კი შეკითხვა დასმული იყო ავტომანქანის ფერთან დაკავშირებით. სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ არ გაითვალისწინა ის სუბიექტური გარემოება, რომ თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელე სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებას ამყარებდა მხოლოდ იმ მოწმებზე, რომლებიც მოსარჩელის ოჯახის ახლობლები იყვნენ და არ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ მოწმე იყო ყოფილი სამართალდამცველი და მას ავტომანქანის ფერი, რომელზედაც იძლეოდა ჩვენებას, არ უნდა შექმლოდა, თუ ეს ავტომანქანა საერთოდ ნანახი ჰყავდა.

29. კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ გააძლიერა მოწმე ზ. დ-ძის ჩვენების იმ ნაწილზე, კერძოდ, „სუფრაზე რომ ვიჯექით, ბ-მ ამოილო გასაღები, ტექპასპორტი, მიაწოდა თ-ს და უთხრა, „მე ისედაც ყველაფერი შენთვის მინდა და ეს მანქანაც შენია, აიღე მართვის მოწმობა, დ-ს არ სცალია ჩემთვის, მუშაობს და შენ მატარეო“... აღნიშნული ჩვენების შინაარსი კი ადასტურებს, რომ რომ ბ. მ-ს არ გაუჩუქებია ავტომანქანა, ვინაიდან მართვის მოწმობის აღებისაკენ მოუწოდა თ. ყ-ს, რათა იგი მომსახურებოდა ბ. მ-ს მისივე მანქანით, რაც ვერ ჩაითვლება ჩუქებად. მოწმის ჩვენების მიხედვით, ბ. მ-მა ავტომანქანის გასაღები და ტექ. პასპორტი თ. ყ-ს მხოლოდ იმიტომ გადასცა, რომ ისევ ბ. მ-ი ეტარებინა და მომსახურებოდა მძღოლის სახით.

30. კასატორი აღნიშნავს, რომ მოწმეთა ჩვენებები არის ურთიერთსანინაალმდეგო, ვინაიდან ისინი ერთის მხრივ მიუთითებენ, რომ პ. მ-მა სადაც ავტომანქანა იმიტომ გადასცა თ. ყ-ს, რომ დ-ს არ სცალია, მუშაობს და შენ მატარეო, თანაც ამის პარარელურად მიუთითებენ, რომ 2018 წლის შემდეგ დ. იყენებდა ამ მანქანას. ჩვენებების ურთიერთნინაალმდეგობა მდგომარეობს იმაში, რომ მოწმის ჩვენების მიხედვით, პ. მ-მა ავტომანქანა ჯერ დ. ჭ-ძეს გადასცა, ხოლო შემდეგ კი თ. ყ-ს იმ მოტივით, რომ დ. მუშაობდა, ბ-სთვის აღარ ეცალა და მიუხედავად ამისა, მოწმე ჩვენებაში მაინც უთოთებს, რომ 2018 წლის შემდეგ მანქანას დ. იყენებდა. ეს მსჯელობა არალოგიკურია.

31. კასატორი მიუთითებს, რომ მოწმეები – ი. ჩ-ძე და ნ. გ-ი არაპირდაპირი მოწმეები არიან, ჩუქების ფაქტს ვერ ადასტურებენ და მათი განმარტება არ უნდა იქნეს გათვალისწინებული.

32. კასატორმა მიიჩნა, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 5 დეკემბრის №ას-658-625-2014 და №ას-914-954-2011 გადაწყვეტილებაზე, რომლებიც მოცემული დავის მიმართ არარელევანტურია, რადგან აღნიშნული გადაწყვეტილებებიდან დგინდება, რომ ავტომანქანებზე დადებული ნასყიდობის გარიგებები უდავოა, ხოლო სადაც მხოლოდ თანხის გადაუხდელობის გამო ნივთის უკან დაბრუნება. განსახილველ შემთხვევაში კი სადაც ზეპირი გარიგების არსებობა, ხოლო მოწმეთა ჩვენებები კი ურთიერთსანინააღმდეგოა და მათი გაზიარება შეუძლებელია.

33. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელის მიერ სადაც ავტომანქანის ფლობის ფაქტი არასწორად შეაფასა ჩუქების დამადასტურებლად, ვინაიდან მოსარჩელე ნივთს უკანონოდ ფლობდა.

34. კასატორმა აღნიშნა, რომ დ. ჭ-ძე არ წარმოადგენს მოსარჩელის მეუღლეს. მათ ფიქტიური ქორნინება გააფორმეს მხოლოდ ამ დავის პერიოდში, 2021 წელს.

35. კასატორის მოსაზრებით, სარჩენს სადაც ავტომობილი სამისდღეში რჩენის ხელშეკრულებით არ გაუთვალისწინება (აღნიშნული ხელშეკრულების კანონიერება სასამართლო წესითაა სადაც გამხდარი) და მოსარჩელისათვის ნივთის ჩუქება რომ სდომდა, იმგვარად გააფორმებდა ჩუქებას, რომ მოსარჩელეს შემდგომ ჩუქების ფაქტი სადაც გამხდომდა.

36. კასატორი მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2017 წლის №511 დადგენილებაზე „ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების“ დამტკიცების თაობა-

ზე, რომელიც ამოქმედდა 2018 წლის პირველი იანვრიდან, ხოლო ნაწილი კი (დადგენილების მე-3 მუხლი) 2018 წლის 1-ლი ივლისიდან. ამდენად, თუ ბ. მ-მა საკუთრებაში გადასცა სადაცო ავტომანქანა თ. ყ-ს, ავტომანქანის ტექნიკურ დათვალიერებაც მესაკუთრეს უნდა განხეორციელებინა, რისი დამადასტურებელი მტკიცებულება კი, თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელეს არ წარმოუდგენია. ასევე არ დასტურდება, რომ პირადად დ. ჭ-ძე ყოფილა დაჯარიმებული. არ დასტურდება მანქანასთან დაკავშირებით მოსარჩელის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება, რაც საკუთრებას დაადასტურებდა, მაგალითად, მანქანის სათადარიგო ნაწილის შეძენა, ტექნიკური შემოწმების გავლა, თუნდაც დ. ჭ-ძის მიერ ჯარიმების გადახდა, როგორც ამას თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელე მიუთითებს. შესაბამისად, გასაზიარებელია პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2023 წლის 26 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე განჩინებით დადგინდა, რომ კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

38. საკასაციო სასამართლომ, 2023 წლის 24 ივლისს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, იმსჯელა რა წარმოდგენილი საკასაციო საჩივარის დასაშვებობაზე, მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ცნობილ უნდა იქნეს დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კერძოდ, საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ საქმე მოიცავს სამართლებრივ პროცედურას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. სსსკ-ის 408-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს მხარეებს. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი განხილულ უნდა იქნეს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე.

39. საკასაციო სასამართლოს 2023 წლის 24 ივლისის განჩინება მოდავე მხარეებს ჩაბარდათ კანონით დადგენილი წესით. კასატორის მოწინააღმდეგე მხარეს რაიმე შუამდგომლობით არ მიუმართავს საკასაციო სასამართლოსათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

40. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული და-საბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

41. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლოს უპირ-ველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპა-სუბისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემო-ებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამარ-თლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებ-რივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღნე-რილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სა-სამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნ-და დაადგინოს, ნორმბში მოყვანილი აბსტრაქტული აღნერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთა-ვაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთ-ხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი ნა-ნამდლვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა, გამორიც-ხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგო-მას.

42. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეე-სება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების სა-ფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარე-თა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნ-და იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პი-რობებში.

43. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვ-ნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელე-მენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და

178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დაგასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომელიც მომდევდაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულება.

44. განსახილველ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა ბათილად იქნეს ცნობილი ნოტარიუსის მიერ 2020 წლის 20 სექტემბრის №... გაცემული სამკვიდრო მოწმობა მოსარჩელის (მემკვიდრის) მიერ უძრავი ქონების – 9,88 კვ.მ-ის მემკვიდრეობით მიღების ნაწილში და მოსარჩელე აღირიცხოს საჯარო რეესტრში ზემოხსენებული 9,88 კვ.მ-ის მესაკუთრედ, ამიტომ საკასაციო პალატა კასატორის (შეგებებული სარჩელით მოსარჩელე) საკასაციო საჩივრის ფარგლებში იმჯელებს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელის მოთხოვნა, ბათილად იქნეს ცნობილი ნოტარიუსის მიერ გაცემული №... სამკვიდრო მოწმობა მოპასუხის (მემკვიდრის) მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების მემკვიდრეობით მიღების ნაწილში და მოსარჩელე ცნობილ იქნეს სადაც ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრედ და არ დაკამყოფილდა შეგებებული სარჩელით მოსარჩელის მოთხოვნა, უკანონო მფლობელობიდან მოძრავი ნივთის გამოთხოვის თაობაზე.

45. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პალატის შეფასების საგანი იქნება კასატორის შედაცებების საფუძვლიანობა, კერძოდ, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ემყარება კანონდარღვევას, რადგან სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი მატერიალური და საპროცესო ნორმე-

ბის დარღვევით.

46. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

47. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადაცო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამონქებენ გადაწყვეტილებას მატერიალურსამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემოწმების შედეგად სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკამყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თავისი განჩინებით ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ან ამ გადაწყვეტილების შეცვლით მიიღოს ახალი გადაწყვეტილება (სსსკ-ის 386-ე მუხლი). ასეთივე შესაძლებლობითაა აღჭურვილი საკასაციო სასამართლოც, კერძოდ, მას შეუძლია, არ გააუქმოს გადაწყვეტილება და ძალაში დატოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადაწყვეტილებით დაადგინოს სხვა სამართლებრივი შედეგი (სსსკ-ის 411-ე მუხლი).

48. საკასაციო სასამართლო ეთანხმება პრინციპს, რომ მოთხოვნის საფუძვლის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივადა და მხარის მიერ სარჩელის დამფუძნებელ ნორმად კანონის ამა თუ იმ დანაწესის მითითება, არ არის გადაწყვეტილების მიღების პროცესში სასამართლოსათვის ხელისშემშლელი. ამგვარი მიდგომა გამომდინარეობს სამართალში დამკვიდრებული პრინციპიდან: „*jura novit*

curia“ (სასამართლომ იცის კანონი).

49. თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელის ძირითადი პრეტენზია მამკვიდრებელსა და დასაჩუქრებულს შორის დადებულ ზეპირ ჩუქების ხელშეკრულებას ემყარება, რომელზე მითითებითაც თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სადავო აფტომანქანა მის საკუთრებას წარმოადგენს და იგი სამკვიდრო მასაში არ უნდა შესულიყო.

50. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელის მოთხოვნის – სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, სადაც ავტომობილზე ჩუქების ხელშეკრულების დადებულად ცნობა და მესაკუთრედ აღიარება, სამართლებრივი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ-ი) 524-ე (ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით), 525-ე I-ლი (მოძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან) მუხლები, ხოლო შეგებებული სარჩელით მოსარჩელის მოთხოვნის – თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელის უკანონო მფლობელობიდან ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოთხოვა, სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 170-ე I-ლი (მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულები შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ იღავება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.), 172-ე I-ლი (მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.) და 1328-ე I-ლი (სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდროს აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის) მუხლები.

51. საკასაციო პალატა აღნიშნავს, იმისათვის, რომ თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელის აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, უნდა დადგინდეს, დაიდო თუ არა ჩუქების ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულებით სადაც ავტომანქანა საკუთრებაში გადაეცა თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელეს.

52. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემოწმდეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას წინავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზ-

ღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარყვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯვრებით გამოარყვიოს სადაც და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანაწილოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტივირთი (მტკიცების ტივირთი).

53. განსახილველ საქმეში, რამდენადაც მხარეებს შორის სადაც ჩუქების ხელშეკრულების არსებობა, ამიტომაც საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს შესაბამის საკანონმდებლო დანაწესებზე:

54. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 319-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ, კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. სამიქალაქეო სამართლით განმტკიცებული მხარეთა ავტონომიურობის პრინციპი ყველაზე ნათლად ხელშეკრულების თავისუფლებაში გამოიხატება.

55. ხელშეკრულების თავისუფლება ეფუძნება მხარეთა სურვილს, დაამყარონ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა. ხელშეკრულების თავისუფლება ორი ნაწილისაგან შედგება: а) ხელშეკრულების დადების თავისუფლება; б) ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება (შდრ: ირმა გელაშვილი, საქართველოს სამოქალაქეო კოდექსის კომენტარი, წიგნი III მუხლი 319, ველი 8, თბილისი, 2019; სერგი ჯორგენაძე, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქეო სამართლი, თბილისი, 2017, გვ.103.; ეკატერინე ბალიშვილი, საქართველოს სამოქალაქეო კოდექსის კომენტარი, წიგნი III მუხლი 327, ველი 3, თბილისი, 2019).

56. კანონმდებლობა ითვალისწინებს ქონების საკუთრებაში გადაცემის ისეთ ხელშეკრულებას როგორიცაა ჩუქება, რომელიც განკარგვითი ხასიათისაა და შედეგად შემძინისათვის საკუთრების უფლების გადაცემას იწვევს.

57. ჩუქების ხელშეკრულების ერთ-ერთი უმთავრესი თავისებურება მისი უსასყიდლო ხასიათია, რაც ნიშნავს იმას, რომ მჩუქებელს არ შეუძლია, მოითხოვოს სამაგიერო დაკმაყოფილება მის მიერ გაცემული საჩუქრის გამო (იხ. დამატებით: ზ. ძლიერიშვილი, ჩუქება და სამისადღეშიო რჩენა, თბილისი, 2018 წ., გვ.25). ჩუქების დაინიშნულებას წარმოადგენს დასაჩუქრებულის ქონების გაზრდა და, შესაბამისად, მჩუქებლის ქონების შემცირება. (შდრ: სუსგ-ები:

№ას-402-2021, 04 ნოემბერი, 2021 წ., პ.158; №ას-709-2021, 19 ოქტომბერი, 2021 წ., პ.58-59.).

58. ჩუქების ხელშეკრულების უსასყიდლო ხასიათი მის ძირითად მაკვალიფიცირებელ წინაპირობას წარმოადგენს. იურიდიული თვალსაზრისით უსასყიდლობა იმაში ვლინდება, რომ საჩუქრი არ არის განსაზღვრული ევივიალენტურობის მატარებელი. ჩუქების მოტივს, რომელიც ზოგჯერ შეიძლება ანგარებითაც იყოს განპირობებული, იურიდიული თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ჩუქების მოტივი ძირითადად გამომდინარეობს გამზუქებლის მხრიდან დასაჩუქრებულის მიმართ არსებული პოზიტიური დამოკიდებულებიდან. ჩუქების დანიშნულებას წარმოადგენს დასაჩუქრებულის ქონების გაზრდა და, შესაბამისად, მჩუქებლის ქონების შემცირება.

59. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების დადება და შესასამისი სამართლებრივი შედეგების წარმოშობა მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევით ხორციელდება. თითოეული ადამიანი თავისი სამართლებრივი სივრცის გამგებელია და მისი თანხმობის გარეშე არავის აქვს ამ სივრცეში შეღწევის უფლება. ჩუქების შემთხვევაშიც მხარეთა მიერ გამიზნული სამართლებრივი შედეგების მისაღწევად, ადგილი უნდა ჰქონდეს მხარეთა კონსესუს. ჩუქება, როგორც ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება, უნდა აკმაყოფილებდეს ხელშეკრულების წამდვილობისათვის წაყენებულ მოთხოვნებს.

60. საკასაციო პალატა განმარტავს, როდესაც საკითხი ეხება ჩუქების ხელშეკრულებას, მნიშვნელოვანია, გამოიკვეთოს ჩუქების ხელშეკრულების დადებისას მხარეთა ნების განმსაზღვრელი ორი ძირითადი კრიტერიუმი: მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა და გამჩქებლის მატერიალური მდგომარეობა. ფაქტობრივი გარემოებები უნდა დადგინდეს ამ კრიტერიუმების არსებობის შეფასების კუთხით, ხოლო დასახელებული კრიტერიუმების შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ანალოგიურ გარემოებებში გონიერი ადამიანის ქცევის სტანდარტი.

61. ამ თვალსაზრისით, პირველ და ყველაზე მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებამდე მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა, რაც, როგორც წესი, განაპირობებს მჩუქებლის მიერ ჩუქების ხელშეკრულების დადების მოტივის ჩამოყალიბებას. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩუქების მოტივი ყოველთვის გამომდინარეობს გამჩქებლის მხრიდან დასაჩუქრებულის მიმართ არსებული პოზიტიური დამოკიდებულებიდან. ამგვარი ურთიერთობები კი, როგორც წესი, გარკვეული დროის განმავლობაში ყალიბდება და საფუძვლად უდევს მხარეთა შო-

რის არსებული მადლიერება, კეთილგანწყობა, ან დამკვიდრებული ჩვეულებებით დაფგენილი ერთგვარი მორალური ვალდებულება.

62. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხელშეკრულების მონაცილე მხარეთა მარტო შეთანხმება არაა საკმარისი ჩუქებისათვის. საჭიროა საჩუქრის რეალურად გადაცემა დასაჩუქრებულისათვის. სწორედ ამ მომენტიდან უნდა ჩაითვალოს ჩუქების ხელშეკრულება დადგებულად, ამიტომაც ჩუქების ხელშეკრულება რეალური ხასიათისაა.

63. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ჩუქების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად, ისე წერილობით. ჩვეულებრივ, მოძრავი ნივთების ჩუქება ხდება ზეპირი ფორმით, ხოლო უძრავი ქონებისა – წერილობით. კანონის მიერ ჩუქების ხელშეკრულების ფორმის განსაზღვრის ზოგად საფუძვლად აღიარებულია კონკრეტულ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის წესი.

64. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 525 I მუხლის თანახმად, მოძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადგებულად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან, რომლის დროსაც დაცული უნდა იქნეს სსკ-ის 186-ე მუხლის მოთხოვნებიც. ცალსახაა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში კანონმდებელი მხოლოდ გადაცემით ჩუქების ხელშეკრულებას აღიარებს და ჩუქებას რეალური ხელშეკრულებების კატეგორიას მიაკუთვნებს (მდრ: სუსგ-ები: №ას-1392-2020, 03 ივნისი, 2021 წ., პ.9.1; №ას-205-2019, 24 ოქტომბერი, 2019 წ., პ.17). ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ ვერ დადასტურდა სსკ-ის 525-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სადაცო ავტომანქანის შეგებებული სარჩელით მოსარჩელისათვის საჩუქრად გადაცემის ფაქტი (მდრ: სუსგ №1181-1442-09, 15 აპრილი, 2010 წ.).

65. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, გვ. 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადაწყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზტები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც

აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე Seryavin and Others v. Ukraine წჯ 55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. Kraska v. Switzerland, § 30; Van de Hurk v. the Netherlands, § 59; Perez v. France, § 80.).

66. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კერძო სამართლის სუბიექტთა შორის წარმოშობილი ურთიერთობის სწორი სამართლებრივი შეფასებისათვის გადამწყვეტია ამ სუბიექტთა ნამდვილი ნების გამოვლენა, რომლის საფუძველზე დადგენილი ფაქტების სამართლებრივი კვალიფიკაცია სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

67. კასატორის პრეტენზია მიემართება იმას, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა და შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და საქმეში არსებული მტკიცებულებები (იხ. საკასაციო საჩივარი, წინამდებარე გადაწყვეტილების პ. 26-36).

68. საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველი საკასაციო პრეტენზიები წარმოდგენილი იქნა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობაში შეუფასებლობის საპროცესო სამართლებრივი საფუძვლით [სსსკ-ის 105-ე, 407.1, 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 396-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი].

69. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვეციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც,

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ფაქტების მითი-თების ტვირთისა და ფაქტების დამტკიცების ტვირთის სწორი გა-დანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

70. ფაქტების დამტკიცების პროცესი საკმაოდ დეტალურად რე-გულირდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, განსაზღვრულია მტკიცების საშუალებათა (მტკიცებულებათა) წრე, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ ფაქტობრი-ვი გარემოებების დასადგენად, ამ მტკიცებულებათა დასაშვებო-ბა და განკუთვნადობა, მტკიცების ტვირთის (მოვალეობის) განა-ნილება მხარეთა შორის, ანუ რომელმა მხარემ რა გარემოება უნდა დაამტკიცოს, მტკიცებულებათა გამოკვლევის წესი, მტკიცებულე-ბათა შეფასების ზოგადი წესები და ა.შ. (იხ. დამატებით: ილონა გა-გუა, მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე, თბილისი, 2020 წ., გვ. 17).

71. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნეს სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მიხედვით ისეთი ფაქტები, როგორიცაა: 1) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ სამართლებ-რივი შედეგი (სარჩელის მიღება წარმოებაში, ან ასეთ მიღებაზე უარის თქმა); 2) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი, ანუ მთავარი საძიებელი ფაქტები (სარ-ჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა); 3) მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მთავარი, ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება – დადასტურება (იხ. დამატებით: ზ. ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბი-ლისი, 2007 წ., გვ. 13). შესაბამისად, სამოქალაქო პროცესში მტკი-ცების საგანია მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქ-ტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნე-ბის (შესაგებლის) დასაბუთება-გამართლების მიზნით (იხ. დამატე-ბით: თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2005 წ., გვ. 215.).

72. „სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს ორი ამოცანა აქვს დასაძლევი: პირველ რიგში, მან უნდა გამოარკვიოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მეორე რიგში კი, მოსამართლემ სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტობრივი გა-რემოებები და დაადგინოს, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვ-ნის დაკმაყოფილების საფუძველი. მოსარჩელემ სასამართლოს უნ-და მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედ-ვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ მოსარჩელის მიერ მი-თითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ აკმაყოფილებს აღნიშ-

ნულ მოთხოვნას, მაშინ სარჩელი უკვე ამ საფუძველზევე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს არა აქეს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოიძიოს სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი გარემოებები და შეაგროვოს მტკიცებულებები. თუ მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულია ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ადასტურებენ მოთხოვნის არსებობას, მაშინ უკვე მოპასუხებზეა დამოკიდებული, ამ გარემოებების არსებობის უარყოფა“ (იხ. თომას ჰერმანი, მტკიცებულებით სამართალი, GIZ, თბილისი, 2016 წ., გვ.3-4).

73. „მტკიცების საგანში შემაგალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელებმ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხებმ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხებ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხებ თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხებ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს“ (იხ. ჰაინ. ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბილისი, 2004 წ., გვ.64).

74. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა ნამდვილი შეჯიბრება რეალურად შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ იყვნენ ამ შეჯიბრებაში მონაწილე მხარეები თანასწორნი. სასამართლო, ვერ გამოიტანს გადაწყვეტილებას, თუ მან არ მისცა მათ შესაძლებლობა გამოიყენონ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უფლება და მექანიზმი თავიანთი პოზიციის გასამართლებლად, თავიანთი უფლებების დასაცავად.

75. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხების თავდაცვის ისეთ ეფექტურ საშუალებას, როგორიცაა შესაგებელი. შესაგებელი, როგორც მოპასუხების საპროცესო თავდაცვის საშუალება მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მასში ცნობილება წერილობითი შეჯიბრებითობის პრინციპი. იგი ასევე, ერთგვარი გამოხატულებაა დისპოზიცი-

ურობის (სსსკ-ის მე-3 მუხლი) პრინციპისა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობას. საპროცესო ავტონომის ფარგლებში მოპასუხის გადასაწყვეტია ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრულებს თუ არა საქმეს მორიგებით, ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც გარკვეულწილად დაგაში შესვლას და სარჩელში მითითებულ გარემოებებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხესარჩელისაგან.

76. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაგებლის სახეებიდან განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია კვალიფიციურ შედავებას. კვალიფიციური შედავება იურიდიულ დოქტრინაში განმარტებულია შემდეგნაირად: „მოპასუხე მოსარჩელის მოხსენების ნაცვლად წარმოადგენს მოვლენათა განვითარების მისეულ, განსხვავებულ ვერსიას, რომელიც ცალკეულ საკითხებში სადავოს ხდის მოსარჩელის მოხსენებას“ (შდრ. მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, შ. შმიტი, ჰ. რიპტერი, (GIZ), 2013წ., გვ.19.). კვალიფიციურ შედავებას არსებით შედავებადაც მოიხსენიებენ. ამგვარი შედავება, ერთი მხრივ, შეიძლება გამორიცხავდეს სარჩელის დაკმაყოფილებას უსაფუძვლობის გამო, ხოლო მეორე მხრივ, ცვლიდეს მოსარჩელის მიერ შემოთავაზებული სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციის, საიდანაც მოსარჩელეს დამატებითი მოხსენების (ფაქტების მითითების) გარეშე გაუჭირდება იმ შედეგის მიღწევა, რომელიც სარჩელით აქვს მოთხოვნილი. კვალიფიციური (არსებითი) შედავება მოსამართლეს ავალდებულებს მოიძიოს მოთხოვნის სხვა დამფუძნებელი ნორმა, ასევე შეამონებოს საგამონაკლისო ნორმები.

77. შესაგებლის შინაარსობრივი მხარე, განსაკუთრებით ფაქტობრივი ნაწილი გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთზე. სსსკ-ის 102.1 მუხლის ზოგადი დათქმიდან გამომდინარე, უფლების შემწყვეტი, შემაფერხებელი და გამომრიცხველი შესაგებლის მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს.

78. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხემ მოთხოვნის გამორიცხველი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელის მიერ მოწვეული მონმექები არ ცხოვრობენ სადაც ქონების მისამართზე, შესაბამისად, მათი განმარტება სარწმუნოდ ვერ ჩაითვლება. სარჩენის გარდაცვალების შემდეგ სადაც ავტომანქანაზე ზეპირი ჩუქების ხელშეკრულების დადების ფაქტის დადგენა შეუძლებელია. მოპასუხემ მემკვიდრეობით თავისი პაპისაგან – ბ. მ-ისაგან, სხვა ქონებებთან ერთად,

მიიღო აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება, რაზეც ნოტარიუსმა გასცა სამკვიდრო მოწმობა. მოსარჩელე რომ უკანონო მფლობელია და არავითარი ჩუქებით არ აქვს მიღებული ეს სატრანსპორტო საშუალება, დასტურდება შესაგებელში მითითებული არგუმენტებით და ფაქტებით სარჩელის წინააღმდეგ.

79. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ ვინაიდან ავტომანქანა წარმოადგენს მოძრავ ნივთს, მისი განკარგვის ნამდვილობა სსკ-ის 186-ე მუხლის ფარგლებში უნდა შეფასდეს და სამოქალაქო უფლების წარმოშობისათვის ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი უფლების შსს-ს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაცია არ არის სავალდებულო.

80. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 186-ე მუხლის მიხედვით, მოძრავ ნივთზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელი წინაპირობაა ნამდვილი უფლება და ამ უფლების საფუძველზე ნივთის შემძენისათვის გადაცემა (იხ. დამატებით: ლევან თორთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, მუხლი 186, ველი 9, თბილის, 2018 წ.). წიგნის გადაცემის სახეები მოცემულია მითითებული ნორმის მეორე ნაწილში. გადაცემა წიშნავს, ნივთის შემძენისათვის პირდაპირი მფლობელობის მინიჭებას, თუმცა სსკ-ის 186-ე მუხლით განსაზღვრული გადაცემა უფრო მეტის მომცველია, ვიდრე მხოლოდ წივთზე პირდაპირი მფლობელობა. სსკ-ის 155-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით, წივთზე პირდაპირი მფლობელობის გადაცემა ნიშნავს მესაკუთრის მიერ წივთზე მფლობელობის სრულ და საბოლოო დაკარგვას ისე, რომ არ არსებობს რაიმე გარემოება ან სიმბოლური ქმედება, რომელიც საეჭვოს ხდის მფლობელობის გადაცემას. წიგნის მფლობელობაში გადაცემა მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც წივთის ფაქტობრივ გადაცემას თან სდევს მხარეების ფაქტობრივი კონსაენსუსი – მესაკუთრის მიერ მფლობელობის გადაცემისა და შემძენის მიერ მფლობელობის მიღების ნება.

81. განსაზიდველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სადავო ფაქტის დადგენისას არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, კერძოდ, დაუსაბუთებლად არ გაიზიარა თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელის მოწმეთა ჩვენებები. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოწმეთა ჩვენებების შეფასებისას, სასამართლო ვალდებულია, ისევე, როგორც სხვა სახის მტკიცებულება, მოწმის ჩვენება შეაფასოს მისი შინაარსისა და იურიდიული დამაჯერებლობის კუთხით, იმ ობიექტური თუ სუბიექტური კრიტერიუმების (მხარეებთან დამოკიდებულება, ფიზიკური მდგომარეობა, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოწმის ჩვენებაზე და სხვა) გათვალისწინებით, რო-

მელიც ამ მტკიცებულებისათვისაა დამახასიათებელი და სწორედ ამ გზით მიიღოს სადაც ფაქტობრივი გარემოების არსებობა-არარსებობის შესახებ გადაწყვეტილება.

82. განსახილველ საქმეზე უდავოდ დადგენილია, რომ არ არსებობს სადაც ავტომანქანაზე წერილობითი ფორმით დადგებული ჩუქების ხელშეკრულება, ამიტომაც საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს იმსჯელოს მტკიცებულების სახეზე, როგორიცაა მონმის ჩვენება. სსსკ-ის 140-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მონმედ შეიძლება იყოს ყოველი პირი, რომლისთვისაც ცნობილია რაიმე გარემოება საქმის შესახებ.

83. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 102-ე მუხლის მესამე ნაწილი, რომელიც შეეხება „მტკიცებულებათა დასაშვებობას“ ადგენს ქცევის იმგვარ წესს, რომლის თანახმად, საქმის გარემოების, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. განსახილველ შემთხვევაში, რადგან საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ავტომანქანის ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობისათვის კანონით დადგინდ სავალდებულო წერილობით ფორმას, ამიტომაც არ არსებობს სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მოწესრიგების გამოყენების საჭიროება, შესაბამისად, სადაც გარემოებების დასადასტურებლად დასაშვებია მონმის ჩვენება, თუმცა ყველა მტკიცებულება უნდა შეფასდეს მათი უტყუარობისა და აგრეთვე, იმ თვალსაზრისით, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოების დადასტურებაა ამ მტკიცებულებებით შესაძლებელი.

84. საკასაციო პალატა განმარტავს, მონმე იმით განსხვავდება პროცესის მონაწილე სხვა სუბიექტებისაგან, რომ მას არ გააჩნია საქმის შედეგის მიმართ იურიდიული დაინტერესება. ამდენად, მონმე არის საქმის მიმართ იურიდიული ინტერესის არმქონე პირი. სტრასბურგის სასამართლოს განმარტებით, წებისმიერ შემთხვევაში, მონმეთა კომპეტენცია, პირველ რიგში ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად წესრიგდება (იხ. Lüdi v. Switzerland, გადაწყვეტილება 15.06.1992, სერია A, N238, გვ. 20, პარაგრაფი 43 და Schuler-Zraggen v. Switzerland, გადაწყვეტილება 24.06.1993. სერია №263, გვ.21. პარაგრაფი 66, <https://hudoc.echr.coe.int>).

85. სსსკ-ის 105-ე და 140-ე მუხლების ანალიზიდან კი, გამომდინარეობს, რომ მონმის ჩვენების მიღებისას ეროვნულმა სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ყველა იმ ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორით, რაც ამ მტკიცებულების იურიდიულ ბუნებას ახ-

ლავს, მათ შორისაა მოწმის, როგორც სუბიექტის დამოუკიდებლობა მხარეთა შორის სადავო ფაქტებისა და მოვლენების მიმართ. სწორედ ამ კრიტერიუმებით განისაზღვრება ჩვენებაში გადმოცემული ფაქტების იურიდიული სანდოობა (იხ. დამატებით: ილონა გაგუა, მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო სამართლებრივ დაგებზე, თბილისი, 2020 წ., გვ. 77.).

86. კასატორი მიუთითებს, რომ ყველა მოწმე დაკავშირებულია თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელესთან, აგრეთვე მათ ჩვენებში არის წინააღმდეგობაც, რაც ობიექტურად გავლენას ახდენს მათ მიერ მიუკერძოებელი ჩვენების მიცემის შესაძლებლობაზე და ამცირებს აღნიშნული მოწმეების ჩვენებების, როგორც მტკიცებულებების, იურიდიულ სანდოობას.

87. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა საქმეზე მოწმეებად დაკითხული პირების განმარტებებზე, კერძოდ: გ. მ-ის განმარტებით: „ბ. გავიცანი 2012-2013 წელს დ-გან და თ-გან... 2020 წელს ვნახე ბოლოს, თ. და დ. უვლიდნენ ბ-ს, ზრუნავდნენ მასზე ... ბ-ს ტარება აღარ შეეძლო, ბოლოს მოუვიდა შეჯახება ... 2018 წლის ახალ წელს ავედი დ-თან სახლში, იქ მოვიდა ბ. ც, ხშირად მოდიოდა სტუმრად ... თ-მ უთხრა „ხომ არ უნდა მოვკვდე ამ მანქანაში, აღარ შემიძლია ტარება, „პრავა“ აიღე და გქონდეს მანქანაო“ ... გასაღებიც მისცა, გყავდეს ეს მანქანა შენო... 2018 წლის შემდეგ დ. ხმარობდა ამ მანქანას ... დ. და თ. აღ-ბათ 2010 წლიდან არიან ცოლ-ქმარი... ზ. დ-ის განმარტებით: „დ-ს ბავშვობიდან ვიცნობთ ... ბ-ს ვიცნობ 2015-2016 წლიდან, დ-ს მოყავდა ხოლმე სამსახურში, ამანათებს აგზავნიდა მოსკოვში დღე-სასწაულებზე... 2018 წელს 1 იანვარს, ჩემმა მეგობარმა დამპატიუა თ. ოჯახში, იქ იყო ბ-ც, სუფრაზე რომ ვიჯეებთ, ბ-მ ამოიღო გასაღები, ტექქასპორტი, მიაწოდა თ-ს და უთხრა, „მე ისედაც ყველაფერი შენთვის მინდა და ეს მანქანაც შენია, აიღე მართვის მოწმობა, დ-ს არ სცალია ჩემთვის, მუშაობს და შენ მატარეო“.. დ. და თ. ცოლ-ქმარი არიან დაახლოებით 2012 წლიდან ... ჩემთან სამსახურში მოდიოდნენ RAV4-ით ... ბ. არ სკამდა სასმელს ... მე როცა ვნახულობდი, სულ დ. იჯდა საჭესთან ... მანქანა შავი ფერის იყო. ი. ჩ-ის განმარტებით: „ქობულეთში გავიცანი თ. და ბატონი ბ... მერე აქაც მქონდა ურთიერთობა ... 8-9 წელია გვაქვს ურთიერთობა ... 2018 ან 2019 წლის ზაფხული იყო, აგვისტოს თვე, ბატონ ბ-სთან ვსაუბრობდი და მითხრა შენც არ იცი ტარებაო, მაგრამ რად გინდაო, მანქანა ვაჩუქე თ-ო და ტარება, რომ ისნავლოს „ვერ დავწერე ჯვარიო“... შავი ჯიპი იყო, მარკა არ ვიცი... დ. და თ. ცოლ-ქმარი არიან, რაც ვიცნობ იმის მერე ვიცი, რომ დ. თ-ის მეუღლეა. ნ. გ-ის განმარტებით: „თ. ჩემი ბავშვობის მეგობარია ... დ. თ-ის მეუღლეა ... ბ. მ-ს

ვიცწობდი ვიდეო ზარებიდან, თ-ა, რომ ელაპარაკებოდა, ტელე-ფონში ვესალმებოდი ... ვიცოდი, რომ ბიძა და დისტვილი იყვნენ ერთმანეთისთვის ... მანქანაზე მაშინ გავიგე, როცა ახალი წელი მი-ვულოცე, 2 იანვარი იყო, თ-მ მითხრა, რომ ბიძაჩემა მანქანა მა-ჩუქაო (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პ. 21).

88. კასატორი მიუთითებს, საქმის მასალებიდან არ ირკვევა, რომ სარჩენმა მოსარჩელეს სადავო ავტომანქანა აჩუქა. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული მოწმეთა ჩვენებიდან გამომ-დინარეობს, რომ სარჩენს ავტომანქანის ტარება პირადად აღარ შეეძლო და მოსარჩელეს სთხოვდა მართვის მოწმობის აღებას, რა-თა სადავო სატრანსპორტო საშუალებით სარჩენი ეტარებინა. ნივ-თის მესაკუთრედ კი თავად რჩებოდა. მოწმეებმა სასამართლოს საკუთარი შეფასება გადასცეს, როდესაც ნივთის მოსარჩელისათ-ვის ჩუქებაზე საუბრობდნენ (გადასცა მოსარჩელეს გასაღები, მოს-თხოვა მართვის მოწმობის აღება და სარჩენის ტარება), თუმცა უშუალოდ ჩუქების ფაქტი ვერ დაადასტურეს. ჯარიმები სადავო მანქანასთან დაკავშირებით მოსდიოდა სარჩენს. მოწმეების ნაწილ-მა ვერ მიუთითა იმ ბინის მდებარეობა, სადაც ჩუქება განხორცი-ელდა და ვერც ავტომობილის ფერი დაასახელეს. მოწმეები მოსარ-ჩელის ოჯახის ახლობლები იყვნენ და სუბიექტურ ინფორმაციას აწვდიდნენ სასამართლოს. არცერთი მოწმე არ წარმოადგენდა სარ-ჩენის სამეგობროს წრეს. ამასთან მოწმეთა ჩვენებები ურთიერ-თსაწინააღმდეგოა. ერთი მხრივ, ისინი უთითებდნენ, რომ მანქანა მოსარჩელეს გადაეცა, რადგან დ. ჭ-ძეს არ ეცალა, მეორე მხრივ კი, განმარტავდნენ, რომ ნივთით 2018 წლიდან დ. ჭ-ძე სარგებ-ლობდა (იხ. საკასაციო საჩივარი, წინამდებარე გადაწყვეტილების პ. 26-27).

89. საკასაციო პალატა კასატორის პრეტენზიის ფარგლებში იმ-სჯელებს თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელის ინიციატივით დაკითხული მოწმეების მიერ მიცემულ ჩვენებებზე იმ თვალსაზ-რისით, თუ რამდენად დასტურდება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოება – ზეპირი ფორმით ჩუქების ხელშეკრულების და-დება და არის თუ არა მოწმეთა ჩვენებებში წინააღმდეგობა.

90. კასატორის მიუთითებს, რომ მოწმეები – ი. ჩ-ძე და ნ. გ-ი ოჯახის ახლობლები იყვნენ და სუბიექტურ ინფორმაციას აწვდიდ-ნენ სასამართლოს, იმავდროულად არაპირდაპირი მოწმეები არი-ან, ჩუქების ფაქტს ვერ ადასტურებენ და მათი განმარტება არ უნ-და იქნეს გათვალისწინებული.

91. კასატორის აღნიშნულ პრეტენზიასთან დაკავშირებით, სა-კასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს წინამდებარე გადაწ-ყვეტილების პ.21 დადგენილ გარემოებაზე, კერძოდ, ი. ჩ-ძის გან-

მარტებით: „ქობულეთში გავიცანი თ. და ბატონი ბ. ... მერე აქაც მქონდა ურთიერთობა ... 8-9 წელია გვაქვს ურთიერთობა ... 2018 ან 2019 წლის ზაფხული იყო, აგვისტოს თვე, ბატონ ბ-სთან ვსაუბრობდი და მითხრა შენც არ იცი ტარებაო, მაგრამ რად გინდაო, მანქანა ვაჩუქე თ-ო და ტარება, რომ ისნავლოს „ვერ დავწერე ჯვარიო“... შავი ჯიბი იყო, მარკა არ ვიცი... და და თ. ცოლ-ქმარი არიან, რაც ვიცნობ იმის მერე ვიცი, რომ დ. თ-ის მეუღლეა. 6. გ-ის განმარტებით: „თ. ჩემი ბავშვობის მეგობარია ... დ. თ-ის მეუღლეა... ბ. მ-ს ვიცნობდი ვიდეო ზარებიდან, თ-ნა, რომ ელაპარაკებოდა, ტელეფონში ვესალმებოდი... ვიცოდი, რომ ბიძა და დისპეცილი იყვნენ ერთმანეთისთვის... მანქანაზე მაშინ გავიგე, როცა ახალი წელი მივულოცე, 2 იანვარი იყო, თ-მ მითხრა, რომ ბიძაჩემმა მანქანა მაჩუქაო (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პ. 21).“

92. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ 6. გ-ის ჩვენება, ვერ იქნება მიჩნეული მოწმის ჩვენებად, შემდეგ გარემოებათა გამო:

93. 6. გ-ის განმარტებით: „მანქანაზე მაშინ გავიგე, როცა ახალი წელი მივულოცე, 2 იანვარი იყო, თ-მ მითხრა, რომ ბიძაჩემმა მანქანა მაჩუქაო“. აღნიშნულიდან კი დგინდება, რომ 6. გ-ი უშუალოდ არ შესწრებია სადავო ავტომანქანის ჩუქების ფაქტს, არამედ ამის შესახებ შეიტყო თვითონ თ. ყ-ისაგან. შესაბამისად, ინფორმაციის წყარო, რომელზე დაყრდნობითაც 6. გ-ი მიუთითებს სადავო სამართალურთიერთობის დასადასტურებლად, საკასაციო პალატის შეფასებით სხვა არაფერია, თუ არა თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელის ვერბალური ახსნა-განმარტება.

94. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ი. ჩ-ის ჩვენებით, ასევე უტყუარად არ დასტურდება სადავო ჩუქების ხელშეკრულების დადება, რადგან მოწმე უმუალოდ არ შესწრების ჩუქების ხელშეკრულების დადების ფაქტს და მეორეც, ზუსტად ვერ იხსენებს, როდის განუცხადა გამჩუქებელმა სადავო ავტომანქანის საჩუქრად გადაცემის შესახებ „2018 ან 2019 წლის ზაფხული იყო, აგვისტოს თვე, ბატონ ბ-სთან ვსაუბრობდი“.

95. კასატორი მიუთითებს, რომ ერთ-ერთ მოწმეს – გ. მ-ს, მანქანის ფერიც კი აერია და მიუთითა, რომ მანქანა იყო ნაცრისფერი, რაზეც მოსარჩელის წარმომადგენლებმა, იმისათვის, რომ გამოესწორებინათ სიტუაცია, განმარტებს, რომ მოწმემ მიუთითა ავტომანქანის გასაღების და არა ავტომანქანის ფერზე, თუმცა კი შეკითხვა დასმული იყო ავტომანქანის ფერთან დაკავშირებით. სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ არ გაითვალისწინა ის სუბიექტური გარემოება, რომ თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელე სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებას ამყარებდა მხო-

ლოდ იმ მოწმეებზე, რომლებიც მოსარჩელის ოჯახის ახლობლები იყვნენ და არ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ მოწმე იყო ყოფილი სამართალდამცველი და მას ავტომანქანის ფერი, რომელზედაც იძლეოდა ჩვენებას, არ უნდა შემლოდა, თუ ეს ავტომანქანა საერთოდ ნანახი ჰყავდა.

96. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა მოწმე ზ. დ-ძის ჩვენების ნაწილზე, კერძოდ, „სუფრაზე რომ ვიჯექით, ბ-მ ამოილო გასაღები, ტექპასპორტი, მიაწოდა თ. და უთხრა, „მე ისედაც ყველაფერი შენთვის მინდა და ეს მანქანაც შენია, აიღე მართვის მოწმობა, დ. არ სცალია ჩემთვის, მუშაობს და შენ მატარეო“...

97. საკასაციო პალატა კასატორის პრეტენზიის ფარგლებში ყურადღებას გაამახვილებს ზ. დ-ძის ჩვენებაძე: „დ-ს ბავშვობიდან ვიცნობთ ... ბ-ს ვიცნობ 2015-2016 წლიდან, დ-ს მოყავდა ხოლმე სამსახურში, ამანათებს აგზავნიდა მოსკოვში დღესასწაულებზე... 2018 წელს 1 იანვარს, ჩემმა მეგობარმა დამპატიუა თ. ოჯახში, იქ იყო ბ-ც, სუფრაზე რომ ვიჯექით, ბ-მ ამოილო გასაღები, ტექპასპორტი, მიაწოდა თ-ს და უთხრა, „მე ისედაც ყველაფერი შენთვის მინდა და ეს მანქანაც შენია, აიღე მართვის მოწმობა, დ-ს არ სცალია ჩემთვის, მუშაობს და შენ მატარეო“.. დ. და თ. ცოლ-ქმარი არიან დაახლოებით 2012 წლიდან ... ჩემთან სამსახურში მოდიოდნენ RAV4-ით ... ბ. არ სვამდა სასმელს ... მე როცა ვნახულობდი, სულ დ. იჯდა საჭესთან... მანქანა შავი ფერის იყო.

98. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ აღნიშნული ჩვენების შინაარსი იმას ადასტურებს, რომ რომ ბ. მ-ს არ გაუჩიუქებია ავტომანქანა, ვინაიდან მართვის მოწმობის აღებისაკენ მოუწიდა თ. ყ-ს, რათა იგი მომსახურებოდა ბ. მ-ს მისავე მანქანით, რაც ვერ ჩაითვლება ჩუქებად. მოწმის ჩვენების მიხედვით, ბ. მ-მა ავტომანქანის გასაღები და ტექ. პასპორტი თ. ყ-ს მხოლოდ მიტომ გადასცა, რომ რადგან მუშაობის გამო დ-ს არ სცალია ბ. მ-ისათვის, თ. ყ-ს ისევ ბ. მ-ი ეტარებინა და მომსახურებიდა მძღოლის სახით.

99. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის იმ პრეტენზიასაც, რაც უკავშირდება თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელის ინიციატივით დაკითხულ მოწმეთა ჩვენებების ნინაალმდეგობას. მოწმეები ერთის მხრივ მიუთითებენ, რომ ბ. მ-მა სადავო ავტომანქანა იმიტომ გადასცა თ. ყ-ს, რომ დ-ს არ ცალია, მუშაობს და შენ მატარეო, თანაც ამის პარარელურად მიუთითებენ, რომ 2018 წლის შემდეგ დ. იყენებდა ამ მანქანას.

100. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის იმ პრეტენზიასაც, თუ ბ. მ-მა საკუთრებაში გადასცა სადავო ავტომანქანა თ. ყ-ს,

ავტომანქანის ტექნიკურ დათვალიერებაც მესაკუთრეს უნდა განეხორციელებინა, რისი დამადასტურებელი მტკიცებულება კი, თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელეს არ წარმოუდგენია. ასევე არ დასტურდება, რომ პირადად დ. ჭ-ძე ყოფილა დაჯარიმებული. არ დასტურდება მანქანასთან დაკავშირებით მოსარჩელის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება, რაც საკუთრებას დაადასტურებდა, მაგალითად, მანქანის სათადარიგო ნაწილის შეძენა, ტექნიკური შემოწმების გავლა, თუნდაც დ. ჭ-ძის მიერ ჯარიმების გადახდა, როგორც ამას თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელე მიუთებს.

101. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორმა ჩუქების ხელშეკრულების დადების ნაწილში წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

102. საკასაციო პალატა იმსჯელებს, კასატორის პრეტენზიაზე, რომელიც უკავშირდება სააპელაციო სასამართლოს მიერ შეგძებებული სარჩელის უარყოფას.

103. კასატორმა შეგებებული სარჩელით მოითხოვა თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელის უკანონო მფლობელობიდან ავტოსატრანსპორტო საშუალების მარკა – მოდელი ტოიოტა RAV4, სანომრე ნიშანი – ..., ფერი – შავი, საიდენტიფიკაციო ნომერი ..., გამოთხოვა და მისთვის გადაცემა.

104. შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ მიუთითა, რომ მემკვიდრეობით თავისი პაპისაგან – ბ. მ-ისაგან, სხვა ქონებებთან ერთად, მიიღო აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება, რაზეც ნოტარიუსმა გასცა სამკვიდრო მოწმობა. თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელის მიერ აღძრულია სარჩელი ამ სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის მოთხოვნით, რომელშიც მითითებულია, რომ ფლობს ზემოაღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებას. თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელე, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ფლობს სამკვიდროში შესულ ზემოაღნიშნულ ავტომანქანას, რადგან დადასტურებულია მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტი. შეგებებული სარჩელით მოპასუხე, რომ უკანონო მფლობელია და არავითარი ჩუქებით არ აქვს მიღებული ეს სატრანსპორტო საშუალება, დასტურდება აგრეთვე შესაგებელში მითითებული არგუმენტით და ფაქტებით თავდაპირველი სარჩელის ნინააღმდეგ.

105. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ხოლო შეგებებული სარჩელით მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 170 I-ლი (მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშ-

ვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გა-მოყენებას.), 172 I-ლი (მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელს მოსთხო-ვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.) და 1328 I-ლი (სამ-კვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდროს აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდი-ლის მომენტისათვის) მუხლები.

106. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სავინდიკაციო სარ-ჩელი ეფუძნება იმ მოცემულობას, რომ მესაკუთრეს, რომელსაც ჩამორთვა მფლობელობა, შეუძლია ნივთი მოითხოვოს მფლობე-ლისაგან, რომელიც არაკეთილსინდისიერად აკავებს ნივთს. საკუთ-რების უფლებამ ნივთზე სრული ბატონობა უნდა უზრუნველყოს, მათ შორის ფაქტობრივი ბატონობა – მფლობელობის სახით. ცხა-დია, მესაკუთრეს სხვა უფლებამოსილებებთან ერთად აქეს მფლო-ბელობის უფლებაც და თუკი მოხდება საკუთრების მფლობელო-ბის ჩამორთმევა, მას შეუძლია არაუფლებამოსილ მფლობელს სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მოსთხოვოს ნივ-თის უკან დაბრუნება (იხ. დამატებით: თ. ზარანდია, სანივთო სა-მართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, მეორე შევსებული გამო-ცემა, 2019 წ., თბილისი, გვ. 245).

107. არამფლობელი მესაკუთრის მიერ უკანონო მფლობელობი-დან ნივთის გამოთხოვის მართლზომიერებისთვის უნდა არსებობ-დეს შემდეგი ნინაპირობები: ა) მოსარჩევე უნდა იყოს მესაკუთ-რე, ბ) მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი და გ) მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება. მხოლოდ მას შეძ-დეგ, რაც დადგინდება სამივე ნინაპირობის არსებობა, შესაძლე-ბელი გახდება მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გა-მოთხოვა.

108. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვინდიკაციური სარ-ჩელის საფუძვლიანობა მოწმდება იმ გარემოებათა შეფასებით, არ-სებობს თუ არა მოსარჩელის საკუთრების უფლება ნივთზე და იმ-ყოფება თუ არა ეს ნივთი სხვა პირის არამართლზომიერ მფლობე-ლობაში (შდრ: სუსგ-ები: №ას- 1005-2023, 03 ოქტომბერი, 2023 წ., პ.39;).

109. საკასაციო სასამართლო მიზანშენონილად მიიჩნევს ყუ-რადღება გაამახვილოს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხ-ლზე და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის და-ნაწესზე, რომლითაც განსაზღვრულია საკუთრების ში-

ნაარსი. „სამართლებრივი სახელმწიფო ეფუძნება ადამიანის, როგორც უმთავრესი ფასეულობის არა მხოლოდ აღიარებას, არამედ რეალურ უზრუნველყოფას ძირითადი უფლებებით სრულყოფილად და ეფექტურად სარგებლობის გარანტიების გზით. ფასეულობათა კონსტიტუციური სისტემა დაფუძნებულია ძირითადი უფლებების პრიორიტეტსა და პატივისცემაზე“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის გადაწყვეტილება საქმეზე №2/3/423). „საქართველოს კონსტიტუციით დაცულია არა მხოლოდ საკუთრება, არამედ მისი შეძენაც და გასხვისებაც. საკუთრების შინაარსა და ფარგლებს განსაზღვრავს არა კანონი, არამედ სამართლებრივი წესრიგი“ (იხ. პ.ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, გვ.97).

110. „საკუთრების უფლება ბუნებითი უფლებაა, რომლის გარეშეც შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა. საკუთრების უფლება არა მარტო ინდივიდის არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფა მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადევატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/384). ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მენარმებობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალქო ბრუნვას“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/512). „საქართველოს კონსტიტუციით დაცვის სუბიექტია კერძო პირთა საკუთრება, როგორი ფუნქციური დატვირთვაც არ უნდა ჰქონდეს მას, სამენარმეო საქმიანობის განსახორციელებლად იქნება გამოყენებული თუ არასამენარმეო მიზნებისათვის. საკუთრება უპირობოდ დაცული ფასეულობაა, იმის მიუხედავად, თუ რა ლირებულების მფლობელობაა სახეზე და რა სოციალური ტვირთის მატარებელია იგი“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/411).

111. „საკუთრების განკარგვის თავისუფლებასთან გვაქვს საქმე, როცა ეს განკარგვა მესაკუთრის თავისუფალი ნების შედეგად ხდება და იგი წარმოადგენს სუვერენული უფლების რეალიზაციის გამოვლინებას.“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/384). „საქართველოს კონსტიტუციით დაცულია მხოლოდ კანონიერი გზით მოპოვებული საკუთრება. საკუთრება კანონიერად მაშინ ჩაითვლე-

ბა, თუ ის შეძენილია კანონის მოთხოვნათა დაცვით“. (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/5/309). „საკუთრების კანონისმიერი თუ სახელშეკრულებო ბოჭვის ნებისმიერ შემთხვევაში საკუთრების არსება უნდა შენარჩუნდეს და მისი შინაგანი შინაარსი არ უნდა დაზიანდეს“ (იხ. ბეჭარიონ ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ლირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, გვ.105).

112. კასატორს სადავოდ არ გაუხდია და სააპელაციო სასამართლომაც დადგენილად ჩათვალა, რომ აპელანტი სადავო ქონებას ფლობდა. რაც შეეხება ვინდიკაციური სარჩელის დაქმაყოფილების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას, რომ მფლობელს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ შეგებებული სარჩელით მოპასუხებ სსსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, ვერ შეძლო თავისი წილი მტკიცების ტყირთის რეალიზება და სასამართლოსათვის იმ მტკიცებულებების ნარდგენა, რომლითაც სადავო ნივთზე მისი მფლობელობის მართლზომიერება დადასტურდებოდა.

113. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 168-ე მუხლის თანახმად, მესაკუთრის პრეტენზის გამო, ნივთის მფლობელობა წყდება, თუ მესაკუთრე მფლობელს წაუყენებს დასაბუთებულ პრეტენზიას. ამასთან, უნდა გამოიკვეთოს სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა წინაპირობა, რათა მოსარჩელეს უფლება ჰქონდეს, მფლობელობის შეწყვეტა და ნივთის მისთვის გადაცემა მოითხოვოს.

114. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2020 წლის 28 მარტს სადავო ავტომანქანის მესაკუთრის ბ. მ-ის გარდაცვალების შემდეგ მისი მემკვიდრის – შვილიშვილის (კასატორი) სახელზე, ნოტარიუსმა გასცა 2020 წლის 20 სექტემბრის №... სამკვიდრო მონმობა (მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტისათვის უკვე გარდაცვლილი გახდათ მამკვიდრებლის შვილი, მოპასუხის დედა). მოცემული ღოკუმენტის თანახმად, მემკვიდრემ მიიღო მამკვიდრებლის სამკვიდრო ქონება, მათ შორის, სადავო ავტომანქანა. რადგან არ დადასტურდა მამკვიდრებლის მიერ ზეპირი ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელისათვის სადავო ავტომანქანის ჩუქების ფაქტი, სსკ-ის 1328-ე მუხლის შესაბამისად, სადავო ავტომანქანა წარმოადგენს სამკვიდრო ქონებას. საქმეში არსებული მტკიცებულებებით უდავოდ დასტურდება კასატორის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტი. შესაბამისად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, სახელება

შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები. ა) მოსარჩელე უნდა იყოს მესაკუთრე, ბ) მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი და გ) მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება.

115. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორმა უკანონო მფლობელი იყო ქონების გამოთხვის ნაწილშიც წარმოადგინა დასაძვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტჩია.

116. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ჩაითვლება კანონის დაღვევით მიღებულად, რაც მისა გაუქმების საფუძველია, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, ხოლო სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებული უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

საკასაციო პალატის მიერ საპროცესო ხარჯების განაწილება:

117. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. სსსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, სასამართლოს მიერ საქმის განსახილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია.

118. ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ხოლო კასატორი სსსკ-ის 46-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისა-

გან, შესაბამისად კასატორის მოწინააღმდეგე მხარეს თ. ყ-ს უნდა დაეცისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ საკასაციო სა-მართალწარმოების ეტაპზე 750 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და,

გ ა დ ა ნ ჟ ვ ი ტ ა:

1. კ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 07 თებერვლის გადაწყვეტილება;
3. თ. ყ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. კ. მ-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდეს. გამოთხოვილი იქნეს თ. ყ-ის უკანონო მფლობელობიდან ავტოსატრანსპორტო საშუალება (მარკა/მოდელი – ტოიოტა RAV4, სანომრე ნიშანი – ..., ფერი – შავი, საიდენტიფიკაციო ნომერი – ...) და გადაეცეს კ. მ-ს;
5. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით (სარჩელის უზრუნველყოფის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე) გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც კ. მ-ს (პ/ნ ...) აეკრძალა ქალაქი თბილისი, ..., ფართი 9.88 კვ.მ. გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №...); კ. მ-ს აეკრძალა - შემდეგი სატრანსპორტო საშუალების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა: მარკა/მოდელი – ტოიოტა RAV4, სანომრე ნიშანი – ..., ფერი – შავი, საიდენტიფიკაციო ნომერი – ...;
6. ძალაში დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 05 აპრილის განჩინებით (სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე) გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება;
7. თ. ყ-ს საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 750 ლარის გადახდა;
8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. ნარდობა

ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება

განრიცხვა
საქართველოს სახელი

№ას-1112-2022

24 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაელერიძე,
გ. მიქაუტაძე

დავის საგანი: უძრავი ნივთების საკუთრებაში გადაცემა

აღნერილობითი ნაწილი:

1. შ. გ-მა და გ. გ-მა სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – შპს „ა. ბ-ის“ მიმართ, უძრავი ნივთების საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით.

2. მოსარჩელეთა განმარტებით, მათ მოპასუხესთან 2018 წლის 29 სექტემბერს დადგის მომსახურების ხელშეკრულება, რომელიც მოსარჩელებმა ჯეროვნად შეასრულეს, თუმცა მოპასუხემ, შესრულების მიღების მიუხედავად, უარი განაცხადა ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე – მოსარჩელეებისთვის უძრავი ნივთების საკუთრებაში გადაცემაზე.

3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელეებს ხელშეკრულება სათანადოდ და ჯეროვნად არ შეუსრულებიათ.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით შ. გ-ისა და გ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; შპს „ა. ბ-ს“ დაევალა 2018 წლის 29 სექტემბრის მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება – თბილისში, წყნეთის გზატკეცილის №41-ში მდებარე, მოპასუხის მიერ აშენებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში, გ. გ-ისთვის – №... და შ. გ-ისთვის – №... საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა.

5. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5.1. 2018 წლის 29 სექტემბერს შპს „ა. დ-ს“ (შემკვეთი; დღეის მდგომარეობით – შპს „ა. ბ-ი“) და მოსარჩეულებს (მენარდები) შორის დაიდო მომსახურების ხელშეკრულება, რომლის თანხმადაც, მოსარჩეულებს ევალებოდათ თბილისში, ... მდებარე, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მინის ნაკვეთზე შემდეგი სამუშაოების შესრულება: ა) სამშენებლო პროექტის მომზადება; ბ) სამშენებლო პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მომზადება; გ) სამშენებლო პროექტის შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში, კერძოდ, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში, შეთანხმება და მშენებლობის წებართვის მოპოვება. ხელშეკრულების მიხედვით, შემსრულებელი თავად წყვეტდა შესასრულებელი სამუშაოს შესრულების გეგმა/გრაფიკს, თუმცა მომსახურების სრული მოცულობა დამკვეთს უნდა ჩაებარებინა არაუგვიანეს 2018 წლის 1 დეკემბრისა.

ამავე ხელშეკრულების თანახმად, მომსახურების ღირებულება ანაზღაურდებოდა ნატურით: თბილისში, ..., №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მინის ნაკვეთზე აშენებულ საცხოვრებელ კორპუსში მოსარჩეულებს გადაეცემოდათ საცხოვრებელი ფართები, „თეთრი კარკასის“ მდგომარეობაში, თითოეულს – 75 მ². ამასთან, მომსახურების ანაზღაურება უნდა მომხდარიყო საცხოვრებელი კორპუსის დასრულებამდე. ბინების ზუსტი მახასიათებლები კი უნდა დაზუსტებულიყო პროექტის დამტკიცების შემდეგ, განხლის ოქმის რეგისტრაციისთანავე, დამატებითი შეთანხმების აქტის საფუძველზე, რომლის მახასიათებლებს შეარჩევდნენ დამაკვეთი და შემსრულებელი ერთობლივი შეთანხმებით;

5.2. სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 31 დეკემბრის №4325907 ბრძანებით შეთანხმდა თბილისში, ... (ს/კ ...) მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი. ამავე ბრძანების თანახმად, გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. აღნიშნული ბრძანების თანახმად, ამ ბრძანების დამკვეთი/განმცხადებელი იყო შ. გ-ი; დამკვეთის შესახებ ინფორმაციაში მოთათებული იყო როგორც ორგანიზაცია – იურიდიული პირი (რომლის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად – დირექტორად რეგისტრირებულია შ. გ-ი), ასევე, ფიზიკური პირი – შ. გ-ი;

5.3. შპს „ა. ბ-ის“ 2019 წლის 5 ივნისის განცხადების საფუძველზე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მინის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდით ...) გაერთიანდა მისი მომიჯნავე მინის ნაკვეთი (საკადასტრო კოდით ...) და გაერთიანებულ მინის ნაკვეთს მიენიჭა ახალი საკადასტრო კოდი ...;

5.4. უძრავი ქონებების გაერთიანების შემდეგ, მოპასუხის მიმართვის საფუძველზე, სსიპ არქიტექტურის სამსახურის მიერ 2019 წლის 20 დეკემბერს გაიცა ბრძანება, რომლითაც შეთანხმდა თბილისში, ... მდებარე, თანასაკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე (ს/კ ...) მრავალფუნქციური შენობის (კომერციული, საცხოვრებელი) არქიტექტურული პროექტი. ამავე ბრძანების თანახმად, გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა;

5.5. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 22 იავნორის ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი ამავე ორგანოს 2018 წლის 31 დეკემბრის №4325907 ბრძანება მისი ძალაში შესვლის დღიდან;

5.6. თბილისში, ... მდებარე, 112.80 მ² (ს/კ ...) და 54.30 მ² (ს/კ ...) ფართობის მქონე უძრავი ნივთები, რომელთა საკუთრებაში გადაცემასაც ითხოვენ მოსარჩევები, სსიპ საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, წარმოადგენს შპს „ა. ბ-ის“ საკუთრებას.

6. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე, 400-ე, 629-ე 648-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ მოსარჩევებმა შეასრულეს 2018 წლის 29 სექტემბრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მოპასუხემ კი მიიღო ეს შესრულება და მის საფუძველზე დაიწყო სამშენებლო სამუშაოების წარმოება. შესაბამისად, მოპასუხეს წარმოეშვა მოსარჩევების მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების ვალდებულება. სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხეს, როგორც კრედიტორს, ვადის გადაცილების გამო მოსარჩევების მიმართ არ განუხორციელება რამე შინაარსის სამართლებრივი მოქმედება, მაგალითად, გაფრთხილების ან/და დამატებითი ვადის განსაზღვრის სახით, მეორადი მოთხოვების წაყენება და სხვა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ შესრულების ვადის გადაცილება გავლენას ვერ მოახდენდა მოსარჩელეთა მიერ გაწეული სამუშაოსათვის მოპასუხის ანაზღაურების ვალდებულებაზე. ამდენად, სასამართლოს გახმარტებით, არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება შპს „ა. ბ-მა“ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 14 აპრილის განჩინებით შპს „ა. ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება.

9. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასა-მართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სა-მართლებრივი შეფასება.

10. სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია მოსარ-ჩელეთა მიერ ხელშეკრულების შესრულება და არ გაიზიარა აპე-ლანტის განმარტება, რომ მოსარჩელებს არ მოუმზადებით სამ-შენებლო პროექტის კონსტრუქციული ნაწილი. სააპელაციო სასა-მართლომ, სადავო პერიოდში მოქმედი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართვე-ლოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 33-ე, 46-ე, 53-ე მუხლებზე მითითებით, აღნიშნა, რომ ვინაიდან სამშე-ნებლო ნებართვა გაიცა, სავარაუდოა (პრეზუმირებულია), რომ სამ-შენებლო ნებართვის მისაღებად მოსარჩელებმა ყველა საჭირო დოკუმენტი, მათ შორის, შენობის კონსტრუქციული პროექტიც წა-რადგინეს. ამ ვარაუდის გამაქარწყლებელი მტკიცებულებები კი მოპასუხეს არ წარუდგენია. გარდა ამისა, კომანიდას მენარდეების-თვის შესრულების ნაკლის გამო მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 655-ე მუხლით გათვალისწინებულ ვადაშიც არ წარუდგენია.

11. შესრულების ვადის დარღვევის თაობაზე აპელანტის პრე-ტენზიასთან დაკავშირებით კი, სამოქალაქო კოდექსის 642-ე, 652-ე, 655-ე მუხლების საფუძველზე, სააპელაციო პალატამ განმარ-ტა, რომ შემკვეთმა ვადამოსულობის შემდეგ იმგვარი მოქმედება უნდა განახორციელოს, რომელიც მენარდეს შესრულების ვალდე-ბულებას შეასხენებს. განსახილველ შემთხვევაში კი, მოპასუხეს, როგორც კრედიტორს, ვადის გადაცილების გამო მოსარჩელეების მიმართ არ განუხორციელება რაიმე სახის სამართლებრივი მოქ-მედება (შედავება), მათ შორის, არც ხელშეკრულებაზე უთქამს უარი. უფრო მეტიც, მან მიიღო შესრულება და იყენებდა კიდეც მოსარჩელეთა მიერ მოპოვებულ მშენებლობის ნებართვას იმ დრომდე, სანამ ახალი ნებართვა გაიცემოდა. მართალია, აპელან-ტი აპელირებდა იმის თაობაზე, რომ მას შესრულება არ მიუღია, მაგრამ პალატის მოსაზრებით, საქმის მასალებით საწინააღმდეგო ფაქტის არსებობა დადასტურდა. კერძოდ, სააპელაციო სასამარ-თლომ ყურადღება გაამახვილა „ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2019 წლის 31 მარტის სანოტარო აქტზე, რომ-ლის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეებმა განაცხადეს, რომ წინამ-დებარე ხელშეკრულების დადების დღისათვის მოაღნაგემ (მოპასუხები) შეასრულა შემდეგი ვალდებულება – 2018 წლის 31 დეკემ-ბერს მიიღო მშენებლობის ნებართვა. გარდა ამისა, მშენებლობის ახალი ნებართვის გაცემამდე, თავდაპირველ ნებართვაში მითითე-ბულ მისამართზე, მოპასუხე ანარმოებდა სამშენებლო სამუშაო-

ებს. მართალია, სამშენებლო ნებართვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ ბათილად იქნა ცნობილი, თუმცა ნებართვის ბათილად ცნობის საფუძველი გახდა თავად მოპასუხის მიერ განხორციელებული ქმედება. კერძოდ, დადგენილია, რომ 2019 წლის 5 ივნისს, მოპასუხის განცხადების საფუძველზე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მინის ნაკვეთან (ს/კ ...), რომელზედაც თავდაპირველი პროექტის მიხედვით მიმდინარეობდა მშენებლობა, გაერთიანდა მისი მომიჯნავე მინის ნაკვეთი (საკადასტრო კოდით ...) და გაერთიანებულ მინის ნაკვეთს მიენიჭა ახალი საკადასტრო კოდი ... სწორედ ამ ახალმა გარემოებამ გამოიწვია ახალი სამშენებლო ნებართვის გაცემის საჭიროება, რაც სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, გამორიცხავდა მოსარჩელეთა მიერ ვალდებულების შეუსრულებლად მიჩნევას. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კომპანიას არ ჰქონდა ანაზღაურებაზე უარის თქმის უფლება, მას შეეძლო ვადაგადაცილების გამო მიყენებული ზიანის (თუეკი ასეთის არსებობას დაამტკიცებდა) ანაზღაურებისა ან მისი გაქვითვის მოთხოვნა წარედგინა, რაც არ განუხორციელებია.

12. სააპელაციო სასამართლომ, ასევე, არ გაიზიარა აპელანტის განმარტება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელეებს იმაზე მეტი ფართი გადაეცათ საკუთრებაში, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. პალატამ მიუთითა, რომ მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობამ აიძულა მოსარჩელეები, მათთვის გადასაცემი ფართების ჯამური ოდენობის ფარგლებში (150 მ²), იმ ბინების საკუთრებაში გადაცემა მოეთხოვათ, რომელიც მოპასუხის საკუთრებაშია დარჩენილი და არ არის დატვირთული მესამე პირების ვალდებულებებით. რაც შეეხება მოსარჩელეებისათვის საკუთრებაში გადაცემულ ნამეტ ფართს (17.1 მ²), სააპელაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე, მოსარჩელეების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მისი მარწმუნებლები მზადყოფნას აცხადებდნენ ამ ფართის საბაზრო ღირებულების გადახდაზე, რითაც დაკომპენსირდებოდა ზედმეტი ფართის გადაცემით მოპასუხისთვის დამდგარი ზიანი. მოსარჩელეებისთვის სხვადასხვა ოდენობის ფართების გადაცემაზე კი მათ თანხმობა განაცხადეს.

13. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილება კანონმდებლობის შესაბამისად მიიღო და სარჩელი მართებულად დაქმულობიდა.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 14 აპრილის განჩინება საკასაციო წესით

გაასაჩივრა შპს „ა. ბ-მა“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

15. კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელებს ვალდებულება არ შეუსრულებიათ, რადგან მათ მიერ მოპოვებული ნებართვა ბათილად იქნა ცნობილი, ხოლო ამავე ნებართვის საფუძვლზე სამშენებლო სამუშაოები არ დაწყებულა. უფრო მეტიც, მოსარჩელეებისთვის იმთავითვე იყო ცნობილი, რომ კანონიერ ნებართვას ვერ აიღებდნენ, რის გამოც მომსახურების ხელშეკრულება ნამდვილად არ უნდა ჩაითვალოს. კასატორი დამატებით მიუთითებს, რომ მოსარჩელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე მეტი ფართები გადაეცათ.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 26 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამონმებლად. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი განხილულ იქნა მხარეთა დასწრებით, 2022 წლის 22 დეკემბერს, რის შემდგომაც გადაიდო დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა ზეპირი მოსმენის გარეშე. 2023 წლის 27 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

17. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა პოზიციების მოსმენის შედეგად, მიიჩნევს, რომ შპს „ა. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

18. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში მთავარ სადაცო საკითხს ვალდებულების შესრულება წარმოადგენს.

19. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, წარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. ამრიგად, მენარდის ძირითად ვალდებულებას წარდობის ხელშეკრულების სრულად და ჯეროვნად შესრულება, ხოლო შემკვეთის – სანაცვლო საზღაურის გადახდა წარმოადგენს. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 639-ე მუხლი განსაზღვრავს მენარდის ვალდებულებას, წარუდგინოს შემკვეთს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი. ხსენებული ვალდებულების დარღვევა კი წარმოშობს იმავე კოდექსის 642-ე (დამატებითი შესრულების მოთხოვნა), 643-

ე (ნაკეთობის ნაკლის გამოსწორება შემქვეთის მიერ), 644-ე (ხელ-შეკრულებაზე უარი ნაკეთობის ნაკლის გამო) და 645-ე (საზღაუ-რის შეცირება ნაკეთობის ნაკლის გამო) მუხლებით გათვალისწი-ნებულ მეორადი მოთხოვნის უფლებებს.

20. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მხარეთა შო-რის 2018 წლის 29 სექტემბერს დაიღო მომსახურების ხელშეკრუ-ლება, რომლის საფუძველზეც, მოსარჩელებს ევალებოდათ თბი-ლისში, წყნეთის გზატკეცილ №41-ში (ს/კ ...) მრავალფუნქციური შენობის სამშენებლო პროექტისა და მისი კონსტრუქციული ნაწი-ლის მომზადება, ასევე, მშენებლობის ნებართვის მოპოვება; სა-ნაცვლოდ კი, კომპანიას მათოვის საკუთრებაში უნდა გადაეცა უძ-რავი ქონება. დადგენილია, რომ შპს „ა. ბ-მა“ არ გადასცა მენარდე-ებს უძრავი ქონება, რასაც კომპანია მოსარჩელეთა მიერ ხელშეკ-რულების შეუსრულებლობით ხსნის. ამდენად, პირველ ყოვლისა, უნდა შეფასდეს შ. გ-ისა და გ. გ-ის მიერ ხელშეკრულების შესრუ-ლების ფაქტი, მათ შორის, უნდა გაიმიჯნოს ადგილი აქვს ხელშეკ-რულების შეუსრულებლობას თუ ნაკლიან შესრულებას, რომლის დროსაც შემქვეთის მეორადი მოთხოვნები წარმოეშვება.

21. დასახულებულ საკითხთან მიმართებით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მასზედ, რომ მოსარჩელეებმა შეას-რულეს შენობის სამშენებლო პროექტისა და მისი კონსტრუქციუ-ლი ნაწილის მომზადების ვალდებულება (მართალია, ქვედა ინსტან-ციის სასამართლოებში მოპასუხე სადავოდ ხდიდა პროექტის კონ-სტრუქციული ნაწილის მომზადების ფაქტს, მაგრამ სააპელაციო პალატამ, სადაც პერიოდში მოქმედი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართვე-ლოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 33-ე, 46-ე, 53-ე მუხლებზე მითითებით, მართებულად აღნიშნა, რომ ვი-ნაიდან სამშენებლო ნებართვა გაიცა, პრეზუმირებულია, რომ სამ-შენებლო ნებართვის მისაღებად მოსარჩელეებმა ყველა საჭირო დოკუმენტი, მათ შორის, შენობის კონსტრუქციული პროექტიც წა-რადგინეს. ამ ვარაუდის გამაქარნებულებელი მტკიცებულებები კი მოპასუხეს არ წარუდგენია). რაც შექება მშენებლობის ნებართვის მოპოვებას, დადგენილია, რომ სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 31 დეკემბრის №4325907 ბრძანებით, შ. გ-ის განცხადების საფუძველზე, შეთანხმდა თბი-ლისში, ... (ს/კ ...) მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვა-ლა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. თუმცა, მითითებული ბრძა-ნება ბათილად იქნა ცნობილი იმავე ადმინისტრაციული ორგანოს 2020 წლის 22 იანვრის ბრძანებით.

22. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ-სა-მართლებრივი აქტის ბათილად ცნობა აქტის გაუქმების ერთ-ერთი სახეა, რომელიც უკანონო აქტების მიმართ გამოიყენება, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხ-ლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ენინაალმდეგება კანონსა ან არ-სებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებ-ლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, აქტის ბათილად ცნობა მის საფუძველზე ნარმოშობილი სამართლებრივი შედეგე-ბის გაუქმებას იწვევს. როგორც წესი, აქტის მოქმედება შეწყვე-ტილად ითვლება არა მისი ძალაში შესვლის მომენტიდან, თუმცა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-7 ნაწი-ლით დაშვებულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქ-მედების შეწყვეტა მისი ბათილად ცნობის დღიდან ან მომავალში, კონკრეტული თარილის მითითებით. სწორედ ამიტომ, მშენებლო-ბის ნებართვის ბათილად ცნობაში იგულისხმება, რომ აქტი იყო უკანონო და მის საფუძველზე სამართლებრივი შედეგები არ უნდა წარმოშვას – უნდა აღდგეს პირვანდელი მდგომარეობა.

23. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოსარჩევე-ებმა, მართალია, მოიპოვეს მშენებლობის ნებართვა, მაგრამ ეს ნე-ბართვა მოგვიანებით ბათილად იქნა ცნობილი, უცილებელია, შეს-წავლილ და შეფასებულ იქნეს ნებართვის ბათილად ცნობის ფაქ-ტობრივი წინაპირობები, სამართლებრივი საფუძველები, სამარ-თლებრივი შედეგების შეწყვეტის მომენტი, რამდენად იყო აქტის ბათილად ცნობა მხარეთა ქმედებებით გამოწვეული. მართალია, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აქტის ბათილად ცნობა ფაქტობრივი ვითარების შეცვლამ – მინის ნაკვეთების გაერთია-ნებამ გამოიწვია, მაგრამ კასატორო განსხვავებულ პოზიციას წარ-მოადგენს ამ საკითხთან მიმართებით, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში განსხვავებული დასაბუთება არის მოცემუ-ლი. ამრიგად, შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით, შესწავლილ და შეფასებულ უნდა იქნეს აქტის ბათილად ცნობის განმაპირობე-ბელი გარემოებები, რათა შესაძლებელი იყოს ხელშეკრულების შეს-რულების საკითხის ზუსტად შეფასება.

24. ამასთან, ვინაიდან მშენებლობის ნებართვა ფორმალურად მაინც მოქმედებდა 2018 წლიდან 2020 წლამდე, ვალდებულების შესრულების კუთხით, გასათვალისწინებელია, განახორციელა თუ არა მოპასუხემ სამშენებლო მოქმედებები ნებართვის საფუძველ-ზე და შენარჩუნდა თუ არა ისინი, მიუხედავად ნებართვის ბათი-ლად ცნობისა. თუ მხარემ თავისი იურიდიული ინტერესი მოსარჩე-ლეთა მიერ მოპოვებული ნებართვის საფუძველზე მაინც დაიკმა-

ყოფილა, კონკრეტული საქმის თავისებურებებიდან გამომდინარე, მოგვიანებით ნებართვის ბათილად ცნობის მიუხედავად, მენარდეთა მიერ ვალდებულება შეუსრულებლად არ უნდა იქნეს განხილული. ამ კუთხით საყურადღებოა, რომ საპელაციო სასამართლომ დაადგინა სადაც მშენებლობის ნებართვის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების წარმოება, მაგრამ კასატორი ხსენებულ ფაქტობრივ გარემოებასაც სადაცოდ ხდის და მიუთითებს სსიპ ლეგან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 5 აპრილის დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, 2018 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით შეთანხმებული მრავალფუნქციური კომპლექსის პარამეტრების შესაბამისად მშენებლობის დაწყების შემთხვევაში, ტექნიკურად შეუძლებელი იქნებოდა 2019 წლის 20 დეკემბრის ბრძანებით შეთანხმებული მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის გაგრძელება. ამდენად, საპელაციო სასამართლომ შეფასება უნდა მისცეს ხსენებულ მტკიცებულებასაც.

25. გარდა ზემოაღნიშნულისა, შესაფასებელია მოთხოვნის წარმოდგენილი ფორმით დაკმაყოფილების საკითხიც, კერძოდ, მომსახურების ხელშეკრულებით მხარეებს ჯამში 150 მ² ფართობის მქონე უძრავი ქონება უნდა გადასცემოდათ, სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილების გამო კი, მოსარჩელებს საკუთრებაში გადაეცათ შეთანხმებულზე 17.1 მ² ფართით მეტი. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საპელაციო სასამართლოს არგუმენტს, რომ მოსარჩელების მარნმუნებლები მზადყოფნას აცხადებენ ამ ფართის საბაზრო ღირებულების გადახდაზე, რითაც დაკომპენსირდება ზედმეტი ფართის გადაცემით მოპასუხისმომის დამდგარი ზიანი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ დავის კონკრეტული სახით მოწესრიგება მხარეთა ზეპირსიტყვიერ განმარტებას, რომლის შესრულებაც მხოლოდ მხარეთა ნებაზე იქნება დამოკიდებული, არ უნდა დაეყრდნოს. ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, თუკი დადასტურდება მოსარჩელების სასარგებლოდ ვალდებულების არსებობა, სასარჩელო მოთხოვნის კვლავ არსებული ფორმით დატოვების შემთხვევაში, საპელაციო სასამართლომ არ უნდა მიაკუთვნოს მხარეებს იმაზე მეტი, ვიდრე შეთანხმებული იყო.

26. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარდგენილი მტკიცებულებები და დაადგინოს საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რათა შეაფასოს ხელშეკრულების შესრულების საკითხი (მათ შორის, გაიმიჯნოს ადგილი ჰქონდა შეუსრულებლობას თუ ნაკლიან შესრულებას), ხოლო სასარჩელო მოთხოვნის

საფუძვლიანობის შემთხვევაში – იმსჯელოს მოთხოვნილი ოდენობით ფართების გადაცემის კანონიერებაზე. ამდენად, ვინაიდან საკითხის სწორად გადასაწყვეტად საქმეზე დამატებით შესასწავლი და დასადგენია ფაქტობრივი გარემოებები, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გაუქმების საფუძველი და საქმე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლიდან გამომდინარე, ხელახლა განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

27. საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. მაშინადამე, საქმის ხელახლა განხილვისას, საპროცესო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ა. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 14 აპრილის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები განაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხელშეკრულებაზე ურინაპიონობის ნაკლის გამო

გადაცევატილება საქართველოს სახელით

№ას-832-2021

13 დეკემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: გ. მიქაუტაძე (თავმჯდომარე),
თ. ზამბახიძე (მომხსენებელი),
რ. ნადარაია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

ი. გ-იამ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოსარჩელე“, „შეგებებული სარჩელით მოპასუხე“, „შემკვეთი“ ან „მეორე კასატორი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ჭ-ძის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოპასუხე“, „შეგებებული სარჩელით მოსარჩელე“, „მენარდე“ ან „პირველი კასატორი“) მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 7200 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

2. სარჩელის საფუძვლები:

2.1. 20.09.2018 ნელს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს ნარმოადგენდა საირმის გორაზე საცხოვრებელ სახლში მეტალის ჭედური მოაჯირის ესკიზის საფუძველზე დამზადება, რომლის მოცულობა შეადგენს 90 კვ.მ-ს. ხელშეკრულების საფასური – 18000 აშშ დოლარს. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან სამი თვე – 21.12.2018 წლამდე.

2.2. მოპასუხეს ავანსად ჩატარიცხა 7200 აშშ დოლარი. სამუშაოები დღემდე არ დასრულებულა. ამასთან, ექსპერტიზის დასკვნით ირკვევა, რომ განეული სამუშაოები არ შეესაბამება მხარეთა შორის შეთანხმებულ ესკიზს. მოპასუხე არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და თავს არიდებს კომუნიკაციას. მოსარჩელე ითხოვს თანხის დაბრუნებას.

3. მოპასუხის პოზიცია:

3.1. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულა დათქმულ ვადაში. მხარეები მოაჯირის ესკიზთან და-

კავშირებით არ შეთანხმებულან, შესაბამისად, მითითება, რომ, ექ-სპერტიზის დასკვნის თანახმად, განული სამუშაოები არ შეესა-ბამება მხარეებს შორის შეთანხმებულ ესკიზს, არ შეესაბამება სი-ნამდვილეს.

3.2. მხარეთა შორის ნარდობის ხელშეკრულება დაიდო 20.09.2018 წელს და დასრულდა სამი თვის ვადაში, 20.12.2018 წელს. მოსარჩელემ სასამართლოს 24.03.2020 წელს, საქართველოს სამო-ქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 655-ე მუხლით დადგენილი, ხან-და ზმულობის ვადის დარღვევით მიმართა.

4. შეგებებული სარჩელის მოთხოვნა:

მოპასუხემ შეგებებული სარჩელი აღძრა მოსარჩელის მიმართ და მოითხოვა შეგებებული სარჩელით მოპასუხისთვის, შეგებებუ-ლი სარჩელით მოსარჩელის სასარგებლოდ, 10800 აშშ დოლარის გა-დახდის დაკისრება.

5. შეგებებული სარჩელის საფუძვლები:

შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ 20.09.2018 წლის ნარდო-ბის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა ჯეროვ-ნად, კეთილსინდისიერად, დათემულ დროსა და ადგილას. შეგებე-ბული სარჩელით მოპასუხეს თანხა სრულად არ გადაუხდია და თავს არიდებს ვალდებულების შესრულებას.

6. შეგებებული სარჩელით მოპასუხის პოზიცია:

შეგებებული სარჩელით მოპასუხემ შეგებებული სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ სამუ-შაო შეასრულა არაჯეროვნად, რაც დასტურდება ექსპერტიზის დასკვნით.

7. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძვლები:

7.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 29.10.2020 წლის გადაწყვეტილებით – სარჩელი დაკმა-ყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 7200 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა; შეგებებული სარჩე-ლი არ დაკმაყოფილდა, გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგს:

7.2. 20.09.2018 წელს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორ-მდა ნარდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოპასუხემ იკისრა ვალდებულება, საირმის გორაზე, კერძო საკუთრებაში არ-სებულ საკუთარ საცხოვრებელ სახლში დაემზადებინა მეტალის ჭედური მოაჯირები ესკიზის საფუძველზე. ნაკეთობის მოცულო-ბა შეადგენდა 90 კვ.მ-ს.

7.3. ხელშეკრულების 2.1. პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების საგნის საფასური 18000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარია. შემ-სრულებელს დამკვეთი გადაუხდის სამუშაოების საფასურს შეთან-

ხმების საფუძველზე სამ ეტაპად: 1. შემსრულებელს შეთანხმებული თანხის 20% ჩაერიცხება ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში; 2. 40% – მინიმუმ 15 კვ.მ მოაჯირის დამონტაჟების შემდეგ; 3. დარჩენილი 40% – სამუშაოების დასრულების შემდგომ.

7.4. ხელშეკრულების 4.2 პუნქტის თანახმად, ნაკეთობა შემკვეთს უნდა ჩაპერადეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 3 თვის ვადაში. ხელშეკრულება კი ძალაში შევიდა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

7.5. მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს ჯამურად ავანსის სახით გადაუხადა 7200 აშშ დოლარი.

7.6. ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ შემსრულებელმა უნდა დაამზადოს მეტალის ჭედური მოაჯირები ესკიზის საფუძველზე. ტერმინი „ესკიზი“ გულისხმობს არქიტექტურული პროექტის ან რაიმე დეტალის ხელით შესრულებულ ნახაზს, რომელშიც მოცემულია მის დასამზადებლად აუცილებელი ინფორმაცია. შესაბამისად, როცა მხარეები შეთანხმდნენ კონკრეტულ ესკიზზე, ლოგიკურია, გაეთვალისწინებინათ აღნიშნულის გრაფიკული გამოსახულება. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულებაში, რომელსაც ხელს აწერს მოპასუხე მხარეც, მხარეთა ხელმოწერების შემდეგ მსგავსი გრაფიკული ნახაზი მოცემულია. ხელშეკრულებაზე ხელმოწერების ნამდვილობასა და ხელშეკრულების შინაარსს მოპასუხე სადაცოდ არ ხდის. ამასთან, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია ექსპერტიზის დასკვნა, სადაც მითითებულია, რომ შესრულებული ნაკეთობა არ შეესაბამება ხელშეკრულებაში მოცემულ ესკიზს. მოპასუხე სადაცოდ ხდის როგორც ხელშეკრულებაში მოცემული ესკიზის ნამდვილობას, ასევე – აღნიშნული ესკიზის საფუძველზე შედგენილ ექსპერტიზის დასკვნასაც და მიუთითებს, რომ ხელშეკრულებაში ჩანახატი ხელმოწერის შემდეგ არის შესრულებული, ამასთან, გაურკვეველია, როდის და ვის მიერ შესრულდა. თუმცა, მოპასუხეს რამე სახის მტკიცებულება, რომლითაც ის შეძლებდა მოსარჩელის პოზიციის გაბათილებასა და საკუთარის დადასტურებას, სასამართლოსათვის არ წარუდგენია. რაც შეეხება ფაქტების კონსტანტაციის შესახებ ოქმს, მითითებულ დოკუმენტში, რომელიც შექმნილია პროგრამა „ვაიბერში“ არსებული მიმოწერის საფუძველზე, მოცემულია რკინის მოაჯირის რამდენიმე ვარიანტი. შესაბამისად, თუ მხარეები ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგაც მართავდნენ მოლაპარაკებას ესკიზთან დაკავშირებით, აღნიშნული მტკიცებულებით არ დასტურდება, თუ რომელ ვარიანტზე შეთანხმდნენ მხარეები და, ზოგადად, შეიცვალა თუ

არა შეთანხმებული ესკიზი ახლით. ამდენად, სასამართლოს მითითებით, მოპასუხებ ვერ შეძლო მტკიცების მისთვის დაკისრებული ტვირთის სრულყოფილად განხორციელება, ვერ წარმოადგანა კვალიფიციური შედავება, რის გამოც სასამართლომ მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოება – 20.09.2018 წლის ხელშეკრულებაში მოცემული ესკიზის მხარეთა შორის შეთანხმების საგნად მიჩნევასთან დაკავშირებით, დადასტურებულად მიიჩნია.

7.7. მოსარჩელე უთითებს, რომ მოპასუხის მიერ განცემული სამუშაო არ შეესაბამება მხარეებს შორის შეთანხმებულ ესკიზს. წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია, რომ წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულ ესკიზთან შეუსაბამოა. მოსარჩელის მითითებით, არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, მოპასუხებ არც შეცვალა და არც გამოასწორა მითითებული ნაკლი. შეესაბამისად, მოსარჩელემ დაკარგა შესრულების მიმართ ინტერესი, რის გამოც უარს ამბობს ხელშეკრულებაზე და ითხოვს ხელშეკრულების შესრულების მიზნით გაცემულის (ავანსის) დაბრუნებას. სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 316-ე, 317-ე, 327.1, 361.2, 629.1, 639-ე, 641-ე, 644-ე, 352-ე, 405-ე მუხლებით და მიუთითა, შემცველი უფლებამოსილი იყო, შეეწყვიტა ნარდობის ხელშეკრულება იმ მოტივით, რომ მენარდემ არაჯეროვნად შეესრულა ვალდებულება და მასთან სახელშეკრულები ურთიერთობის გაგრძელების ინტერესი დაკარგა. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნია, რომ მხარეებს შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულება მოსარჩელემ მომალო მართლზომიერად, რასაც უნდა მოჰყვეს ხელშეკრულების შესრულების მიზნით გადაცემული თანხის უკან დაბრუნება.

7.8. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მითითება მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. სსკ-ის 655-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნა შესრულების ნაკლის გამო შემცველმა შეიძლება წარადგინოს ერთი წლის მანძილზე შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან.

7.9. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის მიერ შესრულების მიღება, შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის ათვლის საფუძველიც არ არსებობს.

7.10. რაც შეეხება შეგებებულ სარჩელს, მოსარჩელის (შემცველის) სარჩელის დაკმაყოფილება სრულად გამორიცხავს შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებას.

8. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხებ/შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩე-

ლის დაკმაყოფილება.

9. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზო-ლუციო ნაწილი და საფუძვლები:

9.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 20.05.2021 წლის გადაწყვეტილებით სააპელაციო სა-ჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა გასაჩივრებული გა-დაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩე-ლი არ დაკმაყოფილდა; შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგს:

9.2. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელზე დავის საგანს წარმო-ადგენს ნარდობის ხელშეკრულებიდან გასვლა და გადახდილი თან-ხის უკან დაბრუნება. მოსარჩელის მოთხოვნები ეფუძნება სსკ-ის 644-ე მუხლს, რომლის თანახმად, ნაკლის გამო შემ-კვეთს შეუძლია 405-ე მუხლის მიხედვით უარი თქვას ხელშეკრუ-ლებაზე; ამ შემთხვევაში მენარდე ვალდებულია აუნაზღაუროს შემკვეთს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები. შეგე-ბებული სარჩელით მოსარჩელის მოთხოვნა ხელშეკრულებით გათ-ვალისწინებული თანხიდან გადაუხდელი თანხის გადახდა. მისი მოთხოვნა ეფუძნება სსკ-ის 629-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომ-ლის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხო-ლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებუ-ლი საზღაური.

9.3. ნარდობის სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესრულების ნაკლის გამო მოთხოვნებზე სპეციალური ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება. სსკ-ის 655-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნა შესრუ-ლების ნაკლის გამო შემკვეთმა შეიძლება წარადგინოს ერთი წლის მანძილზე, ხოლო ისეთი მოთხოვნა, რომელიც ნაგებობას შეეხება – ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 4.2 პუნქტის თანახმად, ნაკეთობა შემკვეთს უნდა ჩაპარდეს ხელშეკრულე-ბის ძალაში შესვლიდან 3 თვის ვადაში. ხელშეკრულება კი ძალაში შევიდა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე, ე.ი. 20.09.2018 წელს. მოსარჩელის მიერ ნარმოდგენილი სსიპ ლ. სამხარაულის სა-სამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, კიბის მეტალის ჭედური მოაჯირი ვიზუალურად არ შეესაბამება 20.09.2018 წელს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმებუ-ლი ხელშეკრულების ესკიზს. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ხანდაზმულობის სპეციალური ერთწლიანი ვადა დაიწყო 20.12.2018 წელს, ხოლო მოსარჩელემ სარჩელი წარადგინა 24.03.2020 წელს, კანონით დადგენილი ერთწლიანი ვადის გასვლის შემდგომ, რის გა-

მოც მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმულია.

9.4. პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება, რომ კანონით დადგენილ ვადაში მიმართა სსიპ ლ. სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, რითაც ხანდაზმულობის ვადა შეწყდა. პალატამ მიუთითა, რომ სსკ-ის 138-ე მუხლით განსაზღვრული შედეგის მიღწევისათვის მნიშვნელოვანია, კრედიტორმა მიმართოს უფლებამოსილ პირს. პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის არც ის განმარტება, რომ კიბის მეტალის ჭედური მოაჯირი წარმოადგენს ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილს და მასზე ვრცელდება სსკ-ის 655-ე მუხლით გათვალისწინებული ხუთწლიანი ვადა. აღნიშნული ნორმის თანახმად, ხუთწლიანი ვადა ვრცელდება მხოლოდ ნაგებობაზე, კიბის მეტალის ჭედური მოაჯირი კი ნაგებობად ვერ მიიჩნევა.

9.5. პალატამ არ გაიზიარა მენარდის მითითება, რომ წარმოდგენილი ესკიზი არ იყო მხარეებს შორის შეთანხმებული და ისინი შეჯერდნენ მხოლოდ იმ ესკიზზე, რა ნაკეთობაც არის დამზადებული. როგორც საქმის მასალებით დგინდება, 20.09.2018 წელს მხარეთა შორის გაფორმდა წარდობის ხელშეკრულება, რომლის 1.1. პუნქტის თანახმად, შემსრულებელს უნდა დაემზადებინა მეტალის ჭედური მოაჯირები ესკიზის საფუძველზე. ხელშეკრულება მოიცავს შეტალის ჭედური მოაჯირის გრაფიკულ ნახაზს. ამასთან, შემკვეთის მიერ წარმოდგენილია ექსპერტიზის დასკვნა, სადაც მითითებულია, რომ შესრულებული ნაკეთობა არ შესაბამება ხელშეკრულებაში მოცემულ ესკიზს. მენარდე სადავოდ ხდის როგორც ხელშეკრულებაში მოცემული ესკიზის ნამდვილობას, ასევე – აღნიშნული ესკიზის საფუძველზე შედგენილ ექსპერტიზის დასკვნა-საც და მიუთითებს, რომ ხელშეკრულებაში ხელმოწერის შემდეგ არის შესრულებული ჩანახატი, ამასთან, გაურკვეველია, როდის დავის მიერ არის ის შესრულებული. საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად იგი მიუთითებს მხოლოდ ფაქტების კონსტანტაციის შესახებ ოქმზე, რომელიც შექმნილია პროგრამა „ვაიბერში“ არსებული მიმოწერის საფუძველზე, სადაც მოცემულია რკინის მოაჯირის რამდენიმე ვარიანტი, თუმცა აღნიშნულით არ დასტურდება, რომელ ვარიანტზე შეთანხმდნენ მხარეები და საერთოდ შეიცვალა თუ არა შეთანხმებული ესკიზი. მენარდემ სასამართლოს ვერ წარუდგინა მოსარჩელის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის საპირისპირო რელევანტური მტკიცებულებები, კერძოდ, მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ მხარეთა შორის შეთანხმება მოიცავდა არა ხელშეკრულებაზე მოცემულ მეტალის ჭედური მოაჯირის გრაფიკულ ნახაზს, არამედ სწორედ ისეთ ესკიზს, რომელიც თავად დამზადა. გარდა ამისა, მენარდემ სათანადო მტკიცე-

ბულებრივის წარდგენის გზით ვერ დაადასტურა, რომ ხელშეკრულებაში ხელმოწერის შემდეგ არის ჩანახატი შესრულებული, რაც შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლია.

10. საკასაციო საჩივრის მოთხოვნა:

10.1. პირველი საკასაციო საჩივრის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ/შეგებებული სარჩელით მოსარჩელმ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, ახალი გადაწყვეტილებით – შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

10.2. მეორე საკასაციო საჩივრის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელმ/შეგებებული სარჩელით მოპასუხემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში, ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილება.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრების საფუძვლები და მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

12. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსაც) 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასებადადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

13. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოდგენილი არ

არის.

**14. დაფგენილია და საკასაციო საჩივრებით დასაშვები, და-
საბუთებული პრეტენზია წამოყენებული არ არის, რომ:**

14.1. 20.09.2018 წელს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გა-
ფორმდა ნარდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად:

14.1.1. მოპასუხემ იყისრა ვალდებულება საირმის გორაზე, საც-
ხოვრებელ სახლში დამზადებინა 90 კვ.მ მეტალის ჭედური მოა-
ჯირი ესკიზის საფუძველზე.

14.1.2. შესასრულებელი სამუშაოს ღირებულებად მიეთითა 18
000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი (2.1. პუნქტი).

14.1.3. განისაზღვრა თანხის გადახდის წესი: 1. შემსრულებელს
ჩაერიცხებოდა შეთანხმებული თანხის 20% ხელშეკრულების გა-
ფორმებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში; 2. 40% – მინიმუმ 15 კვ.მ
მოაჯირის დამონტაჟების შემდეგ; 3. დარჩენილი 40% – სამუშაოე-
ბის დასრულების შემდგომ (2.2. პუნქტი).

14.1.4. ნაკეთობა შემკვეთს უნდა ჩაჰქარებოდა ხელშეკრულე-
ბის ძალაში შესვლიდან 3 თვის ვადაში. ხელშეკრულება ძალაში შე-
ვიდა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე (4.1, 4.2. პუნქტები).

14.2. მოსარჩელემ მოპასუხეს გადაუხადა თანხის ნაწილი – 7200
აშშ დოლარი.

14.3. სსიპ ლ. სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვ-
ნული ბიუროს 14.01.2020 წლის დასკვნის თანახმად, დამზადებუ-
ლი კიბის მეტალის ჭედური მოაჯირი ვიზუალურად არ შეესაბამე-
ბა 20.09.2018 წელს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმე-
ბული ხელშეკრულების ესკიზს.

15. მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა
გამომდინარეობს ნარდობის ხელშეკრულებიდან. ნარდობა, რო-
გორც სამუშაოს შესრულების ტიპის ხელშეკრულება, არის კონსუ-
სუალური, ორმხრივი და სასყიდლიანი (სუსგ №ას-1166-2019,
06.04.2020წ.). სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,
ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს
ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი
ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური.

16. შემკვეთი მენარდის მიერ ნარდობის ხელშეკრულებით ნა-
კისრი ვალდებულების ნაკლიან შესრულებაზე მითითებით, ხელ-
შეკრულებიდან გასვლის გამო, უფლებრივი რესტიტუციის სახით
ითხოვს მენარდისთვის გადახდილი 7200 აშშ დოლარის დაბრუნე-
ბას. აღნიშნულს არ ეთანხმება მენარდე, რომელიც მიიჩნევს, რომ
ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა ჯეროვნად
და, თავის მხრივ, შემკვეთისაგან ითხოვს შეთანხმებული საზღაუ-
რის დარჩენილი ნაწილის – 10800 აშშ დოლარის ანაზღაურებას.

17. ხელშეკრულებიდან გასვლისა და თანხის დაბრუნების თაობაზე შემპავეთის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია:

სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილი – ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემპავეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური; 641-ე მუხლის მე-2 ნაწილი – ნივთიერივ ნაკლს უთანაბრდება, თუ მენარდე დაამზადებს შეკვეთილისაგან განსხვავებულ ან უფრო ნაკლები რაოდენობის ნაკეთობას; 644-ე მუხლი – ნაკეთობის ნაკლის გამო შემპავეთს შეუძლია 405-ე მუხლის მიხედვით უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ამ შემთხვევაში მენარდე ვალდებულია აუზაზღაუროს შემპავეთს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები; 352-ე მუხლის პირველი ნაწილი – თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება).

რაც შეიხება შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების თაობაზე მენარდის მოთხოვნას, იგი სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარეობს.

18. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველია ორმხრივ ხელშეკრულებაში ვალდებულების დარღვევა. ამ დროს სახელშეკრულები ურთიერთობა ქონებრივ ასპექტში უბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას, ანუ ხდება შესრულებისა და სარგებლის უკუკვევა. ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტი იმის მაუწყებელია, რომ მხარეთა ნების თავისუფლება (ავტონომია) არ მთავრდება ხელშეკრულების დადებით და იგი ბოლომდე თან სდევს მის შესრულებას. ისევე, როგორც ხელშეკრულების დადება იყო მხარეთა ნებაზე დამოკიდებული, ასევე მისი შემდგომი არსებობაც მათ ნებაზეა დამოკიდებული. მართალია, მხარე ხელშეკრულებით შებოჭილია და იგი უნდა შესრულდეს, მაგრამ ხელშეკრულების მონაბილე ვერ შეიძოჭება მეორე მხარის ისეთი მოქმედებით, რაც მისთვის ზიანის მომტანია. დაუშვებელია ორმხრივი ხელშეკრულება, რომელიც ერთი მხარისათვის თავისუფლება იქნება და მეორისათვის კი ამ თავისუფლების შეზღუდვა (ზოიდე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, 2005, გვ. 266). ამდენად, ხელშეკრულების დადების მომენტიდან, მხარეები ვალდებული არიან, შეუდგნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და მათ არ შეუძლიათ ცალმხრივად თქვან უარი ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. მაგრამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეს უფლება აქვს, გავიდეს ხელშეკრულებიდან და უარი თქვას

ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე (შდრ. სუსგ №ას-459-438-2015, 07.10.2015წ; №ას-38-38-2018, 08.06.2018წ.). ვალდებულების დარღვევა იწვევს მოთხოვნის უფლებას იმ მხარისათვის, რომლის მიმართაც და ინტერესთა საზიანოდ შეთანხმების პირობები დაირღვა (სუსგ №ას-696-696-2018, 06.07.2018წ.).

19. ხელშეკრულებიდან გასვლით მხარეები წყვეტენ სახელშეკრულებო ურთიერთობას რეტროაქტიული ეფექტით, რის შედეგადაც ორივე მხარეს წარმოებობა შესრულებისა და მისგან მიღებული სარგებლის უკუქცევის ვალდებულება (სსკ-ის 352 I მუხლი) (ვა-შაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 2019, მუხლი 405, ველი 3).

20. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ შემკვეთის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა შეიძლება იყოს მენარდის მიერ შეთანხმებული სამუშაოს არაჯეროვანი/ნაკლიანი შესრულება. წარდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნაკლიანი შესრულების დადასტურების ტვირთი შემკვეთს ეკისრება (შდრ. სუსგ №ას-1324-2019, 12.03.2016; №ას-58-2020, 11.03.2020წ.). სსკ-ის 639-ე მუხლის თანახმად, თუ მომსახურება მოიცავს რაიმე ნაკეთობის დამზადებას, მაშინ მენარდემ შემკვეთს უნდა წარუდგინოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნაკეთობა. ამავე კოდექსის 641-ე მუხლის თანახმად, ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს; ხოლო, თუ ეს პირობები შეთანხმებული არ არის, მაშინ ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოდ მიიჩნევა, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის. ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ მენარდე დაამზადებს შეკვეთილისაგან განსხვავებულ ან უფრო ნაკლები რაოდენობის ნაკეთობას. ნების ავტონომიის პრინციპის გათვალისწინებით, სამოქალაქო კოდექსი ნივთობრივი ნაკლის არსებობის დასადგენად, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება მხარეთა შორის არსებულ შეთანხმებას ნივთის თვითსებების თაობაზე. ამდენად, მისი მახასიათებლები, ხშირ შემთხვევაში, ხელშეკრულებაში აისახება ცალკეული პირობის სახით და მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ნივთის ხარისხი არ მოიცავს მხოლოდ ნივთის მახასიათებელ თვისებებს, არამედ ყველა იმ პარამეტრებს, რომელიც უზრუნველყოფს მის სრულყოფილ ექსპლუატაციას, მით უმეტეს, თუ შემკვეთს განსაზღვრული აქვს ამ ნივთის კონკრეტული დანიშნულებით გამოყენება. ამდენად, მხარეთა შეთანხმება ნივთის ხარისხის თაობაზე, წარმოადგენს ნივთის ნაკლოვანების პირველ შესამოწმებელ წინაპირობას (სუსგ №ას-1522-2019, 12.02.2021წ., პუნ. 35).

21. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პირველმა კასატორმა და-

საბუთებული საკასაციო პრეტენზია ვერ დაუპირისპირა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ გარემოებას მენარ-დის მიერ დამზადებული ნაკეთობის მხარეთა შორის ხელშეკრუ-ლებით შეთანხმებულ ესკიზთან შეუსაბამობას (ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ მენარდე დაამზადებს შეკვეთილისაგან გან-სხვავებულ ნაკეთობას) თაობაზე. შესაბამისად, შემკვეთი უფლე-ბამოსილია არ მიიღოს ნაკლიანი შესრულება და კანონით დადგე-ნილი წესით მოითხოვოს საზღაურის გადახდილი ნაწილის დაბრუ-ნება.

22. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სა-მართალწარმოება აგებულია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპ-ზე. სსსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლების თანახმად, სამოქალაქო პრო-ცესში მხარეები ვალდებული არიან, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ თავიანთი პოზიციის გასამყარებ-ლად მითითებული გარემოებების არსებობა. კანონით გათვალის-წინებული შემთხვევების გარდა, რომელიც ადგენს მხარეთა შო-რის მტკიცების ტყირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარ-ჩელეს ევალება სასარჩელო განცხადებაში ასახული ფაქტების მტკიცება, ხოლო მოპასუხე მოვალეა, სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები, წარადგი-ნოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებს მოსარ-ჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს. სსსკ-ის 105-ე მუხლი ადგენს სასამართლოს მხრიდან მხარეთა მიერ მითითებული გარემოებე-ბის შეფასების პირობებს, კერძოდ, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გან-ხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშ-ვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესა-ხებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლო შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში. ამდენად, სა-დავო გარემოებების დადგენისას, სასამართლო იმსჯელებს საქ-მეში წარმოდგენილ მხარეთა განმარტებებზე, წერილობით დოკუ-მენტებსა და სხვა მტკიცებულებებზე ერთობლივად, რომლის ურ-თიერთშეჯერებით გადაწყვეტს, სარწმუნოდ მიიჩნიოს თუ არა ამა თუ იმ ფაქტის არსებობა (სუსგ №ას-584-543-2017, 06.06.2017წ; №ას-484-2019, 30.10.2020წ.).

23. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ: 20.09.2018 წლის ნარდობის ხელშეკრულების 1.1. პუნქტის თანახმად, მენარდემ იკისრა მტკალის ჭედური მოაჯირების ესკიზის საფუძველზე დამ-ზადების ვალდებულება; ხელშეკრულება მოიცავს მეტალის ჭედუ-

რი მოაჯირის გრაფიკულ ნახაზს; შემკვეთის მიერ წარმოდგენილია ექსპერტიზის დასკვნა, სადაც მითითებულია, რომ შესრულებული ნაკეთობა არ შეესაბამება ხელშეკრულებაში მოცემულ ესკიზს. სანინააღმდეგო გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება მოპასუხეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია. ამრიგად, საქმეში წარმოდგენილი მასალები ერთობლივად ქმნის საკმარის საფუძველს იმგვარი დასკვნისათვის, რომ მენარდემ შეკვეთილისაგან განსხვავებული ნაკეთობა დაამზადა. მოცემულ შემთხვევაში დამატებითი ვადის ცალკე დაწესების წინაპირობა არ არსებობს (სსკ-ის 405 II „ა“). მენარდე ყველა ეტაპზე უარყოფდა ესკიზის შესაბამისი მოაჯირის დამზადების ვალდებულებას და ერთმნიშვნელოვან უარს აცხადებდა მის შესრულებაზე. ამჟამადაც მისი საკასაციო საჩივრის მოთხოვნაა ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება და დამზადებული ნაკეთობის ღორებულების შემკვეთისათვის დაკისრება. ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე მენარდე არ უთითებს არც შემკვეთის სარჩელზე წარდგენილ შესაგებელში და არც შეგებებულ სარჩელში.

24. შემკვეთის სარჩელს მენარდემ დაუპირისპირა შემაფურხებელი შესაგებელი ხანდაზმულობაზე მითითებით. სსკ-ის 144-ე მუხლის პირველი ნანილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. აღნიშნული გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ და შემკვეთის სარჩელი არ დაკმაყოფილდა სსკ-ის 655-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის სპეციალური ერთნლიანი ვადის გაშვების საფუძვლით.

25. მეორე კასატორი არ ეთანხმება სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს დასკვნას. საკასაციო პალატა იზიარებს მეორე კასატორის აღნიშნულ პრეტენზიას და განმარტავს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება კანონმდებლის მიერ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარისათვის მინიჭებული უფლებაა და მისი თავისებურება ისაა, რომ ამისთვის არ არის აუცილებელი მეორე მხარის თანხმობა. ეს თავისებურება განაპირობებს იმასაც, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არის აღმჭურველი უფლება და მოთხოვნის უფლებებისაგან განსხვავებით მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა. იგი შეიძლება ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნებისმიერ დროს იქნეს გამოყენებული, თუკი არსებობს კანონით ამომწურავად განსაზღვრული ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლები და წესები (სსკ-ის 405-ე, 352-ე-359-ე მუხლები) (იხ: დამატებით: ლ. ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 352, გვ. 232; მ. თოდუა, პ. ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბი-

ლისი, 2006, 54; შდრ. სუსგ №ას-1361-2020, 11.03.2021წ.; №ას-1565-2018, 30.04.2020წ; №ას-38-38-2018, 08.06.2018წ; №ას-1189-1119-2015, 23.03.2016წ.).

26. სსკ-ის 655-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ მოთხოვნა შესრულების ნაკლის გამო შემკვეთმა შეიძლება წარადგინოს ერთი წლის მანძილზე, ხოლო ისეთი მოთხოვნა, რომელიც ნაგებობას შეეხება – ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ, როდესაც საუბარია შესრულების ნაკლიან დაკავშირებული შემკვეთის მოთხოვნების ხანდაზმულობაზე, მხედველობაშია 642-ე (დამატებითი შესრულების მოთხოვნა), 643-ე (ნაკეთობის ნაკლის გამოსწორება შემკვეთის მიერ), 645-ე (საზღაურის შემცირება ნაკეთობის ნაკლის გამო) მუხლებით გათვალისწინებული მეორადი მოთხოვნის უფლებები. აღნიშნული ვადა არ ვრცელდება 644-ე მუხლით გათვალისწინებულ – ხელშეკრულებაზე უარი ნაკეთობის ნაკლის გამო – მეორადი მოთხოვნის უფლებაზე (ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 655, ველი 11, იხ. <https://gccc.tsu.ge/>; ძლიერიშვილი ზ., ნარდობის ხელშეკრულება (თეორია და პრაქტიკა), 2016, გვ. 426; სუსგ №ას-1324-2019, 12.03.2021წ., პუნ. 36). ამრიგად, შემკვეთის მოთხოვნაზე ვერ გავრცელდება სსკ-ის 655-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა და მენარდის მიერ ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო მას უფლება აქვს, გავიდეს ხელშეკრულებიდან.

27. სსკ-ის 352-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგი რესტიტუციაა. ამ დროს თავდაპირველი ვალდებულებითი ურთიერთობის ადგილს იკავებს უკუქცევის შედეგად წარმოშობილ შესრულებათა უკან დაბრუნების ურთიერთობა, რაც ხელშეკრულების დადების შემდეგ შესრულებათა გაცვლამდე არსებული ვითარების ალდგენას გულისხმობს, ანუ ხელშეკრულებიდან გასვლით წარმოიშპა ახალი ვალდებულება (პირვანდელი მდგომარეობის ალდგენის ვალდებულება) (შდრ. სუსგ №ას-667-634-2014, 16.10.2015წ., პუნ. 23). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსკ-ის 352-ე მუხლში იმპლემენტირებული სამართლებრივი შედეგის ფარგლებში მენარდემ, როგორც რესტიტუციის მოვალემ, შემკვეთს უნდა დაუბრუნოს ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი 7200 აშშ დოლარი (შდრ. სუსგ №ას-625-625-2018, 31.10.2018წ., პუნ. 20).

28. ხელშეკრულებიდან გასვლისა და თანხის დაბრუნების თაობაზე შემკვეთის სარჩელის დაკმაყოფილება გამორიცხავს შეთანხმებული საზღაურის ანაზღაურების მოთხოვნით აღძრული მენარდის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებას. მენარდემ ვერ დაა-

დასტურა სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ისეთი ფაქტობრივი გარემოების არსებობა, როგორიცაა – ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ჯეროვნად შესრულება. ამრიგად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მენარდის შეგებებული სარჩელი, უნდა დარჩეს უცვლელად.

29. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო საქმეზე გადაწყვეტილებას თვითონ მიიღებს, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაპრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაპრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამიტალაქო საქმეთა პალატის 20.05.2021 წლის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნანილის 3, 5 პუნქტები) და ამ ნაწილში მიღებული იქნეს სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრება 7200 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში კი უნდა დარჩეს უცვლელად.

30. მოსარჩელემ სარჩელით მოითხოვა მის მიერ განეული სასამართლოსგარეშე ხარჯების, მათ შორის – იურიდიული მომსახურებისათვის განეული ხარჯის – 5850 ლარის, მონინააღმდეგე მხარისათვის დაკისრება (ს.ფ. 8). სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებით, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. მითითებული ხორმის დისპოზიცია იმგვარად არის ფორმულირებული, რომ არ ადგენს განეული ხარჯის სანაცვლო ანაზღაურების ერთმნიშვნელოვან ოდე-

ნობას, არამედ ამ ოდენობის გონივრულად განსაზღვრის უფლებას უტოვებს სასამართლოებს. კანონმდებლის ამგვარი მიღებომა განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ ადვოკატის მომსახურებაში გადახდილი ხარჯების სანაცვლო ანაზღაურებამ დაუსაბუთებლად არ უნდა შეზღუდოს პროცესის მონაწილე მხარის უფლება და არ უნდა შექმნას ნარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის ხელოვნურად გაზრდის პროცესუალური საფუძველი; ნორმის ამგვარი შინაარსის მიზანია პროცესის მონაწილე მეორე მხარის უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვის თავიდან აცილება (სუსგ №ას-1054-2019, 30.09.2019წ; სუსგ №ას-316-316-2018, 07.05.2018წ.). მოცემულ შემთხვევაში, დავის საგნის ღირებულების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ იურიდიული მომსახურებისათვის განეული ხარჯის ასანაზღაურებლად უნდა დაეკისროს 288 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. მასვე უნდა დაეკისროს მოსარჩელის მიერ გაღებული სასამართლოსგარეშე სხვა ხარჯების (სააპლიკაციო საფასური 100 ლარის ოდენობით, ს.ფ. 18, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განეული მომსახურების საფასურის ნახევარი (ექსპერტიზის დასკვნა არ შეეხება მხოლოდ ნინამდებარე საქმის დავის საგანს) ანაზღაურება – ჯამურად 438.74 ლარი.

31. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების საფუძველზე, მოსარჩელის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების პირობებში, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 1117 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ არ კმაყოფილდება მოპასუხის საკასაციო საჩივარი, მას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სრულად უნდა დაეკისროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 07.10.2021 წლის განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟი 540 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით. ამასთან, რადგან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უქმდება მოპასუხის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ნანილში, მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 18.02.2021 წლის განჩინებით თავის სააპელაციო საჩივარზე გადავადებული სახელმწიფო ბაჟის ნაწილი 288 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სააპელაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 432 აშშ დო-

ლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება, უნდა დარჩეს უცვლე-ლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ლ ა:

1. ნ. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ი. გ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საჩივრთა პალატის 20.05.2021 წლის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 3, 5 პუნქტები) და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
4. ი. გ-იას სარჩელი დაკმაყოფილდეს. ნ. ჭ-ძეს ი. გ-იას სასარგებლოდ დაეკისროს 7200 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.
5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საჯერთა პალატის 20.05.2021 წლის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.
6. ნ. ჭ-ძეს ი. გ-იას სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 1117 ლარის ოდენობით.
7. ნ. ჭ-ძეს (პ/ნ: ...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 07.10.2021 წლის განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟი 540 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით.
8. ნ. ჭ-ძეს (პ/ნ: ...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 18.02.2021 წლის განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის ნაწილი 288 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით.
9. ნ. ჭ-ძეს ი. გ-იას სასარგებლოდ დაეკისროს სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურება 438.74 ლარისა და 288 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით.
10. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საზღაურის შემცირება ნაკათობის ნაკლის გამო

გადაცევატილება საქართველოს სახელით

№ას-1083-2022

28 აპრილი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაელიძე,
გ. მიქაუტაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

1. შპს „ი-მი“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგას, მოპასუხის – შპს „მ-ის“ მიმართ და მოითხოვა მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ 2016 წლის 22 დეკემბრის ხელშეკრულების საფუძველზე ძირითადი დავალინების – 772 500 აშშ დოლარის (შესაბამისი კურსით ლარში), დამატებითი სამუშაოების ღირებულების – 291 261,37 აშშ დოლარის (შესაბამისი კურსით ლარში), ზიანის – 135 333,91 აშშ დოლარის და ჯართის შენახვის ღირებულების – 165 750 ლარის დაკისრება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2021 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „ი-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; შპს „მ-ის“ შპს „ი-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 772 500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის (გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად) და ჯართის შენახვის ღირებულების – 165 750 ლარის გადახდა; შპს „მ-ის“ შპს „ი-ის“ სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 3 068 ლარის გადახდა სარჩელის აღძვრისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ და 8 400 ლარის გადახდა იურიდიული მომსახურებისათვის განეული ხარჯის სანაცვლოდ; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

3.1. შპს „მ-სა“ (შემკვეთი) და შპს „ი-ს“ (მენარდე) შორის, თბილისში, რუსთაველის ... მდებარე, შპს „მ-ის“ კუთვნილ ობიექტზე, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის მიზნით, 2014 წლის 14 ნოემბერს დაიდო ნარდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, მენარდეს სამშენებლო სამუშაოები უნდა ეწარმოებინა შემ-

კვეთის მიერ მიწოდებული ნახაზისა და ტექნიკური დავალების შესაბამისად, თანდართულ CD დისკზე მოცემული პროექტის სრული დაცვით. სამუშაო მენარდეს უნდა დაესრულებინა და შემკვეთის-თვის სრულყოფილი სახით გადაეცა არაუგვიანეს 2016 წლის 30 აპრილისა. სამუშაოს სრული ღირებულება განისაზღვრა 20 000 000 აშშ დოლარის ეკვივალენტით ეროვნულ გალუტაში.

მენარდე ვალდებული იყო, შემკვეთისთვის გადაეცა ნივთობრივად უნაკლო ნივთი. ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდებოდა, თუ მენარდე შეასრულებდა სამუშაოს პროექტისა და ნახაზების დარღვევით ან/და შეასრულებული სამუშაო იქნებოდა შეუსაბამო (როგორც ტექნიკური, ასევე ვიზუალური თვალსაზრისით). სამუშაოების წარმოების, მისი დასრულების (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტი) ან/და საგარანტიო პერიოდში ნაკლოვანების გამოვლენის შემთხვევაში, მენარდეს საკუთარი ხარჯით, შემკვეთის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, უნდა გამოესწორებონა ნაკლოვანება. ნაკლოვანების საკითხთან შეუთანხმებლობისას საკითხს კი შეისწავლიდა დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელიც შეირჩეოდა შეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობისას – შემკვეთის მიერ შერჩეული ექსპერტი. თუ მენარდე შემკვეთის მიერ დადგენილ დამატებით ვადაში არ გამოასწორებდა არსებულ ნაკლს, შემკვეთს უფლება ჰქონდა სხვა მესამე პირის დავალების საფუძველზე და მენარდის ხარჯზე გამოესწორებინა უხარისხო შესრულება.

ხელშეკრულების შესრულების მიზნით, შპს „ი-ს“ უფლება მიეცა, სხვა პირებთან გაეფორმებინა ნარდობის ხელშეკრულებები, თუმცა მენარდე იყო პასუხისმგებელი მათ შერჩევასა და შესრულებული სამუშაოს ხარისხზე;

3.2. 2016 წლის 22 დეკემბერს მხარეებმა გააფორმეს ხელშეკრულება, რომლითაც დაადასტურეს 2014 წლის 14 ნოემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადის დარღვევა და სამუშაოების დასრულების ახალ ვადად დაადგინეს 2017 წლის 1 ივნისი (დამატებით საპატიო 15-დღიანი გადაცდების გათვალისწინებით). სამუშაოების დასრულების შემდგომ, 2017 წლის 17 სექტემბრამდე, მხარეები მოახდენდნენ შესრულებული სამუშაოების ტესტირებას. დარჩენილი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების სრული ღირებულება, რაც შპს „მ-ის“ შპს „ი-ის სასარგებლოდ უნდა აენაზღაურებინა, განისაზღვრა 3 187 000 აშშ დოლარით;

3.3. შპს „ი-მა“ და მისი დაკვეთით ქვეკონტრაქტორებმა შეასრულეს 2016 წლის 22 დეკემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული, დარჩენილი სამუშაოები;

3.4. ხელშეკრულებით დადასტურებული, დარჩენილი 3 187 000

აშშ დოლარიდან შპს „მ-ის“ არ აუნაზღაურებია 772 500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი;

3.5. თბილისში, ... 2017 წლის 20 აგვისტოდან ფუნქციონირებს გასართობი ცენტრი, 2018 წლის 2 ოქტომბერს გაიხსნა სახვითი ხელოვნების მუზეუმი, ხოლო 2018 წლის დეკემბრიდან – სასტუმრო-სახლი. ობიექტზე, ასევე, ფუნქციონირებს კომერციული ფართები;

3.6. 2019 წლის 20 დეკემბერს შემკვეთმა შპს „ი-ს“ გაუგზავნა ობიექტზე სამუშაოს შესრულების შემდგომ აღმოჩენილი ხარვეზების შესახებ ჩამონათვალი, სულ 21 პოზიცია;

3.7. შპს „ი-მა“ სს „ვ.ბ.ჯ-თან“ 2016 წლის 22 ივნისს დადონ საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება (ვადა 2016 წლის 22 ნოემბრამდე). ხელშეკრულების მიხედვით, შპს „მ-ისგან“ ჩარიცხული თანხებით საკრედიტო ხაზის ლიმიტი უნდა შემცირებულიყო. შპს „ი-მა“ მიიღო 550 000 აშშ დოლარი და 250 000 აშშ დოლარის ოდენობით სესხი. ამასთან, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების საფუძვლით სესხისა და ჯარიმის სახით გადაიხადა ჯამში 118 319,24 აშშ დოლარი;

3.8. შპს „ი-სა“ და სს „ბ.ბ.ს-ოს“ შორის 2018 წლის 11 ივნისს გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში მსესხებელმა მიიღო 200 000 აშშ დოლარი, წლიური 7,5% სარგებლის გადახდის პირობით. პროცენტის სახით შპს „ი-მა“ გადაიხადა 17 014,67 აშშ დოლარი;

3.9. 2013 წლის 1 ივნისს შპს „ი-სა“ და შპს „მ-ის“ შორის გაფორმდა ურთიერთშეთანხმების აქტი, რომლის საფუძველზეც, შპს „ი-მა“ თავის ტერიტორიაზე შეინახა შპს „მ-ის“ კუთვნილი ლითონი, თვეში 3350 ლარის ანაზღაურების მიღების პირობით;

3.10. ლითონის მასალები შპს „ი-ის“ ტერიტორიიდან შპს „მ-იმ“ 2017 წლის 24-27 მაისს წაიღო.

4. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე, 639-ე, 641-ე, 642-ე, 645-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ მოსარჩევეს სრულად უნდა ანაზღაურებოდა ნარდობის საფასური. შედეგად, მოპასუხეს დაეკისრა 772 500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. მოსარჩევის მიერ მოთხოვნილი, დამატებითი სამუშაოების ლირებულების – 291 261,37 აშშ დოლარის ანაზღაურებასთან დაკავშირებით კი, სამოქალაქო კოდექსის 398-ე, 631-ე მუხლებიდან გამომდინარე, სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან მხარეებმა მყარი ხარჯთაღრიცხვა გაითვალისწინეს და შეთანხმებული ანაზღაურება ყველა საჭირო სამუშაოს შესრულებას მოიცავდა, შემკვეთს შეთანხმებულ თანხაზე მეტის გადახდა ვერ დაეკისრებოდა.

5. პირველი ინსტანციის სასამართლომ, ასევე, მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 394-ე, 408-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ უსაფუძვლო იყო მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რადგან მოსარჩელის მიერ საპანკო კრედიტის პროცენტისა და ჯარიმის გადახდა მენარდის მიერ მიყენებულ ზიანს არ წარმოადგენდა.

6. მიბარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე შპს „მ-ისთვის“ 165 750 ლარის დაკისრების მოთხოვნა კი საქალაქო სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია, სამოქალაქო კოდექსის 755-ე, 763-ე მუხლების საფუძველზე. ამასთანავე, სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის შედავება მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2021 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება მხარეებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „ი-ის“ სააპელაციო საჩივრარი არ დაემაყოფილდა, ხოლო შპს „მ-ის“ სააპელაციო საჩივრარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2021 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება მოპასუხისთვის თანხის დაკისრების ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს გადასახდელად დაეკისრა 768 796 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი (გადახდის დღეს არსებული, ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად); მოსარჩელეს უარი ეთქვა ჯართის შენახვის ლირებულების – 165 750 ლარის ანაზღაურებაზე; დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2021 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

9. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ დავის საგანი შეეხებოდა ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებას – ხელშეკრულების მთლიანი ღირებულებიდან შემკვეთმა არ აანაზღაურა 772 500 აშშ დოლარი და თანხის გადაუხდელობა ნაკლიან შესრულებას დაუკავშირა. სადაც საკითხის შეფასებისას, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმეში ნარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნებზე, კერძოდ:

– სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №004086019 დასკვნის თანახმად, თბილისში, ... მდებარე შენობის, ... ქუჩის მხრიდან არსებულ ფასადზე, მესამე სართულზე, აიგანზე გასასვლელი კარის აღარის მინაპაკეტის გარე ნაწილობი მინის დაზიანება ძირითადად გამოწვეულია ე.ნ. თერმოშოკით. არ არის გამორიცხული, რომ დაზიანებამდე მი-

ნაზე არსებობდა დამზადების, ტრანსპორტირების ან მონტაჟის დროს განვითარებული, თვალით უხილავი მიკრობზარები, რომელიც წარმოადგენს თერმული შოკის განვითარების შემთხვევაში მინაპაკეტის დაზიანების ხელისშემნყობ გარემოებას. დროთა განმავლობაში იგივე მიზეზით შესაძლებელია ფასადის სხვა მონაკვეთებზეც ადგილი ჰქონდეს მინაპაკეტებზე ბზარების წარმოქმნას, მაპროვოცირებელი ფაქტორების არსებობის გამო;

– ბიუროს №005347320 დასკვნის თანახმად, თბილისში, ... მდებარე შენობის შესრულებული სამუშაოების ხარისხი არადამაკმაყოფილებელია;

– შპს „ი-ის“ მიერ წარმოდგენილი, შპს „თ.ე.ჯ. ა-ის“ 2021 წლის 25 მარტის საექსპერტო დასკვნის შესაბამისად, არსებული დეფექტების (დაზიანებული პომპის შეცვლა, დიზელის ცენტრალური ავზის დემონტაჟი და ახალი ანალოგით ჩანაცვლება, მუზეუმის ლობში 22 ერთეული იატაკის გრანიტის ფილის შეცვლა) აღმოფხვრის სავარაუდო ღირებულება მიმდინარე პერიოდისთვის 22 400 ლარს შეადგენს.

10. ზემოაღნიშნული დასკვნებიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შესრულება იყო ნაკლიანი და ნაკლის გამოსწორების ღირებულება უნდა განსაზღვრულიყო 22 400 ლარით, რადგან შპს „მ-ის“ ნაკლიანი შესრულების ღირებულების თაობაზე მტკიცებულებები არ წარუდგენია და ნაკლის გამოსწორების სავარაუდო ღირებულების შესახებ მხოლოდ შპს „ი-ის“ მიერ წარდგენილი დასკვნა არსებობდა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ შესრულებული სამუშაოს ღირებულება უნდა შემცირებულიყო იმ ფასით, რაც ნაკლის გამოსწორებისთვის იყო საჭირო. შედეგად, შპს „მ-ის“ შპს „ი-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 772 500 აშშ დოლარზე 22 400 ლარით ნაკლები ანაზღაურება, რაც, პალატის მოსაზრებით, შეადგენდა 768 796 აშშ დოლარს.

11. დამატებითი სამუშაოების ღირებულების – 291 261,37 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ სასარჩევლო მოთხოვნა სააპელაციო სასამართლომაც უსაფუძვლოდ მიიჩნია, რადგან მხარეებს გათვალისწინებული ჰქონდათ მყარი ხარჯთაღრიცხვა და მენარდის მიერ შესასრულებელი ნებისმიერი სამუშაო შედიოდა აღნიშნულ თანხაში. ამასთან, თუ მხარეები დამატებით შეთანხმდებოდნენ სხვა სამუშაოს შესრულებაზე, რაც სცდებოდა ნარდობის ხელშეკრულების საგანს, მათ დამატებით უნდა გაეფორმებინათ ხელშეკრულება ან ცვლილება შეეტანათ უკვე არსებულ ხელშეკრულებაში, რაც არ განხორციელებულა.

12. ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ შპს „ი.“ ზიანის ფაქტს

უკაგშირებდა შემქვეთის მიერ საზღაურის გადაუხდელობას, რის გამოც მოპასუხესთან შეთანხმებული სესხის დაფარვისთვის მოუწისა სარგებლისა და ჯარიმის გადახდა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სესხის ერთი ხელშეკრულება დაიდო 2016 წლის ივნისში, როდესაც სამშენებლო სამუშაოები შეჩერებული იყო და განახლდა 2016 წლის ბოლოს დადებული ხელშეკრულების შემდეგ. ამდენად, შპს „მ-ი“ ვერ იქნებოდა პასუხისმგებელი სესხის ხელშეკრულების შეუსრულებლობაზე, რომელიც მოსარჩელეს 2016 წლის 20 დეკემბრამდე ჰქონდა დადებული. სესხის მეორე ხელშეკრულება კი დაიდო 2018 წლის 22 ივნისს, როდესაც შპს „მ-ის“ უკვე უნდა ჰქონოდა საზღაური სრულად ანაზღაურებული (ყველაზე გვიან ანაზღაურება 2017 წლის 18 სექტემბერს უნდა მომხდარიყო); ამიტომ, ვერც აღნიშნული სესხის აღება დაუკავშირდებოდა მოპასუხის მხრიდან ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობას, ვინაიდან დადებული იყო 2016 წლის 20 დეკემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გასვლის შემდგომ. ამდენად, სასამართლოს მოსაზრებით, არ დადასტურდა ზიანის ანაზღაურების წინაპირობების არსებობა.

13. მიბარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე შპს „მ-ისთვის“ 165 750 ლარის დაკისრებასთან დაკავშირებით კი, სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 128-ე, 130-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ სახელშეკრულებო მოთხოვნების მიმართ ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. სადაც შემთხვევაში, ლითონის მასალების ტრანსპორტირება შპს „ი-ის“ ტერიტორიიდან 2017 წლის 27 მაისს დასრულდა, ხელშეკრულებაც შეწყდა და თანხის ანაზღაურების მოთხოვნაც აღნიშნული მომენტიდან წარმოიშვა. სარჩელი კი, მართალია, სასამართლოში წარდგენილ იქნა 2020 წლის 11 მაისს, თუმცა ჯართის შენახვის ღირებულების ანაზღაურება მოთხოვნილ იქნა დაზუსტებული სარჩელით – 2020 წლის 23 სექტემბერს. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულად მიიჩნია და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი ამ წანილში არ დაკმაყოფილდა.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება მხარეებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს.

15. კასატორი შპს „ი“ აღნიშნავდა, რომ სრულად და ჯეროვნად შეასრულა მხარეთა შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც სრულად უნდა ანაზღაურებოდა ძირითადი დაგალიანება – 772 500 აშშ დოლარი. გარდა ამისა, მას უნდა ანაზღაურებოდა დამატებითი სამუშაოების ღირებულება, რადგან ისინი ძირითადი ხელშეკრულებით გათვალის-

წინებული არ ყოფილა და მხარეთა ზეპირსიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე შესრულდა. ასევე, მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა ზიანი, რომელიც მის მიერ მოსარჩელისთვის თანხის გადაუხდელობამ გამოიწვია, კერძოდ, მოსარჩელე იძულებული გახდა, აელო სესხი და მისი დროულად დაფარვის შეუძლებლობის გამო ჯარიმაც გადაიხდა.

16. ჯართის შენახვის ღირებულების ანაზღაურებაზე სასამართლოს მიერ უარის თქმის ნაწილში კი მოსარჩელემ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება არ გაასაჩივრა, შესაბამისად, ამ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ დასაში.

17. კასატორი შპს „მ-ი“ მიუთითებდა, რომ მოსარჩელემ ძირითადი ხელშეკრულება სრულყოფილად არ შეასრულა და არც დაშვებული ხარვეზები გამოასწორა. აქედან გამომდინარე, კასატორის (მოპასუხის) განმარტებით, არ არსებობდა მოსარჩელისთვის 772 500 აშშ დოლარის ანაზღაურების საფუძველი. ამასთან, კასატორმა აღნიშნა, რომ მართალია, სააპელაციო პალატამ ნაწილობრივ გაზიარა მისი არგუმენტი ნაკლიანი შესრულების თაობაზე და ასანაზღაურებელ თანხას გამოკლი მოპასუხის მიერ ხარვეზების აღმოსაფხვრელად განეული ხარჯის ნაწილი, თუმცა არასწორად გამოთვალა ვალუტის კურსი, კერძოდ, 22 400 ლარი სასამართლომ 3 704 აშშ დოლარად გაიანგარიშა.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 16 სექტემბრისა და 28 ოქტომბრის განჩინებებით საკასაციო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად.

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 16 დეკემბრის განჩინებით შპს „იმკ-ის“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში; შპს „მ-ის“ საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და დადგინდა საჩივრის მხარეთა დასწრების გარეშე განხილვა; შპს „ი-ს“ დაუბრუნდა საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 8000 ლარის 70% – 5600 ლარი.

20. შპს „ი-ს“ საკასაციო საჩივართან დაკავშირებით, სამოქალაქო საქმეთა პალატამ, 2022 წლის 16 დეკემბრის განჩინებაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე, 629-ე, 631-ე მუხლების საფუძველზე, განმარტა, რომ თუკი მენარდე გადააჭარბებს მხარეთა შორის შეთანხმებულ ხარჯთაღრიცხვას, განსხვავებუ-

ლად რეგულირდება საკითხი შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვის ტიპების მიხედვით. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მყარი ხარჯთაღრიცხვა, იგი არ ექვემდებარება გადასინჯვას, მიუხედავად მისი გადასინჯვის მოთხოვნის მიზეზისა; გამონაკლისია სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა – მყარი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გადაჭარბების შემთხვევაში, მენარდეს შეუძლია, შემკვეთს მოსთხოვოს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. თუ მენარდე ამ უფლებით არ ისარგებლებს და მაინც გააგრძელებს სამუშაოს შესრულებას, შემდეგში იგი კარგავს უფლებას, შემკვეთისაგან მოითხოვოს გადახარჯვის ანაზღაურება. ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში შეთანხმებული იყო მყარი ხარჯთაღრიცხვა და მენარდეს შემკვეთისთვის ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მოთხოვნით არ მიუმართავს, მოსარჩელეს მართებულად ეთქვა უარი დამატებითი სამუშაოების ღირებულების – 291 261,37 აშშ დოლარის ანაზღაურებაზე.

21. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 394-ე, 395-ე, 408-ე, 409-ე მუხლებზე. პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ სესხი აიღო 2016 წლის 22 ივნისს, როდესაც სამუშაოების შესრულება შეჩერებული იყო და მხარეთა შეთანხმებით სამუშაოების შესრულება გაგრძელდა და მისი დასრულების ახალი ვადა განისაზღვრა მხოლოდ 2016 წლის 22 დეკემბრის შეთანხმებით. ამდენად, 2016 წლის 22 ივნისს სესხის ხელშეკრულების დადების საჭიროების წარმოშობა ვერ დაუკავშირდებოდა მოპასუხის ქმედებებს. მეორედ კი, მოსარჩელემ 2018 წლის 11 ივნისს აიღო ბანკების სესხის სახით 200 000 აშშ დოლარი და პროცენტის სახით გადაიხადა 17 014,67 აშშ დოლარი. ამ დროისთვის შპს „მ-ის“ წარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი თანხა (გარდა სადაც 772 500 აშშ დოლარისა) გადახდილი ჰქონდა. ამრიგად, მოპასუხის მიერ ანაზღაურებული და სესხად აღებული თანხების ოდენობის გათვალისწინებით, არც ამ შემთხვევაში დადასტურდა მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა მოსარჩელის მიერ სესხის აღებასა და მოპასუხის ქმედებას შორის. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატის განმარტებით, შპს „მ-ის“ მართებულად ეთქვა უარი ზიანის ანაზღაურებაზე.

22. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიჩნეულ იქნა, რომ შპს „მ-ის“ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრულ, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის მოთხოვნებს. ამასთან, საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის გამო, კასატორს –

შპს „ი-ს“ დაუბრუნდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი.

23. რაც შეეხება შპს „მ-ის“ საკასაციო საჩივარს, საკასაციო პალატამ, სააპელაციო პალატის მიერ მოპასუხისთვის დაკისრებული ძირითადი დავალიანების ოდენობის შემოწმების შედეგად, მიიჩნია, რომ კასატინის პრეტენზია ვალუტის კურსთა გაანგარიშების საკითხთან დაკავშირებით დასაბუთებული იყო, რის გამოც შპს „მ-ის“ საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა არსებითად განსახილველად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. საკასაციო პალატამ დამატებით მიუთითა, რომ შპს „მ-ის“ საკასაციო საჩივრის დაშვების პირობებში, მის მიერ საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, მხარეთა მიერ პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლობში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის განაწილებისა და მოპასუხისთვის მომსარჩელის სასარგებლოდ იურიდიული მომსახურების ხარჯის დაკისრების საკითხები გადაწყდებოდა შპს „მ-ის“ მოთხოვნის არსებითად გადაწყვეტისას.

სამოტივაციო ნაწილი:

24. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ შპს „მ-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

25. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში მთავარ სადაცვო საკითხს წარმოადგენს, ნაკლიან შესრულებაზე მითითებით, მენარდის მიერ განეული მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებელი ოდენობის განსაზღვრა.

26. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შეგკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. იმავე კოდექსის 639-ე მუხლი კი განსაზღვრავს მენარდის ვალდებულებას, წარუდგინოს შემკვეთს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი. 641-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს; ხოლო, თუ ეს პირობები შეთანხმებული არ არის, მაშინ ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოდ მიიჩნევა, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის. თავის მხრივ, ნივთობრივად უნაკლო ნივთის წარდგენის ვალდებულების დარღვევა წარმომობს იმავე კოდექსის 642-ე (დამატებითი შესრულების მოთხოვნა), 643-ე (ნაკეთობის

ნაკლის გამოსწორება შემკვეთის მიერ), 644-ე (ხელშეკრულებაზე უარი ნაკეთობის ნაკლის გამო) და 645-ე (საზღაურის შემცირება ნაკეთობის ნაკლის გამო) მუხლებით გათვალისწინებულ მეორადი მოთხოვნის უფლებებს. მაშასადამე, შემკვეთი ვალდებულია, აუ-ნაზღაუროს მენარდეს შეთანხმებული საზღაური ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისთვის. თუმცა, თუკი შესრულება ნაკლიანია შემკვეთი აღიჭურვება დამატებითი მოთხოვნების წარდგენის უფლებით, მათ შორის, შემკვეთს შეუძლია შეამციროს საზღაური ნაკლის გამო; კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 645-ე მუხლის თანახმად, შემკვეთს, რომელიც არც ხელშეკრულების დამატებით შესრულებას მიიღებს საამისოდ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ და არც უარს განაცხადებს ხელშეკრულებაზე, შეუძლია იმ თანხით შეამციროს საზღაური, რა თანხითაც ნაკლი ამცირებს ნაკეთობის ღირებულებას.

27. განსახილვებ შემთხვევაში დადგენილია, რომ შპს „მ-ისა“ (შემკვეთი) და შპს „ი-ს“ (მენარდე) შორის, თბილისში, ... №18-ში მდებარე, შპს „მ-ის“ კუთხით მდებარებული კომპიუტერი კომპლექსის მშენებლობის მიზნით, 2014 წლის 14 ნოემბერს დაიდო ნარდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, მენარდეს სამშენებლო სამუშაოები უნდა ენარმოებინა შემკვეთის მიერ მიწოდებული ნახაზისა და ტექნიკური დავალების შესაბამისად. სამუშაო მენარდეს უნდა დაესრულებინა და შემკვეთისთვის სრულყოფილი სახით გადაეცა არაუგვიანეს 2016 წლის 30 აპრილისა. სამუშაოს სრული ღირებულება განისაზღვრა 20 000 000 აშშ დოლარის ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში. მენარდე ვალდებული იყო, შემკვეთისთვის გადაეცა ნივთობრივად უნაკლო ნივთი. ხელშეკრულების შესრულების მიზნით, შპს „ი-ს“ უფლება მიეცა, სხვა პირებთან გაეფორმებინა ნარდობის ხელშეკრულებები, თუმცა მენარდე იყო პასუხისმგებელი მათ შერჩევასა და შესრულებული სამუშაოს ხარისხზე.

28. ასევე, დადგენილია, რომ 2016 წლის 22 დეკემბერს მხარე-ებმა გააფორმეს ხელშეკრულება, რომლითაც დაადასტურეს 2014 წლის 14 ნოემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადის დარღვევა და სამუშაოების დასრულების ახალ ვადად დაადგინეს 2017 წლის 1 ივნისი. სამუშაოების დასრულების შემდგომ, 2017 წლის 17 სექტემბრამდე, მხარეები მოახდენდნენ შესრულებული სამუშაოების ტესტირებას. დარჩენილი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების სრული ღირებულება, რაც შპს „მ-ის“ შპს „ი-ის“ სასარგებლოდ უნდა აენაზღაურებინა, განისაზღვრა 3 187 000 დოლარით.

29. შპს „ი-მა“ და მისი დაკვეთით ქვეკონტრაქტორებმა შეას-

რულეს 2016 წლის 22 დეკემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული, დარჩენილი სამუშაოები. შპს „მ-იმ“ კი ხელშეკრულებით დადასტურებული, დარჩენილი 3 187 000 აშშ დოლარიდან, მენარდეს არ აუნაზღაურა 772 500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. სწორედ დასახელებული თანხის ანაზღაურება მოითხოვა მოსარჩელემ, ხოლო მოპასუხე სრული ღირებულების გადახდას გამორიცხავს ნაკლიანი შესრულებაზე მითითებით.

30. ნაკლიანი შესრულების საკითხის შეფასებისას, საკასაციო პალატა მიუთითებს მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხზე. ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლიდან გამომდინარე, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე, ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, ხერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. ამასთანავე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ნაკლიანი შესრულების დადასტურების ტვირთი შემკვეთს აკისრია (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 8 ოქტომბრის №ას-856-2021, 2021 წლის 12 მარტის №ას-1324-2019 და 2020 წლის 11 მარტის №ას-58-2020 განჩინებები).

31. განსახილველ შემთხვევაში კი, საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნების, კერძოდ, სსიპ ლეგან სამხარაულის სახელმისამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №004086019, №007318119 და №005347320 დასკვნების, შესწავლის შედეგად სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია ნაკლიანი შესრულება. ამასთანავე, თავად მენარდის – შპს „ი-ის“ მიერ წარმოდგენილი, შპს „თ.ე.ჯ. ა-ის“ 2021 წლის 25 მარტის საექსპერტო დასკვნიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ არსებული დეფექტების აღმოფხვრის სავარაუდო ღირებულება 22 400 ლარს შეადგენდა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). „დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის

განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 15 ოქტომბრის №ას-735-2021 და 2018 წლის 28 დეკემბრის №ას-1687-2018 განჩინებები). საკასაციო პალატა, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ექსპერტთა დასკვნებში ასახული ინფორმაციის შესწავლის შედეგად, მიზნევს, რომ კასატორმა – შპს „მ-იმ“ ვერ წარმოადგინა დასაბუთებული პრეტენზია – ვერ და-ადასტურა სააპელაციო სასამართლოს მიერ, არსებული წაკლის გა-მოსწორებისთვის აუცილებელი ხარჯის ოდენობად 22 400 ლარის არასწორად განსაზღვრა. საკასაციო სასამართლო დამატებით მი-უთითებს, რომ „ექსპერტიზის, თუნდაც სავარაუდო დასკვნა, აბა-თილებს მოპასუხის მარტოოდენ ზეპირ განმარტებას, რადგან სხვა მტკიცებულებებთან ერთად, სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირის მოსაზრებას სადაც ურთიერთობის ფაქტობრივ-სამარ-თლებრივი დასაბუთებისას, უთუოდ ენიჭება გარევეული უპირა-ტესობა მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე ვერ აბათილებს იბიექ-ტური მტკიცებულებებით სადაც გარემოებებს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 22 აპრილის №ას-45-2021 განჩინება). განსახილველ შემთხვევაში კი, კასატორმა სათანადო მტკიცებულების წარმოდგენა – ნაკლის გამოსწორებისთვის 772 500 აშშ დოლარის ხარჯის განევის საჭი-როების დადასტურება ვერ უზრუნველყო.

32. აპნიშენულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მარ-თებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შე-ფასებას, რომ შემკვეთს უნდა აენაზღაურებინა მენარდისთვის ნარდობის საფასურისა დარჩენილი ნაწილი (772 500 აშშ დოლარი) ნაკლის გამოსწორებისთვის აუცილებელი ხარჯის (22 400 ლარის) გამოკლებით. ამავდროულად, საკასაციო პალატა ყურადღებას გა-ამახვილებს მასზედ, რომ სააპელაციო სასამართლომ 22 400 ლარი 3 704 აშშ დოლარად გაიანგარიშა და ასანაზღაურებელ თანხას გა-მოაკლო არა 22 400 ლარი, არამედ 3 704 აშშ დოლარი. საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო პალატის გა-ანგარიშებას და იზიარებს კასატორის განმარტებას ვალუტის მსგავსი კურსის არარსებობასთან დაკავშირებით.

33. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქა-ლაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და 411-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო საჩიგარი უნდა დაემაყოფილდეს ნანილობრივ; სააპელაციო პალატის გასაჩიგრებული გა-დაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებულ იქნეს ახალი გადაწ-

ყვეტილება – შპს „მ-ის“ შპს „ი-ის“ სასარგებლოდ გადასახდელად უნდა დაეკისროს 772 500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი (გადახდის დღეს არსებული, ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად), რომელსაც გამოაკლდება 22 400 ლარი.

34. რაც შექება საპროცესო ხარჯის განაწილებას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით კი, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასც. საკასაციო პალატა, შპს „ი-ის“ სასარჩელო მოთხოვნებისა და კასატორის პრეტენზიის დაკმაყოფილებული ნაწილის გათვალისწინებით, მიიჩნევს, რომ შპს „მ-ის“ შპს „ი-ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 2 396 ლარის გადახდა, ხოლო მოსარჩელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილი და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი ბაჟი უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად; ასევე, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 8400 ლარის ანაზღაურება; ამასთან, მოსარჩელე შპს „ი-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს სარჩელზე გადახდილი ბაჟიდან 15,54 ლარი (პირველი ინსტანციის სასამართლოში მოთხოვნის ნაწილზე უარის თქმის გამო). შპს „ი-ს“ კი შპს „მ-ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 2021 ლარის ანაზღაურება, ხოლო დანარჩენი ნაწილი უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად.

35. საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1991-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყე-

ნებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან. ვინაიდან სადაცო შემთხვევაში სარჩელი ნაწილობრივ დაემაყოფილდა, გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 394-ე, 401-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „მ-ის“ საკასაციო საჩივარი (არსებითად განსახილველად დამვარულ ნაწილში) ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება არსებითად განსახილველად დამვარულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „ი-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. შპს „მ-ის“ (ს/ნ ...) შპს „ი-ის“ (ს/ნ ...) სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისროს 772 500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი (გადახდის დღეს არსებული, ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად), რომელსაც გამოკალდება 22 400 ლარი;
5. შპს „მ-ის“ (ს/ნ ...) შპს „ი-ის“ (ს/ნ ...) სასარგებლოდ დაეკისროს სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 2 396 ლარის და იურიდიული მომსახურებისათვის განეული ხარჯის – 8 400 ლარის ანაზღაურება;
6. შპს „ი-ს“ (ს/ნ ...) დაუბრუნდეს სარჩელზე თ.ს-ის (პ/ნ ...) მიერ 2020 წლის 11 მაისის №0 საგადასახადო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი – 15,54 ლარი, შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;
7. შპს „ი-ს“ (ს/ნ ...) შპს „მ-ის“ (ს/ნ ...) სასარგებლოდ დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 2021 ლარის ანაზღაურება;
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. დავალება

გასამრჯელო დავალებისთვის

განხილება საქართველოს სახელით

№ას-966-2018

9 ივლისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიჭაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2014 წლის ივლისის თვეში დ. დ-ძესა (შემდგომში – „მოსარჩეულე“ ან „აპელანტი“) და ა. პ-ვს (შემდგომში – „მოპასუხე“ ან „კასა-ტორი“) შორის ზეპირი ფორმით დაიდო ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელეს უნდა მოეძია ინფორმაცია მოპასუხის პპის – ა. პ-ვის (შემგომში – „მამკვიდრებელი“) დანაშთი სამკვიდრო ქონების შესახებ. მხარეთა შეთანხმებით, განეული მომსახურებისათვის გასამრჯელო შეადგენდა საათში 70 ევროს.

2. მოსარჩელის მიერ შეგროვებულ იქნა ინფორმაცია მამკვიდრებლის დანაშთი სამკვიდრო ქონების შესახებ.

3. 2014 წლის 10 სექტემბერს მოსარჩელემ ელექტრონული ფოსტით წერილი გაუგზავნა რუსეთის ფედერაციაში მოპასუხის წარმომადგენელს ნ. რ-ს.

4. 2014 წლის სექტემბრის თვეში, მოსარჩელის მიერ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის მიზნით მოპასუხე ჩამოვიდა საქართველოში და ინფორმაციის გაცნობის შედეგად მოსარჩელესთან ერთად შეხვდა ნ. პ-ს (შემგომში – „მამკვიდრებლის შვილა“). შეხვედრისას მამკვიდრებლის შვილმა გამოითქვა თანხმობა დაებრუნებინა სამკვიდრო მასიდან მის მიერ განვარგული ქონება, ასევე მოპასუხესთან შეთანხმებით გაეყო სამკვიდრო ქონება. მამკვიდრებლის შვილმა მოპასუხეს სამკვიდრო მასიდან პირველი ტრანში – 50 000 აშშ დოლარი გადაუხადა.

5. 2014 წლის 22 სექტემბერს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმდა შეთანხმება იურიდიული მომსახურების თაობაზე

(შემდგომში – „იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება“). აღნიშნული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების პირველი პუნქტის თანახმად:

„წინამდებარე წერილობითი შეთანხმების საგანია შემსრულებლის მიერ დამკვეთისთვის იურიდიული მომსახურების გაწევა, კერძოდ, დამკვეთის კანონიერი ინტერესებისა დაცვა ბაბუამისას, 2013 წლის 24 მარტს საქართველოში, ქალაქ თბილისში გარდაცვლილი ა.

6. ძე პ-ვის სამკვიდრო საქმეში“.

6. იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების მე-2 პუნქტის თანახმად:

„დამკვეთი გადაუხდის შემსრულებელს იურიდიული მომსახურების ანაზღაურებას მამკვიდრეობის კანონიერი ნილის 25%-ის ოდენობით, კერძოდ, სუფთა მოგების 25%“.

7. 2015 წლის 20 მარტს, მოპასუხეს, მამკვიდრებლის შვილსა და ე.ს-ვას შორის გაფორმდა შეთანხმება მამკვიდრებლის დანაშთი სამკვიდრო ქონების გაყოფის შესახებ.

8. მოსარჩელემ სარჩელი აღდრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად განეული მომსახურების საზღაურის სახით, მისთვის 470 850 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

9. სარჩელი ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

9.1. მამკვიდრებელი იყო მოპასუხის პაპა. მოპასუხის მამა, როგორც პირველი რიგის მემკვიდრე, სამკვიდროს გახსნამდე გარდა იცვალა, რის გამოც მოპასუხე, როგორც მამკვიდრებლის შვილიშვილი, მისი პირველი რიგის მემკვიდრეს წარმოადგენს. მოპასუხის გარდა არსებობენ სხვა მემკვიდრეებიც – მამკვიდრებლის შვილები: 6. პ-ი, ე. ს-ვა და მ. პ.;

9.2. მამკვიდრებელს გარდაცვალებამდე საქართველოში ჰქონდა სხვადასხვა ბიზნესი და რამდენიმე მილიონის ლირებულების ქონება, როგორც სხვადასხვა სანარმოში ნილის, ისე უძრავი ქონების, ავტომობილებისა და საბანკო ანგარიშების სახით;

9.3. საქმეში მოსარჩელის ჩართვამდე, მიუხედავად იმისა, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან წელიწადი და ოთხი თვე იყო გასული, სახეზე იყო შემდეგი ვითარება: სამკვიდრო გაყოფილი არ იყო; მოპასუხე არ მონაწილეობდა სამკვიდროს მართვაში; სანოტარო აქტი სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადების წარდებაზე გაცემული იყო მხოლოდ 6. პ-ზე და ე. ს-ვაზე; მოპასუხისათვის უცნობი იყო სრული ინფორმაცია, თუ რა ქონებას ფლობდა მამკვიდრებელი საქართველოში; მამკვიდრებლის გარდაცვალების დღიდანვე საქართველოში მის ქონებას მართავდა და ფაქტობრივად განკარგავდა 6. პ-ი, რომელიც ყველანაირად ცდილობდა, სხვა

მემკვიდრეებისათვის რეალური ქონება დაემალა;

9.4. მოსარჩელე პროფესიით არის იურისტი. მხარეთა შორის 2014 წელს დაიდო იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება მოპასუხის ინტერესების დაცვის თაობაზე, კერძოდ, მამკვიდრებლის დანაშთ ქონებაზე მემკვიდრეობის საკითხზე. თავდაპირველად ხელშეკრულება ზეპირი ფორმით დაიდო, ხოლო მოგვიაზებით შედგა წერილობითი დოკუმენტი და განისაზღვრა მომსახურების ღირებულება – მოპასუხის მიერ მიღებული (მისალები) მთლიანი სამკვიდრო წილის 25%-ის ოდენობით;

9.5. მოსარჩელის მიერ თავიდანვე გამოთხოვილ იქნა მონაცემები საჯარო რეესტრიდან, სამეწარმეო რეესტრისა და შსს მომსახურების სააგენტოს ბაზებიდან; დადგინდა, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ მამკვიდრებლის შვილს განკარგული ჰქონდა როგორც საბანკო ანგარიშები, ისე მამკვიდრებლის კომპანიების ქონება. გარდა ქონების მოძიებისა, მოსარჩელის მიერ სანოტარო ბიუროში განხორციელდა არაერთი მოქმედება, რომელთა შედეგად, საბოლოოდ, მემკვიდრეებს შორის შედგა შეთანხმება და მამკვიდრებლის შვილი დათანხმდა მის მიერ სამკვიდროს მასიდან უკანონოდ მითვისებული ქონება ნებაყოფლობით დაებრუნებინა მოპასუხისათვის. მამკვიდრებლის შვილმა მორიგების დასტურად მოპასუხეს სამკვიდრო მასიდან პირველი ტრანში – 50 000 აშშ დოლარი გადაუხადა;

9.6. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხის მიერ მიღებული 50 000 აშშ დოლარიდან მისი კუთვნილი 25%-ის გადახდა, თუმცა ამ უკანასკნელმა სხვადასხვა მიზეზებზე მითითებით ეს ვალდებულება არ შეასრულა;

9.7. მოსარჩელის მიერ მოძიებული ინფორმაციისა და განხორციელებული მოქმედებების შედეგად მემკვიდრეებს შორის 2015 წლის 20 მარტს სამკვიდროს გაყოფის თაობაზე გაფორმებული შეთანხმებით მოპასუხეს მიღებული აქვს სამკვიდრო წილი 1 883 399,98 აშშ დოლარის ოდენობით, საიდანაც მოსარჩელისათვის გადასახდელი მოშსახურების საფასური შეადგენს 470 850 აშშ დოლარს, რაც მოპასუხეს არ გადაუხდია.

10. მოპასუხებ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო. მოპასუხებ შესაგებელში, ასევე, სასამართლო სხდომაზე მიუთითა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

10.1. მოპასუხეს მოსარჩელისათვის სამკვიდრო წილის ღირებულების 25% უნდა გადაეხადა იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდებოდა სასამართლოში დავა და მოპასუხე სამკვიდრო წილს ამ დავის შედეგად მიიღებდა;

10.2. კონკრეტულ შემთხვევაში, მოპასუხეს სამკვიდრო წილის მისაღებად სასამართლოში დავა არ დასჭირდა. მხარეთა შორის 2015 წლის 20 მარტს გაფორმდა შეთანხმება სამკვიდრო ქონების გაყოფის შესახებ. ამდენად, მოპასუხეს სამკვიდრო წილი არ მიუღია მოსარჩელის მიერ სასამართლოში დავისას გაწეული მომსახურების შედეგად. შესაბამისად, მოპასუხეს არ ეკისრება ვალდებულება გადაუხადოს მოსარჩელეს სამკვიდრო წილის ღირებულების 25%;

10.3. ამასთან, 2014 წლის 22 სექტემბრის შეთანხმებით მოსარჩელის ანაზღაურება განისაზღვრა არა მთლიანი სამკვიდრო წილის 25%-ის ოდენობით, არამედ სუფთა მოგების 25%-ის ოდენობით, რაც გულისხმობდა, რომ მოპასუხეს მიერ მიღებულ სამკვიდრო წილის ღირებულებას უნდა გამოკლებოდა სამკვიდროს მისაღებად საჭირო ხარჯები, ასევე გადასახადები და დარჩენილი თანხის 25% უნდა მიეღო მოსარჩელეს;

10.4. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის მოდავე მემკვიდრის მიერ ავანსად გადახდილი 50 000 აშშ დოლარის 25%-ის გადახდა, როგორც იურიდიული მომსახურების საფასური, თუმცა აღნიშნული თანხა სამკვიდრო მასაში არ შედიოდა, ეს იყო 6. პ-ის მიერ მოპასუხისათვის ავანსად გადახდილი თანხა. ამ თანხის გადახდას მხარეთა შორის დადებული შეთანხმება იურიდიული მომსახურების თაობაზე არ ითვალისწინებდა;

10.5. როგორც საქმეში არსებული დოკუმენტებიდან დგინება, იურიდიული მოქმედებების უმრავლესობა, რაც განხორციელდა მოსარჩელის მიერ, შესრულდა მოპასუხესთან კონტრაქტის დადებამდე, რისთვისაც მოპასუხებ მას გადაუხადა შესაბამისი ანაზღაურება – 5200 ევროსა და 1700 აშშ დოლარის ოდენობით. მოპასუხისათვის საადვოკატო მომსახურების განხორციელება, რაც უშალოდ მემკვიდრეებს შორის შეთანხმების დადებასა და მოპასუხის მიერ სამკვიდრო წილის მიღებას უკავშირდებოდა, მოსარჩელის მიერ არ განხორციელებულა. აღნიშნული მოქმედება განახორციელეს რუსული კომპანიის ადვოკატებმა, რისთვისაც მოპასუხებ მათ ასევე გადაუხადა შესაბამისი ანაზღაურება.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

12. მოსარჩელემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ნარადგინა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილე-

ბა გაუქმდა და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 470 850 აშშ დოლარის გადახდა.

14. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-7 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

15. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მხარეთა შორის 2014 წლის 22 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმება ნარდობის ხელშეკრულებას წარმოადგენს. სასამართლოს მითითებით, წინამდებარე საქმეში დადგენილია, რომ მოსარჩელე (აპელანტი) მოქმედებდა მოპასუხის სახელითა და ხარჯით, რაც ადასტურებს, რომ მხარეთა შორის დაგალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა.

16. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ხელშეკრულების ბუნებას განსაზღვრავს არა მხარეთა მიერ შერჩეული დასახელება, არამედ მისი შინაარსი და მიზანი. კერძოდ, ნარდობის ხელშეკრულება ორმხრივი, კონსენსუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა, სადაც თითოეულ მხარეს გააჩნია უფლება-მოვალეობები, ე.ო. მენარდე ვალდებულია შეასრულოს გარკვეული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს შეთანხმებული საზღაური. ანალოგიური სტრუქტურაა წარმოდგენილი დაგალების ხელშეკრულებაში, რომლითაც რწმუნებულის ძირითადი ვალდებულებაა, შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე, ხოლო მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯველო მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი დასახელებულ ხელშეკრულებებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში მენარდე ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის (ხელშეკრულების მიღმა, მესამე პირებთან ურთიერთობის დროს) თავისი სახელით მოქმედებს და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის იღებს შეთანხმებულ საზღაურს. დავალების ხელშეკრულებით კი, უფლებამოსილების ფარგლებში რწმუნებული მოქმედებს მარწმუნებლის სახელით და ასრულებს რა დავალებულ მოქმედებას, აღნიშნული მოქმედების შედეგად წარმოშობილი მატერიალური სარგებლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი მარწმუნებელია.

17. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქალაქო სასამართლომ სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე განმარტა მხარეთა ნება

და დაასკვნა, რომ 2014 წლის 22 სექტემბერს გაფორმებული შე-თანხმებით მხარეებმა განსაზღვრეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მო-პასუხეს 2014 წლის 22 სექტემბრის შემდეგ სამკვიდრო წილის მი-საღებად დასჭირდებოდა სასამართლოში დავა ან სხვა სამართლებ-რივი მექანიზმების გამოყენება, იგი მოსარჩელეს ბონუსის სახით გადაუხდიდა მის მიერ მიღებული სამკვიდრო წილის ღირებულე-ბის 25%-ს. პირველი ინსტანციის სასამართლო დაეყრდნო როგორც 2014 წლის 22 სექტემბრის ხელშეკრულებას, ასევე, მოსარჩელის 2014 წლის 10 სექტემბრის წერილის შინაარსს, რომელიც ეხება მო-სარჩელის მიერ ინფორმაციის მოპოვების შემდეგ განსახორციე-ლებელი ქმედებების შეთანხმებას, ასევე, სასამართლოში საქმის ნარმოების შემთხვევაში მისაღებ გასამრჯველოს, კერძოდ, წერილ-ში აღნიშნულია – „არცერთი ადვოკატი არ მოკიდებს ხელს სასა-მართლო საქმეს, თუ თავიდან არ მიღებს ანაზღაურებას 10 000 აშშ დოლარის ოდენობით, ეს მინიმუმს გეუბნებით, პირველი ინ-სტანციის სასამართლოს რაც შეეხება“.

18. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სა-სამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნა და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულებით გამოვლენილი ნება არ საჭიროებს განმარტებას მისი სიცხადისა და არაორაზროვნების გამო. მხარე-ები ერთმნიშვნელოვნად შეთანხმდნენ, რომ მოსარჩელეს უნდა გა-ნეხორციელებინა მოპასუხის ინტერესების დაცვა მემკვიდრეობის მიღების მიზნით, რაც იმთავითვე არ გულისხმობს ინტერესის სა-სამართლოს გზით უზრუნველყოფას. მით უფრო მაშინ, როდესაც დავის გადაწყვეტის საშუალებად საქართველოს კანონმდებლობა მხოლოდ სასამართლოს არ განსაზღვრავს. აღნიშნული ითვალის-წინებს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ გზებსაც, როგორიცაა, მაგალითად, მედიაცია. შესაბამისად, მხარეთა შორის დავისა და დაურწმუნებლობის აღმოფხვრა მორიგების გზით ასევე ლეგიტი-მური საშუალებაა. ამასთან, წერილში მითითებული ფრაზით – „არ-ცერთი ადვოკატი არ მოკიდებს ხელს სასამართლო საქმეს, თუ თა-ვიდან არ მიღებს ანაზღაურებას 10 000 აშშ დოლარის ოდენობით, ეს მინიმუმს გეუბნებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს რაც შეეხება“ ვერ განისაზღვრება, რომ 2014 წლის 22 სექტემბერს მხა-რეები შეთანხმდნენ სასამართლოში საქმისწარმოების ანაზღაუ-რების ოდენობაზე. თუ სადავო წერილის შინაარსი შეფასდება ერ-თაიანად და არა კონკრეტული წინადადებების მიხედვით, შესაძ-ლებელია იმის დასკვნა, რომ წერილის გამგზავნი და მისი ადრესა-ტი მსჯელობენ მოსარჩელის მიერ შესასრულებელი ვალდებულე-ბის ღირებულებაზე, განიხილავენ შესაძლო დაგის მოგვარებისათ-ვის საჭირო გზებს – „ან მოუწევს პროკურატურაში, შემდეგ კი ფი-

ნანსურ პოლიციაში ან სამოქალაქო სასამართლოში სიარული“. შესაბამისად, მოსარჩეულე მოპასუხის რუსეთში მოღვაწე წარმომადგენელს აცნობს იმ ვითარებას, რაც, მისი შეფასებით, არსებობს საქართველოში დავის პირველი ინსტანციით წარმოებასთან დაკავშირებით. ამავე წერილით შეთავაზებულია, რომ თუ „კლიენტს არ აქვს ფული, რომ ადვოკატის მომსახურება აანაზღაუროს, მაშინ გამოდის, რომ მან საფასური უნდა გადამიხადოს მიღებული სამკვიდროს წილიდან“.

19. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შემდეგი მითითება: „ბუნდოვანია 2014 წლის 22 სექტემბერს, როდესაც მოპასუხესა და ნ. პ-ს შორის უკვე არსებობდა წინასწარი შეთანხმება სამკვიდრო ქონების გაყოფის შესახებ, რატომ დასთანხმდებოდა მოპასუხე მოსარჩელი-სათვის გასამრჯელოს სახით გადაეხადა მის მიერ მისაღები სამკვიდრო წილის ღირებულების 25%“ და აღნიშნულის საწინააღმდეგოდ მიუთითა შემდეგი: თუკი, მოპასუხე თვლიდა, რომ მიღწეული იყო შეთანხმება მემკვიდრეებს შორის, რატომ დასთანხმდა სადაც ხელშეკრულების დადებას მოსარჩელეს და, მით უფრო, რატომ იხელმძღვანელა იმ წარმოდგენებით, რომ საჭირო იყო დავა სასამართლოში. ამდენად, მაშინ როდესაც გამოკვეთილი იყო მოპასუხისათვის ხელშეკრულების დადების მოტივი (დავის სასამართლოში წარმოება), აღნიშნულის თაობაზე ხელშეკრულებაში მითითებული უნდა ყოფილიყო.

20. სააპელაციო პალატამ ზემოაღნიშნული დასკვნის გაკეთებისას მხედველობაში მიიღო ის ფაქტობრივი სინამდვილე, რომელშიც გაფორმდა 2014 წლის 22 სექტემბრის ხელშეკრულება. მოპასუხის მიერ მემკვიდრესთან დავის წარმოების პროცესში ცხადი იყო მისი სუბიექტური დამოკიდებულება დავის საგნისადმი და იგი ახდენდა განხორციელებული თუ განსახორციელებელი ქმედებების გაანალიზებასა და შეთანხმებას არამხოლოდ მოსარჩელესთან, არამედ რუსეთში მოღვაწე იურისტებთან. მოპასუხის დასახელებული მოქმედების ტაქტიკა ამცირებდა სამოქალაქო რისკს, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის მიზნით კონტრაპენტის წინდაუხედავ ქმედებას (რაც არ წარმოადგენს საპატიო გარემოებას პასუხისმგებლობის შემსუბუქების თვალსაზრისით) შესაძლოა ახლდეს თან. იმ შემთხვევაშიც კი, თუ გავიზიარებთ მოპასუხის წარმომადგენლის მოსაზრებას, რომ მან ხელშეკრულებას სათანადო გაცნობის გარეშე მოაწერა ხელი, სახეზე იქნება უხეში გაუფრთხილებლობა, რაც პასუხისმგებლობის გამორიცხვის ან/და შემსუბუქების საფუძველს არ წარმოადგენს.

21. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი ხელ-

შემქვრელი მხარე სამოქალაქო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი რისკის მატარებელია, რომელიც მოქმედებს სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში, რაც გულისხმობს, როგორც კონტრაპენტის შერჩევის თავისუფლებას, ასევე, ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრასაც. შესაბამისად, მხარები ამყარებენ რა ერთმანეთთან სხვადასხვა სახელშეკრულებო ურთიერთობებს, ივარაუდება რომ მათ იციან ამ ურთიერთობიდან წარმოშობილი საკუთარი უფლება-მოვალეობების შესახებ. ვინაიდან მოპასუხემ თავისი ხელმოწერით დაადასტურა მის მიერ გამოხატული ნება, მოქმედებს პრეზუმუტცია, რომ ის გაეცნო ხელშეკრულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპასუხემ უნდა ამტკიცოს ისეთი ობიექტური ან სუბიექტური საფუძვლის არსებობა, რაც მას ხელს შეუშლიდა ნერილობითი დოკუმენტის გაცნობასა და აღქმაში (ქმედუუნარობა, მოპასუხის მხრიდან ზენოლა და ა.შ.).

22. სააპელაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ 2017 წლის 16 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე მოწინააღმდეგ მხარის წარმომადგენელმა ანაზღაურებაზე უარის თქმის დასაბუთებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მოსარჩელისადმი დავალებული მოქმედების შესრულებისათვის საჭირო არ იყო დიდი ძალისხმევა. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულებული სამუშაოს გასამრჯელოს მოთხოვნის უფლების წარმოშობისა და განხორციელების წინაპირობაა შეთანხმებული სამუშაოს შესრულება და არა სირთულე. სამუშაოს ოდენობა, შესრულებისათვის საჭირო ვადა და, თუნდაც, სირთულე შესაძლოა გავლენას ახდენდეს კონტრაპენტების მიერ ფასის განსაზღვრაზე. განსახილველ შემთხვევაში, მხარეებმა განწეული/გასაწევი იურიდიული მომსახურება შეაფასეს სამკვიდრო ქონების 25%-ის ოდენობით. შესაბამისად, ვინაიდან, შეთანხმება (ანაზღაურების ოდენობაზე) მიღწეულ იქნა მხარეთა მიერ ორი ურთიერთმდგარავი ნების გამოვლენის შედეგად, სასამართლოს სწორედ ნების ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე, არ გააჩნია შესაძლებლობა იმსჯელოს (მით უფრო, მაშინ როდესაც სახეზე არ არის ნების გამოვლენის ნაკლი) რაომ განსაზღვრეს გარიგების მხარეებმა დავალებული მოქმედების შესრულებისათვის დაგდენილი გასამრჯელოს ოდენობა.

23. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მხარეთა შეთანხმება ანაზღაურების სახით სამკვიდრო წილის 25%-ის გადახდის თაობაზე არ უკავშირდებოდა მხოლოდ სასამართლოში ან სხვა უწყებაში დავას. 2014 წლის 22 სექტემბერს მხარეები შეთანხმდნენ იურიდიული მომსახურების განვევაზე, რაც ზოგადი ხასიათის (არაკონკრე-

ტული) ვალდებულებაა და მოიაზრებს რწმუნებულის ნებისმიერ მართლზომიერ მოქმედებას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა მიზნის მიღწევა (მექვიდრეობის მიღება).

24. სააპელაციო პალატის მითითებით, ამავდროულად, საყურადღებოა, რომ ხელშეკრულების მიხედვით, მოპასუხეს მოსარჩელისათვის უნდა გადაეხადა ე.წ. „ნარმატების საკომისიო“ – მემკვიდრეობის კანონიერი წლის 25%, კერძოდ, სუფთა მოგების 25% (სსკ-ის 710-ე მუხლის პირველი ნაწილი). შესაბამისად, ერთმნიშვნელოვნად ირკვევა, რომ გასამრჯელოს გადახდისათვის რწმუნებულს მიერ დავალებული მოქმედების, კერძოდ, დამკვეთის კანონიერი ინტერესების დაცვა ბაბუამისის, 2013 წლის 24 მარტს საქართველოში, ქალაქ თბილისში გარდაცვლილი მამკვიდრებლის სამკვიდრო საქმეში, თვითმარ საფუძველს არ წარმოადგენდა, არამედ, მნიშვნელოვანი იყო ინტერესების წარმატებით დაცვა, რაც უზრუნველყოფდა მოპასუხეს მიერ მემკვიდრეობის მიღებას (იხ. 22.09.2014წ. ხელშეკრულების პირველი პუნქტი). შესაბამისად, ისმის კითხვა – მოჰყვა თუ არა შედეგად რწმუნებულის მიერ 2014 წლის 22 სექტემბრის შეთანხმების ფარგლებში შესრულებულ მოქმედებებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევა, რასთან დაკავშირებითაც, სააპელაციო პალატამ მიუთითა შემდეგი: უდავოა, რომ მხარეებს შორის დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა 2014 წლის ივლისიდან, რა დროიდანაც რწმუნებულმა დაინტერესონ სამკვიდროს მიღების მიზნით აქტიური ქმედებების განხორციელება. მხარეები არ უარყოფენ, რომ წერილის გაგზავნის შემდეგ, მოპასუხე ჩამოვიდა საქართველოში. მისი ჩამოსვლის მიზანს წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ მოპოვებული ინფორმაციის შინაარსის გაცნობა და შემდგომი მოქმედებების დაგეგმვა. უდავოა ასევე, რომ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ მოპასუხე მოსარჩელესთან ერთად შეხვდა ნ. პ-ს. შეხვედრისას მოპასუხესა და ნ. პ-ს შორის მიღწეულ იქნა ზეპირსიტყვიერი შეთანხმება მამკვიდრებლის დანაშთი საქმეიდრო ქონების გაყოფის შესახებ. ასევე, საქმეში არსებული მასალებით ირკვევა, რომ 2014 წლის 22 სექტემბრის ხელშეკრულების დადების შემდეგაც მოსარჩელე აწარმოებდა მიმოწერას მოპასუხესთან და მუშაობდნენ მორიგების პირობების ფორმულირებაზე, რაც საბოლოოდ, მემკვიდრეებს შორის წერილობითი სახით შეთანხმდა 2015 წლის 22 მარტს.

25. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო მიიჩნია, რომ მოპასუხებ შეასრულა მისთვის დავალებული მოქმედებები (მოიძია ინფორმაცია სამკვიდრო მასის შესახებ, აწარმოა მოლაპარაკებები ნ. პ-თან და ა.შ.), რასაც შედეგად მოპასუხეს

მიერ სამკვიდროს მიღება მოჰყვა. შესაბამისად, აღნიშნული წარმოშობს ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. თავის მხრივ, მოპასუხებელი ვერ დაადასტურა თანხის გადახდის გამომრიცხავი გარემოებების არსებობა.

26. რაც შეეხება ანაზღაურების ოდენობას, სააპელაციო პალატის განმარტებით, მტკიცების ტყირთი იმისა, რომ მოპასუხებ მიიღო 1 883 399 აშშ დოლარის ოირებულების სამკვიდრო ქონება, რომლის 25% ანაზღაურებასაც ითხოვს მოსარჩევე, სწორედ ამ უკანასკნელს ეკისრებოდა. საქმეში წარდგენილი 22.03.2015წ. მემკვიდრებს შორის შეთანხმებიდან ირკვევა, რომ მოპასუხებ მიიღო 1 883 399 აშშ დოლარის ოდენობის ქონება. ამ უკანასკნელის განმარტებით, დასახელებულ თანხას უნდა გამოაკლდეს ის ხარჯები, რაც მემკვიდრეობის მიღებას ახლდა თან. ამგვარი განმარტება ინვეცის მტკიცების ტყირთის შეპრუნებასა და მოწინააღმდეგე მხარისათვის მის გადაკისრებას. შესაბამისად, იმ გარემოების მტკიცების ტყირთი, რომ მოპასუხეს არ მიუღია მითითებული ღირებულების სამკვიდრო ამ უკანასკნელს ეკისრებოდა, რაც მის მიერ არ განხორციელებულა. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო მოპასუხისათვის ამ უკანასკნელის მიერ მიღებული სამკვიდროს წილის (1 883 399 აშშ დოლარი) 25%-ის, 470 850 აშშ დოლარის მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრების საფუძველი.

27. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოპასუხებ წარადგინა საკასაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

28. კასატიონმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

28.1. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დავის საფუძვლად არსებული 2014 წლის 22 სექტემბრის ხელშეკრულება არ საჭიროებს განმარტებას, მასში გარკვევით არის მითითებული, რომ დამკვეთი გადაუხდის შემსრულებელს იურიდიული მომსახურების ანაზღაურებას – მემკვიდრეობის კანონიერი წილის 25%-ის ოდენბით, კერძოდ, სუფთა მოგების 25%-ს. სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის ნამსჯელი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ არსებით საკითხებზე:

– რა იყო მხარეთა რეალური ნება, რამ გამოიწვია ამ ხელშეკრულების დადება, რა საფუძველი ჰქონდა მას. მაშინ, როდესაც მოსარჩელის აღიარებით, ხელშეკრულების დადების მომენტისათვის: ა) მას სრულად ჰქონდა მიღებული მანამდე განული მომსახურების საზღაური; ბ) მოპასუხისათვის, მისი კლიენტისათვის პოზიტიური შედეგი დამდგარი იყო, მოპასუხეს არანაირი საჭიროება არ ჰქონდა იმისა, რომ ადვოკატთან დაედო ახალი ხელშეკრულება, რომ-

ლითაც ანაზღაურება 470 000 აშშ დოლარის ოდენობით განისაზღვრებოდა; გ) მოსარჩეულე აცნობიერებს, რომ მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ (22 სეტემბერი) მის მიერ განხორციელებული სამუშაო არანაირად არ შეესაბამებოდა მოთხოვნილ ანაზღაურებას, რის გამოც იგი თავის მითხოვნას ასაბუთებს იმით, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებას ჰქონდა უკუკმედების ძალა და მასში განსაზღვრული ანაზღაურება ეხება, უპირველეს ყოვლისა, მანამდე განხორციელებულ მომსახურებას (მიუხედავად იმის, რომ თავისივე აღარებით, მანამდე განეული მომსახურების საფასური სრულად ჰქონდა მიღებული). ამდენად, ხელშეკრულების განმარტებასთან დაკავშირებით სასამართლო არ იზიარებს არცერთი მხარის არგუმენტს და ამის მიზეზებს არ ასაბუთებს;

– სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავს დასაბუთებას ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურების ოდენობის თაობაზე, კერძოდ:

ა) სასამართლო, ერთი მხრივ, მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებას აძლევს დავალების ხელშეკრულების კვალიფიკაციას, ხოლო, მეორე მხრივ, ერთი სიტყვითაც არ ეხება მოსარჩეულის მიერ ამ ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული დავალების ოდენობას, არ მსჯელობს მოპასუხისათვის დამდგარ შედეგთან (მემკვიდრეობის შიღება) რა კავშირი ჰქონდა მოსარჩეულეს, შესრულა თუ არა მან დავალების ხელშეკრულებით განსაზღვრული მოქმედება ან რა ოდენობით. საქმეში წარდგენილია რუსულ საადვოკატო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება და მათი ანგარიში, რომლითაც დასტურდება, რომ ეს კომპანია სრულად ფარავდა იგივე მომსახურებას. სწორედ ის ეხმარებოდა მოპასუხეს მემკვიდრეობის შესახებ შეთანხმების გაფორმებაში და არა მოსარჩეული, რომლის მიერ შესრულებული სამუშაოც შემოიფარგლა შეთანხმების პროექტზე რამდენიმე შენიშვნის მიწერით და რომელთანაც 2014 წლის ნოემბრის შემდეგ არანაირი სამუშაო კონტაქტი აღარ ყოფილა, მაშინ როდესაც მემკვიდრეობაზე შეთანხმება 2015 წლის მარტში გაფორმდა; ბ) ხელშეკრულების მიხედვით, მოსარჩელის ანაზღაურება გამოითვლებოდა შემკვეთის მიერ მიღებული წმინდა მოგებიდან. საქმეში წარდგენილია მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების განევა – სახელმწიფო გადასახადები (გადახდილი უძრავი ქონების რეალიზაციიდან), რუსული საადვოკატო ფირმისათვის გადახდილი მომსახურების საფასურის დამადასტურებელი დოკუმენტები, თავად მოსარჩელისათვის გადახდილი მომსახურების საფასური. სასამართლო არ ასაბუთებს თუ რატომ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა სრულად და რა-

ტომ არ გამოაკლდა მას გაწეული ხარჯების ოდენობა; გ) როდესაც ლაპარაკია წმინდა მოგების 25%-ზე, სასამართლო არ მსჯელობს შესრულდა თუ არა ბოლომდე მოპასუხესა და ნ. პ-ს შორის დადებული შეთანხმება, მოხდა თუ არა შეთანხმების შესაბამისად გადაცემული ქონების რეალიზაცია და არის თუ არა დამდგარი ის მომენტი, როდესაც შესაძლებელია მსჯელობა წმინდა მოგებაზე. რა ბედი ელის ამ გადაწყვეტილებას, თუკი მოპასუხესა და ნ. პ-ს შორის დადებული შეთანხმება მემკვიდრეობის თაობაზე საბოლოოდ არ შესრულდება და შეთანხმება გაუქმდება? ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფეხულიანობის შემოწმება შეუძლებელია;

28.2. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სსკ-ის 52-ე მუხლი. მხარეთა შორის დავის საგანს ნარმოადგენს ხელშეკრულების შინაარსი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პირდაპირი მნიშვნელობით (როგორც ამას სასამართლო აცხადებს) ხელშეკრულებას არცერთი მხარე არ განმარტავდა. მოპასუხის მტკიცებით, ის დაიდო იმ შემთხვევისათვის, თუ მოპასუხესა და ნ. პ-ს შორის მემკვიდრეობის განაწილების თაობაზე მიღწეული შეთანხმება არ შესრულდებოდა და გახდებოდა სადაც. აღნიშნული დასტურდება მრავალი გარემობით, მათ შორის: როგორც თავად მოსარჩევემ დაადასტურა, ხელშეკრულების გაფორმებამდე მას სრულად ჰქონდა მოპასუხისაგან მიღწეული ანაზღაურება, მოპასუხემ მიაღწია შეთანხმებას ნ. პ-თან მემკვიდრეობის გადაფორმებაზე, შესაბამისად, მოსარჩევესთან ხელშეკრულების გაფორმება 470 000 აშშ დოლარის ანაზღაურებით ყოველგვარ აზრს მოკლებული იყო; მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის გაგზავნილი 2014 წლის 10 სექტემბრის წერილიდან ირკვევა, რომ მოსარჩელე სასამართლოში დავის სანაცვლოდ მოპასუხეს სთხოვს 10 000 აშშ დოლარის ოდენობით პონორარის გადახდას, ამ ფასად ასევე სთავაზობს ფინანსურ პოლიციასა და პროკურატურაში საქმის წარმოებას. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ მხარეები ახალ ხელშეკრულებას უკავშირებდნენ მხოლოდ და მხოლოდ მომავალ შესაძლო დავას, თუ ეს, რა თქმა უნდა, საჭირო გახდებოდა. სწორედ ამ პოზიციის ითვალისწინებდა პირველი ინსტანციის სასამართლოც;

28.3. რაც შეეხება მოსარჩელის პოზიციას, მისი მოსაზრებით, 2014 წლის 22 სექტემბრის ხელშეკრულება იყო დამატება მხარეთა შორის არსებულ ზეპირ შეთანხმებაზე, ის მოიცავდა როგორც წარსულ მომსახურებას, ასევე, შესაძლო სამომავლო მომსახურებას. შესაბამისად, მოპასუხეს მოსარჩელისთვის ანაზღაურების გა-

დახდა ეკისრება ნებისმიერ შემთხვევაში. თუმცა, თავად ხელშეკრულებაში არცერთი ზემოაღნიშნული მითითება არ არსებობს;

28.4. სსკ-ს 52-ე მუხლის მიზანია დავის შემთხვევაში გაირკვეს, რა განზრახვა ჰქონდათ მხარეებს ხელშეკრულების დადებისას და როგორ უნდა იქნეს გაგებული ხელშეკრულების სადაცო გამონათქვამები. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ განმარტა რომ ხელშეკრულებით გამოვლენილი ნება არ საჭიროებს განმარტებას მისი სიცხადისა და არაორაზროვნების გამო. სასამართლოს მითითებით, „2014 წლის 22 სექტემბერს მხარეები შეთანხმდნენ იურიდიული მომსახურების განევაზე, რაც ზოგადი ხასიათის (არაკონკრეტული) ვალდებულებაა და მოიაზრებს რწმუნებულის ნებისმიერ მართლზომიერ მოქმედებას, რომლითაც უზრუნველყოფილ იქნა მიზანი“. რამდენად იყო რწმუნებულის მიერ მომსახურება განეული ზემოთ აღნიშნა, თუმცა მთავარი უსწორობა არის ის, რომ სასამართლოს აღნიშნულ მსჯელობას არათუ მოპასუხე, არამედ მოსარჩევეც არ ეთანხმება. მოსარჩევე აცნობიერებდა, რომ 22 სექტემბრის ხელშეკრულების საფუძველზე მას ფაქტობრივად არაფერი გაუკეთებია, ის ამ ხელშეკრულებას მთლიანად უკავშირებდა ნარსულ მომსახურებას და დავის მთელი პერიოდის განმავლობაში ცდილობდა მოეციანა შესაბამისი არგუმენტები და მიეთითებინა მტკიცებულებებზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სსკ-ის 52-ე მუხლით და მოეხდინა ხელშეკრულების განმარტება;

28.5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 21.11.2016წ. გადაწყვეტილებაში საქმეზე №დას-შ/7-16 „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ 8.15 მუხლთან დაკავშირებით განმარტა, რომ „პროფესიული ქცევის სტანდარტის სფეროს შეადგენს არა გასამრჯელოს ოდენობა, არამედ ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, შეთანხმებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების მოცულობისა და ფარგლების დაცულობა. მიუხედავად იმისა, რომ სარჩევი სასამართლოში არ აღძრულა, სასამართლოს მიერ საქმე არ განხილულა, ადვოკატს მარწმუნებლის ინტერესების ნარმომადგენლობა სასამართლოში არ გაუწევია, ადვოკატმა არ დააპრუნა მარწმუნებლის მიერ მისთვის გადახდილი თანხა. იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტი-საგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საზღაური, ხოლო ნარმომადგენელმა ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო ნარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფ-

ლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დანარჩენი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს.“ იმავე გადაწყვეტილებაში საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს ვინ შეწყვიტა ხელშეკრულება;

28.6. აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ჩაითვლება რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება ზოგადი ხასიათისაა, როგორც ამას საპელაციო სასამართლო განმარტავს, მოსარჩელის მოთხოვნა დაუსაბუთებელია, ვინაიდან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო მოსარჩელეს არ დაუსრულებია მოპასუხის ინტერესების ბოლომდე დაცვა. შესაბამისად, მას ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის;

28.7. როგორც მოსარჩელემ პირველი ინსტანციის სასამართლოში გამართულ სხდომაზე განმარტა, მან 22 სექტემბრის შემდეგ განხორციელა მხოლოდ მემკვიდრეობს შორის შეთანხმების რევიზია და მის მიერ დახარჯულმა დრომ შეადგინა მაქსიმუმ 12 საათი. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც სასამართლომ უნდა დაადგინოს ხელშეკრულების შეწყვეტამდე რა ოდენობის სამუშაო შეასრულა მოსარჩელემ და ამის შიხედვით განსაზღვროს ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა.

29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

30. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა და კმაყოფილდეს.

31. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გაწეული იურიდიული მომსახურების საფასურის (ჰონორარის) ამ უკანასკნელისათვის დაკისრების მართლზომიერება.

32. იურიდიული მომსახურების საფასურის (ჰონორარის) ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლი [დავალების ხელშეკრულებით რჩმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედე-

ბა მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე] და 710-ე მუხლის პირველი ნაწილი [მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში].

33. წინამდებარე საქმეში დადგენილია, რომ მხარეთა შორის 2014 წლის 22 სექტემბერს გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, რომლის საგანს ნარმოადგენდა მოპასუხის კანონიერი ინტერესების დაცვა პაპის, 2013 წლის 24 მარტს საქართველოში გარდაცვლილი მამკვიდრებლის სამკვიდრო საქმეში. ხელშეკრულებით განისაზღვრა გასამრჯელო იურიდიული მომსახურების განვითარების მემკვიდრეობის კანონიერი წილის 25%-ის ოდენობით, კერძოდ, სუფთა მოგების 25%.

34. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დავალების ხელშეკრულება ის სამართლებრივი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც პირს შეუძლია მიანდოს თავის რწმუნებულს იურიდიული მომსახურების განვევა. ამ ხელშეკრულების საგანია რწმუნებულის მიერ ერთი ან რამდენიმე მოქმედების შესრულება. მარწმუნებელმა შეიძლება დაავალოს რწმუნებულს როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მოქმედების შესრულება, ვინაიდან თავად დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ მუხლში არ არის დაკონკრეტული რწმუნებულის მიერ შესასრულებელი მოქმედების ხასიათი. ამიტომ ასეთი ხელშეკრულების საგანს შეიძლება ნარმოადგენდეს ყველა იმ მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ სამართლებრივ შედეგს (იხ. სუსგ საქმე №ას-895-845-2015, 29 იანვარი, 2016 წელი; №ას-655-611-2017, 11 ივლისი, 2017 წელი).

35. დავალების ხელშეკრულების ფარგლებში მარწმუნებელი ვალდებულია რწმუნებულს გასამრჯელო გადაუხადოს მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. იურიდიული მომსახურების გასამრჯელოს ფორმის ან ოდენობის თაობაზე რამე კონკრეტულ მოწესრიგებას სამოქალაქო კოდექსი, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი ან „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“ არ შეიცავს. ამასთან, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადვოკატს ეკისრება კლიენტის საქმის ნარმოებასთან დაკავშირებით, ამ უკანასკნელისათვის ყველა ფინანსური ვალდებულების (რომელიც სასამართლო ხარჯების გარდა, ადვოკატისათვის გადასახდელ ჰონორარსაც მოიცავს) შესახებ ინფორმაციის დროულად და კვალიფიციურად მიზოდება, რაც კერძოსამართლებრივი გარიგების მონაბილე კონტრაშენტთა იმთავითვე პრეზუმირებული კეთილსინდისიერების პრინციპითან გამომდინარეობს (სსკ-ის 8.3 მუხლი) (იხ. სუსგ საქმე №ას-1161-1116-2016, 12 ოქ-

ტომბერი, 2017 წელი).

36. იურიდიული მომსახურების განევისათვის კანონით აქრძალული არ არის ე.წ. „ნარმატების პონორარის“ გათვალისწინება და სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი პუნქტის [კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ენინააღმდეგება მას] გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ამ მხრივ მსჯელობას არ განვითარებს, მით უფრო, რომ კასატორს აღნიშნულ საკითხზე პრეტენზია არ გამოიუთქვამს, ხოლო საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 404-ე მუხლის შესაბამისად, მსჯელობს მხოლოდ საკასაციო საჩივრის ფარგლებში.

37. კასატორი დავობს, რომ სააპელაციო სასამართლომ არას-ნორად დაადგინა ადვოკატისათვის ანაზღაურების გადახდის ვალ-დებულება, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი [ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტომდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან] და იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება არ განმარტა მხარეთა რეალური ნების შესაბამისად. მისი მტკიცებით, მხარეთა შორის იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება დაიდო მხოლოდ იმ შემთხვევისთვის, თუკი საჭირო გახდებოდა მემკვიდრეობასთან დაკავშირებით მოპასუხის ინტერესების სასამართლოს წესით დაცვა. სადაცო ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხეს მოსარჩელი-სათვის სამკვიდრო წილის ღირებულების 25% უნდა გადაეხადა იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდებოდა სასამართლოში დავა და მოპასუხე სამკვიდრო წილს ამ დავის შედეგად მიიღებდა.

38. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „სასამართლო მხარეთა ნამდვილ ნებას ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმარტების პროცესში წარმოშობა ხელშეკრულების ტექსტში გადმოცემულ დებულებათა შორის წინააღმდეგობა ან შეუსაბამობა. ხელშეკრულების განმარტების საჭიროებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა ხელშეკრულება, რომლის გამონათქვამებიც ბუნდოვანი, ორაზროვანი ან ურთიერთგამომრიცხავია, აგრეთვე როცა მისი გამონათქვამები შესწორებასა და შევსებას მოითხოვენ“ (იხ. სუსგ საქმე №ას-178-167-2017, 14 ივლისი, 2017 წელი); „ყველა იმ გარიგებაში, რომლებშიც ნების გამოვლენის ნამდვილობა დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღებაზე, არცთუ იშვიათად იბადება კითხვა, სწორად გაიგო თუ არა მეორე მხარემ ის, რისი თქმაც ნე-

ბის გამომვლენ პირს სურდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გარიგებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ორი მხარე – ნების გამომვლენი და ნების მიმღები – მონაწილეობს, აშკარა გახდება, რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამოვლენილი ნების სწორად გაგებას მეორე მხარის მიერ. მრავალი გარემოებით შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ ის, რაც იგულისხმა ნების გამომვლენმა, სხვაგვარად გაიგო მისმა მიმღებმა. აქედან ნარმოიშობა გამოვლენილ ნებათა კონფლიქტი, რომელიც საჭიროებს სწორად გადაწყვეტას. ამ კონფლიქტის გადაწყვეტის სამართლებრივ საშუალებას ნარმოადგენს ნების გამოვლენის განმარტება” (იხ. სუსგ საქმე №ას-1144-1090-2014, 23 თებერვალი, 2015 წელი); „ხელშეკრულების გამონათქვა-მების განმარტების დროს უნდა დადგინდეს მხარის შინაგანი ნების შესაბამისობა მის გამოხატულებასთან. ხელშეკრულების განმარტების მიზანი მისი შინაარსის დადგენაა. განმარტებას შეიძლება საჭიროებდეს როგორც მთელი ხელშეკრულება, ასევე, მისი რომელიმე ნაწილი ან თუნდაც რომელიმე პუნქტი (პირობა). ხელშეკრულების პირობები იმდებარად უნდა იქნეს განმარტებული, რომ ყველა მათგანს მიეცეს მნიშვნელობა და არა რომელიმე მათგანს წაერთვას ძალა” (იხ. სუსგ საქმე №ას-282-270-2015, 13 მაისი, 2015 წელი); „ნების გამოვლენის განმარტება ემსგავსება კანონის განმარტებას: ორივე შემთხვევაში ხდება ბუნდოვანი, საეჭვო აზრის დაზუსტება, მაგრამ თუ კანონის განმარტებას ზოგადი ხასიათი აქვს, ე.ი სავალდებულოა და გამოიყენება ყველას მიმართ და მიზნად ისახავს კანონის ბუნდოვანი ადგილების ერთიანი გაგების უზრუნველყოფას, გარიგების (ხელშეკრულების) განმარტების მიზანი უფრო ვიწროა – გარიგების (ხელშეკრულების) მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთობის გარკვევა. ამიტომ ასეთ განმარტებას ძალა აქვს მხოლოდ გარიგების მონაწილეებისათვის” (იხ. სუსგ საქმე №ას-635-602-2014, 25 მაისი, 2015 წელი; ხელშეკრულების ბუნდოვანი პირობების განმარტების თაობაზე იხ. ასევე სუსგ საქმე №ას-1026-984-2014, 10 სექტემბერი, 2015 წელი; №ას-815-779-2014, 30 ოქტომბერი, 2015 წელი; №ას-563-534-2015, 30 ოქტომბერი, 2015 წელი; №ას-358-343-2016, 03 ივნისი, 2016 წელი; №ას-178-167-2017, 14 ივლისი, 2017 წელი). დაუშვებელია სახელშეკრულებო დათქმის იმგვარი განმარტება, რომ მას მხარეთა მიზნის საპირისპირო მნიშვნელობა მიენიჭოს.

39. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების პირველი პუნქტის თანახმად, შეთანხმების საგანს წარმოადგენდა „შემსრულებლის მიერ შემკვეთისათვის იურიდიული მომსახურების განვევა, კერძოდ, დამკვეთის კანონიერი ინტერესების დაცვა ბაბუამისის, 2013 წლის 24

მარტს საქართველოში, ქალაქ თბილისში გარდაცვლილი მამკვიდრებლის სამკუდრო საქმეში”.

40. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ტერმინები „იურიდიული მომსახურების განევა“ და „დამკვეთის კანონიერი ინტერესების დაცვა საქმეში“ ზოგადი და მრავლისმომცველია, ისინი თავის თავში ყველა იმ მომსახურებას გულისხმობს, რაც იურისტმა/ადვოკატმა შეიძლება კლიენტს გაუწიოს. იურიდიული მომსახურების განევა და დამკვეთის კანონიერი ინტერესების დაცვა საქმეში ითვალისწინებს როგორც სასამართლოში წარმომადგენლობას, ისე სასამართლოსგარე საქმიანობას, კერძოდ, კლიენტისათვის სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე რჩევის მიცემას, მისთვის სამართლებრივი დოკუმენტების, მათ შორის, ხელშეკრულებების მომზადებას, სამართლებრივი დოკუმენტების მოძიებას, მოპოვებას ან გამოთხოვას, კლიენტის ინტერესების წარმოდგენას სხვადასხვა კერძო თუ საჯარო პირებთან და დაწესებულებებთან ურთიერთობებში, სამართლებრივ მოლაპარაკებებში, მათ შორის, მორიგების პროცესში.

41. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების განევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.

42. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, რომ სადავო იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების პირველ პუნქტში სიტყვები „იურიდიული მომსახურების განევა“ და „დამკვეთის კანონიერი ინტერესების დაცვა საქმეში“ მხოლოდ სასამართლო დავაში წარმომადგენლობას გულისხმობდა. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში მათი შინაარსის დასადგენად მნიშვნელობა აქვს ასევე იმ გარემოებებსაც, რომლებიც წინ უძლოდა ამ ხელშეკრულების დადებას, კერძოდ, რა ვითარებაში დაიდო ხელშეკრულება.

43. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყვნია რა იყო მხარეთა რეალური ნება, რამ გამოიწვია ამ ხელშეკრულების დადება, რა საფუძველი ჰქონდა მას, მაშინ, როდესაც მოსარჩელის აღიარებით, ხელშეკრულების დადების მომენ-

ტისათვის მას სრულად ჰქონდა მიღებული მანამდე გაწული მომსახურების საზღაური; ხოლო მოპასუხისათვის – მისი კლიენტი-სათვის პოზიტიური შედეგი დამდგარი იყო და მოპასუხეს არანაირი საჭიროება ჰქონდა იმისა, რომ ადვოკატთან დაედო ახალი ხელშეკრულება, რომლითაც ამ უკანასკნელის ანაზღაურება 470 000 აშშ დოლარის ოდენობით განისაზღვრებოდა. კასატორის მითითებით, აღნიშნული ჩანს ასევე მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის გაგზავნილი 2014 წლის 10 სექტემბრის წერილიდან, საიდანაც ირკვევა, რომ მოსარჩელე სასამართლოში დავის სანაცვლოდ მოპასუხეს 10 000 აშშ დოლარის ოდენობით ჰონორარის გადახდას სთხოვდა და ამ ფასად ასევე ფინანსურ პოლიციასა და პროეურატურაში საქმის წარმოებას სთავაზობდა; ეს ფაქტი კი ადასტურებს, რომ მხარეები ახალ ხელშეკრულებას უკავშირებდნენ მხოლოდ და მხოლოდ მომავალ შესაძლო დავას, თუ ეს, რა თქმა უნდა, საჭირო გახდებოდა.

44. აღნიშნული პრეტენზის შესამოწმებლად საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქმეში დადგენილ შემდეგ გარემოებებს: ა) 2014 წლის ივლისის თვეში მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ზეპირი ფორმით დაიდო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელეს უნდა მოეძია ინფორმაცია მოპასუხის პაპის დანაშთი სამკვიდრო ქონების შესახებ. მხარეთა შეთანხმებით, გაწეული მომსახურებისათვის მოპასუხე მოსარჩელეს უხდიდა საათობრივ გასამრჯელოს; ბ) მოსარჩელის მიერ შეგროვებულ იქნა ინფორმაცია მამკვიდრებლის დანაშთი სამკვიდრო ქონების შესახებ; გ) აღნიშნულის შემდეგ, 2014 წლის 10 სექტემბერს მან ელექტრონული ფოსტით წერილი გაუგზავნა რუსეთის ფედერაციაში მოპასუხის ადვოკატს, სადაც სხვა საკითხებთან ერთად აღნიშნულია შემდეგი:

.... არც ერთი ადვოკატი არ მოკიდებს ხელს სასამართლო საქმეს, თუ თავიდან არ მიიღებს ანაზღაურებას 10 000 აშშ დოლარის ოდენობით, ეს მინიმუმს გეუბნებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს რაც შეეხება. როგორც [კლიენტი] ამბობს, მას არა აქვს ეს ფული, ეს საკითხი მილიონჯერ გადავდეჭეთ. ხოდა, მითხარით, მე როგორ მოკიდე? კლიენტს არა აქვს ფული ადვოკატის მომსახურების გადასახდელად. მე რა ვქნა? ამიტომ გამოვნახე [კლიენტისთვის] ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი: ერთი თვის განმავლობაში გავყინე [მამკვიდრებლის შვილის] ქონება, ვერც გაყიდის, ვერც სხვანაირად გადააფორმებს ბინებს. ხოლო ჩვენ ამ ერთი თვის განმავლობაში შეეძლებთ საკითხის გადაჭრისა და პირდაპირ წავუყენებთ [მამკვიდრებლის შვილს] ულტიმატუმს: ან დაუბრუნებს [კლიენტს] უკანონო გზით ხელში ჩაგდებულ ქონებას ([მოპასუხის]

წილის შესაბამისად), ან მოუწევს პროკურატურაში, შემდეგ კი ფინანსურ პოლიციაში ან სამოქალაქო სასამართლოში სიარული.

მითხარით, ნ-ა, თქვენ როგორც მოიქცეოდით ჩემს ადგილზე? კლიენტს არა აქვს ფული, რომ ადვოკატის მომსახურება აანაზღაუროს, მაშინ გამოდის, რომ მან საფასური უნდა გადამიხადოს მიღებული სამკვიდროს წილიდან. მაგრამ მე როგორ ვაჩვენო მას, რა ოდენობის არის სამკვიდრო ქონება მთლიანად, თუ ის პირადად არ ნახავს ამ საბუთებს, რომელსაც ამდენი დრო მოვანდომეთ? მე შეგნებულად არ მინდა შევხვდე [მამკვიდრებლის შვილს] [კლიენტის] გარეშე, ვინაიდან მგონია, რომ [კლიენტი] ამ საქმეში ყველას ეჭვით უყურებს, არ არის გამორიცხული, რომ მეც ეჭვით შემომხედოს....,

45. ამ წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი თემაა შეთანხმება ადვოკატის შემდგომი მომსახურების აანაზღაურებაზე იმის გამო, რომ კლიენტს არა აქვს ფული, სავარაუდოდ, საათობრივი გადახდის გასაგრძელებლად. ასეთ ვითარებაში ადგომატის მხრიდან შეთავაზებულია მისი მომსახურების საფასურის გადახდის შესაძლებლობა მიღებული სამკვიდროს წილიდან.

46. რაც შეეხება ფრაზას: „... არც ერთი ადვოკატი არ მოკიდებს ხელს სასამართლო საქმეს, თუ თავიდან არ მიიღებს აანაზღაურებას 10 000 აშშ დოლარის ოდენობით, ეს მინიმუმს გეუბნებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს რაც შეეხება...“, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ ის ადასტურებს მოლაპარაკებას მომავალში მხოლოდ სასამართლო წარმომადგენლობაზე. აღნიშნული ფრაზით ადვოკატი მიუთითებს ფიქ-სირებული გასამჯელოს შესაძლო მინიმალურ ოდენობაზე და არა შეთავაზებული იურიდიული მომსახურების სახეზე. წერილიდან ნათლად ჩანს, რომ ამ დროს მომავალი იურიდიული მომსახურების შინაარსი ჯერ კიდევ არ არის ნათელი, რადგან ჯერ არ არის ცნობილი შესაძლებელი იქნება თუ არა მამკვიდრებლის შვილთან მორიგების მიღწევა; განიხილება მასთან მოსალოდნელი შეხვედრის დეტალები, ადვოკატის მიერ უკვე განხორციელებული მოქმედებები და შემდგომი სტრატეგია [„გამოვნახე კლიენტის შვილს“] ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი: ერთი თვის განმავლობაში გავყინე [მამკვიდრებლის შვილის] ქონება, ვერც გაყიდის, ვერც სხვანაირად გადააფორმებს ბინებს. ხოლო ჩვენ ამ ერთი თვის განმავლობაში შევძლებთ საკითხის გადაჭრას და პირდაპირ წავუყენებთ [მამკვიდრებლის შვილს] ულტიმატუმს: ან დაუბრუნებს [კლიენტს] უკანონო გზით ხელში ჩაგდებულ ქონებას [მოსასუხის] წილის შესაბამისად), ან მოუწევს პროკურატურაში, შემდეგ კი ფინანსურ პოლიციაში ან სამოქალაქო სასამართლოში სიარული.“].

47. კიდევ რომ იქნეს გაზიარებული კასატორის მსჯელობა, რომ 10 სექტემბრის წერილით შეთავაზებული გადახდის ფორმა მხოლოდ სასამართლო დავაში მხარის წარმომადგენლობას შეეხება, შემდგომ განვითარებული მოვლენები იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებაში კასატორის მსჯელობის საწინააღმდეგოდ მხარეთა სხვაგვარი ნების გამოვლენას ადასტურებს. კერძოდ, დადგენილია, რომ 2014 წლის სექტემბერის თვეში, მოსარჩელის მიერ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის მიზნით მოპასუხე საქართველოში ჩამოვიდა და ინფორმაციის გაცნობის შემდგომ მოსარჩელესთან ერთად შეხვდა მამკვიდრებლის შვილს. შეხვედრისას მამკვიდრებლის შვილმა გამოთქვა თანხმობა დაებრუნებინა მისთვის სამკვიდრო მასიდან ამ უკანასკნელის მიერ განკარგული ქონება, ასევე მოპასუხესთან შეთანხმებით გაეყო სამკვიდრო ქონება. მამკვიდრებლის შვილმა მოპასუხეს სამკვიდრო მასიდან პირველი ტრანში – 50 000 აშშ დოლარი გადაუხადა. სადაც ხელშეკრულება მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის კი სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ, 2014 წლის 22 სექტემბერს დაიდო.

48. კასატორის მითითება, რომ „მოპასუხისათვის... პოზიტიური შედეგი დამდგარი იყო, მოპასუხეს არანაირი საჭიროება არ ჰქონდა იმისა, რომ ადვოკატთან დაედო ახალი ხელშეკრულება, რომლითაც ანაზღაურება 470 000 აშშ დოლარის ოდენობით განისაზღვრებოდა“, წინააღმდეგობაში მოდის დადგენილ გარემოებასთან, რომ იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება სწორედ მამკვიდრებლის შვილთან მორიგების თაობაზე შეხვედრის შემდეგ დაიდო. ასეთ ვითარებაში ის ფაქტი, რომ ხელშეკრულებაში არ დაკონკრეტდა იურიდიული მომსახურების სახე – სასამართლოში წარმომადგენლობა და არ მოხდა გასამრჯველოს ანაზღაურების ვალდებულების სწორედ სასამართლო დავის წარმოებაზე მიბმა, კასატორის მსჯელობის საწინააღმდეგოდ, იმ დასკვინის გამოტანის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ მოპასუხე კვლავ აუცილებლად მიიჩნევდა მოსარჩელის უფრო ფართო იურიდიული მომსახურებით სარგებლობას, რომლის ფარგლებში განსახორციელებელი მოქმედებები დაკონკრეტებული არ იქნებოდა.

49. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსი კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს მხარეთა თანასწორობისა და თავისუფალი სახელშეკრულების პრინციპით აწესრიგებს, რაც გულისხმობს მხარეთა თავისუფლებას ხელშეკრულების შინაარსში, ფორმაში და კონტრაქტის არჩევანში კანონისმიერი შეზღუდვის გათვალისწინებით (სსკ-ის 319-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსის ნორმათა, ძირითადად, დისპოზიციური ხასიათი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, მხარეებს აძლევს შესაძლებლო-

ბას, კერძო ურთიერთობები საკუთარი სურვილისამებრ დაარეგულირონ, მათ შორის დადონ ისეთი შეთანხმებები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კანონით, მაგრამ არ ენინააღმდეგება მას.

50. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მართებულად მიიჩნევს საპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მხარეთა შეთანხმება ანაზღაურების სახით სამკვიდრო ნილის 25%-ის გადახდის თაობაზე, ნებისმიერი იურიდიული მოქმედების განხორციელების შედეგად დავის მოპასუხის სასარგებლოდ დასრულების შედეგს უკავშირდებოდა.

51. კასატორის შემდგომი პრეტენზია მხარეთა შორის 2014 წლის 22 სექტემბერს იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების დადების შემდეგ მოსარჩელის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობას შეეხება. მისი განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია შეასრულა თუ არა მოსარჩელემ დავალების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებები და რა მოცულობით. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლო არ მსჯელობს მოპასუხისათვის დამდგარ შედეგთან (მემკვიდრეობის მიღება) რა კავშირი ჰქონდა მოსარჩელეს, შეასრულა თუ არა მან დავალების ხელშეკრულებით განსაზღვრული მოქმედება ან რა ოდენობით; საქმეში წარდგენილია რუსულ საადვოკატო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება და მათი ანგარიში, რომლითაც დასტურდება, რომ ეს კომპანია სრულად ფარავდა იგივე მომსახურებას; სწორედ ის ეხმარებოდა მოპასუხეს მემკვიდრეობის შესახებ შეთანხმების გაფორმებაში და არა მოსარჩელე, რომლის მიერ შესრულებული სამუშაოც შემოიფარგლა შეთანხმების პროექტზე რამდენიმე შენიშვნის მიწერით და რომელთანაც 2014 წლის ნოემბრის შემდეგ არანაირი სამუშაო კონტაქტი აღარ ყოფილა, მაშინ როდესაც მემკვიდრეობაზე შეთანხმება 2015 წლის მარტში გაფორმდა; როგორც მოსარჩელემ პირველი ინსტანციის სასამართლოში გამართულ სხდომაზე განმარტა, მან 22 სექტემბრის შემდეგ განახორციელა მხოლოდ მემკვიდრეებს შორის შეთანხმების რევიზია და მის მიერ დახარჯულმა დრომ შეადგინა შაქსიმუშ 12 საათი; შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც სასამართლომ უნდა დაადგინოს ხელშეკრულების შეწყვეტამდე რა ოდენობის სამუშაო შეასრულა მოსარჩელემ და ამის მიხედვით განსაზღვროს ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა.

52. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ, კასატორის მითითებით, მემკვიდრეობის შესახებ შეთანხმების გაფორმების პროცესში იგი კვლავ საჭიროებდა იურიდიულ მომსახურებას. ოღონდ, კასატორის განცხადებით, ასეთ მომსახურებას მას რუსული საადვოკატო

კომპანია უწევდა და მოსარჩელის ჩართულობა მხოლოდ შეთანხმების პროექტზე რამდენიმე შენიშვნის მიხერით შემოიფარგლა.

53. იმ პირობებში, როცა მხარეთა შორის 2014 წლის 22 სექტემბერს დადებული ხელშეკრულებით კონკრეტულად არ ყოფილა განერილი მოქმედებები, რომლებიც რნმუნებულს იურიდიული მომსახურების ფარგლებში უნდა განეხორციელებინა, ის თავის თავში მოიცავდა რნმუნებულის მხრიდან ნებისმიერ კანონიერ ქმედებას, რაც მოპასუხეს/დამკვეთს მამკვიდრებლის სამკვიდრო ქონებიდან მისი კუთვნილი წილის მიღებაში დაეხმარებოდა.

54. კასატორი თავადვე აღიარებს იმ გარემობას, რომ 2014 წლის 22 სექტემბრის შემდეგ მოსარჩელემ განახორციელა მემკვიდრეობს შორის შეთანხმების რევიზია, ამასთან მოსარჩელესთან კომუნიკაცია გრძელდებოდა 2014 წლის ნოემბრამდე [„... მოსარჩელე, რომლის მიერ შესრულებული სამუშაოც შემოიფარგლა შეთანხმების პროექტზე რამდენიმე შენიშვნის მიხერით და რომელთანაც 2014 წლის ნოემბრის შემდეგ არანაირი სამუშაო კონტაქტი აღარ ყოფილა, მაშინ როდესაც მემკვიდრეობაზე შეთანხმება 2015 წლის მარტში გაფორმდა]. აღნიშნული დასტურდება აგრთვე საქმის მასალები წარმოდგენილი მიმოწერით და სამკვიდრო მასაში შემავალი ქონების განაწილების შესახებ შეთანხმებაზე მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის წარდგენილი კომენტარებით.

55. ზემოაღნიშნულით ნათელი ხდება, რომ სადავო ხელშეკრულების დადების შემდეგ მოპასუხე მოსარჩელის იურიდიული მომსახურებით სარგებლობდა. მას მამკვიდრებლის შვილთან 2015 წლის 20 მარტის მორიგების დადებამდე მოსარჩელესთან იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება არ შეუწყვეტია. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოცემულ შემთხვევაში დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულებული სამუშაოს გასამრჯელოს მოთხოვნის უფლების წარმოშობის წინაპირობა შეთანხმებული სამუშაოს შესრულებაა და არა მისი სირთულე. რაც შეეხება, განეულ მომსახურებაში დახარჯული დროის ოდენობას, აღნიშნული რელევანტური იქნებოდა მხარეთა შორის საათობრივ ანაზღაურებაზე შეთანხმების პირობებში, მოცემულ შემთხვევევაში კი საადვოკატო პონორარი მიძღვული იყო შედეგზე, ხოლო საქმის გარემოებებით დადასტურებულია, რომ ეს შედეგი დადგა.

56. რაც შეეხება, კასატორის პრეტენზიას ანაზღაურების ოდენობის მცდარად გამოთვლასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელემ შესარულა თავისი მტკიცების ტვირთი და წარადგინა მიღებული სამკვიდროს ლირებულების დამადასტურებელი მტკიცებულებები. საკასაციო საჩივარში კი კა-

სატორს კონკრეტულად არ მიუთითებია რომელი ხარჯები და რა ოდენობით უნდა გამოაკლდეს მემკვიდრეობით მიღებული ქონების ლირებულებას, რის გამოც ან ნაწილში საკასაციო საჩივარი და-უსაბუთებელია.

57. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ განცეული იურიდიული მომსახუ-რების საფასურის ასანაზღაურებლად მოპასუხეს მართებულად დაეკისრა 2014 წლის 22 სექტემბრის შეთანხმებით გათვალისწი-ნებული გასამრჯელო – ამ უკანასკნელის მიერ მიღებული სამკვიდ-რო ქონების ლირებულების 25%.

58. კასატორი მიუთითებს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტი-ლება განსხვავდება საკასაციო სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მიერ საქმეზე №დს-შ/7-16 21.11.2016 წელს მიღებული გადაწყვეტილებისაგან. საკასაციო სასამართლო გამომარტავს, რომ დასახელებულ საქმეში განიხილებოდა არა გა-დახდილი თანხის დაბრუნების, არამედ ადვოკატის მიერ პროფე-სიული ქცევის სტანდარტის დაცულობის, დისციპლინური პასუ-სისმგებლობის საკითხი. აღნიშნული დავის საგანს წარმოადგენდა ადვოკატის მიერ კორპორაციული წესების დაცვის, სადისციპლი-ნო ნორმის გამოყენების მართლზომიერებისა და არა ადვოკატი-სათვის გადახდილი საადვოკატო მომსახურების საფასურის, გა-დახდილი თანხის დაბრუნების საკითხი, რომელიც ადვოკატსა და კლიენტს შორის სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობას შეე-სება. ამდენად, კასატორის მიერ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილე-ბაზე მითითება მოცემულ შემთხვევაში არარელევანტურია.

59. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააქმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: а) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სა-ფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამარ-თლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბა-მის დასაბუთებას.

60. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივ-რებული გადაწყვეტილება სწორია, რაც მისი ძალაში დატოვებისა და საკასაციო საჩივარის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძ-ვლია.

61. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხ-ლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარ-

ჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გა-დაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გან-თავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარ-ჯების გადახდისაგან. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარ-ჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის საპე-ლაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

62. ამდენად, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სა-ჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს კასატორის მიერ გაღე-ბული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების წინაპირობები. შესაბა-მისად, აღნიშნული ხარჯი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. პ-ვის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უც-ვლელი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასა-ჩივრდება.

5. საკუთრების მინდობა

მინიჭებული უფლება მოსილების ფარგლები

განხილვა
საქართველოს სახელით

№ას-1062-2019

5 ივლისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: 6. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: იპოთეკის ხელშეკრულების და სააღსრულებო
ფურცლის ნაწილობრივ ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2016 წლის 27 ივლისს გაცემული მინდობილობის საფუძველ-ზე, დ. ჭ-ძე (შემდგომში – „პირველი მოსარჩევე“ ან „მარწმუნებელი“) – „მინდობილობის გამცემი“ გ. ჭ-ძეს (შემდგომში – „პირველი მოპასუხე“ ან „რწმუნებული“) – „მინდობილობის მიმღებს“ ანიჭებს უფლებამოსილებას, მართოს, განკარგოს, გაასხვისოს (გაყიდოს, გადაიფორმოს საკუთარ სახელზე, გააჩუქროს, გაცვალოს, იპოთეკით დატვირთოს, გააქირაოს, გასცეს იჯარით და ა.შ.) „მინდობილობის გამცემის“ კუთვნილი ნებისმიერი უძრავი ქონება. აღნიშნულის განსახორციელებლად „მინდობილობის მიმღები“ უფლება-მოსილია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან დადოს ნებისმიერი გარიგება, შეთანხმება, ხელშეკრულება უძრავ-მოძრავი ქონების მართვასთან დაკავშირებით.

2. პირველ მოპასუხეს, გ. უ-ს (შემდგომში – „მეორე მოპასუხე“) და ო. ნ-ვს (შემდგომში – „მესამე მოპასუხე“) შორის 2016 წლის 29 ივლისს დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა პირველი მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თბილისი, ..., ს.კ. ... (შემდგომში – „სადავო უძრავი ქონება“).

3. პირველი მოსარჩელის მიმართვის საფუძველზე, 2016 წლის 01 აგვისტოს გაუქმდა 2016 წლის 27 ივლისს შედგენილი ზემოაღნიშული მინდობილობა.

4. დადგენილია, რომ სადავო უძრავი ქონების მესაკუთრე 2016

წლის 02 აგვისტოს ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, გახდათ. კ-ვა (შემდგომში – „მეორე მოსარჩევე“).

5. მეორე მოპასუხის განცხადების საფუძველზე, 2016 წლის 07 ოქტომბერს ნოტარიუსის მიერ გაიცა №... სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმად, 2016 წლის 29 ივლისს პირველ (მოვალე) და მეორე (კრედიტორი) მოპასუხებს შორის დადგებული იპოთეკის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, სარეალიზაციოდ მიექცა მეორე მოსარჩევის კუთვნილი სადაც ვო უძრავი ქონება.

6. მესამე მოპასუხის განცხადების საფუძველზე, 2016 წლის 07 ოქტომბერს ნოტარიუსის მიერ გაიცა №... სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმად, 2016 წლის 29 ივლისს პირველ (მოვალე) და მესამე (კრედიტორი) მოპასუხებს შორის დადგებული იპოთეკის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, სარეალიზაციოდ მიექცა მეორე მოსარჩევის კუთვნილი სადაც ვო უძრავი ქონება.

7. დადგენილია, რომ პირველ მოპასუხეს 2016 წლის 18 ოქტომბერს მიეცა წინადადება გადაწყვეტილების შესრულების თაობაზე.

8. მოსარჩელებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში მოპასუხეთა მიმართ და მიოთხოვეს: პირველი მოსარჩელის სახელით პირველი მოპასუხის მიერ მეორე და მესამე მოპასუხებთან 2016 წლის 29 ივლისს დადგებული იპოთეკის ხელშეკრულების (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №...) ბათილად ცნობა სადაც უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის ნაწილში და აღნიშნული უძრავი ქონების იპოთეკისაგან გათავისუფლება; ასევე, აღნიშნული იპოთეკის ხელშეკრულების აღსრულების მიზნით იმავე ნოტარიუსის მიერ 2016 წლის 07 ოქტომბერს გაცემული №... და №... სააღსრულებო ფურცლების ბათილად ცნობა, სადაც უძრავი ქონების სარეალიზაციოდ მიქცევის ნაწილში.

9. მოსარჩელეთა განმარტებით, 2016 წლის 27 ივლისს გაცემული მინდობილობით პირველმა მოსარჩელემ თავის შვილიშვილს, პირველ მოპასუხეს დააგალა უძრავი ქონების მართვა და განკარგვა იმ ფარგლებში, რომ ამ უკანასკნელს, როგორც რწმუნებულს, უნდა ემოქმედა პირველი მოსარჩელის სახელითა და მისი ინტერესების შესაბამისად. მინდობილობა არ ითვალისწინებდა იმგვარ უფლებამოსილებას, რომელიც რწმუნებულს საკუთარი ინტერესებისათვის მოქმედების შესაძლებლობას მისცემდა. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, პირველმა მოპასუხებ 2016 წლის 29 ივლისს მეორე და მესამე მოპასუხებისაგან პირადად ისესხა თანხა და აღნიშნული სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთა პირველი

მოსარჩელის კუთვნილი სადაცო უძრავი ქონება, რისი უფლებაც მას არ გააჩინდა. იპოთეკის ხელშეკრულება დაიდო პირველი მოსარჩელის თანხმობის გარეშე, რაც გარიგების ბათილობის საფუძველია.

10. პირველ მოპასუხეს შესაგებელი არ წარუდგენია, ხოლო მეორე და მესამე მოპასუხეებმა წარადგინეს მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, რომლითაც საარჩელი არ ცნეს. მათი განმარტებით, სადაცო იპოთეკის ხელშეკრულება დაიდო პირველი მოსარჩელის ნების გამოვლენის საფუძველზე. მან მინდობილობით უფლება მიანიჭა წარმომადგენელს, ემართა, განეკარგა, გაესხვისებნა და, მათ შორის, იპოთეკით დაეტვირთა მის საკუთრებაში რიცხული ქონება. იპოთეკარები არიან კეთილსინდისიერი სუბიექტები, რადგან მათ კანონის საფუძველზე გააფორმეს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2017 წლის 02 ოქტომბრის საოქმონ განჩინებით პირველი მოსარჩელის გარდაცალების გამო, წინამდებარე სამოქალაქო საქმეში მის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ე. ჭ-ე (შემდგომში – „პირველი მოსარჩელის უფლებამონაცვლე“).

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2017 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

13. მოსარჩელეებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინეს სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

15. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-7 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

16. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სააპელაციო საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე, აპელანტები სადაცოდ ხდიან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებასა და სამართლებრივ დასკვნას მისი თაობაზე, რომ პირველ მოპასუხეს 2016 წლის 27 ივნისის მინდობილობის საფუძველზე გააჩინდა პირველი მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მისი პირადი სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთვის უფლებამოსილება. აპელანტების მითითებით, 27.07.2016 სანოტარო აქტის (რწმუნებულების) ფარგლებში პირ-

ველ მოპასუხეს პირველი მოსარჩელის სახელით სესხის აღების უფლებამოსილება არ გააჩნდა, შესაბამისად, მისი სახელით არ შეიძლება დადებულად იქნეს მიჩნეული აქცესორული უფლების წარმმობი გარიგება.

17. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის დადგენისა და, შესაბამისად, მხარეთა შორის დავის სწორად გადაწყვეტისათვის, განმსაზღვრელია 2016 წლის 27 ივლისს შედგენილი სანოტარო აქტის – რწმუნებულების შინაარსის გათვალისწინებით, შეფასდეს პირველი მოსარჩელის, როგორც მარწმუნებლის მიერ გამოვლენილი ნება, შესაბამისად, მინდობილი პირის, პირველი მოპასუხის უფლებამოსილების ფარგლები და ამ უფლებამოსილების გათვალისწინებით, 2016 წლის 29 ივლისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადების, კონკრეტულად კა, პირველი მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის კანონიერება.

18. სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნულ სადაცო საკითხთან დაკავშირებით ყურადღება რამდენიმე ასპექტზე გაამახვილა:

– სააპელაციო სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მიაქცია 2016 წლის 27 ივლისის სანოტარო აქტის ფორმასა და შინაარსს და აღნიშნა, რომ მიუხედავად ამ მინდობილობის ტექსტში გამოყენებული ტერმინისა: „მინდობილი საკუთრება“, იგი ვერ იქნება განხილული საკუთრების მინდობის ხელშეკრულებად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 727-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, საკუთრების მინდობის ხელშეკრულება წარმოადგენს წერილობითი სახის ფორმასავალდებულო ხელშეკრულებას, რაც იმავე კოდექსის 68-ე მუხლის მიხედვით, ნიშნავს, რომ საკუთრების მინდობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია წერილობითი ფორმის დაცვა, შესაბამისად, ორივე მხარის, როგორც საკუთრების მიმდობის, ასევე მინდობილი მესაკუთრის მიერ აღნიშნული ხელშეკრულების დადების შესახებ გამოვლენილი ნების წერილობით დათვიქსირება და შესაბამისი ხელმოწერით დადასტურება, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. უდავოა, რომ 2016 წლის 27 ივლისის სანოტარო აქტით გაფორმებულ გარიგებაზე ხელს ანერს მხოლოდ პირველი მოსარჩელე, მასზე არ არის დაფიქსირებული პირველი მოპასუხის ხელმოწერა, რითაც დადასტურდებოდა მის მიერ საკუთრების მინდობის ხელშეკრულების დადების შესახებ ნების გამოვლენა. სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების, ასევე, სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის ანალიზის საფუძველზე აღნიშნა, რომ წერილობითი სახის ფორმასავალდებულო ხელ-

შეკრულების დადებისა და მისგან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის (განსახვავებით ცალმხრივი გარიგებისაგან, მინდობილობისაგან) არ არის საკმარისი მეორე მხარის მიერ თუნდაც კონკლუდენტურად კონტრაპენტის მიერ გამოვლენილი ნების მიღების დადასტურება. შესაბამისად, პირველი მოპასუხის მიერ 2016 წლის 27 ივლისის სანოტარო აქტით პირველი მოსარჩელის მხრიდან გამოვლენილი ნების მიღება კონკლუდენტურად არ ახდენს საკუთრების მინდობის ხელშეკრულების აქცეპტირებასა და მისი დადების დადასტურებას.

– სააპელაციო სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა დასახელებული სანოტარო აქტით გაფორმებული გარიგების შინაარსზეც და აღნიშნა, რომ რამდენიმე პუნქტში, სადაც მინდობილი პირის უფლება-მოვალეობებია განერილი, რამდენჯერმე მეორდება დათქმა იმასთან დაკავშირებით, რომ მინდობილი პირი, პირველი მოპასუხე უფლებამოსილია, მინდობილობის გამცემის სახელით დადოს ხელშეკრულებები და მინდობილობის გამცემის სახელით მიიღოს ნასყიდობის ფასი, რაც ცალსახად ეწინააღმდეგება საკუთრების მინდობის ურთიერთობისათვის დამახასიათებელ იმ თვისებას, რომ საკუთრების მინდობის ურთიერთობიდან გამომდინარე, მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოდის თავისი სახელით (განსახვავებით წარმომადგენლობითი ურთიერთობისაგან, მინდობილობისაგან). აღნიშნული კი, ცალსახად წინააღმდეგობაშია სამოქალაქო კოდექსის 725-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესთან.

– სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა 2016 წლის 29 ივლისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების შინაარსზეც და ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტობრივი მოცემულობა, რომ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება სესხის ნაწილში განხორციელდა უმუალოდ პირველი მოპასუხის მიერ და იგი წარმოადგენს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირად მოვალეს, ხოლო იპოთეკის ნაწილში პირველმა მოპასუხემ, როგორც პირველი მოსარჩელის მინდობილმა მესაკუთრე, იპოთეკით დატვირთა პირველი მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ნივთი.

19. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 103-ე, 107-ე, 724-ე მუხლებით და ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დაასკვნა, რომ 2016 წლის 27 ივლისის სანოტარო აქტით გაფორმებული სამართლებრივი ურთიერთობა, თავისი სამართლებრივი ბუნებით წარმოადგენს არა საკუთრების მინდობის ხელშეკრულებას, არამედ – რწმუნებულებას.

20. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმ პირობებში, რო-

დესაც მესაკუთრებ წარმომადგენელი აღჭურვა ქონების საკუთარ თავზე გადაფორმების, ასევე გაჩუქრების, გაყიდვის, იპოთეკით დატვირთვის უფლებებით, იგულისხმება და პრეზუმირებულია მარწმუნებლის ნება – პირადი სესხის შემთხვევაშიც რწმუნებულის მიერ იპოთეკის გამოყენების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე.

21. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ პირველი მოპასუხე მის მიმართ 2016 წლის 27 ივლისს გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე უფლებამოსილი იყო გაეფორმებინა სადავო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. შესაბამისად, არ არსებობს იპოთეკის ნაწილში აღნიშნული ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულო ფურცლების ბათილად ცნობის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

22. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელეებმა წარადგინეს საკასაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

23. კასატორებმა საკასაციო საჩივარში მიუთითეს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

23.1. სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე, 59.3 მუხლები, ხოლო იმავე კოდექსის 709-ე, 716-ე, 724-ე და 729-ე მუხლები, მართალია, გამოიყენა, მაგრამ არასწორად განმარტა. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოები და მტკიცებულებები, რის შედეგადაც წინამდებარე საქმეზე განსახილევლი სადავო საკითხი პრინციპულად არასწორად და კანონის სრული იგნორირებით გადაწყდა;

23.2. სააპელაციო სასამართლომ არამართებულად შეაფასა მინდობილობის არსი და ამ მიმართებით არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე და 716-ე მუხლებით დადგენილი საკანონმდებლო დანაწესები, რომელთა მიხედვით, რწმუნებულების (მინდობილობის) არსებით და უმთავრეს პირობას მარწმუნებლის სახელითა და მისი ინტერესებისათვის მოქმედება წარმოადგენს, რაც იმას გულისხმობს, რომ ნებისმიერ გარიგებაში, რომელსაც მარწმუნებლის მიერ გაცემული რწმუნებულებით (მინდობილობით) წარმომადგენელი აფორმებს, ხელშეკრულების მხარედ (კონტრაპენტად) თავად მარწმუნებელი უნდა გვევლინებოდეს, თუმცა წინამდებარე საქმის ფაქტობრივი გარემოებები ცხადყოფს, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო სეს-

ხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ფარგლებში მსესხებელს არა პირველი მოსარჩელე, არამედ პირველი მოპასუხე წარმოადგენს, რაც პრინციპულად სცილდება მის მიმართ გაცემული მინდობილობის ფარგლებს. ფაქტია, რომ სადავო გარიგება – სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება არა პირველი მოსარჩელის, არამედ პირველი მოპასუხის ქონებრივი ინტერესის დასაქმეყოფილებლად დაიდო, რადგან გაცემული სესხი პირადად მან მიიღო, როგორც მსესხებელმა და არა წარმოადგენილმა პირმა, რაც არსობრივად და პრინციპულად ენინააღმდეგება დავალების (საკუთრების მინდობის) ხელშეკრულების უმთავრეს – მარწმუნებლის ინტერესებისთვის მოქმედების პრინციპს;

23.3. ქვემდგომმა სასამართლოებმა არამართებულად იმსჯელეს მინდობილობის არსზე იმ მიმართებით, რომ იგი დავალების ხელშეკრულებისგან მოწყვეტილად შეიძლება იქნეს განხილული. აღნიშნული მოსაზრება პრინციპულად არასწოროა, რადგან მინდობილობისთვის დამახასიათებელ მთავარ კომპონენტს მარწმუნებლის სახელით მოქმედება წარმოადგენს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში სესხის ნაწილში სახეზე არ გვაქვს;

23.4. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა ასევე არამართებულად იმსჯელეს სესხთან მიმართებით იპოთეკის, როგორც აქცეულრული უფლების საკითხზე და არ გაამახვილეს ყურადღება იმ არსებითად მნიშვნელოვან სამართლებრივ ასპექტზე, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო გარიგების ფარგლებში სწორედ სესხი წარმოადგენდა ძირითად უფლებას (ვალდებულებას), რომლის მხარედაც თავად პირველი მოსარჩელე არ ფიგურირებს;

23.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ქრთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. იმავე კოდექსის 724-ე მუხლის თანახმად, საკუთრების მინდობის ხელშეკრულებით საკუთრების მიმნდობი გადასცემს ქონებას მინდობილ მესაკუთრეს, რომელიც იღებს და მართავს მას საკუთრების მიმნდობის ინტერესების შესაბამისად. ხსენებული ნორმის სამართლებრივი ანალიზი (729-ე მუხლთან ერთობლიობაში) ცხადყოფს, რომ იმ გარიგების ფარგლებში, რომლის დადებასაც რწმუნებული მინდობილობის ფარგლებში ახორციელებს, მხარეს (კონტრაპენტს) მარწმუნებელი უნდა წარმოადგენდეს და არა თავად რწმუნებული. აღნიშნული სამართლებრივი ასპექტი გამოკვეთილია სამოქალაქო კოდექსის 716-ე მუხლშიც;

23.6. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე, 716-ე და 724-ე მუხლებით დადგენილი დანაწესისა და იმ უმთავ-

რესი პრინციპის მიხედვით, რომ დავალება (საკუთრების მინდობა, მინდობილობა) ყველა შემთხვევაში მარწმუნებლის ინტერესებს ემსახურება, პირველი მოპასუხის მიერ პირადად დადებული სესხის ხელშეკრულება ვერ იქნება მიჩნეული პირველი მოსარჩელის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე და მის ფარგლებში დადებულ გარიგებად, რადგან უშუალოდ სესხის ხელშეკრულების ფარგლებში გარიგების მონაწილე მხარეს (კონტრაპენტს) პირველი მოსარჩელე არ წარმოადგენდა;

23.7. აქცესორული უფლების (მოცემულ შემთხვევაში იპოთეკა) წარმომშობი გარიგება მინდობილობის ფარგლებში დადებულად რომ მივიჩინოთ, ძირითადი უფლების (ვალდებულების) წარმომშობი გარიგებაც ასეთი სტატუსით უნდა იყოს დადებული, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის;

23.8. შესაბამისად, გარდა იმისა, რომ სადავო ხელშეკრულება იპოთეკის წაწილში წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო გარიგებას, იმავდროულად იგი დადებულია არაუფლებამოსილი პირის მიერ, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს.

24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 23 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 წაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

25. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

26. წინამდებარე საქმეში დავის საგანს წარმოადგენს მარწმუნებლის მიერ რწმუნებულისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლები. კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია ჰქონდა თუ არა პირველ მოპასუხეს, როგორც რწმუნებულს უფლებამოსილება, მისი პირადი სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაეტვირთა პირველი მოსარჩელის/ მარწმუნებლის კუთვნილი უძრავი ქონება.

27. საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს, რომ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას პირველი მოსარჩელის მიერ 2016 წლის 27 ივლისს გაფორმებულ სანოტარო აქტთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ აღნიშნული დოკუმენტი თავისი სამართლებრივი ბუნებით არის „რწმუნებულება“ და არა საკუთრების მინდობის ხელშეკრულება, რომელიც განსხვავებულ სამარ-

თლებრივ ურთიერთობას წარმოადგენს. სასამართლო აღნიშნავს, რომ საკუთრების მინდობის ხელშეკრულების „მინდობილობისაგან“ (დავალების სახელშეკრულებო ურთიერთობა) გამიჯვნის შესახებ არსებობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომლის თანახმად: „სსკ-ის 727-ე მუხლის დანაწესით საკუთრების მინდობის ხელშეკრულება წარმოადგენს წერილობითი სახის ფორმასავალდებულო ხელშეკრულებას, რაც სსკ-ის 68-ე მუხლის მიხედვით, ნიშნავს იმას, რომ საკუთრების მინდობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია წერილობითი ფორმის დაცვა. სანოტარო წესით გაფორმებული აქტის საკუთრების მინდობის ხელშეკრულებად კვალიფიკაციისათვის უნდა არსებობდეს ორივე მხარის ნების წერილობითი ფორმით გამოვლენა – ხელმოწერა და არა გარიგების მონაწილის მხოლოდ ცალმხრივი ნება“ (იხ. სუსგ საქმე №ას-411-388-2014, 22 აპრილი, 2015 წელი). გარდა ამისა, წარმომადგენლისგან (რწმუნებული) განსხვავებით, რომელიც სხვისი სახელით მოქმედებს, მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან ურთიერთობაში მხოლოდ თავისი სახელით გამოდის (სსკ-ის 725.1 მუხლი).

28. კონკრეტულ შემთხვევაში, 2016 წლის 27 ივნისს გაფორმებულ სანოტარო აქტში, „რწმუნებულებაში“, გამოვლენილია მხოლოდ პირველი მოსარჩელის ცალმხრივი ნება, რის გამოც აღნიშნული გარიგება თავისი ფორმით საკუთრების მინდობის ხელშეკრულებად ვერ შეფასდება. გარდა ამისა, ფორმის დაუცველობასთან ერთად, რაც სრულიად საკმარისი საფუძველი იქნებოდა საკუთრების მინდობის ხელშეკრულების არარსებობის ფაქტობრივი გარემოების დასადგენად, აღნიშნული ცალმხრივი გარიგების შინაარსი არ პასუხობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 725-ე მუხლის მოთხოვნებს. მინდობილობაში რამდენჯერმე მეორდება დათქმა იმასთან დაკავშირებით, რომ „მინდობილი პირი“, პირველი მოპასუხე უფლებამოსილია, მისთვის მინდობილი მოქმედებები მინდობილობის გამცემის სახელით განახორციელოს (მინდობილობის ტექსტში აღნიშნულია შემდეგი: „მინდობილობის მიმღები“ უფლებამოსილია [...] „მინდობილობის გამცემის“ სახელით მიიღოს „მინდობილობის გამცემის“ კუთვნილი უძრავი ქონების გასხვისებისას ნასყიდობის ფასი; „მინდობილობის გამცემის“ სახელით დადოს და ხელი მოაწეროს ზ/აღნიშნულთან დაკავშირებულ ხელშეკრულებას...).

29. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც. წარმომადგენლის ინსტიტუტს საფუძვლად უდევს კონკრეტული პირის (ან პირთა) უფლება სამართლებრივ ურთიერთობებში წარმოადგინოს სხვა

პირი (ან პირები) – წარმომადგენლობის უფლებამოსილება. იმავე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 ნინადადების თანახმად, წარმომადგენლობის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა წარმომიშობა მინდობილობის საფუძველზე.

30. წარმომადგენლობა და წარმოდგენილ პირს შორის წარმომობილი ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს გარიგება – მინდობილობის გაცემა. მინდობილობა არის გარეგნული ფორმა, რომელშიც გამოიხატება კონკრეტული პირისათვის წარმომადგენლობის უფლებამოსილების – რწმუნებულების მინიჭება. მინდობილობის შინაარსი იმზება დამოკიდებული, თუ რა სახის ურთიერთობა უდევსა ამ უფლებამოსილებას საფუძვლად: დავალება, შრომის ხელშეკრულება, სამეწარმეო საზოგადოების წესდება და სხვა. შესაბამისად, მინდობილობა შეიძლება განიმარტოს, როგორც გარიგების საფუძველზე მინიჭებული წარმომადგენლობის უფლებამოსილება – რწმუნებულება, როთიც განსხვავდება იგი კანონით წარმომადგენლობისგან (იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, გვ. 425-426; ასევე, ბესარიონ ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2002, გვ. 277).

31. გარიგებისმიერი წარმომადგენლობა წებაყოფლობითი წარმომადგენლობაა, რადგან ასეთ დროს პირი თავად იღებს გადაწყვეტილებას თავისი ინტერესების რეალიზებისთვის უფლებამოსილების სხვისთვის გადაცემის თაობაზე. წარმომადგენლობის ამგვარი სახის ყველაზე გავრცელებული შემთხვევა მინდობილობაა, სადაც უმეტესად დეტალურად განისაზღვრება უფლებამოსილების ფარგლები (იხ. სერგი ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2019, გვ. 593).

32. წარმომადგენელი არის პირი, რომელიც მოქმედებს სხვისი სახელით. წარმომადგენელი თავად უნდა მოქმედებდეს გარიგების დადების მიზნით. იგი თავად ავლენს წებას გარიგების დადებისას, რომელიც წარმოდგენილის წებას უნდა შეესაბამებოდეს. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ გარიგებით, რომელსაც წარმომადგენელი დებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენს, უფლებები და მოვალეობები წარმომეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს.

33. ამდენად, წარმომადგენლის მეშვეობით გარიგების დადებისას მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული შემდეგი ფაქტორები: ა) წარმომადგენელი გამოხატავს საკუთარ წებას, ბ)

ამას იგი აკეთებს სხვისი სახელით, გ) უფლებები და მოვალეობები წარმოქმნაბა წარმოდგენილ პირს. ჩამოთვლილი კრიტერიუმები კუ-მულატიური ხასიათისაა და მათი ერთობლიობა ქმნის შესაბამის სამართლებრივ შედეგს (იხ. სერგი ჯორბენაძე, სამოქალაქო კო-დექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგა-დი ნაწილი, ობილისი, 2019, გვ. 591-592).

34. წინამდებარე საქმეში დადგენილია, რომ 2016 წლის 27 ივ-ლის პირველმა მოსარჩელემ პირველი მოპასუხის მიმართ გასცა სანოტარო წესით შედგენილი მინდობილობა, რომლითაც განისაზ-ღვრა რწმუნებულის უფლებამოსილების ფარგლები. კერძოდ, მინ-დობილობის თანახმად, „მინდობილობის გამცემმა“ „მინდობილო-ბის მიმღებს“ მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილებები: მართოს, გან-კარგოს, გაასხივისოს (გაყიდოს, გადაიფორმოს საკუთარ სახელზე, გააჩქუროს, გაცვალოს, იპოთეკით დატვირთოს, გააქირაოს, გასცეს იჯარით და ა.შ.), ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირზე ნების-მიერ ფასად გაყიდოს და სხვა ნებისმიერი ფორმით გაასხივისოს „მინ-დობილობის გამცემის“ კუთვნილი ნებისმიერი უძრავი ქონება. აღ-ნიშნულის განსახორციელებლად „მინდობილობის მიმღები“ უფლე-ბამოსილია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან დადოს ნებისმიერი გარიგება, შეთანხმება, ხელშეკრულება უძრავი და მოძრავი ქონების მართვასთან დაკავ-შირებით. მინდობილობაში აღნიშნულია, რომ პირველმა მოსარჩე-ლემ მოიწონა წინამდებარე მინდობილობა და ნოტარიუსის თან-დასწრებით მოაწერა მას ხელი.

35. კასატორი დავობს, რომ პირველი მოპასუხე/რწმუნებული არ იყო უფლებამოსილი მისი პირადი სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაეტვირთა პირველი მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონება, ვინაიდან რწმუნებულების არსებით პირობას წარმოადგენს მარწმუნებლის სახელითა და მისი ინტერესებისათვის მოქმედება, რაც იმას გულისხმობს, რომ ნებისმიერ გარიგებაში, რომელსაც წარ-მომადგენელი აფორმებს, ხელშეკრულების მხარედ (კონტრაქტად) თავად მარწმუნებელი უნდა გვევლინებოდეს.

36. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის ზემო-აღნიშნულ პრეტენზიას, რადგან 2016 წლის 27 ივლისის მინდობი-ლობით რწმუნებულისათვის მინიჭებული უფლებამოსილებების ანალიზიდან ირკვევა, რომ მარწმუნებელმა რწმუნებულს მიანიჭა მისი კუთვნილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის სრული, ფაქტობრივად, შეუზღუდავი უფლებამოსილება, მათ შორის, მარ-წმუნებლის კუთვნილი ნებისმიერი უძრავი ქონების საკუთარ სა-ხელზე გადაფორმების, გაჩქურებისა და იპოთეკით დატვირთვის უფ-ლებამოსილებები. მარწმუნებლის კუთვნილი ქონების განკარგვის

უფლებამოსილების ფარგლების შეუზღუდაობაზე განსაკუთრებით მიუთითებს მარწმუნებლის მიერ გამოვლენილი ნება, რომლის თანახმად, პირველი მოპასუხე აღიჭურვა პირველი მოსარჩელის კუთვნილი ქონების საკუთარ თავზე გადაფორმების უფლებით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან რწმუნებულების ფარგლების განსაზღვრა მარწმუნებლის ნებას დაქვემდებარებული საკითხია, სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს რწმუნებულისათვის მინდობილი ესა თუ ის მოქმედება რამდენად შეესაბამება მის ინტერესებს.

37. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც მარწმუნებელმა რწმუნებული აღჭურვა მისი კუთვნილი უძრავი ქონების საკუთარ თავზე გადაფორმების, ასევე, გარუქებისა და იპოთეკით დატვირთვის უფლებამოსილებებით, იგულისხმება და პრეზუმირებულია მარწმუნებლის ნება – რწმუნებულის პირადი სესხის შემთხვევაშიც მისთვის უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე.

38. მოცემულ ვითარებაში, თუკი მინდობილობა მარწმუნებლის ქონების განკარგვის თვალსაზრისით რაიმე ქმედების განხორციელების (მაგ., მარწმუნებლის ქონების რწმუნებლის პირადი სესხის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება) უფლებას არ იძლეოდა, აღნიშნულის თაობაზე მასში პირდაპირ უნდა ყოფილიყო მითითებული.

39. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მართალია, იპოთეკა აქცესორული უფლებაა და სამოქალაქო კოდექსის 153-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იგი არ წარმოიშობა და არც შეიძლება არსებობდეს ძირითადი უფლების გარეშე, თუმცა უძრავი ნივთის მესაკუთრე იმავდროულად შეიძლება არ იყოს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირადი მოვალე. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებები, მიუხედავად მათი ამგვარი კავშირისა, სხვადასხვა ხელშეკრულებებს წარმოადგენს და იმ შემთხვევაში, თუკი უძრავი ნივთის მესაკუთრე იმავდროულად უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირად მოვალეს არ წარმოადგენს, იპოთეკის ხელშეკრულება იდება მხოლოდ იპოთეკარსა და იპოთეკის საგნის მესაკუთრეს შორის. შესაბამისად, ის გარემოება, რომ სადაც მინდობილობით რწმუნებულს მარწმუნებლის სახელით სესხის აღების უფლებამოსილება არ ჰქონდა მინიჭებული, არ გამორიცხავს მისი სახელით იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმების უფლებამოსილებას.

40. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას,

რომ პირველი მოპასუხე, როგორც რწმუნებული უფლებამოსილი იყო პირველი მოსარჩელის მიერ 2016 წლის 27 ივნისს გაცემული მინდობილობის საფუძველზე, მისი პირადი სესხის უზრუნველსა-ყოფად იპოთეკით დაეტვირთა მარნმუნებლის კუთვნილი უძრავი ქონება. შესაბამისად, არ არსებობს იპოთეკის ნაწილში 2016 წლის 29 ივნისს სადაც სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათო-ლად ცნობის, ასევე სადაც სააღსრულებო ფურცლების გაუქმე-ბის წინაპირობები.

41. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააქმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: а) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სა-ფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამარ-თლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბა-მის დასაბუთებას.

42. ამრიგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელა-ციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება სწორია, რაც მისი ძალაში დატოვებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

43. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხ-ლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარ-ჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გა-დაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გან-თავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარ-ჯების გადახდისაგან. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარ-ჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპე-ლაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

44. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს კასატორების მიერ გაღებული ხარ-ჯის მხარეთა შორის განაწილების წინაპირობები. შესაბამისად, აღ-ნიშნული ხარჯი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ე. ჭ-ძისა და თ. კ-ვას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილ-

დეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 16 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge